ჯემალ მეხრიშვილი

გათავისუფლება

ცოტა რამ ფიროსმანზე

თბილისი
2011

შემეცნებითი ხასიათის, ოღონდ მხატვრული ენითა და სტილით დაწერილი ეს წიგნი **ფიროსმანის** პიროვნებასა და შემოქმედებას ეხება.

თვითონ ავტორი წარმოშობით მირზაანის მეზობელი სოფლიდანაა, ამდენად ზედმიწევნით იცნობს ამ კუთხეს და ისეთი დამაჯერებლობით გვიხატავს გენიოსი შემოქმედის პირველ-საცხოვრისის მიდამოებსა და მის ნიშანდობლივ ბუნებრივ თვისებებს, მკითხველს მირზაანი თვალითაც რომ არასოდეს ჰქონდეს ნანახი, თავს მის განუყოფელ ნაწილად იგრძნობს...

და რაც მთავარია, მწერალი სრულებით ახალ, განსხვავებულ შეხედულება-მოსაზრებებს გამოთქვამს როგორც ფიროსმანის ზოგიერთ ნახატზე, არსებითად ისე მის შემოქმედებაზეც.

იმედია, **«გათავისუფლება»** დააინტერესებს როგორც მხატვრებს, ხელოვნებათმცოდნეებს და ფიროსმანის თაყვანისმცემლებს, ისე ნებისმიერ წიგნიერ პიროვნებას.

ISBN 978-9941-0-3301-8

© ჯემალ მეხრიშვილი,
«გათავისუფლება», ცოტა რამ ფიროსმანზე; 2011 წ; 208 გვ.

თავი პირველი

წიგნის ამგვარი სათაური და ყდაზე გამოტანილი **ფიროსმანის «მეეზოვე»**,[1] ცხადია, მკითხველს დასაწყისშივე აღუძრავს ბუნებრივ ინტერესს: ვის ან რის გათავისუფლებაზე იქნება ლაპარაკი ანდა ვისგან თუ რისგან გათავისუფლებაზეო.

აქ საკითხი მხოლოდ ჩემივე მიზეზით წარმოშობილი საკუთარი ზნეობრივი სატანჯველიდან გათავისუფლებას ეხება და ამას მოვახდენ სრულიად ბუნებრივად, ოღონდ თავისებურად – მხატვარ **ნიკო ფიროსმანაშვილის** შემოქმედების ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებული ჩემი პირადი შეხედულების გულწრფელი გამომეჟურებით, რასაც მრავალი წლის განმავლობაში პიროვნული მორიდებისა და საკმაო მიზეზების უქონლობის გამო ვერ ვბედავდი და ამ შეხედულების გაუზიარებლობას თავს უმოწყალოდ ვატანჯვინებდი.

განგების ნებით ისე მოხდა, რომ სანამ თვით **ნიკო ფიროსმანაშვილის** ვინაობას გავიგებდი და, მით უმეტეს, მის შემოქმედებას ვეზიარებოდი, მანამ ბედმა ყმაწვილური შთაგონებით ჯერ შორიდან მაყურებინა, მერე კი სულ ბილიკ-ბილიკ მიმატარ-მომატარა ის არემარე, სადაც მხატვარს თავისი მითური ბავშვობა გაეტარებინა.

ცხადია, მკითხველები მიხვდებიან, რომ აქ სოფელი **მირზაანი** იგულისხმება.

***

დედოფლისწყაროს რაიონის პატარა სოფელ ოზაანში დავიბადე და გავიზარდე. მირზაანი და ოზაანი – შუაზე გედიქის ღრმა, განიერი და გრძელი ხეობა რომ ჩაუდის – ერთმანეთს უყურებენ. ერთოთახიანი ქვითკირის ხალვათი სახლი სოფლის განაპირას, ერთ მივარდნილ კუთხეში გვედგა, გედიქის ხეობისკენ გადაქანებული გრძელზურგიანი, ჯაგმაგით შემოსილი ხვინჭიანი

სერის ყურში – უფროს ძმასთან დავიდარაბიანი გაყრის შემდეგ 30-იანი წლების დასაწყისში ჩემს შეუპოვარ მშობლებს წერაქვები რომ დაეცვითათ იმ ცივი ბეტონივით უტეხი კრიახის ჩამოთხრაში, რათა აქვე აეშენებინათ თავშესაფარი და არ მოსწყვეტოდნენ მამაპაპეულ ნაფუძარს.

ჩემდა სავალალოდ სანამ მერე, 1955 წელს ამ სახლს – და მასთან ერთად ჩემს ბავშვობასაც – დავანგრევდით და ახლა სოფლის მეორე თავში, ტყის პირას ავიშენებდით ორსართულიან ბინას, მანამ თორმეტ წლამდე იქა ვცხოვრობდით და მთელმა ჩემმა სიყმაწვილემ იმ სერის ზურგზე ჩაიარა.

ამ სერზე ერთი ღამღამობით აღარ მეძინა, თორემ მთელ დღეს აქ ვატარებდი და ზოგჯერ ჯაგების ძირას მოკუნტულს გამღვიძებია. შეთხელებულ ლილოჭრელში აქ ვაგროვებდი ცეროდენა ენძელებსა და მელნისფერ იებს, დავდევდი ჩიტებს, სორო-სორო ვეძებდი ბაჭიებს, ვკონავდი შინ წასაღებ ჩინჩხვარს, ჯაგებს შორის დაჩარდახებულ ქოხში პურ-ყველითა თუ ერთი მტევანი ყურძნით «ჩემთვის ვცხოვრობდი...» ჩვენი საქონელიც სულ ამ სერის ფერდობებზე, გადაღმივ და იქვე, ჩაღმა, კვიწინაანთხევში იმწყემსებოდა. ამიტომ საჭირო იყო ფხიზელი თვალყურის ჭერა... ვენახიც ამ სერის მეორე ფერდობის ჩამოსათავართან გვქონდა და მამასთან ჯერი სერის გადასერვით ჩამქონდა.

ეს სერი განსაკუთრებით მიზიდავდა ერთი მიზეზის გამო. ყველაზე კარგად აქედან მოჩანდა გამაოგნებელი ქვეყნიერება და რაკი ჯერ იქ გავლის შნო არ მქონდა, მეც ყმაწვილური

[1] ხაზგასმა ყველგან ავტორისეულია.

თვალგაშტერებით საათობით გავცქეროდი ხოლმე დედოფლისწყაროსკენ მიმავალ ტყიან გორებსა და შორეული მინდვრების მწვანე ხაზებს, დედაჩემის სოფელ არბოშიკს, ზაფხულის პაპანაქებაშიც კი თოვლით თხემგადალესილ, მიუწვდომელსა და სუნთქვის შემკვრელ კავკასიონის მთაგრეხილს, ალაზნის ველის ბუნდოვან სილურჯეში მიმოფანტულად მოჩინარ დიდ-პატარა ნაკვეთებს, წაგრძელებულ ფერმებს, რაღაც ქოხმახებს... მაგრამ ყველაზე ჩაღად მოჩანდა და დამატყვევებლად მოქმედებდა ლამის ზედ მომდგარი მირზაანის აწეულ-დაწეული, ერთმანეთში ღონივრად ჩახვეულ-ჩაკუმშული, უთანაბრო ჯაგნარით შემოსილი გორები, თავ-თავიანთი ხლართულად ჩამოკლაკნილი ბილიკებით ციცაბოდ რომ ჩამოსდგამდა გედიქის ხეობას.

ამ გორების ჩამოდაღმა, ხეობის გამოფლატულ ნაპირზე, წყალჩაყოლებით წისქვილები ემწკრივა, ხოლო ხეობის ორივე მხარეს – გაღმაც და გამოღმაც – ისე ჩაფენილიყო პატარ-პატარა ხასხასა ბოსტნები, თითქოს ერთმანეთზე მახათით გადაუკერავთო.

მოწმენდილ ამინდში მთელ იმ არიარეზე მირზაანის დაუნისლავ გორებზე უფრო მიმზიდველად არაფერი გამოიყურებოდა. ამ გორების ამოუხსნელ იდუმალებას ასკეცებდა მათ მიღმა გაწალიკებული სახლები და ცის ტატნობზე ასვეტილი ალავერდისა და ყველაწმინდის ეკლესიები, ალავერდის ირგვლივ ჟამტიალს თითო-ოროლობით გადარჩენილი დიდრონი ხეები. ალავერდისა და სახლების ჩამოსწორ, გორების ფხაზე დილა-საღამოს მუდამ მოჩანდა ხოლმე ბაწარაღებით მომავალ-მიმავალი ნახირი, ჩომბახიანი მწყემსი, ორი-სამი ნაგაზი...

მირზაანის თავზე უცნაური და უეცარი ღრუბლვა იცოდა. დასავლეთიდან მოქროლილი ქარი ალავერდის გუმბათს, იმ დიდ ხეებსა და გორების ზურგს აზვინული საწვიმარი ღრუბლებით უეცრად შემოგრაგნიდა და ჩვენი სერისკენ ისეთი გამწარებით მოზუზუნებდა, ბალახსა და დაბალი ჯაგების ნორჩ ყლორტებს თავებს სულ მიწამდე ახრევინებდა. მალე მთელი მირზაანი ავად ატოკებულ შავ ღრუბლებში ინთქმებოდა და არემარეს სხარტი წვიმა უშხაპუნებდა, ხოლო შიშის აღმძვრელი ქუხილის ხმა ჯერ გედიქის ხეობის თავზე ისე ტრიალებდა, თითქოს დასაცემ ადგილს ეძებსო, მერე კი სადღაც ტიბაანისკენ გადაქანდებოდა ხოლმე.

ახალნაწვიმარზე, ცა ისევ რომ მოიკრიალებდა, მე კი იმედი მომიცდებოდა, რადგან ჩემ მიერ გაკეთებულმა ქოხმა ქოხობა ვერ გამიწია და სულ გავილუმპე, მირზაანში ყველაფერი – ეკლესიები, ხეები, სახლები, გორები – ისევ ძველებური ნირუცვლელობით იდგა, მზის ირიბი სხივებით აქა-იქ ჩაკემსილი წეროსფერი ღრუბლების ნაგლეჯ-ნარჩენები კი გულგრილად მიზოზავდნენ მაღლა-მაღლა, ოზაანისა და ჩვენი ტყიანი გორების გადაღმივ, სადღაც შორს და არსად არ აპირებდნენ შეჩერებას...

კოკისპირული წვიმებისას გედიქის ხეობიდან ისეთი შიშის მომგვრელი გრგვინვა-ხუილი აყრუებდა არემარეს, თითქოს ქვეყნიერება ინგრევა და ყველაფერი ღვარცოფს მიაქვსო! აწიოკებული დედაკაცები ამ დროს თავ-თავიანთ და მეზობლის ბავშვებს დაეძებდნენ, რათა მოხეთქილი დელგმა-

ღვარის საყურებლად არ გაჰპარვოდათ და საბედისწერო ფათერაკს არ გადაჰყროდნენ, რაც არაერთხელ მომხდარა!..

აღრიალებული ზვავ-ღვარი შემაძრწუნებელი სისასტიკით ყირამალა მოაქანებდა ხოლმე ყველაფერს, რისთვისაც კი თავისი სასიკვდილო ყბით მისწვდომოდა ან ძირი გამოეთხარა: მსხვილფეხა პირუტყვს, კლდის ნაშალს, ცხვრის ნოტოს, წისქვილის ბელღარს, ფესვებ-გაფარჩხულ ხეებსა და ბუჩქებს, გულაღმა აყირავებულ ცხენშებმულ ორთვალას, ქოხმახებს, ჭალ-ზეწარშემომტვრეულ ურემს, თივის დაშლილ ზვინებსა თუ ღვარეულებს, ავტოცისტერნას, ბაღჩა-ბოსტნებს, ალაჩოყებს, მწყემსთა ბარგი-ბარხანას, კასრებს, ბალონებს, ლოდებს, ქვა-ღორღს,

ცოფმორეულ ტალღებზე წაღმა-უკუღმა შეშლილებივით მოცეკვავე გრძელ-გრძელ ფიცრებს, მინდვრებიდან მოტაცებულ ნათესულობას...

უცბად მოვლენილი გამოუვალი მდგომარეობით თუ თავიანთი გულუბრყვილობა-წინდაუხედაობით ვინ მოსთვლის ჯერ მარტო ჩემს ხსოვნაში გედიქის ხეობის ღვარცოფს რამდენი ადამიანისთვის მოუსწრაფებია სიცოცხლე და საყოველთაო გლოვა-ზარი გამოუწვე-ვია!..

მირზაანის გორების ჩაუვალ, ეკალბარდიან გოხმახებსა და ნაპრალებში მგლები ბინადრობდნენ. ზამთრობით, წკარუნა თოვლი ფერდობებსა და გზა-ბილიკებს რომ წაბუქავდა, შიმშილისგან შეღონებული მგლები გედიქის ხეობით ჩვენს სოფელშიც ამოდიოდნენ და გომებში გვიცვივდებოდნენ, ხან კი პირდაპირ ურდულგაყრილ სახლის კარზე აფხაჭუნებდნენ!..

***

ჩვენი სერიდან გამუდმებული ცქერით მირზაანის იდუმალი გორების შეყვარება, ამ გორების ახლოდან, სულ ნაბიჯ-ნაბიჯ დავლის ოცნება და ამის ახდენა ადვილად ამისრულდა – თითქმის ერთმანეთს წაება.

ოთხი დეიდა მყავდა. ყველაზე უფროსი, მანანა, თავისი მეორე დის, ანიჭკას ქორწილის ღამეს კარაბინით ახალშერთული კოტაანელი ქმარი რომ მოუკლეს მხოლოდ იმიტომ, მოწმე არ დარჩენილიყო, ნარიჟრაჟევს ნაქეიფართა გაცილ-გამოცილებისას ვინ და ვინ მოკლა ორი თავისი მოშულარი, მეორედ იყო გათხოვილი ზემო მაჩხაანში, იოსებ ბოსტაშვილზე – იმ გააზნაურებულ ზემომაჩხაანელ **დათუნა ბოსტაშვილის** პირდაპირ ჩამომავალზე, რომელმაც 1751 წელს **აგრიჩაის** (ალაზნის მარცხენა შენაკადი, ამჟამად აზერბაიჯანში, ზაქათალის რაიონშია) ბრძოლაში დამარ-ცხებულ, მდინარე ალაზანთან ცხენმოკლულ **ერეკლე მეორეს** (1720-1798) ფიცხლავ მიჰგვარა თავისი ბედაური და მეფე ასე აარიდა ზედმომდგარ ხიფათს.

ეს უშვილო ცოლ-ქმარი XX საუკუნის 10-20-იან წლებში აზერბაიჯანის სიდიდით მეორე ქალაქ განჯაში, ცნობილ გერმანელ მევენახე და ღვინის მრეწველ პრაიტმალებთან მუშაობდა. იოსები ძია მათთან მოურავი თუ იმოდენა ზვრების ყარაულების ზედამხედველი ყოფილიყო. იმავე საუკუნის ოციანი წლების მიწურულსა და 30-იანი წლების დასაწყისში ბოლშევიკურ-ტოტალიტარულმა რეჟიმმა ხელაღებით ყველაფრის სისხლიან ნაციონალიზაციას რომ მიჰყო ხელი, შიგჩახედულ გერმანელ მრეწველებსაც ყველაფრისთვის თავი მიენებებინათ და დედა-ბუდიანად სამშობლოში წასულიყვნენ. მათ კვალობაზე ქართველ ცოლ-ქმარსაც შეეკრა თავისი ბარგი-ბარხანა და მშობლიურ ზემო მაჩხაანს დაბრუნებოდა.

იმ სასტიკი და უნდო დროის კვალობაზე უშარბოროტო იოსებს კიდევ კარგი სამსახური ეშოვა – თავისი წესრიგიანობისა და უმწიკვლო მუშაობის წყალობით სიკვდილამდე (1965 წ.) გედიქის ხეობის გზაჯვარედინზე მდებარე ვრცელი, სქელ-სქელი მილებით დასარტყლული, საიმედოდ შემომესრილი ცენტრალური წყალსადენის ერთადერთი, მუდმივი ქლორატორი და თოფიანი ყარაული იყო!

მაშინ წითელწყარო-წნორისა და ბოდბისხევის ბაზრის გზა გედიქის ქვაღორღიან ხეობაზე გადიოდა. თან მთელი ჩვენი სანათესავო სულ ამ ხეობის გაღმა-გამოღმა მიმოფანტულ სოფლებში ცხოვრობდა და წყალსადენის სტუმართმოყვარე ტირიფების დიდი, ერთმანეთს გადაბმული დაუძრავი ჩრდილობები შვების მომგვრელ შესახვედრსა და ერთმანეთის სალოდინოს წარმოადგენდა. ახალნამარი ქვეყნის კვალობაზე სულ აქ იმართებოდა ხოლმე ჩვენი შეხვედრები, სულმოსაბრუნებელი ღარიბული სერობები თუ მოულოდნელად რომელიმე ნათესავის თავს დატეხილი უბედურებით გამოწვეული ერთობლივი გლოვა-ვაება... მთელი სანათესავო სწორედ აქ დავხვდით ბერლინიდან ორკვირიანი შვებულებით ჩამოსულ ჩემს

ყველაზე უფროს დეიდაშვილს, ორდენებითა და მოწკარუნე მედლებით მკერდგაჭედილ საველე არტილერიის ლეიტენანტს, 25 წლის იოსებ კვიწინაშვილს და მერე, შემთხვევით ჩამოვლილი «სტუდბეკერით» წნორის რკინიგზის სადგურამდე ისევ აქედანვე გავაცილეთ შორეულ გზაზე...

სულ იქ, ჩამყუდროებული წყალსადენის ამ დაკიდებულულვაშებიან აუმღვრეველ მეუფესთან ხდებოდა ერთმანეთისთვის რამის დატოვება, დაბარება, გადაცემა, შენახვა, მიბარება, გატან-გამოტანება, დაცდა-ლოდინი...

მთელი სიცოცხლის მანძილზე ცოლ-ქმარი არსებითად ორ ოჯახად ცხოვრობდა. წყალსადენს, ქათმებს, მოშლამულ კუთხეში გაშენებულ უხვმოსავლიან ბაღ-ბოსტანს, სახედარსა და ორთვალას ძია უვლიდა, ზემო მაჩხანის სახლ-კარს კი მანანა დეიდა პატრონობდა. როცა მასთან ვიყავი, თავი სიზმარში მეგონა, რადგან განჯიდან ჩამოტანილი საყოფაცხოვრებო და სხვადასხვა სახმარი ნივთები უმეტესწილად სულ გერმანული და თანაც ზედვე ეტყობოდა, რომ დიდი ხნის ნამსახურევი იყო. ჩემთვის, ერთი ჩვეულებრივი სოფლელი ბიჭუკელასთვისაც კი თვალში საცემი ხდებოდა გამოგნებელი განსხვავება. ჩვენსა, სხვა ნათესავებთან თუ თანატოლთა ოჯახებში არსებულ მსგავს ნივთებს აშკარად ემჩნეოდა ტლანქი მოყვანილობა, კუსტარული ნახელავობა, გაუფრთხილებელი მოპყრობა, არადანიშნულებისამებრ გამოყენება, მხეცური ძალდატანების კვალი! დეიდასთან პირიქით – თითოეულ გერმანულ ნივთს ზედ ეწერა გონებამახვილური მოყვანილობა, დახვეწილი ნაკეთობა, უმალ მისახვედრი დანიშნულება, დაუდგენელი ხანდაზმულობა, ფაქიზი ხმარებულობა!!!

გაუნათლებელ, მაგრამ დამზნილ, შრომისმოყვარესა და პირდაცულ დეიდას თავისდაგვარად შეესისხლხორცებინა გერმანული ყოფა-ცხოვრების ყაიდის წვრილმანები და ცდილობდა, ეს თავისი დისწულებისა და ახლობლებისთვისაც ჩაენერგა: დაუშვებელია დაუბანელი ხელით საჭმლის შეხება, დაღლილ გულზე წყლის დალევა, ზედმეტი და ფაციფუცით ჭამა, დათრობა, უგვანო სიცილ-ხარხარი... არ შეიძლება გულზე წოლით ძილი... სამარცხვინო იყო მცონარობა და სხვისი მოიმედეობა... უნდა გყვარებოდა და გაგეხარებინა ყვავილები...

განჯურ-გერმანულ «ფილოსოფიას» დეიდა პირადი მაგალითებითაც ამაგრებდა: ქმრის სიკვდილის შემდეგაც არ დაუკარგავს სიმხნევე და მთელ დროს მშვიდ, მაგრამ აზრიან შრომაში ატარებდა. არ იწყვეტდა ფრინველსა და კურდღლებს; თაროებზე, საჩეხში და ბაღის კუთხეში მუდამ უყვაოდა ჯერ კიდევ **«იქიდან»** ჩამოტანილი განსაცვიფრებელი ჯიშის ყვავილები... ხუთივე დიდან და სანათესაოდან კი არა, იმ ახლომახლო სოფლების მაცხოვრებლებიდანაც კი ერთ-ერთმა საკმაოდ დიდხანს – 98 წელი იცოცხლა. ვინ იცის, იქნებ მეტიც ეცოცხლა, რომ არა მარტოხელა უშვილოთა თანმდევი ფათერაკი: დღესაც არ ვიცით, სიკვდილამდე 3-4 წლით ადრე მის კოპწია სახლ-კარს რამ გაუჩინა ხანძარი!

დანაცრებული კარ-ფუძის ცქერისა და ნათესავ-მეზობლებთან სამადლოდ, თანაც მიუჩვეველი ცხოვრებისგან სიცოცხლე მალე მოესწრაფა...

***

იმ კარგ დროს მანანა დეიდა დაახლოებით ორ კვირაში ერთხელ მაინც სახლ-კარს, ქათმებს, კურდღლებს და ყვავილნარით დამშვენებულ წალკოტოვან ბაღჩას ქმრეულთ ანდა სანდო მეზობლებს მიანაბრებდა ხოლმე და მეუღლის მისახედად ორიოდე დღით გედიქის ხეობაზე ჩამოდიოდა. რაკი ოთხივე და – ანიჭკა, პელო, დედაჩემი მარიამი და ფენო გედიქის ხევგაღმა-გამოღმა სოფლებში: ოზაანში, ცლუნკაანსა და არბოშიკში ჰყავდა გათხოვილი თუ საჭიროდ მიაჩნდა, რომელიმე, რამდენიმე ანდა ყველა მათგანს თავისთანდაიბარებდა და იქ, გედიქის

ხეობაზე, წყალსადენის ტირიფების ჩრდილნარში ხდებოდა ჩვენი ღარიბული ოჯახების საჭირბოროტო თუ დღიური საზრუნავის გაბჭობა...

სასკოლო ასაკს რომ მივუახლოვდი და ფეხ-მუხლი უკვე ისე მერჩოდა, შორ მანძილზე სიარული თავისუფლად შემეძლო კი არა, მეხალისებოდა კიდეც, «ჰაერის გამოსაცვლელად» (მაშა, ასე იციან გერმანელებმა!) და საქმეში ყელამდე ჩაფლული დედაჩემის საშეღავათოდ, უფროს დეიდას თავისთან – გედიქის ხევზე მეორედ ჩამოსვლამდე – ზემო მაჩხაანში მივყავ-მოვყავდი. მოგვიანებით, ჩემი ერთადერთი უმცროსი ძმაც რომ წამოიჩიტა, ბავშვებს დანატრებული, უშვილო დეიდა ორთავეს ლეკვებივით აგვიდევნებდა ხოლმე შორეულ გზაზე.

მაშინ ავტობუსი მხოლოდ კინოში გვყავდა დანახული და ხალხი სულ ფეხით დადიოდა! ჰოდა, ზემო მაჩხაანიდან მოკლე გზით გედიქის ხევზე რომ ჩამოსულიყავით ანდა პირიქით, სოფელი მირზაანი და მირზაანის გორები უნდა გადაგესერ-გადმოგესერათ!!!

დეიდა საქმიანად დაიჭერდა წინდაწინ საგულდაგულოდ ჩალაგებულ ბოხჩას და დინჯად შევუდგებოდით ხოლმე წყალსადენის პირდაპირ, თავდაშვებულ ქვაღორღიან წაფერდოზე ჩამოკეცილ, თაკარა მზით გახურებულ გზას. აღმართს ავდევდით სვენ-სვენებით. რაც უფრო ზევ-ზევით მივიწევდით, თანდათან ქვემოთ ეშვებოდა და შეუმჩნევლად შორეულდებოდა გაზიდული ხეობის ძირობა. ამიტომ თვალმისაწვდენზე ყველაფერი პატარავდებოდა და სიმაღლის მატებასთან ერთად უცნაურად მეჩვენებოდა წყალ-წყალ მიმავალი ნახირი, უცხო მგზავრები, ბოსტნებისკენ გეზაღებული, მხარზე თოხგადებული სოფლელები, ღვარებისაგან მიხრამულ-მოხრამულ გზაზე მოხტუნავე პატარა, გაშავებული ავტოცისტერნა, ჩაქჩაქით მიმავალი ვიღაც ცხენოსანი, დასახევებელისკენ გადაკუნტული წისქვილები...

ამ ზღაპრულ გზებზე მარტო დეიდასთან კი არა, ხშირად რომელიმე ნათესავთან ანდა შემთხვევით ამგზავრებულ ბარგიან სოფლელებთან ერთადაც გვიწევდა სიარული. რაკი გულის ბუხრის ამოსაყრელად, როგორც მე მეჩვენებოდა, ჩრდილმიმდგარ ჯაგებთან უფროსები ხშირ-ხშირად ჩერდებოდნენ და სხდებოდნენ, მალე ისე წავთამამდი, რომ გზას მათ დაუცდელად ვაგრძელებდი.

– მაიცა, ბიჭო, სად მიხვალ, ემანდ არსად ჩაიჩეხო! – კორძიანი ხმით მაშინვე დამადევნებდა რომელიმე, – ან ბალახებში არა იყოს რა!

– თავი დაანებეთ, – ბოხვერა ჯაგნარებიდან ამოისმოდა დეიდის უკრთომელი ხმა, – თითონ იცის!

«თითონ იცის!» ო, რად ღირდა ჩემთვის და როგორ მაკაჟებდა დეიდის ეს გულდაიმედებით ნათქვამი! ოღონდ რომელიმე უჯიათის გულისწყრომა რომ არ მომემკო, რასაც შეიძლება ჩემს ნებაზე წინდაწინ სიარულის აკრძალვა მოჰყოლოდა, მეც ფეხდგომელა ანდა ჩირგვის ძირას მიცუცქებული დროდადრო ვიცდიდი ხოლმე, რათა მოახლოებულ უფროსებს დავნახვებოდი და მერე, ბავშვურ ფიქრებსა და ოცნებებს აყოლილი, ისევ მარტოკა ვაგრძელებდი გზას არა ყველაზე პირდაპირი, საიმედო და ხშირი სიარულისგან გაცვეთილი ბილიკით, არამედ რომელიც უფრო ვიწრო და უვალი იყო, მიმზიდველად მიკლაკნილ-მოკლაკნილი, იდუმალებით სავსე ჯაგნარიანში შემყვან-გამომყვანი და რაკი ზოგჯერ დამრეცი გორის ფხას გასდევდა, სახიფათოდ მოჩინარი.

აი, ამგვარი ხშირი მგზავრობისას ბავშვურ მეხსიერებაში ამოუშლელად ჩამრჩა მირზაანის გორების აღმართ-დაღმართიანი და მისახვევ-მოსახვევიანი გზები, ჩამოქვიშრული ფერდობები, ერთკენ ხშირი, თითქმის ხეებს დამსგავსებული მაღალი, ღონიერი ჯაგნარით შემოსილი ჩრდილოვანი ჩაფერდება, აქეთ ხრიოკნაპირიანი ხევები, დაბურული ჯუჯა ჯაგებიდან გამო-მავალი წამტყუებელი სხარტი ბილიკი და ეკალ-ბარდით დაბურულ, ღრმა ხეობაში ჩამდევარი ავსავალი გზაწვრილი... ვეებერთელა მწვანე ნემსიყლაპიები და განსაცვიფრებლად მოხტუნავე

კუტკალიები, ჭრელბუმბულიანი ფრინველები, რომელიმე ბუჩქთან მიახლოებისთანავე შემაკრთობლად რომ ფეთქდებოდნენ და საითკენღაც მიფრინავდნენ!.. ჩამოკონკილი, მზისგან უმოწყალოდ დამწვარ-გაშავებული გუდიანი გლეხკაცები... თავჩაღუნული ქოხი... საქონლისგან მონაძოვარი ყალთაღები, ასკოკიან ქვევრებსდამსგავსებულ ჯაგებს შორის მოქცეული ბაკოვანი მწვანიანი, ბუგანზე დაყრილი, პაპანაქებისგან აქასქასებული ნოტო, ცხვრებს თავები ისე რომ ჰქონდათ დაღუნული, თითქოს ცხვირებით ზედ მიწაზე დაუბამთო!.. ოდნავ დაფერდებული საგორაო მოლი, თხელუროიანი კრიახი, გატეხილი ქვევრის მუცელს დამსგავსებული მოკლე, გამოფიტული კაპანი... ქარებისა და მზე-წვიმისაგან დაღარულ-დახაზული ტიტველა თავჩამოღმართი... ტოტებგადმოფარჩხულ კუნელის ფესვებშუა გამოღრუტნული სორო... ეკალ-ბარდებში აქა-იქ კალო-კალო მიმოფენილი ნარიანი ბუსნოები... მსხვილეკლიანი, მაღალი, ავად მომზირალი ძეძვის ბუჩქები... აბალახებული ნაბილიკრები... გედიქის ხეობისკენ გაზიდული გრძელი გორის იღლიიდან წამოსული ისეთი თანაბარი შეფერდება, თითქოს ზედ ლარი გადაუტარებიათო!.. აქა-იქ ამოშვერილი შიშველი კინწრუხები, მაცქერალს თავისკენ მაცდურად რომ უხმობდნენ!.. ხვინჭანარევი შარშანდელი ფოთლით სავსე დაკვერცხილი პატარა ნაღრანტები...

თუ შესაღამოებისას მოგვიწევდა წასვლა და მზე უკვე სამხრეთისკენ იყო მიდრეკილი, დამავალ-დაირიბებული სხივები სულ სხვანაირად ქარგავდა მიდამოს და მაშინ უფრო გამა-ოგნებელ ელფერს იძენდა დინჯად მცოცავი შუქ-ჩრდილებით მიხატულ-მოხატული მირზაანის გორები!..

რაკი უპირატესად ზაფხულ-შემოდგომობით გვიხდებოდა წასვლა-წამოსვლა, მუდამ თან გვდევდა მწველი მზის სიკაშკაშე. თუმცა პირდაპირ გასაკვირია: ცა დაბალ-დაბალი ღრუბლებითაც რომ ყოფილიყო შემოყრილი, მირზაანის გორებიდან საითაც უნდა გაგეწვდინა თვალი, ვერსად დაინახავდი ბუნდოვან, მკრთალ, მომქრქალო, გაურჩეველ კუთხე-კუნჭულებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იმ არემარეში თვალგაუვალი კუთხე და სივრცე არსად დაინახვებოდა!

გორის ფხას, ხევგაღმა ჩამოშვავებულ ხრიატს, ეკლესიას, გამომშრალი კლდის ნაბზარ-ნახეთქებს, ირიბ ჩავაკებას, დიდრონ ლოდებს, შორეული ვენახებისა და ნაკვეთების მიჯნებს, ხელგადახვეული ტყიანი გორების მოხაზულობას, დახევებულ ფერდობებსა თუ წყალ-ჩაყოლებით, დაბალი ფლატოს თავზე დასკუპებული პატარ-პატარა ბოსტნების შეუღობავ ფრიალო კიდეებს ერთმანეთისგან მკვეთრი ხაზები გამოარჩევდა! აქ ყველგან და ყველაფერში მკაცრი, მაძღარი და ჯიუტი ხაზების ბატონობა იგრძნობოდა და ეს თითქოს ნაჯაფ, ჭირვარამ-გამოვლილ აქაურებზეც ვრცელდებოდა! მათი წინწამოვარდნილი შუბლი, სიცხისაგან დაშაშრული ტუჩები, მოკაუჭებული თუ თვალშისაცემად შემრუდებული ცხვირი, თამამად ამოქანებული ყვრიმლები, გამოკვეთილი საწარბულები, წვრილ-მსხვილი, დაქსაქსული ნაოჭებისგან დაკეჭნილი კისერი, დიდხვანჩიანი ყელი, დამშხალულ-დაკოჟრილი ხელები, მკვეთრად გამოწეული ნიკაპი, გამუდმებით მზის ქვეშ ტრიალისგან დაღარულ-დასერილი პირისახეც რაღაც მკვეთრი ხაზების ბუნებრივ ერთობლიობას ექვემდებარებოდა...

***

გზას რომ ავანახევრებდით, იქვე, სოფლის მოღმა, ვაკეზურგიანი ბორცვების ძირას ბარდნარში გახვეულ რამდენიმე მოყუდროებულ ნამოსახლარს წავადგებოდით ხოლმე. შამბგა-დავლილ ნაეზოვრებს ძლივსღა ეტყობოდა ნასახლარობა.

– ეეეჰ, აქ როგორი წმინდა წყლის ხალხი ცხოვრობდა...–აყვირებულ შამბნართან შემდგარი, ნასახლარებს თვალმიჩერებული დეიდა თავისთვის თუ ჩემს გასაგონად ხმაგამოცვლით დაიწუწუნებდა, – მაგრამ თავჯალაბობა ადრევე ამოწყდა... მერე ესენი კი სხვაგან წაბარგდნენ!

«ვინ **«ესენი?»**.. ან სადღა **«სხვაგან?!»** – დეიდის ღვთისნიერ თვალებში ჩატეული ნაღვლის ბურუსი მეც გადმომწვდებოდა ხოლმე და რაღაცა ყელში ბურთივით მეჩრებოდა,–როგორ შეიძლება ადამიანებმა თავიანთივე ხელით აშენებული სახლი მერე თვითონვე ასე დაანგრიონ და სხვაგან გადასახლდნენ?! თუ ეს ადგილი არ ვარგოდა, მაშ, აქ რიღასთვის აიშენეს სახლი?! ხოლო თუ აიშენეს, მერე რაღაზე დაშალეს და მიატოვეს აქაურობა?!. ნეტავი აქ როგორი გოგო-ბიჭები ცხოვრობდნენდა რადარანაირი სათამაშოები ექნებოდათ?!. ან როდის, სად წაბარგდნენ და ახლა იქ როგორღა ცხოვრობენ-მეთქი?»

მაგრამ პასუხი არსაიდან ჩანდა!

როგორც კი აგვივაკდებოდა, ალავერდის საყდარიც თავს წამოგვადგებოდა! აქ ბოხჩიანი დეიდა ნაბიჯს დაიმძიმებდა და ცალი ხელით შავ თავსაფარს ისწორებდა. მერე პირჯვრის წერითა და ჩემთვის რაღაც გაუგებარის ჩურჩულით რამდენიმე ბილიკიდან სწორედ იმ ბილიკს დაადგებოდა, რომელიც ეკლესიისკენ მიემართებოდა. მეც უსიტყვოდ მივდევდი და თან ვცდილობდი, როგორმე ამეხსნა მისი უცნაური ნაჩურჩულები.

ეკლესიასთან, ალავერდის სქლად მაჩრდილებელი მუხები აქაურებისა და გამვლელ-გამომვლელთა შესახვედრს, თავისებურ თავშესაკრებს წარმოადგენდა. მაშინ ომი სამიოდე წლის დამთავრებული იყო და სალოცავს შემხვეწური, ღელვიანი ლოდინითა და გზაზე ყურებით თვალმაფდაწყვეტილი დედაკაცები ცრემლიანი ხმით ერთმანეთს სულ «პლენების» მოახლოებული გაცვლა-გამოცვლით აიმედებდნენ და ანუგეშებდნენ.

ავი წინათგრძნობით შეპყრობილი ნაიმედევი დეიდაც ყოველივე ამას სახარებასავით იჯერებდა. ხუთი დის საფიცარი, ნაბოლარა ერთადერთი უცოლშვილო ძმა, სოლომონ პატა-ტიშვილი (ომში დაღუპული პოეტ დავით პატატიშვილის სწორი და ბიძაშვილი) – 1936 წელს რეჟისორ **მიხეილ ჭიაურელს** (1894-1974) კინოფილმში არსენას როლზე სასინჯად რომ მიეწვია, მას კი უმაღლესში სწავლის გაწყვეტა არ ესურვებინა! – სტალინგრადთან იბრძოდა და მისგან აღარა ისმოდა რა (როგორც ოციოდე წლის შემდეგ მამაის ყორღანზე აღმართული მემორიალური სიიდან გაირკვა, თურმე იქ დაღუპულიყო).

ეკლესიას გავცდებოდით თუ არა, უკვე შიგ მირზაანში ვიყავით. მხიბლავდა მისი უსწორმასწოროდ მიმოფანტული უბნები, კაკლის ხეებით ჩაჩრდილული ორღობეები, მოვლილი ბაღჩები, მსხმოიარე ხეხილის მიწამდე დადრეკილი ტოტები და რაც მთავარია, ძველნაშენი სახლები!.. სასოფლო საბჭოს პატარა შენობის დანახვისას მუდამ ჟრუანტელი მირბენდა.

ჩვენი სერიდან დედაჩემს რამდენჯერ გავუხედებივარ მირზაანისკენ და უთქვამს.

– შენი დაბადების მეტრიკა ოხეტაანთ ანიკომ ააგერ, მირზაანის საბჭოში გაატარა და ჩამომიტანა!

ნათქვამის ყოველი სიტყვა და აზრი უცნაურად მაფორიაქებდა. ჯერ ერთი, ეს ჩვენი ოზაანი ასეთი პატარა და უმნიშვნელო როგორ იყო, საკუთარი საბჭოც კი არა გვქონდა და სამადლოდ სხვას ვიყავით მიბმულნი! ანდა, რაღა მაინცდამაინც მირზაანი – დედაჩემის სოფელი, არბოშიკი უფრო დიდი, ცოტა ახლოს და რაც მთავარია, უფრო დასამხარი არ იყო?! თანაც იქვე ცხოვრობდა პაპა-ბებია, ერთ-ერთი, ყველაზე უმცროსი დეიდა და ჩემზე უფროსი დეიდაშვილები – ვალიკო და ლილი ზუბიაშვილები! თუმცა თან მახარებდა კიდეც იმ არემარეში ყველაზე მაღალ გორებზე მდებარე მირზაანის საბჭოს არსებობა, თორემ სად უნდა გაფორმებულიყო ეს უცნაურსახელიანი საბუთი – **მეტრიკა**!

ამასთან გულს მიკლავდა ჩემი დაბადების მეტრიკის გამფორმებლის ბედუკუღმართობა. ჩვენი ქვემოთა მეზობლების – ნინო მამიდისა და ტიმოთე ძიას ვაჟს, ნიკოს თბილისის რომელიღაც ტექნიკუმში სწავლისას გაეცნო და შეერთო ეს ქალი. მაგრამ მალე ომიც

დაწყებულიყო და ნიკო იქ დალუპულიყო თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულიყო. მირზაანის საბჭოში მდივნად მომუშავე, ყოველდღე იმ სიშორე უხეტმახეტ და უკაცრიელ გზებზე ფეხით მოსიარულე უშვილო რძალი და შვილდაკარგული, თანაც დრომოჭმულ შეხედულებათა მატარებელი დედამთილი ერთმანეთს ველარ შესთვისებოდნენ და ანიკო მალე ისევ თავის «სამშობლოში», ყვარელში წასულიყო, სადაც დარდ-ნაღვლისგან ჭლექი გასჩენოდა და გარდაცვლილიყო.

დედაჩემი სათუთად ინახავდა და ზოგჯერ მწარედ დასწუწუნებდა ხოლმე მის მტკავლიან ფოტოსურათს, საიდანაც თვინიერად იცქირებოდა მშვიდი, კეთილსახიერი ახალგაზრდა ქალი...

მირზაანს რომ გავლევდით, უკვე ზედ მობმულ ზემო მაჩხაანის ბოსტაანთ უბანში ვიყავით. ცოტაც და დასიცხულ-დაღლილებსმშვიდი მოლოდინით შემოგვეგებებოდა ხოლმე მეზობლის მაღალი, სევდიანი კიპაროსების სიახლოვეს გაყუჩებული, იზაბელათი შემოთალრული და «გერმანულად» მრავალგზის გადაკეთებულ-გადმოკეთებული, საოცრად გრილოთახებიანი ერთსართულიანი სახლიც!..

***

ამ დღიდან იწყებოდა მშვიდი, მაგრამ მოუწყენელი ცხოვრება. ძმები დეიდას ყოველ დილა-საღამოს უბნის გადაღმა, თათარაანთწვერის ვრცელ ველზე სასეირნოდ დავყავდით, საიდანაც მიმზიდველად მოჩანდა ქვედა სოფლები, გალავანშემოკრული სიღნაღი, ალაზნის ველი, კავკასიონის რკალის ნაწილი...

ნასაუზმევს დეიდის ხელმძღვანელობით სახლწინ მდებარე ბაღჩასა და ყვავილნარს ვშალთავდით. არც ერთი ღერი სარეველა ბალახი უქმად არ უნდა დაკარგულიყო – სულ ღერ-ღერ ვაგროვებდით და სოროებით დახვრელილ აგურის დაბალ საკურდღლეში კურდღლებს ვუყრიდით. მერე ნამარგლი კვლების მოსარწყავად ჩვენ ორ-ორი კოკურით მეზობელ უბანში გადავდიოდით წყლის მოსატანად, დეიდა კი სადილის თადარიგს შეუდგებოდა ხოლმე...

რაკი მატყობდა, წარმოუდგენლად მიტაცებდა, დეიდაც ხშირად მათვალიერებინებდა სავსე ბუფეტიდან საგანგებოდ გადმოლაგებულ ნაირ-ნაირ გერმანულ ჭურჭელსა და სხვადასხვა ნივთებს. მოგვიანებით, ძალიან დიდი ხნის შემდეგღა გაირკვა, ყველაფერი როდი ეჩვენებინა! «მთავარს» თურმე მიმალავდა და მოსახდენ დროს ელოდებოდა!

მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი. 1967 წლის 22 აპრილს, შაბათ დილას დედაჩემი და მე ავტობუსით ზემო მაჩხაანში ავედით უკვე დაქვრივებული დეიდის მოსანახულებლად. ჰოდა, ის «მთავარი» მაშინღა გამომიჩინა და ერთგვარი ფიცის ჩამორთმევის შემდეგ მაჩუქა კიდეც. ეს იყო განსვენებული იოსები ძიას მიერ განჯიდან ჩამოტანილი ბუდიანი «მაუზერი» ერთი ტოპრაკა ვაზნებით!!!

დებისა და მაზლების მხრიდან იმდენ ახალგაზრდებში დეიდამ მე რომ გამომიცხადა ნდობა, ამან რაღაცნაირი უპირატესობისა და პასუხისმგებლობის განცდით ამავსო. იმ მღელვარე წუთებში, «მაუზერი» რომ მეჭირა და ვათვალიერებდი, თითქოს წლები და ჭკუა მემატებოდა!..

«მაუზერის» გენიალურად მარტივ-გონებამახვილურ აგებულებაზე, სროლის პრინციპსა და დიზაინზე არანაკლებ მანცვიფრებდა ხანდაზმული, თანაც ცუდად შენახული ვაზნების ვარგისიანობა. მე და ჩემი ძმა ოზაანის ტყეების სიღრმეში რომ განვმარტოვდით ნიშანში საცდელი სროლისთვის, დრო-ჟამისაგან ჩიტის კვერცხებივით დაჭორფლილი, ჟანგაროსფერი ვაზნებიდან ყველაზე უიმედოდ მისაჩნევები შევარჩიეთ, მაგრამ არც ერთ მათგანს არ უმტყუნია!!!

იმ ხანებში ბევრს ვმოგზაურობდი და დედაჩემს სულ იმის შიში აწუხებდა, «მაუზერიც» თან არ წამეღო! მაგრამ ამას რა გამაბედვინებდა ან იქ რა ჭირად მინდოდა, როცა ბაიკალის ტბის

ულრანებში, ყირიმსა თუ კარპატების მთებში ოფიციალურად გაფორმებული სანადირო თოფი და მამაპაპური ხანჯალი დამქონდა. . . .

მომდევნო წელს, ზაფხულის არდადეგებზე ცოტა ხნით სოფელში რომ ჩავედი და «მაუზერის» მოსურვილება-დაზეთვა მომინდა, პირკატა მეცა – სამალავი ცარიელი დამხვდა!

– მე წავიღე სამების ტყეში და სადღაც ჩავმარხე, – მშვიდად მიპასუხა დედაჩემმა, – თანაც შეღამებულზე, რომ. . . ახლა მეც ვეღარ ვინიშნებ!.. არ გინდა, შვილო, თავი დაანებე – შარ-ბოროტს არ გადაგკიდოს!.. იარაღი და ამდენი ხეტიალი კი არა, დროა, ცოლ-შვილზე იფიქრო!

რაღა უნდა მექნა? ის «მაუზერი» ჩემთვის ხელოვნების შედევრული ნიმუში იყო, თორემ როგორც იარაღი, რაში უნდა გამომეყენებინა?! ხოლო ჩემ შემდეგ, ღმერთმა უწყის, რანაირი ბუნების, ტემპერამენტისა და ბედ-იღბლის მქონე კაცის ხელში შეიძლება აღმოჩენილიყო და!..

ერთი სიტყვით, იმხელად გული კი დამწყდა, მაგრამ მალევე გამოვიგლოვე. თან რაღაცნაირად თვალიც ამეხილა: თუ რისამეშნო მქონდა, მერჩივნა, ჩემი მთავარი «მაუზერის» ანუ კალმისტრისათვის მიმეხედა და უზურში მქონე მოთხრობებს ჩავჯდომოდი...

***

მირზაანის გორებზე გადავლ-გადმოვლა განსაკუთრებით ერთმა მიზეზმაც შემაყვარა თავდავიწყებით. ეს სიყვარული დღესაც არ მინელდება, პირიქით – უფრო და უფრო მიმძაფრდება და რაკი იქ ხშირ-ხშირად მოხვედრა შეუძლებელი თუ არა, სხვადასხვა წინააღმდეგობებთან დაკავშირებით თანდათან ძნელდება, მაშინ სიზმრები მშველის ხოლმე.

როგორც ოზაანიდან მირზაანის გორები, ისე მირზაანის გორებიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი ოზაანი!!!

შვიდიოდე წლისა თუ ვიქნებოდი, დეიდას გედიქიდან ზემო მაჩხაანში რომ მივყავდი. მირზაანის გორები ავლიეთ. წინ გაფაციცებით ვიყურებოდი – აბა, ახლა ვიღა და რაღა შეგვხვდება-მეთქი. დეიდამ შემაჩერა, შემომაბრუნა და გედიქის ხევგაღმა, შორს, ტყიანი გორებისკენ გამიშვირა ხელი.

– აგე, შენი ოზაანი!

მეც იქით ხეტად გავუწვდინე თვალი და გავქვავდი: რას წარმოვიდგენდი თუ ასეთი იქნებოდა, ასეთი იყო ოზაანი!!! თუმც მანამდე არც არასდროს მომსვლია აზრად – ნეტავი როგორია-მეთქი, ანდა საიდან და რატომ უნდა მომფიქრებოდა?! იმ მიყრუებულ კუთხეში ჩემთვის ბავშვურად ვცხოვრობდი და ჩვენი მაღალი, გრძელი სერის თვალსაწიერიდან რასაც ვხედავდი, მეც სწორედ ისეთი წარმომედგინა ჩვენი სოფელი! მაგრამ რაც მაშინ შორიდან დავინახე და განვიცადე, რაც იმ მღელვარე წამებში სიკვდილამდე დასაჭდევი ბავშვურმა გულმა გაოგნებით დაიჭდია... ო, ამის გადმოცემა შეუძლებელია!

მას აქეთ ცხოვრებამ და საკუთარმა მიზნებმა ბევრი მახეტიალა: მთელი საბჭოთა კავშირი... ბოსფორი... სტამბოლი... ნილოსი, ალექსანდრია... კაირო... ლუქსორი... მაინის ფრანკფურტი... ბონი... ჰამბურგი... რაინის ხეობები... ბევრ ხედსა და კუთხეს მოვუყვანივარ აღტაცებაში და გავუშეშებივარ, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, მირზაანის ზურგაწეული გორებიდან დანახულ ოზაანთან შედარებით ისინი უბრალოდ, დიდოსტატურად შესრულებულ ბუნების ფერად, კოპწია კარიკატურებად მაგონდება!

ამ უსულგულო, მიუსაფარ ქალაქურ ჯუნგლებში მხეცივით შემოტყუებულსა და მომწყვდეულს თუ უცებ მირზაანის გორებიდან მოჩინარი ოზაანის დანახვა სიკვდილმისჯილის უკანასკნელი მონატრებით შემომეგზნო, ვინმესთან სტუმრადაც რომ ვიყო, უცხოთა გასაკვირად რამდენიმე წამით ვითიშები, ირგვლივ ვეღარაფერს ვამჩნევ და მხოლოდ საოცნებო სახილავი ამელანდება ხოლმე...

***

ერთ ზაფხულს დეიდამ მარტოკა წამიყვანა ზემო მაჩხაანში. ხუთიოდე დღის შემდეგ ისევ გედიქზე დაბრუნების თადარიგს შევუდექით. მე ახალდაჭერილი, ფაჩუჩით ფეხებგაკრული ჯაჭვედა ვარია დამაჭერინა, თვითონ თავისი განუყრელი დიდი ბოხჩა აიღო, გადარაზა ჭიშკარი და გზას გავუდექით.

შუა მირზაანში რომ შევედით და სკოლას მივუახლოვდით, უცნაური სურათი დავინახე. გზის პირას, ვეებერთელა გაშავებულ კოპიტულაზე საქამრეს ზევით სულ მთლად ტიტველი, მზისგან გარუჯული, მკერდდანაკვთული კაცი ოჯდა. ხშირი, დიდი ხნის გაუკრეჭავი, თავის ნებაზე წასული წაბლისფერი ხშირი თმა-წვერი ყაშა-ყაშად ეყარა მხარბეჭზე.

– აქ სად დამჯდარა... – შეცბუნებით ჩამიჩურჩულა დეიდამ, – გიჟი მალხაზაა... მასწავლებელი იყო, მაგრამ გაგიჟდა.

იმ შემოდგომით პირველ კლასში უნდა შევსულიყავი. პედაგოგი ღმერთად მყავდა წარმოდგენილი და ახლა ვერ გამეგო, მასწავლებელი როგორ უნდა გაგიჟებულიყო. საშინელმა ძრწოლამ ამიტანა, არაფერი გვიყოს-მეთქი.

– ვისი ჩამონათესია, მანან? – შემოეკითხა კოპიტულაზე ჩამომჯდარი კაცი, როცა გავუსწორდით.

– ჩემი დისწულია, მალხაზ... ოზაანელი.

– ჰოოო... ღმერთმა გაგიზარდოთ!

სულმა წამძლია და უცხოს სახეში თვალი წავაპარე. ღმერთო, რა ეცხო გიჟის – მე უცხო ადამიანებში მანამდე არავისთან დამენახა ასეთი ალერსიანი მზერა!.. შიში იმავე წამს გამიქრა!..

ნეტავი მართლა გიჟი იყო თუ იმ დაწყევლილ დროში რაღაცის მიზეზით თავს იგიჟიანებდა?! ან რომელი საგნის მასწავლებელი იყო?.. რა გვარისა?.. დარჩა თუ არა შთამომავლობა?!.

მას აქეთ სამოციოდე წელიწადმა განვლო, მაგრამ დღემდე არ მავიწყდება მალხაზას მუქ ცისფერ თვალებში ჩაღვრილი ალერსიანი მზერა...

ის მზერა ჩემს წარმოდგენაში მირზაანის რაღაც განუყრელ ნაწილად დარჩა...

***

უკვე მეორე-მესამე კლასის მოწაფე ვიქნებოდი, დედაჩემი არბოშიკში, თავის მშობლებთან ტილოს ტოპრაკაში მჭიდროდ ჩადგმული პატარა ქვაბით ან თავწაკრული დოინჯიანი ქილით რამე კერძს, შემოდგომობით კი ჩვენი ვენახის ატამსა და ყურძენს რომ გამატანდა ხოლმე. ოღონდ კი ფრონტზე შვილდაკარგული საყვარელი სონა ბებიასა და არსენა პაპისთვის რამეთი მესიამოვნებინა და ხუთიოდე კილომეტრის გავლას რა უნდოდა – სიხარულით მიწაზე ფეხი აღარ მედგმებოდა!

დარიგებისამებრ, ჩვენი სერიდან – სადაც თვალხუჭელასაც შემეძლო სირბილი! – ჯერ კვიწინაანთხევში ჩავფრინდებოდი და ხევმაღლა, ცლუნკაანში მცხოვრებ მეორე, ანიჭკა დეიდას აუვიდოდი – დასაბარებელ-გასატანებელი ხომ არა ექნებოდა რა. მერე იქიდან დავეშვებოდი და გედიქის წყალსადენზე, იოსები ძიასთან (ხან მანანა დეიდაც იქ მხვდებოდა ხოლმე) გამოვცხადდებოდი. აქ ახალმოკრეფილი ბოსტნეული მემატებოდა.

მირზაანის გორებს მხარმარჯვნივ დავაგდებდი, სულმოუთქმელად ავათავებდი სოფელ კოტაანის ქვაღორღიან გზას და მალე არბოშიკში, პატატიაანთ უბანში ვიყავი!

ერთადერთ ვაჟიშვილზე დარდითა და ფუჭი მოლოდინით ილაჯგაწყვეტილი, ღიმილჩამკვდარი ბებია მომიალერსებდა, გამოსაკითხავს გამომკითხავდა და ძალისძალად შემაჭმევდა ხოლმე ცოტაოდენ ქარადუღს ან ცხვრის ყველსა და პურს. მერე ერთად

ვამზადებდით მცირე ჯერს და მოუთმენლად მივარბენინებდი პაპასთან, ზევით, კვინელაანთსერზე თავის ოციოდე სულ ცხვარს რომ უტრიალებდა.

მთელი თავის დღე და მოსწრება ნამწყემსარ, ოსმალეთის საზღვრებამდე მდებარე იალაღებზე ნავალ, მაგრამ უკვე სიბერემორეულ პაპას მოუსვენარ ბოლუქს მივუბრუნ-მოვუბრუნებდი ხოლმე, მზეგადახრილზე კი ცხვარს ხევს ზემოდან მოვუტარებდი, ფრიალოზე რომ არსად ჩაგვჩეხოდა.

კვინელაანთსერი პატატიაანთ უბნის თავში, ზემო მაჩხაანისა და მირზაანის საზღვრის ჩამოდგომით, ერთი მოკლე და მიმყუდროებული, სევდისმომგვრელად ჩადაბლებული ხევის პირს გადმოჰყურებდა.

ხევსა და ბორცვებს შორის მოტანებულ ავშნიან ველობზე რამდენიმე დიდი ხნის თავმინებებული, ნაპარტახალი ბაღი და ერთიც ობოლი, დაკნინებული ვენახი ეფინა. ამ ხევიდან და მიჯრით დაბორცვილი, უსწორმასწორო, ხმელი ბილიკებით დაქსელილი ფერდობებიდან არ მოჩანდა მირზაანის არც ერთი სახლი, ეკლესია, მუხები... გედიქის ხეობასა და ოზაანზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. აქედან მარტო არბოშიკის ნაგლეჯს თუ დაინახავდი. ეგ იყო და ეგ!

მეჩეჩებს დამსგავსებული კუტაჯაგებიანი, მზით დამწვარი, კირკიტი, ერთმანეთს მკვიდრად მიჯიფთული ეს შეუძვრელი ბორცვ-გორაკები შორიდან ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს ბუნებას მირზაანისთვის აქეთა მხრიდან, ხევის აყოლება საიმედო ბალავრები ჩაუდულაბებიაო...

***

1951 წელს ჩვენს სანათესაოში ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რამაც მერე ჩემზეც თავისებური გავლენა იქონია. ოზაანში მცხოვრები მესამე, უფროს დასავით ასევე უნაშიერო, პელო დეიდას სამამულო ომიდან დაბრუნებული, მძიმედ დაჭრილი ქმარი 1947 წელს გარდაეცვალა. ოთხწლიანი გლოვის შემდეგ უფროსი დების რჩევითა და მსუბუქი დაძალებით მეორედ გათხოვდა «ძალიან შორს», სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში, მთელ ქიზიყსა და იმ ახლომახლო მხარეში სახელგანთქმულ მჭედელ კოლა ობოლაშვილზე.

ეს პურადი, აუღელვებელი და ხელგამომავალი, პირველ მსოფლიო ომში ავსტრია-უნგრეთის ფრონტზე ნაომარი კაცი ალალი ბიძა იყო აკადემიკოს **ილია ვეკუას** ერთ-ერთი სანიმუშო მოწაფის, მათემატიკის მეცნიერებათა პირველი ქართველი დოქტორი ქალის, **ლენა ობოლაშვილის**, ხოლო დედის მხრიდან პაპა ცნობილი გამომცემლისა და საზოგადო მოღვაწის, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის **კახმეგ კუდავასი**.

კოლა ძიას ერთადერთი ვაჟიშვილი, ილიკო სამამულო ომში წინა ხაზზე დაღუპულიყო და დედა, წარმოშობით სოფელ ასანურელი, ნატო ბერიაშვილი მასზე ნადარდს 1949 წელს ნაადრევად მოედნო კიდეც. სვეგამწარებული მჭედელი კაცი დაქვრივებულ რძალთან, პედაგოგ თამარ მჭედლიშვილთან და თორმეტიოდე წლის ნუკრივით შვილიშვილთან, ციცოსთან ერთად ცხოვრობდა. მერე, როცა პელო დეიდამ მტკიცედ აიღო ხელში ოჯახის სადავეები, პატარა ციცოს გული უჩვენა და ღვიძლი შვილიშვილივით შეითვისა, მჭედლის ახლობლობამ ერთხმად დაასკვნა – ჭორებისა და ათასგვარი მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად ყველაფერს აჯობებდა, ახალგაზრდა ქვრივი მეორედ გათხოვილიყო და პატრონი ეშოვა. ისიც მართლა ასე მოიქცა, თუმცა თავის ქალიშვილსა და პირველი ქმრის შესანიშნავ სანათესაოსთან ადამიანური კავშირ-ურთიერთობა არასოდეს გაუწყვეტია...

მჭედლის პირველი ქალიშვილი, ლარისა, თბილისიდან ბოდბისხევის სკოლის დირექტორად და გეოგრაფიის მასწავლებლად გამოგზავნილ კირილე კუდავას შეეყვარებინა და

შეერთო კიდეც. მერე იგი თავის მშობლიურ კუთხეს – მარტვილის რაიონის სოფელ ნაგვაზაოს სკოლას დაბრუნებოდა და იქ შესძენოდათ სამი შვილი – კახმეგი, თენგიზი, ეთერი...

მეორე ქალიშვილი, ზინა, ქვემომაჩხაანელ გიგუშა ყატაშვილზე ყოფილიყო გათხოვილი და თბილისში ცხოვრობდნენ. მათ ორი ვაჟი ჰყავდათ – თენგიზი და თამაზი (მერე თამაზმა ოზაანელი მარინა ოზაშვილი შეირთო).

აქ ჩამოთვლილი კოლა ძიას შვილიშვილები, მე და ჩემი ძმა თითქმის ერთ თაობას ვეკუთვნოდით. ზაფხულობით ანდა რაიმე ოჯახურ წვეულებაზე როცა ერთად გვიხდებოდა ყოფნა, ძია და დეიდა სულ იმას ცდილობდნენ, ერთმანეთს ღვიძლ ნათესავებივით შევთვისებოდით. იმ მადლიანების სითბომ და ბრძნულმა წინდახედულობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო – იმ დროს ჩასახული ყმაწვილური ურთიერთსიყვარული და პატივისცემა დღემდე გრძელდება... აბა, მაშინ ვის შეეძლო წარმოედგინა, კახმეგ კუდავა საზოგადო მოღვაწე და ერთ-ერთი დიდი გამომცემლობის, «ინტელექტის» დირექტორი გახდებოდა, მე კი – მწერალი და ორმოციოდე წლის შემდეგ, უმუშევარსა და უსახსროდ დარჩენილს, 2003 წელს მოთხრობების ოთხასოთხმოცგვერდიან სამფეროვან წიგნს «ნაკურთხი მარილი» უსასყიდლოდ გამომიცემდა.

კოლა ძიას შესანიშნავი ორსართულიანი, ქვითკირის მაღალი, აგურის სვეტებზე დაბჯენილი სახლი ჰქონდა. განსაკუთრებით მხიბლავდა მისი ორი აივანი. წინა, მოაჯირიანი პირდაპირ გაჰყურებდა ხშირი ტყით დაბურულ ზემო მაჩხაანის წამოყუდებული გორების ფერდობებს, საიდანაც ნარიჟრაჟევს ხოხბების კანტიკუნტი ჭრხიალი ჩამოისმოდა. მეორე, უკანა, უმოაჯირო, საოცრად გრილი და ნიავიანი აივანი სოფლის ჩამყუდროებული ბაღ-ბოსტნებისკენ იყო მიქცეული. როცა დეიდა ამ უკანა აივანზე გვიშლიდა ლოგინს, მთელი დღე სირბილ-საქმიანობით დაქანცულს, აუარებელი ბულბულების მშვიდი სტვენა მგვრიდა რულს და სადღაც მიმატივტივებდა...

კოლა ძიას მეორე ძმა, ფიფოც მჭედელი იყო. ძმები ხელის გაწვდენაზე, სოფლის შარაგზის იქით-აქეთ ცხოვრობდნენ და საზიარო სამჭედლოც ზედ გზის პირასვე, კაკლების ქვეშ ედგათ. რაკი მეხალისებოდა, საბერველას ზოგჯერ მე მაბერვინებდნენ ხოლმე. მეც თვალგაფაციცებით ვაკვირდებოდი, გაშავებულ გრდემლზე გრძელი მარწუხებით შემოდებულ გავარვარებულ რკინის ნაჭერს ჩაქუჩიანი ძმები რა ზღაპრული სიადვილით აძლევდნენ სასურველ მოყვანილობას!

ერთი სული მქონდა, დროზე გამეგო, ირგვლივ მიკიდებულ-მოკიდებული ეს ამოდენა იარაღები რაში და როგორ გამოიყენებოდა. ჯერ მარტო რა საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდაგაჭვარტლულ კედელზე ჯარისკაცებივით გამწკრივებული ჩაქუჩები – საწკეპი, საჭედი, სანაყი, საჭრელი, საჩნევი, სახვრეტი...

ურმის კეთება-აწყობა ხომ სანატრელი კინოფილმის ყურებას ემსგავსებოდა: მორგვებზე სოლების დასხმა და ფერსოების შემოვლება, დარკინვა, უბეების დადანდვლა და თავტაბიკით გადაბმა, ჭალ-ზეწრების დასხმა... სარეკის გაყრა, ჩათალაზე წამოცმული თვლის სისწორის შემოწმება... საცდელი გაგორ-გამოგორება...

ეტყობა, ჩემში მართლა მაშინვე იდო რაღაც კოდი და თავიდანვე «განწირული» ვიყავი, თორემ, აბა, ეს როგორ უნდა აიხსნას: იმ პაპანაქებაში დანარჩენი თანატოლები ჩრდილში რაღაცით თავს რომ ირთობდნენ, წყალზე ჭყუმპალაობდნენ ანდა ბაღ-ბოსტანში ხილსა და ბოსტნეულს კრეფდნენ, მე მზისგან გახურებული ათასგვარი რკინარკუნით მოფენილი სამჭედლოს ალხიან ზღურბლს მაინც არ ვშორდებოდი და სულ იქ შეკრებილი, საქმეზე მოსული გლეხების საუბრისკენ მქონდა ყური მიპყრობილი: აბა, ერთი ვინ რას იკითხავდა და მავნის პასუხში რომელი სიტყვები რა თანამიმდევრობით იქნებოდა განლაგებული!!!

მაშინ ბუნდოვანი გეშით რომ ვხვდებოდი, ახლა ჩემთვის დღესავით ნათელია: იმ სიტყვამადლიანი, თავდაჭერილი გლეხების საუბარში მხიბლავდა ორი რამ – ძარღვიანი მეტყველება და დინჯი წარმოთქმა-გაგონება!..

ბოდბისხევს სულ პირველად რომ ვეწვიეთ, ციცომ მე და ჩემს ძმას ორი წიგნი გვისახსოვრა წარწერით – **ნიკოლოზ გოგოლის** (1809-1852) დიდფორმატიანი, უხვად ილუსტრირებული **«ტარას ბულბა»** და **ვახტანგ კოტეტიშვილის** (1893-1937) რედაქციით გამოცემული, წითელყდიანი **«ხალხური ეპოსი»**. სწორედ ამ წიგნებმა ჩაუყარა საფუძველი ჩვენს პატარა საოჯახო ბიბლიოთეკას – აქეთობას ეს წიგნები მირზაანის გორებზე რომ გადმოვატარე, ქვეყნიერება ჩემი მეგონა!..

აი, ასე: აქამდე თუ მარტო ზემო მაჩხაანში, ახლა ძმებს ბოდბისხევში სტუმრობისასაც გვიხდებოდა მირზაანის გორებზე ავლა-ჩავლა. ოღონდ თუ მანანა დეიდა გედიქზე დაგვხვდებოდა და ზემო მაჩხაანში აღარაფერი გვესაქმებოდა, მაშინ მირზაანის ყველაწმინდის ეკლესიის გვერდზე გავლით ავდიოდით ბოსტაანთ უბნის გადაღმა გადაჭიმულ თათარაანთწვერზე და სოფელ ფანიაანისკენ დავეშვებოდით.

თერთმეტ-თორმეტი წლისას დეიდებთან ამგვარი სტუმრობა უკვე დაუძლეველ მოთხოვნილებად მექცა, ვინაიდან ვგრძნობდი: მირზაანის გორებიდან მშობლიური შემოგარენის გარინდებული ცქერისას აუწერელი შინაგანი აღმაფრენის მომგვრელი წარმომსახველობა მეუფლებოდა და იმ საოცარ წუთებში წარმონადგენი მერე სულ თან მდევდა და ისევ ამ გორებიდან მონაჩენი მიდამოს ხშირ-ხშირ ყურებას მაწყურებდა!..

ერთი სიტყვით, ბედმა ჯერ კიდევ სიყმაწვილისას მირზაანის მიდამოები ნაბიჯ-ნაბიჯ ისე მიმატარ-მომატარა, რომ აზრზეც არ ვიყავი – აქ თურმე ოდესღაც მსოფლიო გენიოსი დაბადებულიყო და თავისი ადრეული ბავშვობაც აქვე გაეტარებინა.

თავი მეორე

სიტყვა **«ფიროსმანი»** სულ პირველად მეოთხე-მეხუთე კლასში გავიგონე და ისიც თურმე არასწორად.

სკოლის გოგონათა გუნდი საზეიმო დღეებში რაღაც პატრიოტულ სიმღერას მღეროდა ხოლმე, რომელიც ასე მთავრდებოდა.

მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი,
ცა ფიროსმანის დახატულია!

ეს მეორე სტრიქონი მე ასე ჩამსმენოდა: **«ცაფიროსმანი** დახატულია!» ესე იგი, ცა ვინმე მხატვარ ფიროსმანის – მისი ვინაობაც რომ არ გამეგონა! – მიერ კი არა, არამედ ეს **«ცაფიროსმანი»** თავისთავად, ბუნებრივადაა დახატულიო და შეცდომით წარმოდგენილი სიტყვა **«ცაფიროსმანი»** ცის ერთ-ერთი ლამაზი ეპითეტი მეგონა. აქ სიტყვა **«ფიროსმანი»** ჩემს წარმოდგენაში სიტყვა **«ფირუზს»** ენათესავებოდა და თითქმის მეორე სიტყვასთან, **«საფირონი»** იგივდებოდა. რაკი თანაკლასელი გოგონების ნაჩურჩულებიდან გამეგონა, ბოტანიკის არბოშიკელ მასწავლებელს, გასათხოვარ ლიზიკო ნარინდოშვილს **საფირონის** ბეჭედი უკეთიაო და უკვე ვიცოდი მისი ფერი, ჩვენი სერიდან მეც ხშირ-ხშირად შევცქეროდი ხოლმე ომახიანი გუნდური სიმღერით ხოტბაშესხმულ ზეცას, რათა დამენახა, იგი როდის იყო ხოლმე სწორედ იმ

ფერად «დახატული» და, ღმერთმა უწყის, ხან როდის და ხან როდის მეჩვენებოდა **ცაფიროსმანისებური**!!!

შვიდწლედი დავამთავრე. რაკი ჩვენთან საშუალო არ იყო, სწავლა მეზობელი, სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის სკოლაში განვაგრძე. სწორედ იმხანად სრულიად შემთხვევით რომელიღაც გაზეთის გაქონილი ნაგლეჯიდან შევიტყვე, რომ ვიღაც მხატვარი ფიროსმანი წარმომობით თურმე ეგერ, მირზაანელი ნიკო ფიროსმანაშვილი ყოფილიყო!

მე მაშინ ნამდვილი მხატვრობა მეგონა ვეფხვთან მოჭიდავე ტარიელი, მარტყოფის ბრძოლაში ხმალამოწვდილი გიორგი სააკაძე, პომპეის უკანასკნელი დღე, ტახტზე მორჭმით მჯდომი თამარ მეფის წინ უგვანოდ გაგორებული, ხელუკუღმა სილაგაწნული რუქნადინის თავხედი ელჩი, კაზაკების წერილი თურქეთის სულთანისადმი და რაც მთავარია, დიდი სამამულო ომის თემატიკა: ბრესტის ციხესიმაგრის გმირული დაცვა, სევასტოპოლის გააფთრებულ ბრძოლებში ფაშისტებისა და ჩვენების სამკვდრო-სასიცოცხლო ხელჩართული შეტაკება, ზოია კოსმოდემიანსკაიას ჩამოხრჩობა, შიშის მომგვრელ გერმანულ ტანკქვეშ ყუმბარების კონით შესავარდნად ჰეროიკულად ზეაღმართული რუსი ჯარისკაცი!.. ბერლინის აღება!.. გამარჯვებულთა თავაწყვეტილი ცეკვა-ბუქნა!..

ჰოდა, ახლა ფიროსმანის მიჭმუჭნულ-მოჭმუჭნულმა, თანაც კუთხემოხეულმა რაღაც ნახატმა სრულიად იმედგაცრუებული დამაგდო და შემრცხვა კიდეც მისი ჩვენებურობა: ვის რად უნდოდა დაუდევრად შესრულებული გაბერილი ტიკჭორა, თევზი, სამარილე, ბოლოკის კონა, მრგვლად მოხარშული, უშნოდ ბარკლებაშვერილი დედალი... ეს ვის არ ენახა?!.. თან ჩემი კუთხური პატრიოტიზმი უკიდურესად შეურაცხყო მავანთა «თავხედობამ»: მხატვრის გვარისთვის ასე მხეცურად რომ ჩამოუგლეჯიათ «შვილი», ქვეყანა როგორღა უნდა მიხვდეს, რომ იგი სწორედ ჩვენებური, ქიზიყელი იყო-მეთქი! თუმცა, თან თავსაც ვინუგეშებდი – იქნებ არც არის საჭირო, ყველამ შეიტყოს მისი ქიზიყელობა, რადგან გაზეთის ნაფხრეწზე თვალმოკრული იმ ნახატით დავასკვენი, რომ დიდი ვერაფერი მხატვარი გვყოლოდა!

ეს იყო და ეს! იმჟამად მეტი ვერაფერი გავიგე და ფიროსმანი ანუ ნიკო ფიროსმანაშვილი იმ გაზეთის ნახევთან ერთად მიმავიწყდა.

გამოხდა ცოტა ხანი და ნიკო ფიროსმანაშვილს ანუ როგორც ისინი ამბობდნენ შემოკლებით, ფიროსმანს მოულოდნელად ახლა **ლადო ასათიანის** (1917-1943) პოეზიაში შევეჩეხე. რაკი მაშინ სულ არ ვიცნობდი მხატვრის შემოქმედებას და მით უმეტეს, მის ბიოგრაფიას, პოეტის ლექსებმა უარესად ამირია თავგზა!

«მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ!» – ამაყად აცხადებდა პოეტი.

ჩემი მაშინდელი წარმოდგენით, ქუჩებს ხომ ძველი რევოლუციონერების, ბელადების, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების, შრომისა და ომის გმირების, საბჭოთა წეს-წყობილების მეხოტბე შემოქმედთა და დიდ-დიდ მეცნიერთა სახელებს არქმევდნენ და არ მესმოდა, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის რა დამსახურებისთვის ეწოდებინათ ფიროსმანის სახელი. მით უმეტეს, რომ პოეტი იქვე მიუტევებელ რამეს გვიმხელდა.

«ჭიქა არაყით გაიხსნის მადას».

ო, ამან ხომ სულ დამაფრთხო და დამაშორა მხატვარს! როგორც მაშინდელი ყველა ნორმალური მოზარდი, სასმელი არც მე მიზიდავდა, ხოლო თვით არყის გემო კი არა, სუნიც ზიზღსა მგვრიდა. (სხვათა შორის **არაყ** არაბულია და ქართულად **ოფლს** ნიშნავს). ჰოდა, რა წარმოდგენა უნდა დამრჩენოდა შემოქმედზე, რომელსაც «მადის გასახსნელად» თურმე მუდამ თითო-თითო ჭიქა არაყი სჭირდებოდა. მხატვარი კი არა, ლოთი ყოფილა და ეგ არი-მეთქი!

«ცოცხალი არვინ არ მიიკარა». – ჩიოდა პოეტი.

არადა, როგორც მაშინ გვინერგავდნენ და თან პროპაგანდისტული კინოჟურნალებითაც გვიდასტურებდნენ, ჭეშმარიტი შემოქმედი სულ ხალხის შუაგულში ტრიალებს, იგი ნამდვილი ტრიბუნი და ერის საყვარელი პიროვნებაა, საზეიმო შეხვედრებზე ტაშისცემით რომ ხვდებიან, აღფრთოვანებით უსმენენ და კოცნიან, პიონერები კი თაიგულებს მიართმევენ ხოლმე. ის კი თურმე ახლოსაც არავის გაუკარებია. მაშ, რაღა მხატვარი და შემოქმედი ყოფილა-მეთქი?!

და საერთოდ, ლ. ასათიანის ლექსების ბრწყინვალე ადგილებმა – **«ძილგატეხილი და არეული...», «მაგრად ილაღე, იბედოვლათე, გადაგიბრუნდა ჭკვა და გონება, გაანიავე მთელი დოვლათი, ქარს გაატანე მთელი ქონება...» «ვერ გამოდექი და ვერ ივაჭრე, საქვეყნოდ ჭამე კაცმა სირცხვილი...» «ჩამოხეული, ტანმაღალი, მარად ხიზანი...» «ტვინდასეტყვილი...» «თვითრჯული იყო...» «სულ მარტო იყო, მარტო სვამდა, მარტო გათავდა...»** – უცნობ მხატვართან კი არ დამაახლოვა, პირიქით, უფრო დამაშორა, ვინაიდან იგი არ შეესაბამებოდა საბჭოური პროპაგანდის ზეგავლენით ჩემს წარმოდგენაში ჩამოყალიბებულ შემოქმედის იდეალსა და მაგალითს.

ჩემს ამგვარ დასკვნას თვით პოეტისავე სიტყვებიც ამაგრებდა.

ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

ჰოდა, თუკი ავტორმა თვითონაც არ იცოდა, მე საიდანღა უნდა მცოდნოდა, მხატვარმა რა ქონება და როგორ გაანიავა?.. რატომ მოეძულებინა ყველას?.. ანდა, **ჩამოხეული** და მით უმეტეს, **«ტვინდასეტყვილი»** როგორღა უნდა ყოფილიყო ნამდვილი მხატვარი-მეთქი»?! ამიტომ ფიროსმანის შემოქმედებისა და მისი პიროვნებისადმი ინტერესი არც აღმძვრია და კარგა ხნით გონებიდანაც გადამვარდა.

***

მკითხველებს ვთხოვ, ამ სტრიქონებს დღევანდელი გადასახედიდან ნუ შეხედავენ და შემიფასებენ. მხედველობაშია მისაღები, რომ აქ ლაპარაკია XX საუკუნის 50-იანი წლების შუა პერიოდზე.

აი, რას წერს ცნობილი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი **ვახტანგ ბერიძე** (1914-2000) თავის წიგნში **«ნიკო ფიროსმანი».**

> «მართალია, ოციან წლებში ქართული პრესა მუდმივად აქვეყნებდა ახალ მასალებს ფიროსმანის ბიოგრაფიისთვის, მაგრამ ოციანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების შემდეგ დაიწყო ფიროსმანის მიჩქმალვის ხანა, რომელიც თითქმის მეოთხედი საუკუნე გრძელდებოდა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ერთი მხრივ, მხატვრულ კრიტიკაში დოგმატიზმისა და ვულგარული რეალიზმის გაბატონება, მეორე მხრივ — უარყოფითი (მტრული) დამოკიდებლება იმ ავტორებისადმი, რომელთაც ფიროსმანის შემოქმედება წარმოაჩინეს».

ჩვენს მივარდნილ სოფელში კი არა, მაშინ ჯერ დედაქალაქშიც არ იყო ტელევიზორი. დაწყვეტილ-დაფუნკული რადიოხაზიც იშვიათად მუშაობდა, თან ისე ხიხინებდა, ხეირიანად ვერ გაარჩევდით, რას ამბობდნენ...

წერა-კითხვის უცოდინარი მამაჩემი ჯერ გუთნისდედა იყო, მერე კოლმეურნეობის ფერმების მეძროხე. შინ ერთი მხატვრული წიგნიც კი არ გვებადა. ის კი არა, იმხანად წარმოდგენაც არა

მქონდა, ადამიანს საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონოდა! ანდა, რა საჭირო იყო შინ წიგნების დახვავება, როცა ამისთვის არსებობდა სოფლისა და სკოლის ბიბლიოთეკები – რაც გსურდა, გამოიწერდი, წაიკითხავდი და ისევ დააბრუნებდი. ასე არ ჯობდა?! ანდა, სად იყო წიგნებისა და მისთვის საჭირო დგამ-ავეჯის ფული. მაგრამ ვინმეს კიდეც რომ ეჩუქებინა და სახლი წიგნების თარო-კარადებით გამოგვეჭედა, ჩვენ თვითონ სადღა უნდა წავსულიყავით?!

კარადა-თაროები კი არა, დედაჩემმა ბოდბისხევის ბაზრიდან მოტანილ სარეცხის საპნის ფანერის ცარიელ ყუთს გადააფარა რაღაც ქსოვილი და იმაზე მომიწყო ჩემი პატარა სასკოლო კუთხე, რომლის ხიბლი დღესაც არ მავიწყდება!..

ჩემს პირად ბიბლიოთეკასაც მერე შემთხვევით და სტიქიურად ეყრებოდა საფუძველი. ერთ დღეს შევნიშნე, რომ სოფლის დალაქები – ცაცო ჯორკოშვილი და რამანა მეხრიშვილი კლიენტის პარსვისას სამართებელს თურმე სადღაც ნაშოვნ, ყდამოგლეჯილი წიგნის ამოხეულ ფურცლებზე წმენდნენ!!! ეს რომ დავინახე, კანკალმა ამიტანა – როგორ შეიძლებოდა ამის ცქერა და მოთმენა! გარიგება მაშინვე მოხდა: ისინი საამისოდ ნაშოვნ წიგნებს მე დამითმობდნენ, საბადლოდ კიდევ მათთვის რამე ქაღალდები, გაზეთები, რვეულის ფურცლები უნდა მიმეტანა, ბარემ სულ მითითებულ ზომა-ზომად დაჭრილი!.. თანაც მე პროფესორ-აკადემიკოს მამა-ბიძებისა და დეიდა-მამიდების მიერ შორს გამიზნულად დაკვალიანებული რომელიმე «სარფიანი» შემოქმედისა თუ სფეროს ნორჩი მკვლევარი კი არ ვიყავი, არამედ ერთი ალალბედა სოფლელი, ასაკობრივად ჯერ მკვახეტვინიანი მოზარდი და რომელიმე შემოქმედისა თუ სახელ-გავარდნილი პიროვნების აღმოჩენა, მიღება და მერე მისი შეყვარება დამოკიდებული იყო ხოლმე რაღაც ბრმა ან ბედნიერ შემთხვევაზე, პრიმიტიულ წარმოდგენებსა და მამლაყინწურ ამბიციებზე. ხშირად ჩემ ირგვლივ არსებულ ამა თუ იმ მოვლენას აღვიქვამდი არა სწორედ ისე, როგორიც იგი სინამდვილეში იყო, არამედ როგორც მე მსურდა ანდა შეცდომით წარმომედგინა.

ამიტომ გასაკვირი კი არა, სრულიად გასაგები უნდა იყოს მაშინ ფიროსმანის შემოქმედებისა და მისი პიროვნებით ჩემი დაუინტერესებლობა. ღმერთო ჩემო, ანდა რაღაც გაზეთის ნაგლეჯიდან ამოკითხულ მოკლე, ზოგად ინფორმაციას და ყურმოკრულ ამბებს უცებ როგორ უნდა დავეინტერესებინე, როცა არც სწავლა-განათლების საამისო დონე გამაჩნდა და თანაც არამცთუ წაკითხულ-დანახული არ მქონდა, არამედ მაშინ ჯერ საერთოდ დასტამბულ-გამოცემულიც არ იყო მხატვართან დაკავშირებული ამოდენა წიგნები, ბიოგრაფიული და მეცნიერული გამოკვლევები, ფერად-ფერადი ალბომები, კატალოგები, ბუკლეტები, გზამკვლევები, რეპროდუქციები... გამოფენები... კინოფილმი... ამასთან, როგორც ყველა ჭაბუკს, მეც ჩემებური პატარა სამყარო, მიზნები, ვნებები და გატაცებები მმართავდა და როგორც ეს ჩვეულებრივ ემართებათ ხოლმე ყმაწვილებს, საზოგადოებრივი თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი რამ ხშირად, ალბათ, მეც ყურადღების მიღმა მრჩებოდა.

მერვე კლასში დავდიოდი, კაპიკობით ნაგროვები ფულით მშობლების უკითხავად წითელწყაროს «მონკავშირის» პატარა ფარდულში ოცდაორ მანეთად ჩემი დიდი ხნის ოცნება – თექვსმეტი ყალიბის ცალლულიანი თოფი და ტყვია-წამალი რომ შევიძინე. ახლაღა მოვდივარ განცვიფრებაში: დღევანდელობისგან განსხვავებით, ხნიერ, ელამ ნოქარს სულაც არ მოუკითხავს სოფლსაბჭოსა და ფსიქიატრის ცნობები, რაიმილიციის ნებართვა. როგორც ამერიკულ კინოფილმებშია – ლულამოელვარე, ყავისფერკონდახიანი თოფი სტენდიდან დინჯად გად-მოიღო და უდავიდარაბოდ მომყიდა!

ერთი ხანობა კურდღლების, კაკბების, მელიების, მწყრებისა და ქედნების დევნამ ისე გამიტაცა, აღარავინ და არაფერი მახსოვდა!..

თავი მესამე

წერის ცდუნებას და მოთხოვნილებას ბავშვობიდანვე ვგრძნობდი. ჯერ სკოლის კედლის გაზეთში, მერე კი რაიგაზეთ **«ახალი შირაქის»** ფურცლებზე ქვეყნდებოდა ჩემი ლექსები, ჩანახატები, წერილები...

1961 წელს, ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით შიშნარევი ყოყმანის შემდეგ გავბედე და გაზეთ **«სოფლის ცხოვრების»** რედაქციას ფოსტით გავუგზავნე ცამეტსტროფიანი ლექსი **«ვიხილე ვაჟა სიზმარში»** და **«თოთია არაბულის ნაამბობი»**, რომელიც ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობისას ერთმა მოხუცმა, ვაჟას თანამედროვემ მიამბო პოეტზე.

ერთ თვესაც არ გაევლო, პირადად ჩემთვის რაღაც სასწაულის მსგავსი რამ მოხდა: 6 ივლისს მთლიანი ლექსი დაბეჭდეს, 11 ივლისს – ხელუხლებელი «ნაამბობი». განცვიფრებული სოფელი სულ ამაზე ლაპარაკობდა. თავი სიზმარში მეგონა. თითქო რაღაცას მივხვდი...

ღმერთო, რა თვითრწმენის ჩამნერგავი იყო ჩემი თანაკლასელის, ნაზო ქადაგიძის ფოსტალიონი დედის, მანანა ძალოს მიერ მოტანილი ათ-თხუთმეტმანეთიანი ჰონორარის საფოსტო ჩეკები, რომელთა ასაღებადაც ხუთი კილომეტრით დაშორებულ სოფელ არბოშიკში ფეხით უნდა ავსულიყავი, ვინაიდან მაშინ ოზაანს საკუთარი ფოსტა არ გააჩნდა!..

***

საშუალო სკოლა დავამთავრე. მამაჩემის ბეჩავური ოცნება იყო, კოლმეურნეობის **«ბულანტერი»** გამოვსულიყავი. მისი ნართაული საყვედურის მიუხედავად, **«ავარობაზე რატო გიჭირავს თვალი»**-ო, მე საბუთები მაინც რუსთაველის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში შევიტანე – კინომსახიობობა მსურდა! კონკურსი შემაძრწუნებელი იყო – ერთ ადგილზე ორმოცამდე კონკურენტი მოდიოდა.

გამოცდები ორ ტურად ტარდებოდა. აბიტურიენტები სულ პირველად ერთად შეგვიყვანეს ვრცელ აუდიტორიაში და ხანგრძლივი გასაუბრება მოგვიწყეს, რათა გამომჟღავნებულიყო ინსტიტუტში შემსვლელის კულტურის საერთო დონე და ცოდნა თეატრის, კინოსა და დრამატურგიის დარგში. პირი ღია მრჩებოდა, ბევრმა მოდურად გამოპრანჭულმა ქალაქელმა თანატოლმა ისეთი რამეები არ იცოდა. არ მესმოდა – როგორ შეიძლებოდა მსგავსი რამეების უცოდინარობა?! კომისიის წევრებს კი ჩემს პასუხებზე თვალები შუბლზე ასდიოდათ – ვერ წარმოედგინათ, სადღაც, მიყრუებულ სოფელში ასეთი ნაკითხი და მომზადებული ახალგაზრდა ყოფილიყო.

ერთ დღეს მეტად საინტერესო გამოცდა მოგვიწყეს. ამა თუ იმ ექსტრემალურ გარემოებაში ვინ როგორ მოიქცეოდა, დამაჯერებელი იქნებოდა თუ არა ჩვენი გადაწყვეტილება და მოქმედება. გამოცდას კომისიის წევრებს გარდა ისე, თავგასართობად შემოსული ერთი პირველი თუ მეორე კურსის სტუდენტი ჭაბუკიც ესწრებოდა – ეტყობა, აინტერესებდა, წელს რა დონის კონტიგენტი იყო თავმოყრილი თუ ვიღაცას გულშემატკივრობდა.

მე ასეთი დავალება მომცეს: ვარ გამოცდილი ქურდი და ერთ-ერთ ბინაში შევაღწიე რევოლვერის მოსაპარავად. მაგრამ არ ვიცი, სადა აქვთ დამალული. უნდა მოვძებნო, რამდენიმე წუთში უეჭველად ვიპოვო და სასწრაფოდ დავტოვო იქაურობა – პატრონი წუთი წუთზეა მო-სასვლელი!

დავალება ელვისებურად გავიაზრე. უცებ მივვარდი კედელთან, ცალ მუხლზე ჩავიჩოქე და ისეთი სისწრაფით ავამოძრავე ხელები, თითქოს საოჯახო თეთრეულით გამოტენილ კარადის

უჯრებს ერთმანეთის მიყოლებით ვეწეოდი და ვაქოთებდი! მაგრამ ახლა სხვანაირ გულისხმაში ჩავარდნილმა, უცებვე შევწვიტე ეს სტიქიური ქოთება და გაქვავებული ჩავფიქრდი. მერე ისევ წამოვდექი, მოპირდაპირე კედელთან მდგარ ერთადერთ სკამთან დინჯად მივედი, ზედ ჩამოვჯექი, ფეხი ფეხზე გადავიდე და უკიდურესი გონებრივი დაძაბულობით ყოველ კუთხე-კუნჭულს მშვიდად დავუწყე თვალიერება: პატრონს რევოლვერი მაინც სად შეიძლება ჰქონოდა დამალული?.. ანდა, მე რომ ვყოფილიყავი მის ადგილას, სად დავმალავდი-მეთქი. ფიქრის, ეჭვისა და ვარაუდისგან სახე მტკივნეულად მემანჭებოდა, დრო კი იწურებოდა. უცებ თავდაჯერებული ღიმილით წამოვდექი და პირდაპირ გავემართე გაკვირვებული კომისიის წევრებისკენ. შეუყოყმანებლად მივედი, მათი გადასაფარებლიანი მაგიდის ქვეშ შეყოფილი ხელი მივაცაცუნ-მოვაცაცუნე და საკუთარი ალღოთი ნასიამოვნებმა, სწორედ იქიდან «გამოვიღე რევოლვერი!»

აღტაცებულ კომისიის წევრებს სიცილი წასკდათ. ერთ-ერთმა მათგანმა, ოდნავ თვალებწამოკარკლულმა მანდილოსანმა სუსტი ტაშიც კი შემოჰკრა.

– შესანიშნავია!.. დამაჯერებელია! – ღიმილით შენიშნა იმ სტუდენტმაც.

მეხსიერებაში სამუდამოდ ჩამებეჭდა მისი კეთილშობილური სახე. მრავალი წლის მერელა მივხვდი და ვინიშნე – იგი თურმე შემდეგში ცნობილი მსახიობი **გოგი ხარაბაძე** ყოფილიყო.

საცდელი ტურების პროცესში კომისიის წევრებსა და კონკურსანტებს შორის თითქოს თავისთავად ჩამოყალიბდა აზრი, რომ რამდენიმე გამორჩეული აბიტურიენტი – მათ შორის მეც მგულისხმობდნენ – ინსტიტუტში მოხვედრის ყველაზე რეალური კანდიდატები ვიყავით.

მხატვრულ კითხვაში ხელახლა რომ გვცდიდნენ, აუდიტორიის კარი მოულოდნელად თვით ინსტიტუტის რექტორმა, **ილია თავაძემ** შემოგვიღო რამდენიმე წუთით.

კომისიის წევრებმა ერთი წარბებგადაკალმული გოგონა და მე გამოგვარჩიეს. მან ლადო ასათიანის «კრწანისის ყაყაჩოები» წაიკითხა, მე – ილიას «ყვარლის მთებს».

კითხვა რომ დავამთავრე, კომისიის წევრებმა თავიანთ რექტორს შეფარული თავმოწონებით შეხედეს, ხომ არაფერს იტყვისო.

რექტორმა მდუმარედ ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

– ყვარლიდან ხართ?

– არა, წითელწყაროდან... ქიზიყიდან!

– ააა!..

მეორე ტურშიც გავედი. აბიტურიენტები დასტობით იჭრებოდნენ. ინსტიტუტის წინ მღელვარე, სიცხითა და ლოდინით გაწამებული ხალხის ტევა არ იყო. უკვე ჩაჭრილი თუ ჯერ კიდევ ჩასაჭრელი ულამაზესი ქალიშვილებისა და ჭაბუკების გულშემატკივარი, მაღალფარდოვნად მოლაპარაკე თვალებმწუხარე ქალბატონების ბოლომოუღებელი მისნობისგან ადამიანს ყურები ეჭედებოდა, გულს ეჭვის ჭია უღრღნიდა: ეს გამოცდები მხოლოდ თვალის ახვევაა და მეტი არაფერი!.. სია უკვე წინასწარ აქვთ შედგენილი, ვისი და ვისი შვილები უნდა ჩარიცხონ და ესენი აქ შემთხვევით ახალგაზრდას «არ გაახარებენო!»..

შემდეგ გამოცდაზე, მუსიკალური მონაცემების შემოწმებისას ჩავიჭერი. დღესაც არ ვიცი, მართლა მიმღებმა კომისიამ «არ გამახარა» თუ ყველაფერი ჩემი ბრალი იყო. მაგრამ მაშინ, იმ თავდაჯერებული ქალბატონების წინასწარმეტყველებისგან თავგაბრუებულს... ო, მომეჩვენა, რომ დედამიწამ ალმაცერად იწყო გადაყირავება და სადაცაა აუდიტორიის კედლები თავზეჩამომენგრეოდა!.. სამყარო ბურუსში შთაინთქა!.. დასრულდა ყველაფერი – ამიერიდან ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარ ექნებოდა!..

გასაკვირი იყო, ჩაჭრილებს ჩვეულებისამებრ რომ უშვებდნენ აუდიტორიიდან, მე კომისიის ერთ-ერთი წევრი – მაღალი, სათვალიანი, თმაშეთხელებული და ნიკაპწამოწეული კაცი გარეთ გამომყვა და კიბემდე მიმაცილა.

– მართლა გული მწყდება, მაგრამ რას იზამ... მთლად ჩვენზეც არ არის... ჯერ ახალგაზრდა ხარ... აშკარად ნიჭიერი ჩანხარ და... გული არ გაიტეხო... შენ ყველგან გზას გაიკაფავ... მენდე ადამიანურად, მერმის ისევ მოდი და... აი, ნახავ, თუ არ ჩაირიცხო!.. ახლა კი...

მე ძლივს მესმოდა, რას მეუბნებოდა. ერთი სული მქონდა, სწრაფად გაგვევლო მოყაყანე კონკურსანტებით სავსე დერეფანი, თან ჩემი მხრიდან მალე ჩამოელო ხელი და დროზე გავცლოდი ობიანი პროტექციით შეორთქლილ ინსტიტუტის კედლებს.

ატირებული კიბეს რომ ჩავდევდი, გულში მტკიცე ფიცი დავდე – სასწრაფოდ გამომეტანა საბუთები და აღარასოდეს შემომეხედა ამ შენობაში! ბინდიან, კარდაკეტილ შემოსასვლელთან, შემინულ პაწია საყარაულო ჯიხურში მჯდარი უტიფარსახიანი ახალგაზრდა მეკარე ქალიც კი (გვერდით მიტკუცებული, ბრეოლინით თმაგაპრიალებული ვიღაც ვაჟბატონი უხამსად რომ ეფათურებოდა), აქ პროტექციით მოყვანილი მეგონა!

შინ რომ ჩავედი, მაშინვე ხირსის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში კასრების მრეცხავად დავიწყე მუშაობა. მერე ჩვენს კოლმეურნეობაში მწყემსად წავედი და სულ ალაზან-ივრისპირეთში ვტრიალებდი.

მომდევნო წელს თსუ ისტორიის ფაკულტეტზე ვაბარებდი, მაგრამ იქაც უშედეგოდ: ქართულ წერა-ზეპირში მაღალი ნიშნები დამიწერეს, რუსულ წერით კარნახში კი ორიანი მივიღე!..

ერთი სიტყვით, გზა არსაით მეხსნებოდა!..

***

ამასობაში ჯარმაც მომიწია. ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა – ქვეყნიერებას ვნახავდი! მაშინ ბევრს ვკითხულობდი. განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის თემატიკა მიტაცებდა. მიუხედავად იმისა, საბჭოთა პროპაგანდა აღმაშფოთებლად ტენდენციური იყო, სტრიქონებსა და კინოქრონიკის კადრებს შუა მაინც აშკარად იგრძნობოდა: ფაშიზმის საფარველით მოკავშირეები ბარბაროსულად რომ გაუსწორდნენ თავიანთზე აღმატებულ გერმანულ გენს, ჭკუა-გონებას, ერთსულოვნებას, მუყაითობას, კულტურას... შემრწუნებამდე მივყავდი კინოქრონიკას: რა საჭირო იყო ისედაც უიმედო ალყაში მოტანებული ბერლინის ისე უმოწყალოდ მიწასთან გასწორება?! ასევე მაოცებდა საბჭოთა ცენზურის სიბეცე: ნუთუ არ ესმოდათ, რომ სამხედრო კინოოპერატორების მიერ ბერლინის აღებისას გადაღებული უნიკალური კადრები უკუშედეგს ახდენდა სამართლიანი ადამიანების შეგნებაში?! სუნთქვა-შეკრული, თვალებზე ცრემლმომდგარი შევყურებდი ხოლმე, ცეცხლის ალში გახვეული მშობლიური ბერლინის გადასარჩენად სამკვდრო-სასიცოცხლოდ თავგადადებული ჰიტლერიუგენდის ჩემი კბილა ქერაქოჩრიანი ყმაწვილები ყოველი კუთხე-კუნჭულიდან ყუმბარმტყორცნი **«პანცერპატრონებით»** რა გამაოგნებელი თავგანწირვით ებრძოდნენ პირწმინდად ყველაფრის მიწასთან გასასწორებლად აღმოსავლეთიდან დაძრულ ბარბაროსთა ტანკების ნიაღვარს!.. შინაგანად ამ ყმაწვილებს თანავუგრძნობდი, წამდაუწუმ ბეღურებივით რომ იხოცებოდნენ და მუხლუხების ქვეშ ისრისებოდნენ!.. თანავუგრძნობდი კი არა, წარმოსახვით მეც მათ გვერდით ვიბრძოდი, მათთან ერთად ვიღუპებოდი და ისევ ვცოცხლდებოდი, ვიბრძოდი, ვიღუპებოდი და ისევ ვცოცხლდებოდი!.. ო, მერე კი რა ზიზღის მომგვრელი იყო ნანგრევების ბორცვებს შორის ნაქალაქარის დასათვალიერებლად მობაჯბაჯე ამალით გამოსული, თავისი ნამოქმედარით გაბღენძილი, მონღოლურსიფათიანი მარშალი ჟუკოვი, რომელსაც, როგორც

ბოლო წლებშიღა გაირკვა, თურმე აურაცხელი ნაძარცვი ღორულად მიეთვისებინა და სულ ეშელონებით გაეზიდა რუსეთში!..

ჰოდა, ახლა ახალი ოცნება ჩამესახა: იქნებ მეც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დისლოცირებულ საბჭოთაკავშირის ჯარების რომელიმე სახეობაში მოვხვედრილიყავი ჩვენებური კაკო ოზაშვილივით, განსაცვიფრებელ ამბებს რომ გვიყვებოდა ხოლმე გერმანელ ხალხსა და მათი ცხოვრების ყაიდაზე. ღრმად მწამდა, იქ რომელ კუნჭულშიც უნდა მდგარიყო ჩვენი სამხედრო ნაწილი, 1945 წელს საბჭოთა ჯარების «გმირობის» გასაცნობად უეჭველად ბერლინშიც ჩაგვიყვანდნენ საექსკურსიოდ და ჩემი თვალით ვნახავდი როგორც გერმანელი ყმაწვილების სანიმუშო თავგანწირვის ადგილებსა და ნაკვალევს, ისე თვით რაიხ-კანცელარიასაც, სადაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა ფანტასტიკური ბიოგრაფიის კაცმა, ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიასავით მოხეთქილი ხორხისმიერი ბარიტონით თავის დროზე მსოფლიოს რომ ნუსხავდა და აძრწუნებდა!.. მაგრამ აქაც იმედი მომიცდა. გერმანიის ნაცვლად **ბელორუსიაში**, მდინარე **ბერეზინაზე** მდებარე პატარა ქალაქ **ბორისოვში** ამომაყოფინეს თავი, თუმც ერთგვარი «კომპენსაციით» – **ჰიტლერის** ნაცვლად აქ **ნაპოლეონს** შევხვდი!

ბორისოვის ჩრდილოეთით, რაღაც ორიოდე კილომეტრით იყო დაშორებული ერთი მიყრუებული, ეული სოფელი **სტუდენკა**, სადაც 1812 წლის სამამულო ომის დროს უკანდახეულ ნაპოლეონს ოსტატურად მოტყუებული, ბორისოვში საიმედოდ გამაგრებული რუსი გენერლების ცხვირწინ 26-27 ნოემბერს თავისი უშუალო ხელმძღვანელობით მდინარე ბერეზინაზე თურმე პონტონების ორი ხიდი აეგებინებინა და ხაფანგში მომწყვდეული თავისი არმია სამშვიდობოზე გაეყვანა!

ეს პირველად არც კი მეჯერებოდა, სანამ ერთ-ერთმა ოფიცერმა შინიდან **ტარლეს «ნაპოლეონი»** არ მომიტანა და ამაყად არ მიჩვენა ლურჯი მელნით საგანგებოდ გახაზული ადგილები, თუმც არ მესმოდა, ამაში რას ხედავდა საამაყოს!

მას აქეთ, როცა კი შესაძლებლობა მომეცემოდა, სტუდენკასთან ბერეზინის უდაბური ნაპირების საათობით ცქერა მოთხოვნილებად მექცა. ჩემს წარმოსახვაში თვალცხადლივ ცოცხლდებოდა ხოლმე ამაღელვებელი სურათი: ჭიანჭველებივით მოფუსფუსე ფრანგ ჯარის-კაცებსა და მესანგრეთა შორის, აი, ამავე ბექობზე მდგარი შეუკრთომელი ნაპოლეონი როგორ იძლეოდა ზუსტ განკარგულებებს!.. თვალსა და ხელს შუა როგორ იზრდებოდა პონტონების ხიდები!..

ბორისოვი თვალშისაცემად ახალგაზრდული ქალაქი იყო. მის უამრავ სასწავლებლებსა და ფაბრიკა-ქარხნებში ადგილობრივი და პერიფერიებიდან მოზღვავებული ათასობით ბელორუსი, რუსი, ბალტიისპირელი, ებრაელი თუ უკრაინელი გოგონა სწავლობდა და მუშაობდა. კაცს აღტაცებაში მოიყვანდა მათი სინორჩე, სილამაზე, სიხალისე, სილაღე, მაგრამ მახეტებდა ერთი რამ: ქართველი გოგონებისგან განსხვავებით სულ არ გააჩნდათ ჭაბუკის ზეაღმტაცი კდემამოსილების ნატამალი! ისინი ამას ვერც ახალგაცნობილ კავკასიელ ჯარისკაცებს პატიობდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე გაეთავისუფლებინათ ამგვარი «ზედმეტი ბარგისაგან»...

ჩვენი საზენიტო-სარაკეტო პოლკი ბორისოვში იდგა. სამორიგეო-საცეცხლე წერტილები კი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში იყო მიმოფანტული. წელიწადში ერთხელ, ზაფხულობით, სარაკეტო სროლა-ვარჯიშს ვატარებდი. გრძელი ეშელონი დინჯად გადაჭრიდა ხოლმე ქვეყნის ევროპულ ნაწილს, ურალის სტეპებს და სადღაც ჩრდილო ყაზახეთის სამხედრო პოლიგო-ნებისკენ მივჯაყჯაყებდით.

მეტად მაკვირვებდა სხვადასხვა ეროვნების თანამებრძოლთა ყველაფრისადმი სრული დაუინტერესებლობა. ამ დროს ჭამისთვის თუ წამოდგებოდნენ! საქონლის გადასაყვანი სატვირთო ვაგონების ორიარუსიანი ხის ტახტებზე დღედაღამ მკვდრებივით ეყარნენ და ცდილობდნენ დანაკლისი აენაზღაურებინათ – სულ გაუნძრეველ ძილს იყვნენ მიცემულნი!!!

ზედმეტი ძილისთვის მე წამიც არ მემეტებოდა. ცისკრიდან ნაშუაღამემდე ვაგონის ხან ერთ, ხან მეორე – საიდანაც უფრო მიმზიდველი სანახაობა იშლებოდა! – ღია კართან ვიჯექი და თვალგაყოლებით გავცქეროდი ფიქრების ამშლელ უკიდეგანო ნაცრისფერ სივრცეებს, რკინიგზის გასწვრივ მიმავალ, ბარგაკიდებულ ხუტორელებს... ნაძვის კორომებს... არყნარებს... რუსული ჭკუა-გონებით შექმნილ რაღაც ნაგებობებს, წყლისსაწნევ აგურის კოშკურებს.. პრიმიტიულ ხიდებს... ეულ დასახლებებს... თივის დამბულულავებელ, ალერსდანატრებულ ქალებს, ნათიბიდან ჯარისკაცებს ფიწლებსა და ფოცხებს რომ გვიღერებდნენ და მხეცურად შემოგვყმუოდნენ!.. სევდის მომგვრელ პროვინციულ ვაგზლებს... სადგურებზე მოყიალე ხალხის ჩაცმულობასა და გამომეტყველებას... რასათა სტიქიურ სიჭრელეს... სუსტ ანაშუქზე შავად მოლივლივე მდინარეებს... ცარიელ მინდვრებს... მობღუნძული ლუდხანის წინ უაზროდ აცეკვებულ მთვრალ მუჟიკებს... უდაბურ სტეპებს... თან თავს ძალას ვატანდი, რათა წარმომედგინა, ნეტავი რანაირი ფიქრები და განცდები ექნებოდათ სამამულო ომის დროს ჩემსავით ასე დგანდგარ-რუზრუზით სტალინგრადისკენ გეზაღებულ ვერმახტის ჯარისკაცებს...

უსასტიკეს სამხედრო დისციპლინასა და მომქანცველ საბრძოლო წვრთნას ზედ ემატებოდა ზოგიერთი მეთაურის შოვინისტური აღვირახსნილობა: სწორედ იმხანად **სტალინის** (1879-1953) მავზოლეუმიდან გამოსვენებამ ოფიცრობაში ველიკორუსული აღტკინება გამოიწვია და ბევრი მათგანი ხელიდან არ უშვებდა ქართველი ჯარისკაცის დაცინვა-დამცირებისა და ზედმეტად დატვირთვის შემთხვევებს...

1962 წლის ოქტომბერს, კარიბის კრიზისისას, მსოფლიო ატომური ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ჯარები სრულ საბრძოლო მზადყოფნაზე გადაიყვანეს. უცნაური ჟინით აღტკინებული ზოგიერთი ოფიცერი დარჩენილ საათებსა და წუთებს ითვლიდა!.. ყოველივე ამას წარმოუდგენელი რამ დაემთხვა: ბელორუსიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, გენერალი პინკოვსკი დასავლეთის სპეცსამსახურების სტაჟიანი ჯაშუში აღმოჩნდა!!!

სამხედრო ნაწილებს ახლა შპიონომანიის ეპიდემია მოედო – ყველგან და ყველაფერში პირველი თაობის ზესაიდუმლო საზენიტო რაკეტა-დანადგრების ტექნიკურ მონაცემებზე მონადირე ჯაშუშები ელანდებოდათ! ყოველივე ამან სამხედრო სამსახური ისეთი ჯოჯოხეთური გახადა, რომ პოსტზე მდგომი ავტომატიანი ჯარისკაცის თვითმკვლელობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა!..

აი, იმ წლებში რით იყო დაკავებული ჩემი გონება და ცნობიერება – ვის ახსოვდა **ფიროსმანი**!

***

პატივცემულო მკითხველებო, არ იფიქროთ, კალამმა ურა კვიცივით თავი წამართვა და ჩემი ცხოვრების უმნიშვნელო, სხვისთვის სრულიად უინტერესო წვრილმანების აღწერამ გამიტაცა. არა, უბრალოდ ვეცადე მეჩვენებინა ერთი ალალზედა სოფლელი ახალგაზრდის ფიროსმანისკენ სავალი გზები, რათა მოზარდები – თუკი შემთხვევით ამ წიგნს წაიკითხავენ – დარწმუნდნენ, ამა თუ იმ ცხოვრებისეულ მოვლენა-ვითარებაში ელვისებურად გარკვევა არ ხდება ხოლმე, ვინაიდან ყველაფერს თავისი დრო და წინამძღვრები აქვს. ამიტომ დაღონებას არ უნდა მივეცეთ და ღრმად გვწამდეს – მოსახდენი მაინც მოხდება! შესაძლოა კარგა მოგვიანებით, მაგრამ სამაგიეროდ მთელი თავისი ბუნებრივი მშვენიერებით.

თავი მეოთხე

1964 წლის ივლისის ბოლოს სანიმუშო სამსახურისთვის არმიიდან სამი თვით ვადაზე ადრე გამომიშვეს უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების დასაჭერად.

მე სამი წელი რუსულ ენაში მუყაითად ვემზადებოდი, ისევ წერით კარნახში არ ჩავჭრილიყავი. ახლა კი გაირკვა, რომ თსუ ისტორიის ფაკულტეტზე მხოლოდ სამი გამოცდაღა ბარდებოდა – ქართული წერა-ზეპირი და ისტორია ზეპირი.

პირველ, ქართულ წერაში გალაკტიონის ლირიკა ავირჩიე და ხუთიანი მივიღე.

მეორე, ქართული ენა-ლიტერატურის გამოცდას ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსი ჭინჭარაული** 37 წლის შემდეგ ასე გაიხსენებს თავის ერთ-ერთ ინტერვიუში.

> «...1964 წელია. უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე ერთ მაგიდასთან ვისხედით მე და ფარნაოზ ერთელიშვილი. შემოვიდა აბიტურიენტი – ჯარისკაცი, მშვენიერი შესახედავი, კარგი ვაჟკაცი. იმ დროს ჯარისკაცებს, ცოტა არ იყოს, ამრეზით ვუყურებდით, ვფიქრობდით – საიდანღაც ჩამოსულა, რა ეცოდინებაო. იშვიათობა იყო, ვინმეს რაიმე სცოდნოდა.
>
> ახალგაზრდამ აიღო ბილეთი და დახედა თუ არა საკითხებს, მაშინვე მოისურვა გამოსვლა. კი ვუთხარით – რა გეჩქარება, ჯერ კარგად მოიფიქრეო, მაგრამ დაიჟინა – მოსაფიქრებელი არაფერი მაქვს, საკითხები ვიცი და ახლავე გამოვალო.
>
> ამან უფრო გაგვაკვირვა. მე, გამომცდელს რომ ამელო ის ბილეთი, ისე ვერ მოვყვებოდი, როგორც ის ბიჭი ჰყვებოდა. იმდენად ავღელდი, რომ ვატყობ, სადაც არის, ცრემლები უნდა გადმომცვივდეს, მაგრამ იქ ტირილს ხომ არ დავიწყებდი?! ფარნაოზს ვუთხარი – მე პაპიროსს მოვწევ და გამოცდა თქვენ გააგრძელეთ-მეთქი.
>
> გავედი დერეფანში და ვეწევი პაპიროსს, მაგრამ ცალი თვალი აქეთ მაქვს – ბიჭი შეუფერხებლად პასუხობს და პასუხობს... რომ არა და არ მივბრუნდი, ფარნაოზმა ხელი დამიქნია – მოდიო და რომ შევედი, მითხრა: ახლა მეორე არწივი დაიბანს თვალს და შენ მოუსმინეო – და თვითონ გავიდა სიგარეტის მოსაწევად: თურმე იმასაც ეტირებოდა.
>
> ის აბიტურიენტი ახალგაზრდა ჯემალ მეხრიშვილი იყო – მერე ჟურნალ «ცისკარში» ბეჭდავდა არცთუ ისე ურიგო მოთხრობებს»...
>
> (ჟურნალი «გზა», 2001 წ. [1]20)

ისტორიის გამოცდაშიც ხუთიანი მივიღე. ამრიგად, თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. სტუდქალაქში დავბინავდი. დაიწყო ზღაპრული დღეები და ცხოვრება. 3 სექტემბერს, ხუთშაბათს, მაჩაბლის ქუჩისკენ გავეშურე. სანამ თანამშრომლები გამოჩნდებოდნენ, დარაჯისა და დამლაგებლის თანდასწრებით გულაკანკალებულმა დავათვალიერე მწერალთა კავშირის შენობა...

პირველ ხანებში ნებისმიერი დიდი ბიბლიოთეკა აღმაფრენით, განცვიფრებითა და უსაშველო სევდა-სინანულით მავსებდა: თურმე რა და რანაირი სახის ლექსიკონები, ენციკლოპედიები, სახელგანთქმული მხატვრების ვეებერთელა, ტანმძიმე ფერადი ალბომები, დარგობრივი ცნობარები, კატალოგები არსებულა, მე კი მხოლოდ ახლა შევიტყვე და შევეხე! როდის ავინაზღაურებდი დანაკლისს!

ჯერ მარტო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული რად ღირდა! ზოგჯერ სიზმარშიც კი ამ ყავისფერყდიან წიგნს ვფურცლავდი!!! თან უკიდურესაც მტანჯავდა ამგვარი «უსამართლობა»: ბიბლიოთეკები, როგორც წესი, საღამოს სხვადასხვა საათზე იკეტებოდა, კაცს კი

იქნებ კიდევ სურდა კითხვა-მეცადინეობა?! ამიტომ მაშინდელი ჩემი ღრმა რწმენით, ბიბლიოთეკებს დღედაღამ თუ არა, სულ მცირე, ღამის პირველ საათამდე მაინც უნდა ემუშავა! ერთი სიტყვით, ვგრძნობდი, დრო არაფერში მყოფნიდა!

სულ პირწმინდად შევისწავლე და ამოვიწერე უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტების ლექციების ცხრილი – სადაც რა მაინტერესებდა, იქ ვესწრებოდი, სკკპ ისტორიის, მეცნიერული კომუნიზმის, ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტეკონომიისა და მსგავს საგანთა ლექციებს კი ვაცდენდი. ამგვარი თვითნებობისთვის ერთხელ ორი თვით სტიპენდია ჩამომაჭრეს, მაგრამ მე ჩემსას მაინც არ ვიშლიდი. ახლაც მახსოვს, ერთხელ, ეს იყო 1965 წლის აპრილში, პროფესორ **ნოდარ კიკვაძეს** 193 აუდიტორიაში ლექცია უნდა წაეკითხა ფრანგ იმპრესიონისტ მხატვარ **ედუარდ მანეზე** (1832-1883). დაფაზე დაკიდებულ მხატვრის ცნობილი ნამუშევრის მოზრდილ ასლს **«საუზმე ბალახზე»** როგორც კი მოაცილა ფარდა, ერთმა სტუდენტმა გოგონამ თვალებზე ხელები აიფარა და აუდიტორიიდან ფაცხაფუცხით გავარდა.

ამგვარად, ლიტერატურული მიმდინარეობების მხარდამხარ გავერკვიე, რა იყო კლასიციზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, აბსტრაქციონიზმი, ფოვიზმი, ფუტურიზმი, მოდერნიზმი, კუბიზმი, პოსტმოდერნიზმი, პრიმიტივიზმი...

მსგავს ვითარებაში უკვე ველარანაირად ვერ «გადავურჩებოდი» **ფიროსმანს** – სწორედ იმხანად დაიწყო მხატვრის მსოფლიო ტრიუმფი. მართლაც, 60-80-იან წლებში მისი ფერწერული ნამუშევრების გამოფენა სადღა არ ეწყობოდა: ვარშავა, პრაღა, ნიცა, ვენა, დრეზდენი, აღმოსავლეთ ბერლინი, ზაგრები, ბუქარესტი, ბუდაპეშტი, სოლნიკი (უნგრეთი), პადუა, იაპონია, დასავლეთ ბერლინი...

სტუდენტთა წრეში რომ გაიგებდნენ, ფიროსმანის კუთხიდან ვიყავი, გულწრფელად დამნატროდნენ, პატივისცემით მეპყრობოდნენ და ერთგვარი კეთილი შურითაც კი მიცქერდნენ. ყოველივე ეს მაწონასწორებდა და რაღაც ბუნდოვან ვალდებულებებს მაკისრებდა...

***

გამაოგნებელი აღმოჩნდა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ფიროსმანის ნახატების პირველი ხილვა. როგორც ბილეთების გამყიდველმა ქალმა მიმასწავლა, კიბეს ფრენით ავყევი და გულაფანცქალებულმა მივაშურე მითითებულ დარბაზს.

დარბაზში რომ შევედი და შევხედე, კედლებიდან შემომეგება არა უმთავრესი – თვითონ ცალკეული ნახატი, არამედ ჩანჩქერივით გადმოვარდნილი ხასხასა, მსუყე, მკვრივი, მაძღარი, ერთმანეთთან მკვიდრად შეგლესილი ჩახჩახა ფერები და მათი დამატყვევებელი ტონალობა! იმავწამიერად თვალში მეცა და გამახსენდა ჯერ კიდევ ბავშვობისას მირზაანის გორებიდან სტიქიურად შენიშნული ქიზიყის ლანდშაფტის გამორჩეული თავისებურება – ნათელი, ჩაღი, მკვეთრი, გამძლე ხაზების ბატონობა, მიმზიდველობა, დამაჯერებლობა!

ამ ჯადოსნური ფერების «თავდასხმისგან» მიღებულმა რამდენიმეწამიანმა გარინდებამ რომ გამიარა, ცნობიერებამ მაშინღა მოითხოვა თავისი კუთვნილი – ბოლოს და ბოლოს, რა იყო გამოსახული ამ ჩარჩოებში, ამდენს რომ აქებ-ადიდებდნენ!

ეს გადასვლაც რაღაცნაირი ჯადოსნური მეჩვენა. მაშინდელი განცდა დაახლოებით მაინც რომ გადმოვცე, ამაზე უფრო უკეთესი შედარება-მაგალითი არ მომდის თავში.

წარმოიდგინეთ ასეთი რამ: ფეშენებელური სანატორიუმის მოზაიკური პანოებით მოჭიქული სავსე საცურაო აუზიდან წინა დღის წყალი რომ გაუშვან ახლითYშესავსებად. აუზის ოთხივე კუთხეში დატანებული ტრაპები წყალს ხროტინით ისრუტავს. აუზი თითქმის ჩაიცალა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ირჩევა, რას გამოხატავს ფსკერის პანო. და აი, წყალი სრუტუნ-წურწურით ჩაილია, ფსკერიც გამოჩნდა და უმალ დასანახიც გახდა, მოზაისტს თავის დროზე აქ რა უოსტატნია!

ჩემ შესაკრთობად დარბაზის მაღალი კედლებიდან წელან ოკეანის მოტორტმანე ტალღებივით გადმოქანებული ბარაქიანი, ხასხასა ფერები ახლა თითქოს დაცხრა და შედგა, რაკი შემეტყო, იქ სამტროდ კი არა, სამოყვროდ ვიყავი მისული! ამიტომ ეს ფერები ისევ თავ-თავიანთ პირვანდელ ადგილსა და დონეს «დაუბრუნდა!» ამას იმავდროულად ზედ მოება ჩემი გონს მოსვლაც, გარემოსადმი შეგუება და თვალშეჩვევა! მერე ეს იმავდროულობა სასიამოვნო გაგრძელებად მექცა – ახლა თავის «კალაპოტში ჩავარდნილ» ამ სიმშვიდის მომგვრელ საღებავებში უკვე სახალისო გასარჩევი ხდებოდა თითოეულ მძიმე ჩარჩოში საიმედოდ ჩაქარგული ფერების თემა, შინაარსი, შესრულების ხელოვნება: თანამეინახეთა ქეიფი... ძროხის წველა... მწყემსი... რთველი... შველი... დათვი თავისი ბელებით... ძიძა... ქორწილი...

ნახატებით გაბრუებულს უცებ მომეჩვენა, რომ ეს იყო არა მუშამბასა და ტილოზე შესრულებული ტრადიციული ფერწერული ნამუშევრები, არამედ ახალაღმოჩენილი გამძლე ფერებით გულუხვად, მაგრამ დიდოსტატური იდუმალებით შეღებილი და ერთმანეთთან გენიალური უბრალოებით მიკავშირებული მუხის გაურანდავი ნაჭრების სულჩადგმული კონსტრუქციები, ციცაბო მთის ფერდობიდან დაგორებითაც რომ არა დაუშავდებოდათ რა!..

ექსპონატების ცქერით გაბრუებულს უცებ მომეჩვენა, რომ ფიროსმანის სურათებმა დამიმორჩილა და თაგვივით თავის ნებაზე მათამაშებდა. ამის წარმოდგენაზე სიამოვნების ღიმილი მომერია, ვინაიდან ჩემს აფორიაქებულ წარმოსახვაში დარბაზი უცებ უზარმაზარ ზღაპრულ სათაგურად იქცა, მე კი საკუთარი თავი მართლაც ამ დარბაზ-სათაგურში მოტანებულ თაგვს მივამსგავსე, რადგან სარკმლებიდან შემონაშუქი ზოგიერთ ნახატს ალმაცერად ან პირდაპირ ეცემოდა და მკრთოლავი ადგილები ისე თვალისმომჭრელად ისხივებოდა, რომ მეც თაგვივით ვმოუსვენრობდი და წარამარა გვერდულად ხან მარცხნივ ვინაცვლებდი, ხან მარჯვნივ, ნამუშევარი მთლიანობაში რომ დამენახა. ანდა ნახატთან ძალიან ახლოს მივდიოდი, კარგად რომ დავკვირვებოდი საღებავების განლაგება-შეხამების ხერხსა და ფორმას. მერე კი თვალმოუშორებლად ნელა-ნელა ვიხევდი უკან, რათა დავმტკბარიყავი მხატვრობის ერთ-ერთი ჰიპნოზურობით: ამა თუ იმ ნახატზე ცხვირდადებით დანახული, ტლანქად მისმულ-მოსმული და ჩემი ჭკუით, ერთმანეთთან უაზროდ შეგლესილ-შემხმარი სხვადასხვა ფერის საღებავების უსიცოცხლო მასა რა მანძილიდან და როგორ გადაიქცევა ხოლმე უკვდავ ფერწერულ პერსონაჟად, რაიმე საგნად თუ ბუნების ნაგლეჯად!.. (ერთ-ერთი ასეთი უკუსვლისას მოულოდნელად მხრით მკერდზე მსუბუქად შევეჯახე ოცდაათიოდე წლის მანდილოსანს, რომელიც თავის მხრივ თურმე ისე მოდიოდა გვერდულად, რომ ერთ-ერთ ნახატს თვალს ვერ წყვეტდა. ორივეს გაგვეცინა და ერთმანეთს ერთდროულად მოვუხადეთ ბოდიში).

ნახატების თვალიერებით დავიღალე. თან კისერიც მეტკინა ამდენი შეცქერისგან, მაგრამ დარბაზიდან მაინც ვერ გამოვდიოდი – აღარ მიშვებდა ფიროსმანის სამყარო, რომელმაც უცებ ახალი თავსატეხი გამიჩინა. თანაც ისეთ დამთვალიერებელს, შემოქმედებითი თვალსაზრისით არაფერი რომ არ მაკავშირებდა ფერწერასთან და ამიტომ, ცხადია, ინჩიბინჩიც არ გამეგებოდა მხატვრობის პროფესიული საიდუმლოსი: სხვა მხატვრებისგან განსხვავებით, ათასგვარი დეტალების, დეკორაციული წვრილმანების, მხატვრული აქსესუარებისა და ორნამენტების გარეშე, ფერების ასეთი მინიმალური რაოდენობითა და თანაც ამგვარი გულახდილი გამოყენებით ფიროსმანის ნახატებში როგორ იყო მიღწეული მოქმედ პირთა ასეთი მკაფიო დახასიათება და ვითარების შესატყვისი მათი განწყობილების ეჭვშეუტანელი გადმოცემა?!

– უკაცრავად, ახალგაზრდავ,–ბოდიშიანი კილოთი გამომაფხიზლა მოლურჯო უნიფორმაში გამოწყობილმა შეხნიერებულმა ქალმა,– უკვე დროა... მუზეუმი იკეტება.

***

ერთი შეხედვითაც იგრძნობა ფიროსმანის სრულიად განსხვავებული სახვითი ენა. არამცთუ მაშინ, დღესაც განცვიფრებაში მოვყავარ მის ერთ-ერთ ნახატს **«არწივმა კურდღელი დაიჭირა»**. თანაც ისე, რომ არწივის ჭანგებში მოტანებული სულთმობრძავი კურდღელი, მისი უმწეო სხეულიდან ჩამოკლაკნილი სისხლი და არწივის ჭანგების სიბასრე აქმეორეხარისხოვანი მგონია და იგი უფრო ბავშვებსა და გულჩვილ ობივატელებზე ახდენს დიდ გავლენას. ამ ნახატს ჩვენამდე მარტო შუას ზევითაც რომ მოეღწია, მაინც არ დაკარგავდა თავის მხატვრულ ღირებულებას.

არადა, არწივი რამდენჯერ მინახავს რა სხვადასხვა ზოოპარკში და რა სახელმძღვანელო წიგნებსა თუ ილუსტრირებულ ფერად ჟურნალ-ალბომებში! მაგალითად, «დედაენასა» და ზოოლოგიის სახელმძღვანელო წიგნებში არწივის სურათები გვამცნობს მის იერსახეს, მოყვანილობასა და ზომას. ამგვარ სტატიკურ ნახატსა თუ ფოტოსურათებს ხუმრობით თეთრი პერანგი და ჰალსტუხიც რომ მიუხატონ, ხელში შეგვრჩება ფრინველთა სამყაროს ერთ-ერთი გორიზი «დიდმოხელე!» თუმცა მფრინავი არწივის მრავალი სურათიც მინახავს, მაგრამ ეს ნამუშევრები გვიჩვენებენ არწივის რომელიმე გამორჩეულ ნიშან-თვისებას: ფრთების გაშლის მასშტაბი, მოხდენილობა, ღონიერი ბარკლები, ბასრი ჭანგები, მსხვერპლზე დაფრენის «ტაქტიკა და ტექნიკა», ბრიალა თვალები, ჟრუანტლის მომგვრელი წვერმოკაუჭებული ნისკარტი, წამოგდებული გულმკერდი, მედიდური ჯდომა და ფრენა...

ფიროსმანთან კი პირველად ვიხილე ნამდვილი არწივის პირველყოფილური **მთლიანი არწივობა**, ვინაიდან იგი დაჭერილი ჰყავს თავის ყველაზე დამახასიათებელ მომენტში. ზეაწეულ, მომშვილდულ მხრებსა და გაანჩხლებით წაძაბულ თავ-კისერში გამაოგნებლად სახიერდება მასში ჩაკუმშული მთლიანი არწივული ბუნება და სტიქია: **სისხლისმსმელობა, უკანდაუხეველი შეუპოვრობა, ბუნებით დანათლებული მტაცებლური ჟინი, საკბილოში სხვისი ჩაუზიარებლობა, სხეულში ჩაუტეველი ძალ-ღონე, ფრინველთა მეფის სახელის ცოცხალი თავით დაუთ-მობლობა...**

ერთი სიტყვით, ახლა რომ ვიხსენებ და ვუკვირდები, აზრი ასე მიყალიბდება: სხვა მხატვრებთან თუ ფოტოხელოვნებთან არწივი **დავინახე**, ფიროსმანთან არწივი **ვიგრძენი**...

***

კარგად მახსოვს, ჯერ კიდევ სამიოდე თვის სტუდენტი, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს მეორედ მალევე ვეწვიე ფიროსმანის ნახატების ხელახლა დასათვალიერებლად.

თანამშრომელი ქალი ქუთაისიდან ჩამოსულ ექსკურსანტებს ფიროსმანის შემოქმედებაზე ესაუბრებოდა. მეც მათ შევუერთდი. ჰოდა, სწორედ მაშინ მოვკარი ყური ამაღელვებელ ცნობას – მირზაანში თურმე ფიროსმანის სახლ-მუზეუმი დაეარსებინათ!!!

ელდისებური გაკვირვება-სიხარული უეცრად ახლა უკიდურესმა აღშფოთებამ შემიცვალა – როგორ არ მომწერეს ჯარში ანდა რაც სტუდენტი გავხდი, ოზაანში რამდენჯერ ვიყავი ჩასული და ეს რატომ არავინ მითხრა-მეთქი! მაგრამ ჩემი ბრმა აღშფოთება ახლა ცივ განსჯაში გადაიზარდა – კი მაგრამ, ეს ვის უნდა ეცნობებინა ჩემთვის? ანდა, ჩემი ვარაუდით, ვისაც ამის

თქმას ვავალდებულებდი, იცოდნენ ანდა აინტერესებდათ ახალდაარსებული სახლ-მუზეუმი და თან თავს მოვალედაც თვლიდნენ, რომ ეს სიახლე უეჭველად ჩემთვისაც ეხარებინათ?!

იმწუთას თვალი ამეხილა ცხოვრებისეულ მკაცრ, ერთი შეხედვით უსულგულო რეალობაზე: ყველას თავისი პირადი დღიური საზრუნავ-საფიქრალი, გასაჭირი, ვნება, მიზანი, მისწრაფება, სულიერი მდგომარეობა, გატაცება, ინსტინქტები ამოძრავებს და რაც შენთვის ძვირფასი და სასიცოცხლოა, ხშირად ეს სხვებს ჩალადაც არ უღირთ! ანდა, პირიქით! რაღა მავანთაგან მოვითხოვდი – ცხოვრებაში პირადად მეც რამდენი შემთხვევა მქონია, როცა ამხანაგებს, მეზობლებს, თანასოფლელებს, მწყემსებს, თანაპოლკელებს თუ თანაკურსელებს ჩემთვის რაღაც უკითხავთ მთელი გულმხურვალეებით, მე კი – საკუთარი საფიქრალ-საზრუნავით შთანთქმულს! – ამის შესახებ არამცთუ აზრზე არა ვყოფილვარ, გუნებაში გამცინებია კიდეც: ნეტავი ეგ რაში აინტერესებთ, ნუთუ მეტი ჭკუა და საქმე არა აქვთ-მეთქი და უკიდურესად გაოგნებული ადამიანები, რომელთაც ეგონათ, რომ რაღაცას წარმოვადგენდი, იმედგაცრუებულები დამიყრია – როგორ შეიძლება ეგ არ იცოდე ან არ გაინტერესებდეს მაინც არიო! არ მაინტერესებდა და რა ვქნა – ჰა, მომკალით!.. ჰოდა, სხვაც ხომ ასე იქნება!

იმავე კვირის პარასკევ საღამოს გავემგზავრე ოზაანში. მართალია, მაშინ რაიონის სოფლებს უკვე ადგილობრივი სამარშრუტო ავტობუსები აკავშირებდა და შემეძლო წითელწყაროდან მომავალ ზემო მაჩხაანის ავტობუსს გედიქის ხეობიდან არბოშიკზე ავლით მირზაანამდე ავყოლოდი, მაგრამ ბავშვობისდროინდელ მონატრებულ გზა-ბილიკებსა და გარემოს მოჯაყჯაყე ავტობუსზე რა გამაცვლევინებდა – ძველებურად ისევ მირზაანის გორებს შევუდექი, ოღონდ მღელვარე მოლოდინით გულატოკებული და ფიქრმიცემული.

სახლ-მუზეუმის თანამშრომელი – გამხდარი, ჭკვიანური გამომეტყველების ქალი საქმის ცოდნითა და ზუსტი სიტყვების საოცარი შერჩევით მიყვებოდა მხატვრის შემოქმედებასა და მის ტრაგიკულ ბედ-იღბალზე. სახლ-მუზეუმიდან გაბრუებული გარეთ რომ გამოვედი, უსაზღვრო სინდისის ქენჯნა დამეუფლა: ყმაწვილობისას ამ მიდამოებში რა ანგარიშმიუცემლად დავნა-ვარდობდი, ეს კი თურმე ვისი საუფლო ყოფილა!!! ამიტომ მძაფრი შთაბეჭდილებებისგან შებოჭილს ახლა მხატვრის მამაპაპეულ კარ-მიდამოში თავისუფლად გავლაც კი მიჭირდა – ნიკო ფიროსმანაშვილის უხილავი ნაფეხურებისთვის ვაითუ უნებლიეთ ფეხი დამებიჯებინა! გონებაში თავისთავად წამომიტივტივდა ოდესღაც წაკითხული, ფიროსმანისადმი მიძღვნილი ლადო ასათიანის ლექსები და მათი ყოველი სტრიქონი ახლაღა გახდა სანიშნო!

აზრებაფუტკნული ვათვალიერებდი სახლ-მუზეუმის ეზო-ყურის ყოველ კუნჭულს, შემოგარენს, მაცქერალზე ზეშთამაგონებლად რომ მოქმედებდა და საკუთარ წარმოდგენაში უცებ დავემსგავსე ხევ-მინდვრებზე უთავბოლოდ ნარბენ და სასწაულებრივად ცოცხლად გადარჩენილ გზაკვალარეულ ჯეილს, რომელმაც არ იცოდა, ეს ადგილები მავნის გენიით რომ ყოფილიყო დანაღმული!

მორჩა, დასრულდა ბავშვობისა და სიჭაბუკის განუსჯელობის წლები – ამიერიდან ყველგან და ყველაფერში მეტი წინდახედულობა იყო საჭირო. დღეის ამას იქით რომელი შემოქმედის სამყაროშიც შევაბიჯებდი, იქ უკიდურესი დაკვირვებითა და მოკრძალებით სიარული მმართებდა. თანაც, რაკი არ ვიშლიდი, თუ საფანელიც მომდევდა, მე ჩემი პიროვნული და შემოქ-მედებითი სამყარო უნდა შემექმნა...

სახლ-მუზეუმის ეზოს პირდაპირ, ხეობის პირას წამოყუდებულ ბექობზე ეულად მდგარი აკაკის ძირას მიმჯდარი, გაოგნებული გავყურებდი ოზაანს და ვერა და ვერ გამოვდიოდი ნელტკბილი ბურანიდან: აგერ, ჩვენი სერიდან ბავშვობაში თვალგაშტერებული რომ შემოვყურებდი ხოლმე მირზაანის შეუძრავ გორებს, ნუთუ მართლა აქ, აი, ამ გორებზე დაიბადა და ადრეული ბავშვობაც აქვე გაატარა მსოფლიო გენიამ?! რა წარმოუდგენელი და ძნელი იყო

ამის დაჯერება! ღვთისგან ხელდებული პიროვნებები ხომ გამორჩეულ ადგილას იბადებიან: **რუსთავი, სტრეტფორდი, მაინის ფრანკფურტი, ყვარელი, ჩარგალი, სხვიტორი, პარიზი, ფანჯრუდი, მექა, კაპრიზე, ბონი, სევილია, ალკალა-დე-ენარესი, მადრიდი, ნიურნბერგი, ისნაია პოლიანა, შირაზი, ზიგენი, კორსიკა, აიზენახი, ლეიდენი** და უცებ... არაფრით გამორჩეული, ჯაგმაგიან, დახვინჭულ გორებზე თავისთვის მშვიდად მსუფევი მირზაანი! თუმც უცებ საკუთარმა ორეულმა შემომიტია და მაგრძნობინა, შინაურ მღვდელს შენდობა მიჭირდა: კი მაგრამ, აქ ჩამოთვლილ მაგიურ ადგილთა უმრავლესობა შენ როდის გინახავს, ანდა ისინი რითი ჯობს მირზაანს?! რეგვენო, მირზაანი მხოლოდ ნიკო ფიროსმანაშვილამდე იყო არაფრით გამორჩეული, ამიერიდან კი...

დარცხვენილმა და ცრემლმოწოლილმა თვალი მიმოვავლე მშობლიურ მიდამოს და მართლა ვირწმუნე, თავის წიაღიდან სწორედ ამ მიწას უნდა ამოექანებინა ნიკო ფიროსმანაშვილისთანა გენია!..

იმ ამაღელვებელი წამების გაელვებისას ჩემს წარმოსახვაში უეცრად სულ ახლებური ელფერი დაიკრა გლობუსმა და მსოფლიოს რუკამ...

***

ფიროსმანის შემოქმედება ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა. როცა თბილისურ-სტუდქალაქური ჟარგონი და მრავალრიცხოვან ლექტორთა მეცნიერულ-კონსპექტური ენა იქამდე მიმღვრევდა ცნობიერებას, რომ უკვე შეუძლებელი ხდებოდა მოთხრობების ჩემებურად წერა და ამის გამო ოზაანელთა გამართული ქართულის მოსმენაჰაერივით მჭირდებოდა, იქ გამგზავრების საშუალება კი არ იყო, მაშინ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მივდიოდი ანდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამოვიწერდი ხოლმე ფიროსმანის ალბომს და უკვე «შინ» ვიყავი!

თვალდამშეული ვაკვირდებოდი მხატვრის მრავალრიცხოვან პერსონაჟებს და განცვიფრება-აღტაცება მეუფლებოდა. ცხადია, არა ფოტოგრაფიული მსგავსებით (ანდა, საიდან და როგორ?!), არამედ ქიზიყურ-ქართული ხასიათისა და შინაგანი ბუნების დამატყვევებელი განზოგადებით მხატვარს თითქოს სულ ჩვენებურები ჰყავდა დახატული: ღადალაანთ პართენა, კოლოტაანთ მიშო, ცანცროაანთ აბრია, კოხტაანთ ფანცქალა, ჯუმაანთ დუკა, კრიზეინაანთ გიორგი, ტანჩოაანთ იოსება, ფირაანთ ქარუმა, ოზაანთ მაკრინე, სოსიკოაანთ ბასილა, თიბელაანთ პელო, ზერგნიაანთ ქიტა, ჯოღოაანთ ზაქარა, ბალბოაანთ სირანა, კოჭლიშაქროაანთ ადამა, ქესარაანთ პაპიროზა, დუკიაანთ ბასილა, კოკლაანთ მინადორა, სიდოლაანთ ვასო, რამაზიაანთ გიორგი, სუხიტაანთ ფაშა, კოხტაანთ დოხა, ჯორკოაანთ დუნდარო, კალამაანთ ლადიმერი (და არა ვლადიმერი), ყანდაურაანთ კოლა, ოზაანთ მარგალიტა, ულაყიაანთ ვანო, მაღალაანთ მიხო, პორკლიაანთ ტასო, ქურხულიანთ ალექსა, ყიტაანთ ნიკა, კრუაანთ მოსე, ჭიოტაანთ ფორე...

ტანმძიმე ალბომში მომწყვდეულ «ჩვენებურებზე» თვალგაჩერებული მონუსხულს ვემსგავსებოდი, ვინაიდან ჩემში უცებ ისეთი რამ ხდებოდა, რაღა დავმალო და ახლა რომ ვიხსენებ, მე თვითონაც აღარ მეჯერება.

მინგრეულ-მონგრეულ ავტომობილში სიჩქარის გამოცვლისას სიჩქარის კოლოფის კბილანები საშინელ ხრიალ-ღრჭიალს რომ გააბამენ ხოლმე და რის ვაი-ვაგლახით გადაჰყავთ სასურველ სიჩქარეში, ჩემს გონებაშიც რაღაც მსგავსი რამ ხდებოდა: ქალაქური სინამდვილისგან დაძალებული, დამახინჯებულ-გადატვირთული სინტაქსის სიტყვებიც ამგვარი ავტომობილის მოფუნკული კბილანებივით ღრჭიალებდა, უკუღმართულად აგებული წინადადებებიდან ურჩად ცვივდებოდა, ერთმანეთში აღელვებულ ფუტკრებივით ირეოდა და ისევ იმავე წინადადებებში, ოღონდ ახლებური, ბუნებრივი თანამიმდევრობით ერთმანეთის გვერდიგვერდ

მშვიდობიანად ლაგდებოდა, ხოლო ზედმეტი სიტყვები დაფეთებულ ღამურებივით საითკენღაც ალალბედად მიფრინავდნენ და უჩინარდებოდნენ!..

ასეთ დროს მეც ვმშვიდდებოდი და გული კვლავ მოთხრობების საწერად მიმიწევდა.

***

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 1969 წელს, მშობლიურ რაიონს დავუბრუნდი და საზოგადოება «ცოდნის» რაიონული განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად დავიწყე მუშაობა. ეს კი თითქმის ფიროსმანის სამყაროში გადასახლებას ჰგავდა თუნდაც მარტო იმ გაგებით, რომ «ცოდნის» ხაზით ჩამოსული ლექტორები თუ პარტრაიკომისა და რაიაღმასკომის ათასნაირი რანგის თბილისელი ოფიციალური სტუმრები – რაკი არ სურდათ ზედგამოჭრილი შემთხვევის ხელიდან გაშვება! – ბარემ (ო, ეს ბარემ!) მირზაანში გასეირნებასა და ფიროსმანის სახლ-მუზეუმის ნახვასაც ითხოვდნენ!

როგორც ახალგაზრდა მწერალს, ფიროსმანის შემოქმედების მოტრფიალეს და უფროსების აზრით, თანაც ყველაზე «მოცლილ» მუშაკს, საგანგებოდ შედგენილ ესკორტს უფრო ხშირად მე ანდა მეც გამაყოლებდნენ ხოლმე.

რაკი სახლ-მუზეუმის თანამშრომლებისგან ფიროსმანზე ყველაფერი მოსმენილი მქონდა, თან უკიდურესად მთრგუნავდა ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ბიუროკრატ-ფუნქციონერის მიერ უადგილოდ დასმული როყიო შეკითხვები და თვალების უაზრო ბლატუნი, ისე მოვახდენდი ხოლმე, მე გარეთ დავრჩენილიყავი. ოღონდ კი იმნაირად, რომ არავისი – არც მუზეუმის თანამშრომლების და არც «მაღალი» სტუმრის თავმოყვარეობა არ შელახულიყო. ჰოდა, სანამ ისინი საუბარს ისმენდნენ და ექსპონატებს ათვალიერებდნენ, მანამ მე ჩამაფიქრებელი კუთხე-კუნჭულებით მოჯადოებულ ეზო-ყურეში დავაბიჯებდი და ჩემებურ ფიქრებს ვეძლეოდი...

იმხანადვე გავიცანი სახლ-მუზეუმის დირექტორი **ანზორ მაძღარაშვილი**, რომლის კეთილმა ბუნებამ, ერუდიციამ და გენიოსი მხატვრისადმი მოწამებრივმა თავდადებამ მირზაანში ყოველი სტუმრობა ჩემთვის უფრო მიმზიდველი გახადა.

ორიოდე წლის შემდეგ რაიგაზეთ «ახალი შირაქის» რედაქტორის მოადგილედ გადამიყვანეს. ახლა უფრო მეტად დავუკავშირდი ფიროსმანის სამყაროს. ჯერ ერთი, თუ პარტრაიკომის ესა თუ ის თანამშრომელი საჭირო დროს ადგილზე არ აღმოჩნდებოდა ანდა მეტისმეტად დაკავებული იყო, ზოგჯერ ისევ მე მეძახდნენ ხოლმე საპატიო სტუმრების მირზაანში წასაყვანად და, რაც მთავარია, ჩვენს გაზეთში დასაბეჭდი ფიროსმანის შესახები ყველა წერილის გასწორება მე მიხდებოდა...

სწორედ მაშინ, 70-იანი წლების პირველ ნახევარში ჩაეყარა საფუძველი მირზაანში ფიროსმანის დიდი მემორიალის მშენებლობას, რომელიც 1979 წელს გაიხსნა...

1976 წელს საცხოვრებლად თბილისში გადავედი. ერთი შეხედვით ამით ფიროსმანის სამყაროს თითქოს უნდა მოვწყვეტოდი, მაგრამ პირიქით მოხდა – ახლა ჩემში ამ სამყაროს ორივე მონაკვეთი გაერთიანდა და გამთლიანდა! თუ ოზაანში ჩავიდოდი და მომეწყურებოდა, ძველებურად გედიქის ხეობიდან გორიგორ ავიდოდი მირზაანში და უკვე ფიროსმანის საუფლოში ვიყავი! თუმცა ჩემი ასაკისა და პროფესიის კაცისთვის წარამარა, წინმოუფიქრებელი სიარულიც აღარ არის აუცილებელი. ჩვენი სახლის აივანი და მეორე სართულზე მდებარე ჩემი საძინებლის კარ-სარკმლები პირდაპირ მირზაანისკენ არის მიქცეული. საკვირველია ასეთი

დამთხვევა: დილით თვალი რომ გამეხილება, განძრევაც კი არ არის საჭირო – სასთუმლიდანვე მოჩანს შემინული კარის ერთ-ერთ ალათაში შედევრულ ნახატივით ჩასმული, ცის ფონზე აღმართული მირზაანის ალავერდის ეკლესია, ხოლო მარჯვენა სარკმელში უცვლელად დაუდვია ბინა შვეულად გვერდებჩამოწახნაგებულ, უზარმაზარ აისბერგს დამსგავსებულ ფიროსმანის მემორიალურ თეთრ შენობას და თავხუჭუჭა აკაკს, დღიდან გაჩენისა დილის მზისადმი მუდმივი ლტოლვისაგან აღმოსავლეთით საგრძნობლად რომ გადასძაბვია დაბურული ვარჯი...

ოზაანის ტყეების სამარხილე წელფერდას შევუდგები და ზემოვაკიდან ხელისგულივით მოჩანს გორებზე დაფენილი მთელი მირზაანი! საკმარისია თვალის გადავლება და ოცნების კოშკები თავისთავად იგება – წარმოსახვით უკვე იქა ვარ და ეზოში ფეფოსთან ერთად მოთამაშე, თუმც ბავშვურ ფიქრებში წასული პატარა ნიკალა მეზმანება...

თბილისია და ეს იყო მხატვრის ერთადერთი და უკანასკნელი ნავსაყუდელი. ამ ქალაქის რამდენიმე უბანში ცხოვრობდა, ხატავდა, უყვარდა, იტანჯებოდა... აქვეა ეროვნული ბიბლიოთეკა და რაც კი რამ მასზე დაწერილ-დასტამბულა, ყველა საკატალოგო მონაცემი სამოქალაქო განათლების დარბაზის კატალოგების [1]749 უჯრაშია ჩარაზმული.

ასევე თბილისში, რკინიგზის ვაგზლის გვერდით, ფიროსმანის (ყოფილი მალაკნების) ქუჩის [1]29-ია მოთავსებული ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმი.

სადა მემორიალური დაფა იუწყება.

ამ სახლში ცხოვრობდა

1917-1918

გამოჩენილი ქართველი მხატვარი

ფიროსმანი

(ნიკო ფიროსმანაშვილი)

«ამ სახლში ცხოვრობდა!» ღმერთო, რა დამამშვიდებელ-ცივილიზებულად და ამავე დროს თან რა დამცინავად ჟღერს ეს მშვენიერი ფრაზა სვეკრული მხატვრისადმი, რომელიც აგურის სამსართულიანი **«ამ სახლის»** რომელიმე სართულის ერთ-ერთ ბინაში კი არ **«ცხოვრობდა»,** არამედ ნივთიერი სიდუხჭირის გამო სამადლოდ ჯერ ვიწრო კიბის ქვეშ იყო თავშეფარებული, მერე კი, იქიდანაც გამოძევებულმა და დასაღუპად განწირულმა, თანაც დასუსტებულ-დაძაბუნებულმა, მშიერ-მწყურვალმა და სიცხიანმა, ამავე სახლის ბნელ, ნესტიან, დანაგვიანებულ ერთ-ერთ «თავისუფალ სარდაფში» ჩაბობღების მეტი ვეღარაფერი შეძლო!

როგორც მკვლევართა ლეგენდისმაგვარი გადმოცემები მოგვითხრობენ, აღდგომის წინა დღეს იღბლად სარდაფში რაღაცისთვის ჩასულ ამავე სახლის მოურავს, ცალფეხა მეჯღანე **არჩილ მაისურაძეც**, კვნესის ხმას გაყოლილი, შემთხვევით წასწყდომია თავზე მომაკვდავ მხატვარს, იმ სიბნელეში მისუსტებული ხმითღა უცვნია და იმასსინათლეზე, თორემ, ვინ იცის, ვირთაგვების საჯიჯგნი გახდებოდა!

სახლთუხუცესს ეტლი მოუყვანინებია და რაკი თვითონ მოუცლელი ყოფილა, მომაკვდავი საავადმყოფოში **ილია ანდრიას ძე მგალობლიშვილისთვის** გაუტანებია, სადაც დღენახევარში გარდაცვლილა კიდეც...

ჭკვაგარკვევით დღესაც არავინ იცის, მხატვარი რომელ – არამიანცის თუ მიხაილოვის – საავადმყოფოში მიიყვანეს, ანდა სად არის დასაფლავებული.

თავი მეხუთე

ფიროსმანის ეს მუზეუმი ბედისწერად მექცა. დროდადრო, როცა მხატვრის სამყარო და მისი სვე-ბედის განცდა მომენატრება, თვალშესავლებად ხომ ისედაც ვეწვევი ხოლმე, მაგრამ თუ რკინიგზის ვაგზლის სიახლოვეს მოვხვდი, პაპანაქებისგან ილაჯგაწყვეტილიც რომ ვიყო, სიცივე ძვალ-რბილში ატანდეს, ანდა შიმშილისაგან თვალბრჭყვიალა მეხვეოდეს, მაინც არ მანებებს გული – გზას ვიმრუდებ და მაგიური ადგილისკენ მივეშურები.

ნაბიჯდამძიმებით გადავჭრი აყაყანებულ, სავაჭრო ჯოჯოხეთად ქცეულ ვაგზლის მისადგომებს და უკვე ფიროსმანის ქუჩაზე ვარ.

შიგნით, მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში აღარ შევდივარ ხოლმე, რადგან უკვე კარგად ვიცნობ იქაურობას. თან მეხათრება, ჩემი წარამარაობით თავი არ მოვაბეზრო მუზეუმის თანამ-შრომელ მანდილოსნებს. ისიც მეყოფა, აქ ერთ-ერთი სტუმრობისას **ანზორ მაძღარაშვილმა** 1996 წლის 3 თებერვალს თავისი წიგნი **«ფიროსმანის გარშემო»** რომ მისახსოვრა გულთბილი ავტოგრაფით.

შენობა და მისი შემოგარენი უფრო მნუსხავს. მუზეუმის პირდაპირ, ერთსართულიანი, დაბალი, გრძელი, უსახური შენობის კედელთან, ზედ ტროტუარზე ატუზული გარინდებული დავუწყებ ხოლმე ყურებას აგურის ძველებურ, 1880 წელს აგებულ სამსართულიან სახლს – ასე მგონია, მისი იდუმალი სადარბაზოდან თვით ნიკო ფიროსმანაშვილი თუ არა, მისი ლანდი მაინც გამოიხედავს!.. თავს ძალას ვატან, წარმოვიდგინო, სარდაფიდან ახალამოყვანილ მომაკვდავ მხატვარს ეტლში როგორი გაჭირვებით სვამენ საავადმყოფოში წასაყვანად!.. ყველაფერი მეჯერება და თან არც მეჯერება – ნუთუ მართლა სწორედ აქ მოხდა?! უკან წამოსვლის დრო რომ დადგება, გული მაინც არ მიმიწევს შინისკენ: ახლა ამ სახლის რომელიმე ბინადართან გამოსაუბრება მომეწყურება – იქნებ რამე ახალი გავიგო... ანდა აღმოვაჩინო! თუმცა ეს მხოლოდ სნეული ფანტაზიის ცდუნებაა: ახალი რაღა უნდა გავიგო!.. ანდა მე რის აღმომჩენი ვარ!.. ისევ ის ჩამდუმარებული შენობა, ძველებური, რკინის ორნამენტებიანი პატარა, ღია აივნები და ყოველთვის მაგრად დაგმანული, ფარდებგაფარებული ვიწროსარკმლები!.. ერთი სული მაქვს ხოლმე რომელიმე ღია სარკმელში წამიერად მაინც მივატანო თვალი აქაურ მობინადრეს. მაგრამ თითქოს ჯიბრზე, როცა უნდა მოვიდე, სარკმლები მუდამ საიმედოდ დაგმანული მხვდება. ეს, ალბათ, ასეც უნდა იყოს: ზამთარ-ზაფხულს სიცივესა და სიცხეს უფრთხიან, წლის ყველა დროს კი დღედაღამ მოძრავი ტრანსპორტის გუგუნ-გამონაბოლქვსა და ზედ მომდგარი გარევაჭრობის ღრიანცელსა და ხათხათ-ჯიყჯიყს... ეტყობა, შიდა ეზოდან იბრუნებენ სულს და ინიავებენ ჰაერს!

ჰოდა, თუკი ასე მინდა, ბარემ შევიდე შენობის იტალიურ ეზოში და მობინადრეების მეტს რას დავინახავ! მაგრამ არა – სარკმლიდან გადმომზირალი ადამიანი სულ სხვა მიმზიდველობასა და იდუმალებას ასხივებს!.. ვინ ცხოვრობენ ახლა ამ სახლის ბინებში? ნეტავი ფიროსმანისდროინდელი რომელიმე ძველი ბინადრის დინასტიური შთამომავლობა ცხოვრობსღა აქ? თუ დროტიალმა მათი ნაჯიშევი კვალმიუგნებლად მიქსაქს-მოქსაქსა! ან თუნდაც რომელიმე ან რამდენიმე მათი წიბო ცხოვრობდეს კიდეც, ეს რას მომცემდა? არაფერს!.. ანდა, ამ სახლის ბინადარნი რას განიცდიან: სიამაყეს, უხერხულობას, რაიმე დამატებით ზნეობრივ ვალდებულებებს, ზეშთაგონებას, შებოჭილობას, სიმხნევეს, ღამეულ კოშმარებს,

რაიმე ხილვა-ზმანებებს... თუ ესეც კი გააკვირვებთ – მსგავს რაღაცეებს რატომ უნდა განიცდიდნენ?

ეჰ, რანაირია ბედის ტრიალი: ჰაერკამკამა მირზაანის მაღალი ცის ქვეშ დაბადება და თბილისში, რკინიგზის ვაგზლის გვერდით, მალაკნების ქუჩაზე, გაყინულ, ბნელ სარდაფში საწუთროსთან გამოსალმება... მუზეუმში პირველი სტუმრობისას რომ შევიტყვე, ქირის გადა-უხდელობის გამო ცივი, ვიწრო კიბის ქვეშიდან გამოძევებულ, ყველასაგან განწირულ მხატვარს ახლა ამავე სახლის ერთ-ერთ «თავისუფალ სარდაფში» დაედო ბინა, მისი ნახვაც მომინდა – გულუბრყვილოდ მწამდა, თვით ამ სარდაფსაც ექნებოდა პაწია, მაგრამ მრავლისმეტყველი მემორიალური დაფა: **«აქ, სწორედ ამ სარდაფში...»**, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! მუზეუმიდან რომ გამოვედი, მაინც არ მომითმინა გულმა: შიდა ეზოს მივაშურე და სრულიად ალალბედად, შენობის მარცხენა ფრთაზე, ერთადერთი, უკარო ჩასასვლელით, რომელსაც აგურის, ოღონდ ცემენტით უხეიროდ თავგადალესილი რვასაფეხურიანი ოვალური კიბე აქვს, სახლქვეშ ჩავედი.

ჩემს სიცოცხლეში მსგავსი სასარდაფო სისტემა მანამდე არსად მენახა! ნახევრად ბნელი, ნაგვიანი, შენობის მთელ სიგრძეზე ლარივით გაჭიმული, ტროტუარს დამსგავსებული დერეფანი საიმედოდ ბოქლომდადებულ 13 სარდაფს აერთიანებს!!! დერეფნის სიგანე 1,5 მ-ია, სიმაღლე – 2,40 მ., სიგრძე – 26 მეტრი. მოდი და ახლა გაარკვიეთ, ამ 13 სარდაფიდან მაშინ რომელი იქნებოდა ის ერთ-ერთი **«თავისუფალი სარდაფი»**, რომლისთვისაც ულუკმაპუროდ დარჩენილ, დასნეულებულსა და ილაჯგაწყვეტილ ფიროსმანს 1918 წელს თავი შეეფარებინა!

ობისსუნიანი სარდაფის დერეფნის ბოლოში აგურის, აგურის ნამტვრევის, ღორღის, სამშენებლო და დალეწილი საოჯახო ხარახურის გაქვავებული ბორცვი დგას. 1922 წელს არჩილ მაისურაძეს აქ გიორგი ლეონიძე რომ ჩამოუყვანია, ეს უკანასკნელი წერს.

«ირგვლივ ეყარა აგურის ნამტვრევები, მავთულის ნაწყვეტები და ღორღი».

ნეტავი ეს აგურ-ღორღი მაშინდელია თუ მერმინდელი?! გულისტკივილით გამახსენდა 1987 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოგზაურობისას ნანახი მოკავშირე ჯარისკაცთა განსაცვიფრებელი სიფაქიზით მოვლილ-ამწვანებული იმოდენა სასაფლაოები. გერმანელები თავიანთ დამაქცევლებსაც კი არ აკლებენ ადამიანურ სითბოსა და პატივს! ჩვენ კი გენიოსი მხატვრის უკანასკნელი სამყოფელი... ეეეჰ! აქაურობას ხომ სულ კრიალი უნდა გაუდიოდეს, ნიადაგ სანთელი გვენთოს და სულ მუდამ ცოცხალი თუ ვერა, შემჭკნარი ყვავილები მაინც ეწყოს ნიშნად იმისა, რომ არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული!.. ანდა, სარდაფის მოვლა-შეფობა ამ სახლის ნორჩ მობინადრეებს ნუთუ საამაყოდ არ უნდა მიაჩნდეთ და ერთმანეთს ეჯიბ-რებოდნენ?! მაგრამ გაგიგონიათ?! რა ვქნა, ერთხელ მე თვითონმოვიყვანო მუშები, თვითმცლელი და აქაურობა ისე დავაკრიალო, ერბო აიკრიფებოდეს?! მაგრამ ჯობია, ჩემთვის ვიყო, თორემ უსულგულობის დენთით დატენილ ობივატელებთან შეიძლება სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება მომიხდეს, რაც არაერთხელ მიწვნევია – შენ ვინა გდიხარ, აქ რა გესაქმებაო!..

მსხვილ-მსხვილი ბოქლომებით დაკეტილი ამ სარდაფების მონახულება ღამის მოთხოვნილებად მექცა. 2010 წლის 22 აგვისტოს, კვირადღეს, 15 საათსა და 27 წუთზე აქ შემთხვევით შევეჩეხე ფიროსმანის სახლ-მუზეუმის დირექტორს, **ანზორ მაძღარაშვილს**, რომელმაც მაშინვე ჩამიყვანა მარცხენა ფრთის სახლქვეშ და მიჩვენა ფიროსმანის სარდაფი...

რაკი ეს სარდაფი დავიგულე, გული ახლა უფრო ისეთი ამბით გამწევს ხოლმე, თითქოს ეგ არი...

თუ სარდაფების პირისპირ დავდგებით და ჩაბნელებული დერეფნის მარცხენა ბოლოდან გადმოვითვლით, ფიროსმანის სარდაფი მე-7 იქნება. კრემისფერი რკინის კარს მძიმე ბოქლომი ადევს. კარის სიგანე 65 სმ-ია, სიმაღლე – 1,70 მეტრი.

სქლად ჩამტვერილი აბლაბუდეების ჰამაკისებურ ფარდებში გახვეული, ალაგ-ალაგ ფიცარნაკლული ჭერი სულ მთლად დააფრაკებულია. დაყანდებული, თვალშისაცემად გამოხრული ხის კოჭებიდან კილი იცრება... აქამდე ჩამოისმის პირველი სართულის ბინადართა ფეხსაცმლების ფლახუნ-ჩლატუნი და ჩვეულებრივი ოჯახური ჯღლიყინი...

***

მიუხედავად იმისა, ეზოში მოსაქმე და აივნებზე გადმოყუდებული მობინადრეები ეჭვის თვალით დამიწყებენ ხოლმე ყურებას – ვინ არი ეს კაცი, მანდ რას ეძებსო! – როცა მუზეუმის თვალდასაკრავად მივდივარ, უეჭველად სახლქვეშაც ჩავდივარ. მდუმარედ ვაშტერდები საკონცენტრაციო ბანაკის კრემატორიუმების მაგრად დაგმანულ ღუმელებს მიმსგავსებულ სარდაფების გრძელ მწკრივს და აშლილი ფიქრები მე აღარაფერს მეკითხება: ნეტავი თავსასთუმლად რა ედო... იმ ყიამეთში ქვეშ რა ეგო... ან ზევიდან რა ეხურა?.. ნუთუ არავინ...

და აქ ერთმანეთს უთვალავი **«ნეტავ»** და **«ნუთუ»** ენაცვლება!..

ნუთუ არჩილ მაისურაძისა და ილია მგალობლიშვილის ფოტოსურათებზე მაინც არავის უნდა ეზრუნა – ესეც ხომ ერთგვარი გულმოსაფონებელი იქნებოდა, თვალი შეგვევლო იმ ადამიანთა სახეებისთვის, ვინც მომაკვდავი ფიროსმანი ამ ჯურღმულიდან ამოიყვანა, ეტლი დაუქირავა და რომელიღაც საავადმყოფოში წაიყვანა?! ან ნეტავი ვინა და რანაირი გარეგნობის იქნებოდა მეეტლე? ანდა განგებამ ისე როგორ გაგვწირა, რომ ნახატების ნაწილის გარდა, ფიროსმანის ნაქონი ან სიკვდილის წინ ხელშენავლები ერთი ობოლი პირადი რამ სახსოვარი მაინც არაფერი გამოიმეტა: გვერდებგამოგლეჯილი მუთაქა, კონკები, პირსახოცის ნაგლეჯი, გაბზარული სასაპნე, პატრუქდამწვარი, ამომშრალი ლამფა ან კელაპტრის ნამწვავი, ასანთის კოლოფი, ქამრის ნაწყვეტი, გატეხილი თეფში, ტარდაგრეხილი თითბრის კოვზი, სამარილედ გამოყენებული რაღაც კოჭური, თითმოტეხილი ჩანგალი, ალუმინის ფინჯანი, ფრჩხილის საკვეთი ჯაყვა, კბილებნაკლული სავარცხელი, სარკის ნამსხვრევი, პურის ნატეხის შესადები ყუთი ან კოლოფი, ტუჩმოტეხილი ჭიქა, ანაწყვეტი ღილი, წყლის ბოთლი თუ ნიტრა, გაცვეთილი ფუნჯი, საღებავშემხმარი ჯამი...

დახშული ეზოს გოგო-ბიჭების ზრიამული, ჯანღონიანი დიასახლისების მიერ ლეიბების მხეცური ბერტყვა-ბასტუნი თუ აივნებზე უსაქმოდ გადმოყუდებული, თარსი ბავშვების მტუქსავი, ჟინაქაფებული დედების პოზიორული ძახილძუხილი გამომაფხიზლებს და ნესტიანი ბნელეთიდან ისევ სააქაოზე ამომიყვანს ხოლმე: ეჰ, ჩემი ამგვარი ფიქრები თვითგვემაა და მეტი არაფერი!.. მაშინდელმა ამბებმა და მოვლენებმა დიდი ხანია, რაც ქაოსებს მიღმა გადაიქუხა და მავანთა მოუაზრებლობამ, წინდაუხედაობამ, მოუცლელობამ, ხელმოკლეობამ, შურმა, დაუდევრობამ, გულგრილობამ და სასტიკმა ადამჟამობამ ის ყველაფერი დავიწყებასა და უკვდავებაში მიმოაბნია...

***

უნივერსიტეტის სტუდენტი რომ გავხდი და ფიროსმანის შემოქმედებით მოვიხიბლე, რაც კი მხატვარს ეხებოდა, ყველაფერს თავდავიწყებით ვკითხულობდი, ვისმენდი, ვუყურებდი და ამით გულწრფელად ვნეტარებდი – ჩემს სათაყვანო შემოქმედზე ცოდნას ვიმდიდრებ და თანდათან ვსრულყოფ-მეთქი! მოგვიანებით ჩემში თავისთავად მოხდა თვითგამორკვევა და მოულოდნელად განსაცვიფრებელი, თუმც თვითრწმენის მომგვრელი რამ აღმოვაჩინე: მე რომ მეგონა, ფიროსმანის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ წვრილმან-მსხვილმანს უკრიტიკოდ ვიღებდი და ვინახავდი, ქვეშეცნეულად ჩემი საზრისი თურმე მხოლოდ შავ მასალად იყენებდა, რომელსაც გონების ქურაში მადანივით ადნობდა, წიდას განზე ყრიდა, ხოლო იმ ნამცეცებს, რაც ბაჯაღლოს კრისტალებად ეჩვენებოდა, საგანგებოდ ცალკე აწყობდა!!!

თავი დავანებოთ იმას, რომ ფიროსმანთან დაკავშირებულ ზოგიერთ ერთი და იმავე რაღაც ამბავსა თუ შემთხვევას სხვადასხვა მთხრობელი სულ სხვადასხვანაირად გადმოგვცემს. თუმცა, უნდა ითქვას, მსგავსი ნაკლი ამ ჟანრის განუყრელი და განუკურნებელი სენია. აქ სამწუხარო ის არის, რომ ფიროსმანზე მწირ მოგონებებს აშკარად ეტყობა ზედაპირულობა, ფრაგმენტულობა, ამბების, მოვლენების, თარიღებისა და შემთხვევების ალალბედური, სასხვათაშორისო ერთფეროვანი გახსენება, საკვლევ საგანში ბოლომდე გაუთვითცნობიერება და მისი მნიშვნელობის მასშტაბების მიუწვდომლობა, ანალიტიკური ჭკუა-გონებისა და ინტე-ლექტუალური დაკვირვება-დასკვნების უქონლობა, თხრობის სიმშრალე და პრიმიტიულობა... უნიკალური გენიის მატარებელი შემოქმედის შეფასება თავისი დუქნუკას ინტერესების თვალსაწიერიდან თუ სავსე რუმბების «მწვერვალებიდან!»

თუმცა ან სხვა რისი იმედი უნდა გვქონდეს მიკიტან-მედუქნეების, სირაჯებისა და ყასბების, როცა ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიას არაერთი მაგალითი ახსოვს: წლების განმავლობაში მეზობლად ანდა სულაც ერთ ჭერქვეშ ნაცხოვრები ორი დიდი შემოქმედიდან ერთ-ერთი მათგანის მიერ მერე მეორის გულწრფელი შეფასება-დახასიათება გამომდგარა ცალმხრივი, განსაცვიფრებლად მცდარი! და თუ აქ ჩამოთვლილთა მოგონებები ფიროსმანზე მაინც გვეძვირფასება, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მათზე უკეთესი სხვა არაფერი მოგვეპოვება!

ნურვინ იფიქრებს, აქ ჩამოთვლილ სოციალური ფენის წარმომადგენლებს – მედუქნეებს, მიკიტნებს, სირაჯებსა და ყასბებს აგდებით ვეკიდებოდე. არამც და არამც! მეც მესმის, რომ ისინი უბრალო ხალხის წიაღიდან იყვნენ გამოსულები და კარგად ეცნობებოდათ ის გარემო, სადაც ტრიალიუწევდათ. ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ მათ ყველა ის თვისება ექნებოდათ, რაც აუცილებელი იყო თავ-თავიანთი საქმის წარმატებით გასაძღოლად: ვაჭრულ-ჩარჩული ბუნება, ქეიფის მსურველთა გუნება-განწყობილების ამოცნობის ალღო, სხარტი ჭკუა-გონება, მოხერხებულობა, მომჭირნეობა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, ფხიანობა, ეშმაკობა, ანგარიშიანობა, გაიძვერობა, სარისტიანობა, მარიფათიანობა... წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეს თავს ვერ გაართმევდნენ და ეს ჯალაბშესანახი ხალხი მშრალზე დარჩებოდა! მაგრამ რაც უნდა იყოს, მათი ჭკუა-გონება მაინც ვაჭრულ-მიკიტნურ აღებ-მიცემობის, მოგება-წაგების თარგზე იქნებოდა გამოჩარხულ-ნავარჯიშევი და არა რომელიმე შემოქმედისა და მისი ნამუშევარ-ნაწარმოებთა შესაფასებელ-დასაფასებლად. ამიტომ როცა რომელიმე მათგანი რამე საგანთან დაკავშირებით ფიროსმანის ნათქვამს ან ნამოქმედარს იხსენებს, ეს სახარებასავით არ უნდა მივიჩნიოთ მხატვრის შეხედულებისა თუ ბუნების დამახასიათებელ უცილობელ ნიმუშად.

«რატომ ვითომო?» – იკითხავს ზოგიერთი. აი, რატომ! ფიროსმანი როდი იყო, ვთქვათ, მრავალოთახიან ბინაში დავანებული, მოსამსახურეებით გარსშემოკრული ვაიმარის სასახლის მრჩეველი, **იოჰან ვოლფგანგ გოეთე** (1749-1832), ხოლო გაუნათლებელი მიკიტანი – ცნობილი გერმანელი ლიტერატორი, გარკვეულ წლებში გოეთეს პირადი მდივანი, **იოჰან პეტერ ეკერმანი** (1792-1854), რომელიც საგანგებოდ ამისთვის დანიშნულ დღესა და საათების განმავლობაში გერმანული პუნქტუალურობით იწერდა დიდი შემოქმედის წინმოფიქრებულ და მისხლობრივ აწონილ-დაწონილ აზრებსა და შეხედულებებს!

თბილისს ბედისწერულად თავშემოფარებული ფიროსმანი ყოფილა ობოლ-ეული, ღარიბ-ღატაკი, უმეგობრო, უხელობო, «თვითრჯული», ბუნებით სუფთა, «ტვინდასეტყვილი», მორცხვი და მორიდებული, უცოლშვილო, უსახლკარო კაცი. აბრებისა და დუქნის კედლების მოხატვის საფასურად ამ უბედურ «მალარს» მიკიტნები აჭმევ-ასმევდნენ და თუ სადმე ერთი ბნელი კუთხე-კუნჭული მოეძებნებოდათ, ღამესაც იქვე ათევინებდნენ, აქეთ-იქით ყიალს რომ არ მონდომებოდა და საქმეს დროზე მორჩენილიყო!

როგორც ნებისმიერ ადამინს, ცხადია, ფიროსმანსაც ექნებოდა ღვთისაგან დანათლებული თვითგადარჩენის თუგინდ პაწაწკინტელა ინსტინქტი და, ალბათ, კარგად ესმოდა: საკმარისი იქნებოდა რაიმე «არასწორი» სიტყვა ან ნაბიჯი და უბედურებაც არ დაიგვიანებდა – თითო-ოროლა მუშტარ-შემკვეთი შემოფრთხებოდა და ლუკმაპურისა და ხატვისთვის აუცილებელი მასალის საყიდელი ბუჩუყიც გაუწყდებოდა, თან სამიკიტნოს ბნელ კუნჭულსაც დაკარგავდა და ზამთრის ერთ ყიამეთიან დილას შეიძლება მეეზოვეს იგი სადმე ხიდქვეშ ან სანაგვეზე გაყინულ-გაფიჩხებული ეპოვა (რაც ბოლოს დაახლოებით მაინც ასე მოხდა!).

აქ უპრიანი იქნება ილია ზდანევიჩის დღიურიდან ერთი პასაჟის მოყვანა. 1913 წლის 27 იანვარს მისთვის ფიროსმანს აი, რა უთქვამს.

«აი, ესენი (მიკიტნები და შემკვეთები. ჯ. მ.) კი ჩემს სურათებს სულ აფუჭებენ. მაგალითად, ამ სურათზე კურდღელია დახატული. რა საჭიროა კურდღელი, ვის რაში სჭირდება, მაგრამ ვინც შემიკვეთა, მთხოვა: **«ჩემი ხათრით დახატე კურდღელიო».** მეც ვხატავ. **ჩხუბი არ მინდა!»**

აქ გენიოსის ენა-პირით უკვდავი ფრაზაა წამოცდენილი **«ჩხუბი არ მინდა!»**

მერედა, ვინ ამბობს ამას: «თვითრჯული», «ტვინდასეტყვილი», «ახირებული», კერპი, თავმოუხრელი, ტიპური ჯიუტი ქიზიყელი, ვისაც თავისი ქიზიყური პირდაპირობა და უკანდაუხევლობა არაერთხელ გამოუმზეურებია ქალანთაროვებისა და ხანკალამოვების ოჯახებში ცხოვრების დროს თუ მხატვარ გ. ბაშინჯაღიანთან, რკინიგზაზე მუშაობისას, ვაჭრობის წლებში თავის კომპანიონებთან... მაგრამ მარტოსული და უასპარეზო მხატვარი გრძნობს, რომ ახლა იგი მარტო გამოცვეთილი მიკიტან-მედუქნეთა და საკუთარი სიღატაკის კი არა, არამედ გაუნათლებელი, გაყრუმუნჯებული, უმეცარი საზოგადოების ტყვე-მძევალიც არის და ამგვარ პირობებში მასთან ჩხუბს არავითარი **აზრი** და **შედეგი** არ ექნება! გენიალური შემოქმედი თავისი შეუმცდარი ალღოთი ზუსტად გუმანობს – **უმეცრობადიდი ძალაა, რომელსაც ასე ადვილად ვერაფერს დააკლებ!!!** ამიტომ ერთადერთი გონივრული გზაღაა დარჩენილი – გმირული **რეზინიაცია**[2], როგორც, მაგალითად, ამას ვაიმარულ პერიოდისას მიმართა მტრულ ცხოვრებისეულ გარემოცვაში მოტანებულმა მარტოსულმა გოეთემ და შედევრები შექმნა!

თუ რა აუტანელ, სულ ავისა და უარესობის მომასწავებელ ფსიქოლოგიურ წნეხში უხდებოდა ფიროსმანს მედუქნეებთან ყოფნა-ცხოვრება და მუშაობა, ეს შემაძრწუნებელი სიცხადით იხატება მის მიერვე ილია ზდანევიჩისადმი გულდანდობილად გამჟღავნებულ ერთ-ერთ ფრაზაში. მოუსმინეთ.

---

[2] **რეზინიაცია** (ფრანგ.) _ ბედის დამორჩილება უსიტყვოდ, უდრტვინველად.

«ოთახს რომ მომცემდნენ, სადაც შეიძლებოდა მუშაობა, ტილოც რომ მქონდეს, ერთ თვეში ათ-თხუთმეტ სურათს დაგიხატავდით... სურათების შემკვეთები ძალზე უმეცრები არიან... **იმას, რომ ოთახი მჭირდება, ნურც ერთ მედუქნეს ნუ ეტყვი».**

«იმას, რომ ოთახი მჭირდება, ნურც ერთ მედუქნეს ნუ ეტყვი!» – ეს ერთადერთი უკვდავი ფრაზა ფიროსმანის ცხოვრებაზე დაწერილ მთელ გამოკვლევებს გადაიწონის, რომელიც შემაძრწუნებელი ამომწურავობით გვისურათებს კოლონიური უღლისგან დაჩაგრული ერის შეგნების დონეს, ცივილიზებულად ჯერ ჩამოუყალიბებელ ბნელ საზოგადოებას და მასში მცხოვრები შემოქმედის დაძაბულობას, სივალალეს და უნუგეშობას! თანაც რა პირადი ღირსების შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო თავისი პროფესიული ოსტატობის მწვერვალზე მყოფი 51 წლის გენიოსისთვის ამგვარ საჩოთირო სივალალეს ასე მოურიდებლად რომ ანდობდა სრულებით შემთხვევით ახალგაცნობილ ოციოდე წლის ყმაწვილს! თუმცა ამგვარი საიდუმლოს გამჟღავნებაშიც იმავდროულად რამხელა ადამიანური სითბო, ნდობა და იმედია ჩაქსოვილი – ფიროსმანი გრძნობს, რომ მისი შემოქმედებითა და პიროვნებით უანგაროდ დაინტერესებული განათლებული ყმაწვილკაცი არ გაწირავს და ამგვარ სამკვდრო-სასიცოცხლო საიდუმლოს ბოლომდე პატიოსნად შეუნახავს!

ახლა ერთი ესეც ვიკითხოთ: კი მაგრამ, ი. ზდანევიჩს მხატვრის ეს გულისნადები რომელიმე მედუქნისთვის კიდეც რომ გაემჟღავნებინა ანდა უნებლიეთ წამოსცდენოდა, ამით ვის რა ზიანი მიადგებოდა?! პირიქით, ეს ყველასთვის უფრო ხელმოსაცემი არ იქნებოდა: მედუქნეებს ერთი «მუქთამჭამელი», ჩამოკონკილი, უპასპორტო ბოგანო მდგმური მოშორდებოდა და პოლიტიკური დაძაბულობის გამო ხშირ-ხშირი შემოწმებისას პოლიციასთან დავიდარაბასაც აიცდენდნენ! ხოლო თუ ფიროსმანი ნანატრ ოთახს ელირსებოდა, მაშინ მოყაყანე დუქან-სამიკიტნოების ნახევრად ბნელი კუნჭულიდან იქ გადაბარგდებოდა და სავარაუდოა, რომ ცხოვრებისა და მუშაობის შედარებით უკეთესი პირობების წყალობით დუქნების აბრებსა და კედლებს უფრო მაღალი დონისა და ხარისხის ნახატებით დაამშვენებდა!

ჰმმმ!!! მაგრამ მედუქნე-მიკიტნებს მაღალი იდეალები კი არა, დუქნურ-მიკიტნური ზრახვები ამოძრავებდათ: მათ აინტერესებდათ არა ნახატის დონე და ხარისხი, არამედ ყველაფერში შაურ-შაურ მოგების ნახვა, თავიანთ ობობასებურ სქელ ქსელში მოხვედრილი «მალარის» ბედუკულმართობიდან სრული სარფის ამოწურწნა, ბოლომდე მისი ჩარჩული ყვლეფა!!!

გზამოჭრილი ფიროსმანი მედუქნეებს მეწველ ძროხად ჰყავდათ გადაქცეული. ამიტომ, ცხადია, ყველაფერს იღონებდნენ, იგი ცალკე არ გადასულიყო, რათა მერე წელში გასწორებულსა და გონს მოსულს, თავისი ნახელავისთვის მაზანდა არ აეწია! მოკლედ, მათ სურდათ, მხატვარი მთელი სიცოცხლე სულ ასე კვებისა და სადმე ბნელ კუნჭულში ღამის გათევინების საფასურად ემუშავებინათ, რაც, არსებითად, ასეც მოხდა!

აი, რატომ არის ფიროსმანის შიში თუ სიფრთხილე საფუძვლიანი და გასაგები: ვაითუ ვერც ოთახი მიეცათ (ღმერთო, რა ცრემლის მომგვრელი, უმანკო გულუბრყვილობაა – იმ სასტიკსა და უსულგულო ხანაში ოთახს ვინ მისცემდა?!), ხოლო მისი ამგვარი «მოღალატური» ზრახვით განაწყენებულმიკიტნობასაც მოეკვეთა და სულ ცის ანაბრად დარჩენილიყო!

***

და აი, აქ სრულებით ბუნებრივად რანაირი ინტერესი იწყებს ამოტივტივებას. როგორც მოგონებებიდან ჩანს, ბევრი მედუქნე და კერძო შემკვეთები ფიროსმანს სისხლს უშრობდნენ თავიანთი უსაფუძვლო პრეტენზიებით, რის გამოც მხატვრის გემოვნება ხშირად მათი

გემოვნებითა და ახირებით იზღუდებოდა. ასევე ვხედავთ რიგით ადამიანებსაც, რომელთა მოურიდებელი ინტერესის საგანი ყოფილა ფიროსმანის ცხოვრების მეტისმეტად პირადულ-ინტიმური მხარეები: სავაჭრო საქმეების ასავალ-დასავალი, ტანსაცმლის მოდის შერჩევა, დაოჯახება, სამუდამოდ სოფელს დაბრუნება და მრავალი სხვა.

ჰოდა, საინტერესოა, ძველი ხურჯინივით გადაკიდებულ ამ ადამიანებთან იძულებითი ურთიერთობისას მათი ტლანქი ცნობისმოყვარეობით თავშებეზრებული ფიროსმანის პასუხები, გამომეტყველება და ქცევა ნეტავი მართლა მის ჭეშმარიტ შეხედულებებს, გუნება-განწყობილებასა და ბუნება-ხასიათს გამოხატავდა თუ ის ყველაფერი იყო იძულებითი, მხოლოდ საიმწუთიერო და მიკიბულ-მოკიბული პასუხები, რათა, როგორც გენიოსებს სჩვევიათ, ესა თუ ის მოუმორებელი «მოძალადე» რაც შეიძლება მალე დააკმაყოფილონ, დაიყაბულონ, გააჩუმონ, თავიდან მოიშორონ, ახალ-ახალი «ჭკვიანური» შეკითხვების დასმის სურვილი და საჭიროება მოუსპონ, როგორმე მოაღორონ, რათა ისევ მარტონი დარჩნენ თავ-თავიანთ ბედუკუ-ღმართობასთან, მტანჯველ წარმოსახვასა და ხილვებთან, ჩარჩოზე გადაჭიმულ ფუნჯმიუკარებელ მუშამბასთან, სუფთა ფურცელთან, როიალის კლავიატურასთან, უგრძნობლად გამოტილ მარმარილოს ლოდთან... ადამიანის ყველაზე საშინელ და უკურნებელ სენთან – ღვთისგან მისჯილ საკუთარ გენიასთან...

აი, ჩემი აზრით, ამის ერთი სავარაუდო მაგალითი.

ერთ-ერთი ნაცნობის მიერ ტლანქი პირდაპირობით დაჯახებულ შეკითხვას: რატო ცოლს არ ირთავო, ფიროსმანი ასე პასუხობს – რომელ დიდ მწერალს ჰყოლია ცოლ-შვილი, მე გავიჩინოო!

რა არის ეს: ამ საგანზე ფიროსმანის ნამდვილი შეხედულება და გულწრფელი პასუხი თუ მტკივნეულ ადგილზე შემხები არამკითხეს ელვისებურად თავიდან მოშორების უცებ შეთხზული სხარტი ფანდი?!

ჯერ ერთი, ფიროსმანი იყო მხატვარი და არა მწერალი, მით უმეტეს, «დიდი მწერალი». კეთილი, დავუშვათ და თავმდაბლობის გამო ეს თავისი «აქსიომა» «დიდი მხატვრიდან» საგულისხმო მინიშნებით «დიდ მწერალზე» გადაიტანა. მართლაც, მაშინდელ თუ უფრო ადრე მოღვაწე ბევრ «დიდ მწერალს» არ ჰყოლია ცოლ-შვილი, მაგრამ ამავე დროს ოჯახიანი რამდენი მათგანიც მოითვლებოდა! თანაც როგორ დავიჯეროთ, ფიროსმანს მართლა გულით სურდა დაოჯახება, მაგრამ ეს ნაბიჯი არ გადადგა მხოლოდ და მხოლოდ უცოლშვილო «დიდი მწერლების» ხათრითა და მაგალითით?! ანდა, ნუთუ ისეთი მიამიტი იქნებოდა, რომ თუ ფუნჯი არ ევარგებოდა, მარტო «დიდი მწერლის» ბაძვით დაუცოლშვილიანებლობა თავისთავად «დიდი მწერლის» სახელს მოუტანდა?!

ის მამაცხონებული გულშემატკივარიც ასეთი ინტიმური საკითხით მხატვრის სულიერებაში ხელს მოურიდებლად რომ აფათურებს, ნუთუ იმდენი არ ესმის, დაოჯახებისთვის მარტო «რატო?» არ კმარა! ჰოდა, ტლანქი «გულშემატკივრის» მიერ ამგვარი როყიო კითხვით კედელთან მიყენებული ფიროსმანიც როგორ მოიქცეს? დაუჯდეს და სულ პუნქტობრივ ჩაუკაკლოს: ადრე, ახალგაზრდობაში ჩემს გულწრფელ გრძნობებში გამოვუტყდი ახალდაქვრივებულ, ჩემზე ათი წლით უფროსს, ელისაბედ ქალანთაროვას და მისი ცოლად შერთვაც მინდოდა, მაგრამ უარი მივიღე... ახლა კი როგორ უნდა მოვიყვანო ცოლი, როცა არა მაქვს სახლ-კარი, მუდმივად ლუკმაპურის მომცემი რაიმე ხელობა... მე ჩემი თავიცგამჭირვებია და ცოლ-შვილი როგორ შევინახო... თანაც რა გაუძლებს ჩვილის ჩხავილ-ღნავილს!.. ეგაც არ იყოს, რკინიგზაზე მუშაობისას დავქარიანდი და ქრონიკული სურდო დამჩემდა... გარდა მაგისა, ექიმებმა პოლიპები აღმომიჩინეს, მაგრამ საოპერაციო ფული არ მაქვავია!.. თანაც ჩემი გული და გონება დაკავებულია ხილვებით და სულ არ მაგონდება ცოლ-შვილს მოკიდებაო თუ ყეყეჩურად

შემოშტერებული «გულშემატკივარი» ზოგადი, მაგრამ უცებ შეხანხლული, მოკლე, სხარტი ფრაზით თვალის დახამხამებაში მოისხლიტოს, რათა თავისუფლად ამოისუნთქოს და ისევ მარტოდმარტო დარჩეს თავის თავთან და გენიასთან?!

ჰოდა, ფიროსმანის ეს მოკლე პასუხი როგორ მივიჩნიოთ: როგორც ამ საგანზე მისი გულწრფელი შეხედულება თუ გარეშე ძალდატანებით გამოძალული თავდასახსნელი ზერელე პასუხი?!

***

საერთოდ, რა ძნელია გენიოსი მხატვრისა და მისი გარემოცვის უმეცარი ადამიანების ურთიერთობის ნამდვილი სახის წარმოდგენა, როცა ეს უკანასკნელნი ფიროსმანის ამა თუ იმ ნამუშევარს შაურის საღირალადაც არ მიიჩნევდნენ.

აი, ამის ერთი მკაფიო და სავალალო მაგალითი იმავე ი. ზდანევიჩის დღიურიდან.

> «დილით ვიყავი ნიკოსთან... ახლა მას მიუღია შეკვეთა, რომელზეც უნდა იმუშაოს და მიიღებს 60 კაპიკს. ვეკითხები, რა უნდა დახატო-მეთქი. ის კი სახლის ფარანს მიჩვენებს, რომელზეც უნდა დააწეროს მალაკნის №1 და სხვა; რას იზამ, შეკვეთაა. «თუ უბრალო სამუშაოს არ გააკეთებ, აბა, როგორ შევძლებ დიდის შესრულებას!» იძულებული გავხდი, დავთანხმებულიყავი... წავედი იაქევთან – რიყის ქ. 40 – მანეთნახევრად ვიყიდე ნატურმორტი (ფიროსმანის ნახატი. ჯ.მ.). იქიდან ისევ ნიკოსთან წავედი. სახლის პატრონმა მითხრა, რომ ასეთ რამეში (ე.ი. ფიროსმანის ამ ნატურმორტში – ჯ.მ.) ერთ შაურსაც არ მივცემდი»-ო.

აქ საშინელება ის კი არ არის, ამ რიგით თბილისელ ობივატელს ფიროსმანის ფასი რომ არ ესმის და ამ უვიცობით თან თავიც მოაქვს! არა! რას ვიზამთ, ნათქვამია – არცოდნა არცოდვაა! მე აქ სხვა რამე მტანჯავს, ვინაიდან როგორც მწერალი და თანაც განათლებით ისტორიკოსი, მეტ-ნაკლებად ვიცნობ მაშინდელი საზოგადოების კულტურისა და განათლების დონეს, სულისკვეთებას, მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს და ასე მჯერა: იმ რიგით ობივატელს რომც სცოდნოდა კიდეც ფიროსმანის გენიის ფასი, ამას მაინც არ გამოამჟღავნებდა და მხატვარს თავს აჯმად მოაჩვენებდა, რათა თავისი დუქნისა თუ ბინის «გასამშვენიერებლად» თვალდადგმულ რომელიმე ნახატში მაინცდამაინც ის კრიჟანგული შაური მიეცა ან არ მიეცა!!! თუმცა გაუნათლებელ მედუქნე-მიკიტნებსა და ობივატელობას რა მოეთხოვებოდა, როცა საქართველოს მხატვართა ახალდაარსებულ საზოგადოებას – რომლის ბევრ წევრს რუსეთსა და დასავლეთ ევროპის სამხატვრო აკადემიებსა და ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებლებში მიეღო საფუძვლიანი განათლება! – 1916 წლის 24 მაისის კრებაზე განხილულ «ფიროსმანის სურათების გამოფენის საკითხზე» ასეთი დადგენილება გამოუტანია.

«გამოფენის გამართვა ჯერჯერობით საჭირო არ იქნეს ცნობილი. საზოგადოებას არ შეჰფერის ამით დაიწყოს გამოფენის საქმე».

***

დღეს, როცა ზოგიერთ განათლებულ წრეში ფიროსმანის ტრაგიკულ ბედ-იღბალსა და მის შემოქმედებაზე ჩამოვარდება საუბარი, ამგვარი უარყოფითი დადგენილების გამოტანის მთავარ მიზეზად ხშირად მაინცდამაინც შურს ასახელებენ ხოლმე, რაც, ჩემი აზრით, მცდარია, ვინაიდან იგი ზერელე, უანალიზო მსჯელობის შედეგს წარმოადგენს. ხოლო თუ მავანს აქ მაინცდამაინც

დამნაშავის ძებნა-დასახელება იტაცებს, მაშინ პირდაპირ უნდა ითქვას: ფიროსმანის ნაგვიანევ, მტკივნეულ და თანდათანობით შეცნობა-აღიარებასა და მის მწარე ბედ-იღბალში მთავარი «დამნაშავე» ისევ და ისევ მხატვრის თვითმყოფადი, უნიკალური გენიალობაა და არა მავანთა შური, მტრობა, არაკეთილსინდისიერება, ახირება, კაპრიზები თუ სხვადასხვანაირი პირადულ-ეგოისტური ზრახვები... და თუ ის სვეკრული დადგენილება დღეს მაინც აღმაშფოთებელი და სამარცხვინო გვეჩვენება, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინდელ მოვლენებს მსოფლიო დიდების მწვერვალზე მყოფი ამჟამინდელი ფიროსმანის თვალშეუწვდენელი სიმაღლეებიდან გადმოვცქერით და ვაფასებთ!

მეორე «დამნაშავის» დასახელებაში **დავით კაკაბაძეს** (1889-1952) დავიხმარებ, რომელიც 1923-25 წლებში წერდა.

> «ეს იმის შედეგია, რომ ჩვენში არ იყო განვითარებული საკუთარი საზოგადოებრივი ცხოვრება და არც შესაფერი კულტურული შეგნება არსებობდა... დღევანდელ ჩვენს მხატვრობაშიც არავითარი მხატვრული აზრი არ არსებობს. არც მხატვრული ცხოვრების ორგანიზაციული წესი... არც ქართულ საზოგადოებაში არსებობს მხატვრული შეგნება და ინტერესი. ამიტომ ქართველ მხატვარს, რომელსაც ჩვენში მხატვრული აზრის განმტკიცება სურს, დიდ დამაბრკოლებელ პირობებში უხდება მუშაობა, რადგან მას მოქმედება უწევს ინდეფერენტულ საზოგადოებაში და უვარგის მხატვრულ წრეში».

ამასთან მხედველობიდან არ უნდა დავკარგოთ უმთავრესი. ის იყო ბობოქარი XX საუკუნის დასაწყისი – ყველა დარგსა და სფეროში ფანტასტიკური აღმოჩენებისა და წინსვლის ეპოქა... ფეთქებადსაშიში სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წლები... პირველი მსოფლიო ომი, მისგან გამოწვეული მორალურ-ფსიქოლოგიური კატაკლიზმები და ეკონომიკური სიდუხჭირე... ირგვლივ ყველაფერი თითქოს ნგრევასა და განახლებას ექვემდებარებოდა!.. ამიტომ როგორც ყველგან და ყველაფერში, ისე მსოფლიოს მხატვართა ასპარეზზეც გლადიატორული ბრძოლა და ძიება მიმდინარეობდა: იმ უკომპრომისო შემოქმედებითი პაექრობისას დაბეჯითებით არავინ იცოდა, მხატვრობაში რომელმა მიმ-დინარეობამ მოჭამა თავისი პური და ხელოვნების ისტორიას უნდა ჩაბარებოდა, ხოლო რომელი ახალი მხატვრული სტილი და ესთეტიკური მიმართულება იკაფავდა გზას თვითდასამკვიდრებლად! რომელი მხატვრის შემოქმედება გაუძლებდა სასტიკ დროს და პირიქით – ვისი ნამუშევრები გამოდგებოდა უხანო ენძელა! ხატვის რანაირი ტექნიკა, სტილი, მანერა, ფორმები მკვიდრდებოდა და რომელი გამოიყურებოდა უკვე ყავლგასულად!

ამგვარი ქარტეხილებისას კი, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ნებისმიერ შემოქმედს და, ცხადია, მათ შორის თითოეულ მხატვარსაც მხოლოდ თავის მიერ არჩეული მხატვრული გეზი და სტილი მიაჩნდა ყველაზე სწორი, თანამედროვე, მისაღები და დღეგრძელი! ამიტომ მთელი შესაძლებლობით ცდილობდა თავისი მხატვრული შეხედულებისა და შემოქმედებითი ნაყოფის დაცვა-დამკვიდრებას. შემთხვევით როდი შენიშნავდა **დავით კაკაბაძე,** რომ **«ხელოვნებაში თითქმის იმდენივე მიმართულება არსებობს, რამდენიც ხელოვანია»**-ო.

პიროვნებას და, მით უმეტეს, შემოქმედს მეორე შემოქმედის რაიმე რომ შეშურდეს, ჯერ უნდა არსებობდეს შურის გამორჩეული, თვალსაჩინო ობიექტი.

აკადემიური სკოლის ცნობილ ქართველ მხატვრებს კი ჯერ რა უნდა შეშურებოდათ ფიროსმანის?

1916 წლის 4 მაისს **ილია ზდანევიჩმა** თბილისში, თავისი მშობლების ბინაზე მოაწყო ნიკო ფიროსმანაშვილის რამდენიმე ნახატის ერთდღიანი გამოფენა.

იმავე წლის 21 მაისს გაზეთში **«სახალხო განათლება»** ერთ-ერთი ცნობილი მხატვარი აი, რას წერდა.

> ”Илья Зданевич устроил в Тбилиси весьма интересную однодневную выставку никому не известного художника, Нико Пиросманашвили. Эти рисунки свидетельствует о полной технической неподготовленности автора; в его рисунках нет даже элементарного знания перспективы[3] и проч. Для некоторых это выставка была недостойнной и смешной. Некоторые сочли даже выставку подобных рисунков оскорбительной для искусства.”

ახლა ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძეს მოვუსმინოთ.

> «საკმარისია ფიროსმანის სურათის ერთი შეხედვა, რომ მიხვდე – ავტორს პროფესიული აკადემიური განათლება არ გააჩნია, თვითნასწავლი იყო. ფიგურები გარინდებულია, მოუქნელი, ანატომიურად არც მთლად სწორი; ხელები თითქოს ხისა არის. ფიგურებსა და საგნების მასშტაბური თანაფარდობა სივრცეში არ ექვემდებარება «წესებს», პერსპექტივის კანონებიც ხშირად ირღვევა».

გიშველათ ღმერთმა! ახლა გავაჩინოთ სამართალი: ასე ცამოწმენდილზე რომელი აკადემიური ცოდნა-განათლებისა და მიმართულების მხატვარი მიიღებდა და აღიარებდა ამგვარი «ნაკლის» მატარებელ, ახალაღმოჩენილი, თანაც ვიღაც «მეაბრე მალარის» ნახატებს?!

ჯერ ერთი, ოჯახურ პირობებში ერთდღიან(!!!) გამოფენაზე გამოტანილი ნახატების სტილის, მხატვრული ღირსებისა და მათი სამომავლო მნიშვნელობის კოლექტიური შემეცნება და ასე ნაუცბადევად ერთხმად აღიარება წარმოუდგენელი იქნებოდა. თანაც, პრიმიტივისტი მხატვრის «უცნაური» ნახატების «უბრძოლველად» აღიარება იმავდროულად თავისთავად მთელი მათი აკადემიური ცოდნა-განათლების, ესთეტიკური შეხედულებებისა და მხატვრული პრინციპების დრომოჭმულობასა და გაუქმება-გაარარავებას, საზოგადოების ისედაც სუსტი გემოვნების ამღვრევას და შეცდომაში შეყვანას ნიშნავდა. ამიტომ ისინი მოვალენიც კი იყვნენ, მსგავსი რამ არ დაეშვათ. დასაწყისში მაინც, სანამ პირუთვნელი დრო თანდათან ყველაფერს შუქს არ მოჰფენდა!

ვახტანგ ბერიძე წელანდელ თავის შეფასებას ასე აგრძელებს და ამთავრებს.

> «ეს ყველაფერი მართლაც ასეა, მაგრამ დაკვირვებისას აღმოვაჩენთ, რომ მხატვრის ეს «დაუხელოვნებლობა», «პრიმიტიულობა» გადაიქცევა მის ნაწარმოებთა მხატვრული წყობის ორგანულ აუცილებელ თვისებად, რომ ეს თვისებები არაფერს არღვევს ფიროსმანის სტილისტიკაში – ეს ერთადერთი შესაძლებელი და წარმოსადგენი ნიშნებია».

სრული ჭეშმარიტებაა, ოღონდ ეს ნათელი გახდა მერე და მერე, მრავალწლიანი კვლევა-ძიებისა და თვალახელის შემდეგ! მაგრამ მაშინ, აკადემიური სტილის მხატვართა ჰეგემონიის პერიოდსა და პირობებში ეს ვის ესმოდა ანდა ასე უცებ ვინ დაიჯერებდა?! თანაც ფიროსმანისა და ქართველ მხატვართა ეს პირველი შემოქმედებითი შეხვედრა როდი ჰგავდა, მაგალითად, **ილიასა** და **ვაჟა-ფშაველას** ურთიერთობის ბედნიერ გამონაკლისს – არა, ჩვენ, ძველებმა კალმები უნდა დავაწყოთ და გზა ვაჟა-ფშაველას დავუთმოთო. იქ, ლიტერატურაში ერთი გენიოსი მაშინვე გაერკვა მეორის ეჭვშეუტანელ გენიოსობაში და ამ უკვდავმა ფრაზამაც არ დააყოვნა.

---

[3] **პერსპექტივა** _ მოცულობითი საგნებისა და სივრცის გამოსახვა სიბრტყეზე სიდიდის, მოხაზულობის მკაფიობის მოჩვენებითი ცვალებადობის შესაბამისად, რაც განპირობებულია დამკვირვებლისგან მათი (საგნების) მეტ-ნაკლებად დაშორებით; ამ წესით შესრულებული გამოსახულება რისამე.

მაგრამ იმდროინდელ დასავლეთევროპულ, რუსულ და ქართულ ფერწერაში – ახალ-ახალი გზების დაუცხრომელი ძიების კალეიდოსკოპურ ორომტრიალში! – სადაც ერთმანეთში უშეღავათოდ ფარიკაობდა ნაირგვარი მხატვრული მიმდინარეობა, სტილი, ხერხი, თეორია, თემატიკა, ფორმა, ჟანრი, იდეურობა, ესთეტიკა, ტრადიცია, ნოვატორობა, ფერწერული ენა, ხატვის კულტურა, ტექნიკა, მონასმების ახლებური გამომსახველობა და სადაც თავიანთ წარმოსახვით სამყაროში ყელამდე ჩაფლული თითოეული მხატვარი თავის ცდაში იყო, თითოეულს მხოლოდ თავისი შემოქმედებითი გზა და სტილი მიაჩნდა ყველაზე ჭეშმარიტი, მხოლოდ თავის მიერ დახარჯული ნიჭი, შრომა, ტანჯვა-წამება და სიცოცხლის გალეული წლები ეჩვენებოდა ყველაზე მოწამებრივი, აი, ამგვარ პირობებში, ალბათ, შეუძლებელი თუ არა, მეტისმეტად ძნელი და თან სარისკოც უნდა ყოფილიყო ეროვნული ნიადაგიდან მოულოდნელად ამოქანებული უნიკალური ყალმით ასახული მხატვრული სინამდვილის იმავწამიერი ამოცნობა და მით უმეტეს, მისი მაშინვე უმტკივნეულო აღიარება. ეს უფრო დინჯი, მოუსყიდველი და შეუმცდარი დროტიალის გადასაწყვეტი იყო, ვინემ ვისიმე – მოშურნისა თუ კეთილმოსურნის – ნებაზე დამოკიდებული.

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმ არეული ეპოქისა და თავისი პიროვნული ბედუკუღმართობის კვალობაზე არც ფიროსმანს დაჰკლებია პირველაღმომჩენ-დამფასებლები. ძმები ზდანევიჩების – მხატვარ კირილეს და პოეტ ილიას, მხატვრების მიხეილ ლე-დანტიუს, დიმიტრი შევარდნაძის, ჰარი ჰოლანდის (ვარაუდობენ, რომ ეს მხოლოდ ფსევდონიმია), მოსე თოიძის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ბენო გორდეზიანის და სხვათა წინასწარმეტყველური პირველი შეფასებები, დაკვირვებები, ვარაუდი და აღტაცება გამოდგა კვალგაუვლებ ყამირში გადასროლილი სწორედ ის ჯანსაღი თესლი, რამაც თანდათან სათავე დაუდო ფიროსმანის აღიარების გასაკვირსა და დაუმთავრებელ ოდისეას...

რად ღირს თუგინდ 1916 წლის 16 მაისის გაზეთში **«კავკაზი» ჰარი ჰოლანდის** გამოქვეყნებული შეფასება.

> «მხატვრული ხედვა მოიქანცა ფილიგრანობითა და დახვეწილობით, მანქანისებრი ხლართებით და დეტალური დასრულებლობით. და აი, ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგა სახე «პირველქმნილი ბუნებისა»: ამ «პირველქმნილში» არის რაღაც უსაზღვროდ უბრალო, მაგრამ ამავე დროს უსაზღვრო ღრმაც... როგორ არ უნდა დაემორჩილო ამ მომხიბვლელობას, როდესაც ყველაზე უბრალოსა და ყოველდღიურის ფონზე ერთბაშად გაიელვებს «ბუნების გენიალობა», ყოვლის შემძლე და ძლევამოსილი... პრიმიტივიზმი ხელოვნებაში არის მისწრა-ფება გადმოგვცეს ბავშვურად უბრალო ბუნების გენიალობის გამომსახველობის ძალა... ნიკო ფიროსმანაშვილიც პრიმიტივისტია. თანამედროვე პრიმიტივისტებისგან მას მხოლოდ ის განასხვავებს, რომ მისთვის უცხოა თანამედროვეობის რაიმე ძიება.»

სამწუხაროდ, ამას მაშინ ვერ მიხვდა ბევრი ქართველი აკადემიური ცოდნა-გამოცდილების მქონე პროფესიონალი მხატვარი, მაგრამ რას ვიზამთ – როგორ შეიძლება შემოქმედი დავადანაშაულოთ იმაში თუ მას რატომ არ ესმის ის, რაც არ ესმის?!

მე გულწრფელად მენანება ფიროსმანის პიროვნებისა და შემოქმედების ყველა ის თავგადაკლული, მაგრამ გულუბრყვილო თაყვანისმცემელი, ვისაც თავის საწამებლად აუხდენელი ოცნება აუკვიატებია: ჰოდა, რა იქნებოდა მოშურნეებს ხელი არ შეეშალათ, საწყალი ნიკალა სიცოცხლეშივე მოსწრებოდა თავის ამგვარ აღიარებას და ამქვეყნიდან გულდამშვიდებული წასულიყო!

ამგვარი წარმოდგენითა და სურვილით დაორსულებული გულშემატკივარი ნება-უნებლიეთ ემსგავსება რთვლისა და ყურძნის თავდავიწყებით მოყვარულ სულწასულ ბიჭუნას,

რომელმაც სევდიანი გვიანი შემოდგომის შემდეგ აუწერელი ტანჯვა-მოლოდინით გადაიტანა რა გულშესაწუხებელი გრძელი ზამთარი, გაზაფხულის დადგომისთანავე ავადმყოფური მოუსვენრობა-ფორიაქი ეუფლება და თავს ამგვარი მიამიტური განსჯა-სურვილით იწამებს: არ გვეყო ამხელა ზამთარი, რაღა საჭიროა ეს გაზაფხული და მერე კიდევ ზაფხული?! ასწილ არ აჯობებდა, ზამთარს პირდაპირ შემოდგომა-რთველი და ყურძნობა მოსდევდესო!!!

მეცა მჯერა, რომ რქაწითლით პირის ჩატკბარუნებას დაჩვეული პატარა ცულლუტისთვის მართლაც ასე ემჯობინებოდა, მაგრამ რა ვუყოთ, როცა გულგრილ დედაბუნებას ჩირადაც არ ულირს ჩვენი ხვეწნა-სურვილები და ის უზეშთაესის დადგენილი კანონებით მოსაქმეობს: ზამთარს ჯერ გაზაფხული უნდა მოჰყვეს, რომ ბუნებამ გაიღვიძოს, გამოცოცხლდეს, თესლი გაღვივდეს, გაიღოჯოს, აჯეჯილდეს და დათავთავდეს! ასაყვავებელმა დაიყვავილოს და ნაყოფი გამოინასკვოს! ზაფხულში ეს მარცვალი და ნაყოფი დამსხვილდეს, დატაროიანდეს, დახორბლდეს, დაპურდეს! შემოდგომობით კი დამწიფდეს და!..

ასეა ყველაფერში, მეტადრე კი ლიტერატურასა და ხელოვნებაში და მით უმეტეს, გენიოსთა შემოქმედებაში. რას ვიზამთ, გენიოსი **ნიკო ფიროსმანაშვილის** (1862-1918) გენიის შედეგი როდი ჰგავს მეორე გენიოსის – **ტომას ედისონის** (1847-1931) – ამერიკელი ელექტროტექნიკოსისა და გამომგონებლის მიერ 1879 წელს შექმნილ გენიალურელექტრონათურას, რომლის ჯადოსნური ეფექტიანობის დანახვას, აღქმას, მისი სარგებლობის გააზრებას და საჯარო-საყოველთაო აღტაცების გამოხატვას სულ რამდენიმე წამი დასჭირდა!..

ფიროსმანის უნიკალური მხატვრული მემკვიდრეობა კი რთული და ამოუწურავი ეროვნული საგანძურია, რომლის შემეცნება ახლაც გრძელდება და მომავალშიც გაგრძელდება. ხოლო თუ რომელიმე მოსალოდნელი უდრეკი ოპონენტი მაინცდამაინც ისევ დიდ მხატვართან დაკავშირებულ მეშურნეობაზე გაამახვილებს ყურადღებას, მაშინ ამგვარ შეკითხვას დავუსვამ. კეთილი, მეც ყაბულს ვიქნები, შეიძლება რომელიმე ფერმწერმა მართლა დასაწყისშივე იგრძნო რა ფიროსმანის უნიკალური მხატვრული გენია, პროფესიული შურით გონდაბინდული ცდილობდა რამენაირად ხელი შეეშალა მისი გამომზეურებისთვის. მაგრამ ჩვენ ანუ თანამედროვეებს ხომ არაფერი გვშურს ნიკო ფიროსმანის – პირიქით, მის გენიას გულწრფელად ვეთაყვანებით და მხატვრის მსოფლიო ტრიუმფსაც ალალად შევხარით! მაშინ გასაკვირი და საკითხავია: ამდენს ან ჩვენ რაზე ვეწამებით ან რას ვაწამებთ ისედაც ჯვარცმული შემოქმედის სულსა და ხსოვნას – რასაც XXI საუკუნის დასაწყისში ვამბობთ მასზე, ავმდგარიყავით და იგივე შეფასება ერთბაშად პირდაპირ XX საუკუნის 50-60-იან წლებშივე გვეთქვა და ყველას მოგვესვენა!!!

მაგრამ მსგავსი რამ წარმოუდგენელია, ვინაიდან ფიროსმანის მხატვრული მემკვიდრეობის აღქმა-შეფასება ცოცხალი, უწყვეტი პროცესია. ამიტომ, თავისთავადაც ცხადია, დღევანდელ შეფასებებს ვერანაირად ვერ ვიტყოდით 50-ოდე წლის წინათ, ისევე როგორც დღეს ვერ ვიტყვით, უბრალოდ, აზრადაც ვერ მოგვივა, მის შემოქმედებას თუ რანაირი შეფასებები მიეცემა XXII-XXIII და შემდეგ საუკუნეებში. ამის ამოცნობას ვერავინ შეძლებს, ვინაიდან ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, მომავალში ფიროსმანის მხატვრულ სამყაროში კიდევ რანაირ ღირსებებსა და ღირებულებებს აღმოაჩენენ, როგორი იქნება ახლო და შორეულ ეპოქათა საზოგადოების კულტურის შინაარსი და მიზანი...

თავი მეექვსე

ფიროსმანის ნახატები რომ შემსისხლხორცდა და ჩემი სულის ნაწილი გახდა, ერთხელ – მაშინ მეორე კურსზე ვიყავი – საშინელ სასოწარკვეთაში ჩავვარდი: მომეჩვენა, რომ ყველა ეს სურათი მე მქონდა ჩაფიქრებული, მე უნდა დამეხატა, მაგრამ უპატიებელი დაუდევრობა-დოყლაპიობით დამეგვიანა, ჩემი გულისნადები კი სხვას ამოეცნო და უკვე მას დაეხატა! ორიოდე წლის შემდეგ ეს განცდა უფრო გამიმძაფრდა: ყველა ეს სურათი თითქოს ჩემი დახატული იყო, მაგრამ სხვას მიეთვისებინა, თანაც ისე, რომ ჩემს სიმართლეს ველარანაირად დავამტკიცებდი!

უნივერსიტეტს რომ ვამთავრებდი, ამგვარმა სულელურმა, თუმც გულწრფელ-ემოციურმა წარმოდგენებმა საყმაწვილო სენივით გამიარა და ახლა უფრო ამბიციური სახე მიიღო: დედამიწის ზურგზე ჩემზე უკეთ არავის ესმოდა ფიროსმანის სამყარო! უფრო მეტიც, მხატვრის სურათზე თვალმიშტერებულს და ილუზიურ ფიქრებში გახლართულს, ხანდახან მეჩვენებოდა, რომ ფიროსმანმა ყველა ეს სურათი ჩემი იმედით შექმნა: სხვები თუ ვერა, მე ერთი მაინც, მირზაანის პირდაპირ მდებარე სოფელ ოზაანის სერზე დაბადებული ბალღი, როცა გავიზრდებოდი და ჭკუაში ჩავვარდებოდი, სწორედ გავუგებდი, თითოეულ სურათში რა ჰქონდა ჩაფიქრებული და რის თქმა სურდა!

ამგვარი წარმოდგენა და რწმენა იმდენად მკრეხელური მეჩვენებოდა და თან ისე უღვთოდ მბოჭავდა, რომ შიშითა და სირცხვილით ვერავისთან ვამხელდი და ამ საიდუმლოს გაუმჟღავნებლობას თავს უმოწყალოდ ვატანჯვინებდი.

თვალი ბოლოსღა ამეხილა, საკუთარ მოუაზრებლობაზე თვითონვე გამეცინა და შვებით ამოვისუნთქე: ამნაირი რწმენის მიზეზია არა რომელიმე თაყვანისმცემლისუსაფუძვლო პრეტენზიები ანდა პათოლოგიური ამბიციები, არამედ თვით მხატვრის თვითმყოფადი შემოქმედება, რომელიც მილიონობით მაყურებელს იზიდავს, ხიბლავს, ატყვევებს და ბევრ მათგანს სრულიად უანგარო თაყვანისცემასა და შეხედულებაზე დამყარებულ თავისებურ თავდაჯერებულობასა და რწმენას უყალიბებს. ამიტომ, ცხადია, მრავალი ერის, თაობის, ასაკის, პროფესიისა და ცოდნა-განათლების მქონე აურაცხელი პიროვნება მოიპოვება, რომლებიც ღრმად იქნებიან დარწმუნებულნი: მათ მიერ გაღმერთებული ამა თუ იმ შემოქმედის მხატვრული მემკვიდრეობა ყველაზე უკეთ სწორედ მათ ესმით! ამაში კი არაფერი უნდა იყოს საკვირველი. პირიქით, იგი გენიოსთა შემოქმედებისა და მის თაყვანისმცემელთა ურთიერთობის სრულიად ბუნებრივ შედეგს ასახავს.

ფიროსმანის ნახატებში გაცხადებული მხატვრული სამყარო ჩემთვის თავიდანვე ნაცნობი, გასაგები, მშობლიური და სისხლხორცეული აღმოჩნდა. ხოლო პირველი შეხედვისთანავე ორ ნახატზე ისეთი სიცხადით ამოვიცან საკუთარი ბავშვობა, რომ მხატვრის გულთმისნობამ სუნთქვა შემიკრა – ეს ყველაფერი ასეთი სიზუსტით როგორ წარმოიდგინა ანდა საღებავებით რანაირად ხერხდება მისი გადმოცემა-მეთქი!

პირველი სურათია მხატვრის მიერ სოფლის თემატიკაზე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე სახით შექმნილი **«მამალი და კრუხ-წიწილას»** ერთ-ერთი ვარიანტთაგანი.

1984 წელს ლენინგრადის გამომცემლობამ «Аврора» უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე 10 000 ტირაჟით დასტამბა ნიკო ფიროსმანის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და მდიდრული, ფერადი ალბომი (26X34 სმ) **«Нико Пиросмани»**.

ალბომს წინ უძღვის ცნობილი რუსი ხელოვნებათმცოდნის, ერასტ კუზნეცოვის 79-გვერდიანი, ფოტოსურათებდართული მეცნიერული გამოკვლევა.

სამწუხაროდ, ე. კუზნეცოვი ფიროსმანის ამ ნახატის «**მამალი და კრუხ-წიწილა**» სრულიად არასწორ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მოუსმინეთ.

> "Сам пиросманашвили о своем детстве ничего не рассказывал, но события эти должны были оставить в его сознании глубокий след, о чем в какой-то мере можно судить по небольшой группе картин, стоящей особняком среди других. В них в различных композиционных вариантах повторяются вполне обыденные них в различных композиционных вариантах повторяются вполне обыденные (ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი) мо мотивы: деревенский двор, петух и наседка с цыплятами, **мальчик в проеме калитки и мать, машущая ему рукой на прощание (?! ϰ .ϑ .).** Но смысл их, безусловно, глубже простой бытовой сцены, и та настойчивость, с **которой художник обращался к ним и варьировал, представляется многозначительной"**

ე. კუზნეცოვს სწორედ შეუნიშნავს მხატვრის ამ თემაზე შესრულებული სურათების სხვადასხვა კომპოზიციურ ვარიანტში გამეორებული სოფლური ყოფის სრულიად ყოველდღიური (обыденные) მოტივები, მაგრამ მოულოდნელად მცდარ დასკვნას აკეთებს.

«...ма мальчик в проеме калитки и мать, машущая ему рукой на прощание»

ხელოვნებათმცოდნის ამგვარ აბსურდულ ახსნას ნულზე დაჰყავს როგორც ნახატის შინაარსი და მასზე ასახული იმწუთიერი ვითარება-განწყობილება, ისე თვით ფიროსმანის მხატვრული შესაძლებლობა და ჩანაფიქრი: კი მაგრამ, სურათს რა ეტყობა, საიდან ჩანს, **დედა თავის ბიჭუნას ხელის ქნევით რომ ეშვიდობება?!** და რომ საერთოდ, მხატვარს აქ დედა-შვილის დამშვიდობების მომენტის გადმოცემა სურდეს?!

მაშ, მოდი, გამოწვლილვით გავარჩიოთ დამშვიდობების ხასიათიცა და სურათის შინაარსიც.

ერთ ადგილას მყოფი ორი გულითადი ადამიანი გამომშვიდობებისას ერთი მეორეს ანდა ერთმანეთს ხელს მაშინ უქნევენ ხოლმე, როცა ერთი მათგანი სადღაც მიდის ან მიემგზავრება, მეორე კი ისევ ადგილზე რჩება ანდა, როცა ერთი და იმავე ადგილიდან ორი ახლობელი პიროვნება ერთდროულად სხვადასხვა მხარეს მიდის ან მიემგზავრება.

აქ? აქ კი ოდნავ მოღებულ ჭიშკართან მდგარ ბიჭუნას რაზე ეტყობა, საიდან ჩანს, რომ იგი სადღაც შორს და დიდი ხნით მიდის ან მიემგზავრება, დედა კი ხელის ქნევით უნდა დაემშვიდობოს?! თანაც დედა ვინმეს _ ამ შემთხვევაში თავის შვილს _ ხელს კი არ უქნევს, არამედ სახეს იჩრდილავს, შორეთში ცქერა რომ გაიადვილოს! ამასაც რომ თავი დავანებოთ, ეს რანაირი გამოსალმება გამოდის, როცა დედა შვილს საერთოდ არ უყურებს და სადღაც შეშფოთებით გაიყურება, ბავშვი კი დედისგან ზურგშექცევით დგას და მას არ უცქერის, ვერ ხედავს!!!

ამავე ვარიაციის მეორე ნახატში უფრო «უარესი» მდგომარეობაა: შეშფოთებულ დედას მარჯვენა ხელი ქოხის შემრუდებული სვეტისთვის შეუვლია, მარცხენა კი აღელვებისგან გულზე მიუკრავს!

ე. კუზნეცოვის ამგვარ არასწორ ინტერპრეტაციას, ჩემი აზრით, ორი მიზეზი უდევს საფუძვლად. ჯერ ერთი, ეტყობა, იგი ცუდად იცნობს საერთოდ, სოფლურ და, მით უმეტეს, ქართული სოფლის ყოფას. თანაც ღრმად არ ჩაჰკვირვებია ფიროსმანის ამ ნახატს, განუსჯელად

მინდობია და ალა-ალა იმეორებს მეორე, ერთ-ერთი ქართველი ავტორის ასევე სრულიად ზერელე და მცდარ მოსაზრებებს.

წელან მოყვანილ ციტატაში განვითარებულ თავის აზრს ე. კუზნეცოვი ასე განმარტავს.

> «На эти картины в первые обратил специальное внимание и сделал попытку истолковать их **Гастон Буачидзе.** См. **Буачидзе Г.** «Пиросмани или Прогулка оленя», Тбилиси, 1981 г.»

მართლაც, გამომცემლობა «ხელოვნების» მიერ 1981 წელს რუსულ ენაზე დასტამბულ თავისი ამ წიგნის რვაგვერდიან (165-172), თანაც მრავლისმეტყველ ერთ-ერთ ქვეთავში **«Уход сына» გასტონ ბუაჩიძეს** თავისებურად უცდია ფიროსმანის ამ ოთხი ნახატის (აქედან ორია **«მამალი და კრუხ-წიწილა»**, ორიც **«კრუხ-წიწილა»**) ახსნა-განმარტება.

ავტორი აი, რანაირად მსჯელობს «Аврора»-ს მიერ გამოცემულ ალბომში შეტანილ ([14]) და **ერასტ კუზნეცოვის** არასწორი ინტერპრეტაციის მიზეზით ჩემ მიერ სადისკუსიო საგნად გადაქცეულ ერთ-ერთ შესანიშნავ ნახატზე **«მამალი და კრუხ-წიწილა».**

> «Сцена разыгрывается между женщиной и мальчиком, на деревенском дворе. Мальчик изображен спиною к нам. Он подошел к калитке, сделанной в плетеном заборе. Для мальчика забор высок. Выстроившиеся за ним макушки деревьев еще больше подчеркивают высоту. За забором и деревьями начинается широкий неизведанный мир.
>
> Мальчик собирается открыть калитку. Калитка вырастает в размерах и предстает вратами в мир. Понятноробкое, трепетное движение руки мальчика, осторожно поднявшейся к сошедшимся створкам двери, примерно к тому месту, где бывает щеколда. Он преодолевает внутреннее волнение и решительным движением руки собирается приоткрыть створку.
>
> Мальчик повернулся спиной к родному дворику, где прошло детство. В мыслях он уже там, где его ждет неизвестность. Важность происходящего передает особая сосредоточенность всей его фигуры.
>
> Она-то и помогает преодолеть обманчивость видимости: мальчик не держит в руке ни узелка с продуктами в дорогу, ни пожитков. То ли он просто собрался отлучиться в соседний двор или на лужайку, то ли налегке отправляется в жизнь.
>
> Тревожная и заботливая, женщина приложила одну руку к сердцу, а другую простерла в сторону, **не видя мальчика, но что-то высматривая вдали**. Вытянутая вперед и приподнятая рука женщины прикасается к деревянной свае, поддерживающей крышу бедняцкого домика. Сходным образом приблизилась к калитке рука мальчика. От женской руки к руке мальчика и к открываемой калитке идет незримый ток ступенчатого, ломаного движения. В этом движений _ усилие, резкость, угловатость, тревога...
>
> А вот женщина согнула руку в локте. И хотя мальчик еще здесь, во дворе, мать видит его уже далеко, в одиночестве шагающего по проселку и думающего свою думу. Повествовательное время естественно и без усилия сочетает настоящее и будущее. И еще есть во взаимопонимании и сообщничестве обеих фигур нечто глубинное: если мать всматривается вдаль (такая условность принята и в театральном действие, когда один персонаж “не видит” другого, хотя оба они _ на сцене, в нескольких шагах друг от друга), то это потому, что мысленно, психологически сын уже ушел.
>
> Мальчику на вид можно дать лет семь.

Примерно в этом возрасте ушёл из Мирзаани Нико.»

როგორც ვხედავთ, ამ სურათზე ასახულ სოფლის სრულიად ჩვეულებრივ ყოფაში **გ. ბუაჩიძე** განსაცვიფრებელ სიმბოლოებს პოულობს და ეს თითის სიგრძე სოფლელი ტლუ ბალღი ლამის დაჭაბუკებულ რუს ალექსეი პეშკოვს დაამსგავსოს, რომელმაც მიატოვა რა მშობლიური ბუდე, რუსეთის უკიდეგანო სივრცეებში ხეტიალს შეუდგა და მალე მსოფლიოს მწერალ **მაქსიმ გორკად** (1868-1936) მოევლინა! მართალია, ნიკო ფიროსმანაშვილი თავის დროზე უფრო შორს წავა _ გენიოსი მხატვრის სახელს მოიხვეჭს, მაგრამ მეტისმეტი სულწასულობაც არ არის მოსაწონი: საჭიროა მოთმინება და ფიროსმანის საათიც ჩამოჰკრავს! ასე რომ, შვიდიოდე წლის ნიკომ მირზაანი თავისით, მარტოკამ კი არ მიატოვა, არამედ ქვემო ქართლის სოფელ შულავერში სამუშაოდ გადასახლებულმა მშობლებმა წაიყვანეს თან. ჰოდა, ჭიშკართან ატუზული ცარიელ-ტარიელ პატარას მარტოკა ვინ გაუშვებდა, ანდა მაშინდელი კარჩაკეტილი საზოგადოებრივი ურთიერთობის, გზისა და ტრანსპორტის (თუ უტრანსპორტობის?!) პირობებში 7 წლის სოფ-ლელი ბიჭუკელა სად უნდა წასულიყო ან ვის მისდგომოდა?! მაგრამ მართლა ასეც რომ ყოფილიყო, ნუთუ ვინმე დაიჯერებს, ქართველი დედა თავის ღვიძლ შვილს სანდო კაცს არ ჩააბარებდა ან შარაგზამდე მაინც არ მიაცილებდა და მხოლოდ დერეფნიდან ვალმოსახდელი ხელის დაქნევით დაკმაყოფილდებოდა?!

ფიროსმანს მართლა მსგავსი რამის თქმა რომ სურვებოდა, ღვთის წყალობა, სულ სხვანაირი შინაარსისა და კომპოზიციის ნახატს შექმნიდა!!!

ჰოდა, თავისი წრეგადასული სიმბოლურ-ფანტაზიორული გაზვიადება-შეუსაბამობა თვითონ ავტორსაც უგრძვნია და აგერ, ერთგან თან თავსაც იზღვევს.

«..То ли он просто собирается отлучиться в соседний двор или на лужаику...»

სოფლურ ყოფაში ჩაუხედავსა და თანაც მხოლოდ სიმბოლური პარამეტრებით გატაცებულ ავტორს, რომელიც ვერ მიხვდა სურათზე ასახულ ნამდვილ ვითარებასა და განწყობილებას, ერთ-ერთი თავისივე ფრაზა «აბეზღებს».

”Тревожная и заботливая женщина приложила одну руку к сердцу, а другую простерла в сторону, не видя мальчика, но что-то высматривая вдали.”

ხედავთ, როგორც ე. კუზნეცოვს ჰგონებია, **დედა შვილს ხელის ქნევით კი არ ემშვიდობება**, რომელსაც გ. ბუაჩიძე ბედის საძიებლად ასფურცელასავით ლამის ცხრა მთას იქით უპირებს გაგზავნას, არამედ თურმე **«что-то высматривая вдали».**

ღმერთმანი, გასაკვირია! კი მაგრამ XIX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს ამ **«Тревожная и заботливая»** დედაკაცს მირზაანის ცაში მოულოდნელად ისეთი მაინც რა უნდა დაენახა – **მფრინავი ხალიჩა, ცეპელინი, «მესერშმიდტი», შვეულმფრენი თუ მფრინავი თეფში**, რომ სადღაც წამსვლელ ბავშვსაც კი აღარ აპყრობს ყურადღებას და **«что-то высматривая вдали»** ანუ შორეთს ზვერავს!

ერთი სიტყვით, ძაღლის კუდიც სწორედ ამ ფრაზაშია ჩამალული – **«высматрвая вдали»** და სანამ არ დავაზუსტებთ, რა არის ეს **«что-то»,** მანამ ვერც ამ ნახატის ჭეშმარიტ შინაარს-განწყობილებას გავიგებთ და ვერც ფიროსმანის შემოქმედების თაყვანისმცემლები დააღწევენ თავს ამ ორი ავტორის გაბატონებული, მცდარი ინტერპრეტაციის ლაბირინთებს.

ახლა კი დადგა დრო ფიროსმანის ამ ნახატის შინაარსის ჩემებური ვერსია გამოვამზეურო. ოღონდ ყველაფერი უფრო ნათელი და ადვილად გასაგები რომ გახდეს, ამ ვერსიის პირველწყაროს მოყოლა დამჭირდება.

სოფელ ცლუნკაანში გათხოვილი ჩემი მეორე დეიდა, ანიჭკა ჩვენი სერის მოპირდაპირე მხარეს, კვიწინაანხევგაღმა, პირდაპირ გედიქის ხეობის თავზე წამოყუდებულ თავკვეთილაზე ცხოვრობდა. ჩვენი სერიდან იქამდე ორ კილომეტრამდე ძლივს იქნება და კარგად მოჩანდა ის პატარა, ოთხკომლიანი განაპირა უბანი, სადაც ახლა ზაფრის მომგვრელი ნაპარტახალიღაა.

პატარაობისას, როცა საჭირო იყო, დედა გადამიყვანდა და თავის დასთან მტოვებდა ხოლმე, ხოლო როცა ცოტა წამოვიჩიტე, მე თვითონ ხშირ-ხშირად მივდიოდი, ვინაიდან იქიდან უფრო კარგად მოჩანს მირზაანის გორები და წისქვილების ამაბრუნებელი რუებით დასერილი გედიქის ხეობა.

ამ უბნის კაცებიც, როგორც წესი, წლიდან წლამდე კოლმეურნეობის ფერმებსა და მინდვრებში იყვნენ გასული, ოჯახსა და შინა საქმეს კი დედაკაცები უძღვებოდნენ. მაშინდელი ყაირათიანობის კვალობაზე ზაფხულობით ყოველ ოჯახს ორი-სამი ბუდობა კრუხ-წიწილა ჰყავდა და იქაურობა მექათმეობის პატარა ფერმასაც კი მოგაგონებდათ. ამ მიზეზით ნაირფერი ქათმებით, ყვინჩილა-ჩრიხვებითა და წიწილებით მოჩითული ეს უნარგავო, მოშიშვლებული მწვანიანი ძერა-ქორებისა და მიმინოების (აღარაფერს ვამბობ ყვავ-კაჭკაჭებზე) გემოგასინჯულ სათარეშოს წარმოადგენდა!!!

მირზაანის გორებიდან გამოფრენილი ვეებერთელა ძერა-ქორები სულ ამ უბნის თავზე უვლიდნენ ზანტ ირაოს. გაოგნებული შევყურებდი ხოლმე ცაში ფრთებგაუტოკებლად მოტივტივე მედიდურ ქორებს და საკვირვლიდან გამოვდიოდი: ფრთების დაუხამხამებლად როგორ ახერხებდნენ ამდენი ხნით ლივლივს! ო, როგორ შევნატროდი მათ მიუწვდომელ სილაღეს! თუმც... საკმარისი იყო უბნის დედაკაცებს ყურადღება მოსდუნებოდათ და ფათერაკიც იქვე იყო ჩასაფრებული. უცებ ატყდებოდა კრიახ-წიაქი, მაგრამ უკვე გვიანი იყო: მიწას ნადავლით მოწყვეტილი ძერას თვალშისაცემად ჩამოშვერილ მძლავრ ჭანგებში საცოდავი წიწილა ილანდებოდა ანდა გაძალიანებული ჩრიხვი ფართხალით კრიახებდა! ძერა კი ფრთების ღონიერი ქნევა-ქნევით სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა და მირზაანის გორებისკენ გეზაღებული, თანდათან წერტილს ემსგავსებოდა!!!

საკბილოს შემოჩვეული, შეუპოვარი ძერა-ქორების მიერ მოყენებული ზარალი იმდენად შემაშფოთებელი იყო, რომ უბნის დედაკაცები რა საოჯახო საქმეებშიც უნდა ყოფილიყვნენ გაბმულნი, ცალი თვალი მეზენიტეებივით მაინც სულ ცისკენ ეჭირათ და როგორც კი მოახლოებულ ხიფათს იგრძნობდნენ, მაშინვე გნიასით გამოიშლებოდნენ კარ-მიდამოში და ბრძოლაც იწყებოდა: საკბილოს თვალიერებით დაბლა-დაბლა მფრინავ ძერაკუდას ვინ ფიჩოჩხს უქნევდა, ვინ მზითვის სპილენძის ლაგანსა თუ ძველ ვედროს საგანგებოდ ამისთვის გამოჭრილ და შენახულ ჯოხს ურახუნებდა გამეტებით. თან აქეთ-იქიდან შეჰკიოდნენ.

– ძერა, ძერა, ძერა!.. აქმა, შე სატურევ!.. უუუ!.. აბა, თუ შეგვეპუოს!.. დარისხოს ღმერთმა!.. ჰაე, ჰაე, ჰაე!..

ამგვარ უხიფათო გნიასს თვალყურშეჩვეული ძერები მხოლოდ მაღლა-მაღლა იწევდნენ, უფრო ხალვათი წრით დასტრიალებდნენ უბანს და ხელსაყრელ წამს მოთმინებით უცდიდნენ ხოლმე!

ერთი სიტყვით, გასტონ ბუაჩიძის ის ამოუხსნელი **«что-то»** სხვა არაფერია თუ არა წიწილების დაუძინებელი მტერი, ძერა, რომელიც **«в дали»** უკვე შეუნიშნავს ფიროსმანის ამ ნახატის

«Тревожная и заботливая» დედაკაცს და დროა წიწილების დასაცავად რამე ღონისძიებას მიმართოს!

პირდაპირ გამაოგნებელია ფიროსმანის ტალანტი, გლეხური ინსტინქტი, მხატვრული ჯადოქრობა თუ გენიალურობაში აყვანილი პრიმიტივიზმი: სრულებით ძუნწი, თითქოსდა დაუდევარი, მკრთალი შტრიხებით დახატული ხელმოჩრდილული და შორეთში მაცქერალი დედაკაცის შეშფოთებულ სახეში ისეთი უტყუარი დამაჯერებლობით არის გადმოცემული წიწილებზე ძერას მოსალოდნელი თუ მოახლოებული თავდაცემის საშიშროება, როგორც კი დავხედე ამ დედაკაცს, მაშინვე დიდი ხნის წინათ ცაში ასეთივე შეშფოთებით მაცქერალი ის სულგანათლებული ძველები: დეიდაჩემი, მისი მარცხენა მეზობელი, ბენაანთ ქვრივი ბაბალე და დეიდაჩემის მაზლების, დათასა და ჯორიმიხას მეუღლეები – თებრო და ნატალია დამიდგა თვალწინ!

ფიროსმანს თითქოს ზუსტად მათი განცდა და განწყობილება დაეჭიროს და გადაეხატოს! ის კი არა, ამ შედევრულმა ნახატმა ტაშტებისა და ვედროების მაშინდელი ყურთასმენის წამღები ბრახუნ-ჟღარუნიც კი ჩამასმინა!

(შეიძლება ვინმეს ბუნებრივი კითხვა დაებადოს: რაღა დეიდაშენთან, კრუხ-წიწილა ნუთუ თქვენ თვითონ არასოდეს გყოლიათო. როგორ არა და ათასში ერთხელ ჩვენც გვეკარგებოდა ხოლმე, მაგრამ ჩვენი სერი ჯმუხი ჯაგებით იყო მოფენილი და ამიტომ ძნელდებოდა როგორც ამ ჯაგებს თავშეფარებული ჩრიხვ-წიწილების შემჩნევა, ისე მათი მონადირება. დეიდაჩემის უხვკრუხწიწილიანი, მოტიტვლებული უბანი კი უფრო ახლოს იდო ქორ-ძერათა საბუდართან, მირზაანის გორებსა და ხევხუვებთან).

ახლა მამალთან და კრუხ-წიწილასთან გადავინაცვლოთ. მსგავსი კომპოზიციური განლაგებისას მამალი, ჩვეულებისამებრ, თავის «ცოლ-შვილს» დაჰხარის ხოლმე: წიწილებს მამრულად ურუკრუკებს, ხშირად არა, მაგრამ თავისი ღირსება-შესაძლებლობის ნათელსაყოფად ღონიერი ჭანგებით პატარებს იქნებ ერთი-ორჯერ ნაგავიც გაუქექ-გამოუქექოს... ფრთის ბოლოთი მიწის ღონიერი შემოხაზვით კრუხს თავისებურად ეარშიყება! მაგრამ ფიროსმანის ამ ნახატზე სრულიად საწინააღმდეგო ვითარებაა ასახული. მამალი კრუხ-წიწილის გვერდით კი იმყოფება, მაგრამ შინაგანად მათთან არ არის! დააკვირდით რადარივით მომარჯვებულ მამლის თავ-კისერს – შორეულ სივრცეში იმანაც რაღაც საეჭვო შენიშნა! ამასვე ადასტურებს პროფილით მდგარი მამლის მარჯვენა თვალიც, რომელიც სადღაც ზევით დაჟინებულ-დაძაბული ცქერისაგან ისე დაბრეცილა, რომ თვალის გუგა თეთრ ახალმთვარეს დამსგავსებია! მამლის ეს მარჯვენა თვალი ისეთი ექსპრესიულობითაა დახატული, რომ მიუხედავად იმისა, მისი მარცხენა თვალი არ მოჩანს, შინაგანად განსაცვიფრებელი სიცხადითა ვგრძნობთ – ისიც ასეთივე სიფრთხილით იქნება აშტერებული უძირო სივრცეს. მამალმა რაღაც მოსალოდნელი საფრთხე იყნოსა! ამას მოწმობს ასაკრიახებლად ფართოდ გაღებული ნისკარტი და «მაუზერის» სასხლეტივით გამოკვეთილი ენა! მაგრამ ჯერ კიდევ სივრცეს აკვირდება და იცდის, რათა ოჯახის ქათმობა ცრუგანგაშით არ დააფრთხოს და თავი არ შეირცხვინოს. ხოლო თუ საფრთხე აშკარა გახდება, მაშინ კი ომახიანი კრიახით გააფრთხილებს თანამოძმეებს, თვითონ კი მტერთან შესაბმელად მოიმშვილდება.

ვინც კარგად დააკვირდება, უეჭველად შენიშნავს: ნახატის პერსპექტივაში სულ სხვადასხვა ადგილას და თან პირითაც სულ სხვადასხვა მიმართულებით მდგარი შეშფოთებული დედაკაცისა და დაჭიმული, თვალდაძაბული მამლის მზერა სადღაც შორეულ სივრცეში რაღაც ერთ წერტილს არის მიჩერებული. ეს კი ჰაერში მოლივლივე, ჯერ წერტილად მოჩინარი ქორია, რომელსაც გ. ბუაჩიძე **«что-то»**-ს უწოდებს.

ბოლოს ნახატზე გამოსახულ შვიდიოდე წლის უძღებ ბავშვსაც მივხედოთ.

«რატომ უძღები?» – გაკვირვებით იკითხავს ბევრი. იმიტომ რომ, რაკი ბიოგრაფიიდან ვიცით, ნიკო ფიროსმანაშვილიც დაახლოებით ამ ასაკისა წაიყვანეს მირზაანიდან, აგრეთვე ცნობილია მისი ლეგენდარული ბედუკუღმართობა და მსოფლიო სახელგანთქმულობა, თანაც რადგან მხატვარმა იგი სოფლური ეზო-ყურის ჭიშკართან დააყენა, ხოლო **გ. ბუაჩიძის** აზრით, ფიროსმანი ამ ბავშვში სწორედ თავის თავს გულისხმობს, მკვლევარი გასაოცარი სიხალვათით ცდილობს ამ ყმაწვილის წარმომსახველობა-მისწრაფება აქედანვე რაღაც მისია-მესიანური სურვილებითა და წინათგრძნობებით დააორსულოს და სიმბოლური თუ პირდაპირი გაგებით ახალი ცხოვრების დაწყების სურვილით იგი მშობლიური კერის უკვე მიმტოვებლად თუ მიტოვებაზე მეოცნებედ წარმოგვიდგინოს.

ავტორს ქვეთავისთვის მაგიტომაც მიუცია ასეთი კატეგორიული სათაური «**Уход сына**». თუმცა გ. ბუაჩიძე აქვე ცოტა არ იყოს, გაკვირვებით შენიშნავს: **დედა შორეთს ზვერავს, ბავშვს კი არ უყურებსო.**

ალბათ, არ იყო საჭირო და ამიტომ არც უყურებდა!

იმ დუხჭირიან ცხოვრებაში სოფლელ დედაკაცს სადა ჰქონდა საიმისო წუთისოფელი მთელი დღე თავისი ბავშვ(ებ)ისთვის ეცქირა – იმოდენა დღიურ საოჯახო საქმეს როდისღა მოასწრებდა?! მთელი დღე ამ ბავშვისთვის ეცქირა კი არა, პირიქით, თავისი ასაკის პირობაზე ამხელა ბავშვები უკვე საოჯახო საქმიანობაში ღებულობდნენ მონაწილეობას, ხოლო 11-12 წლისანი რომ დახდებოდნენ, დღისა და ღამის მეხრეებად მიჰყავდათ მინდვრად. სწორედ ამ პროცესსა და მოვლენას ასახავს მშვენიერი ქართული სიტყვები – **დამეხრევება, დამეხრევებული, დაუმეხრევდება:** ესე იგი, მეხრის ასაკისა გაუხდება, მეხრედ გამოსადეგი გაუხდება, წამოეზრდება (ვაჟი).

ის ყოველდღიური მძიმე ჯაფის პიროფლიანი ეპოქა როდი ჰგავდა დღევანდელობას, როცა, მაგალითად, თვრამეტ-ცხრამეტი წლის უსაქმურ მუტრუკს დედა, ბებია, დეიდა და მამიდა კარაქწასმული პურითა და სნიკერსით კუდს უკან დასდევენ ანდა ორმოციოდე წლის ქეჩოგასიებული და ღიპგადმოგდებული, ნახევრად შიშველი მუქთახორები კორპუსების ეზოების ჩრდილობში დილიდან საღამომდე ლუდ-არყის ყლურწვის, ხინკლის ტვლეპისა და გარაჟების უკან სახალხოდ შარდვის მეტს არაფერს აკეთებენ – მაშინ მოჩიტებულ ბავშვსაც თითი უნდა გაენძრია, რაღაცა გაეკეთებინა, თავისი წილი ოფლი დაეღვარა, როგორმე თავი რომ გაეტანათ!

თუგინდ ვაჟა-ფშაველას მოთხრობის **«პატარა მწყემსის ფიქრები»** დასაწყისი გავიხსენოთ.

> «ბეჩაობით გაზრდილი ვარ, ძმისავ, მას აქეთ, რაც ფეხზე სიარული შევიძელ, სულ სხვის შვილადა[4] ვარ. **შვიდი წლისა** მამაჩემმა დიდყურაანთ დამიყენა მოჯამაგირედ და ამ ხუთის წლის განმავლობაში მამაჩემი ჩემის ჯამაგირით იხდის მახტას».

ხედავთ? ჰოდა, ეს ბიჭუნა ფიროსმანმა რაღა მაინცდამაინც ჭიშკართან – სოფლის ორღობეში თუ ახალი ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელ ამაღელვებელ სიმბოლოსთან! – დახატაო!

ვინ იცის! სურათის მიხედვით რაიმის გადაჭრით თქმა და მით უფრო მტკიცება, ჩემი აზრით, ძალიან ძნელია. აქ ვარაუდი უფრო უპრიანი იქნება.

შეიძლება დედის ვიშვიშით ყურნაცქვეტს, რაკი მაღალი ღობე და უფრო მაღალი ხეები უშლის, უნდა რომ გარეთ გავიდეს და იქიდან შეხედოს სამტროდ წამოსულ ქორსა თუ ძერას. ანდა იქნებ ეს ყოველდღიური სანახაობა უკვე მობეზრებულიც აქვს და სურს, მტაცებელ

---

[4] **სხვის შვილად** _ მოჯამაგირედ.

ფრინველებზე ყურადღებაგადატანილ დედას მეზობლის თანატოლებთან სათამაშოდ გაეპაროს... თუმცა შეიძლება სულაც დედის დავალების შესასრულებლად მიდიოდეს: აგერ, ერთ-ერთ ამ ნახატთაგანზე გამოსახულ თხას ნეკერი მოუტანოს, ხვალისთვის ცეცხლის შესანთებად ერთი იღლია ჩინჩხვარი ააგროვოს, დაბმულ ხბოს გახედოს ან გადაუნაცვლოს, საძოვარზე გაშვებულ საქონელს თვალი გადაავლოს... მეზობლებთან რაღაც საციქველი ითხოვოს... ვინმეს დედის დანაბარები გადასცეს თუ სხვისგან რამე ამბავი მოიტანოს... ანდა თავისით სურდეს მოაგროვოს მარწყვი, მჟაუნა, მაყვალი, სატაცური, კუნელი, ზღმარტლი, შვინდი, სოკო, ასკილი, კვრინჩხი – რა ვიცი, რაც იქნებოდა იმ დროისთვის!.. ვინ იცის, იქნებ სადმე ჯაგ-ბარდნარში შეგულებული ჯერ დაუბუმბლავი ბახლების სანახავად ანდა ბუდეებისა და კურდღლის სოროების საძებნადაც მიეშურება... ცხადია, არც ის არის გამორიცხული, სადმე ბუჩქნარში განმარტოვება, გაღმა სოფლებისა და შორეული თოვლიანი მწვერვალების ცქერით ბავშვური ოცნების მორევში შეცურება ეჩქარებოდეს...

მაგრამ ნახატზე არსაიდან ჩანს, რომ ახალი ცხოვრების დაწყების დაუოკებელი წყურვილით შეპყრობილ ამ პატარას მაინცდამაინც მშობლიური კერის ახლავე მიტოვება, ქალაქად გადასვლა და სახელმოხვეჭილ მხატვრად გახდომა ეოცნებებოდეს ან უკვე განგება კარნახობდეს...

მანამდე გრძელი, ტანჯვიანი გზა ექნება გასავლელი...

არწივმა კურდღელი დაიჭირა

მამალი და კრუხწიწილა

შეშის გამყიდველი ბიჭი



ქალი ლუდის კათხით

სამი თავადის ქეიფი

მალაკნების ქეიფი

ქეიფი მეარღნე დადიკო ზემელთან

ოჯახური პიკნიკი

ქალაქელთა ქეიფი ტყეში

ფაეტონი და ღამის ქეიფი

თავი მეშვიდე

ფიროსმანის მეორე ნახატი, რომელზეც პირველი შეხედვისთანავე ჩემი თავი დავინახე და ოდინდელი საკუთარი ღელვიანი განცდები ამოვიცან, ეს არის **«შეშის გამყიდველი ბიჭი».**

როგორც პირველი სურათის გარჩევისას, ვერც ახლა ავიცდენ ამ ნახატთან დაკავშირებული ჩემებური ვერსიის პირველწყაროს გადმოცემას, ოღონდ სანამ უშუალოდ ამას შევუდგებოდე, მკითხველებსა და საერთოდ, ფიროსმანის შემოქმედების თაყვანისმცემლებს ერთი გულისტკივილი უნდა გავუზიარო, რომელიც მის მხატვრულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ლიტერატურის გაცნობისას გამიჩნდა.

რაკი ფიროსმანის გენია და მხატვრული ხელწერის უნიკალური ოსტატობა ყოველგვარ ქებას იმსახურებს და ბუნებრივად იხდენს, მისი შემოქმედების ბევრი პროფესიონალი მკვლევარი მხატვრის ამა თუ იმ სურათის გარჩევა-შეფასებისას არ იშურებს რა საქებარ ეპითეტებს, აქცენტს ხშირად მხოლოდ მხატვრის გამაოგნებელ ოსტატობაზე, ჯადოსნურ ფერმშენებლობაზე, ნახატის ზედაპირულ შინაარსსა და უფრო თვალში საცემ ზოგად ეფექტებზე აკეთებს, ხოლო ყველაზე უმთავრესი – ნახატზე გამოსახული ადამიან(ებ)ის იმწუთიერი ვნებები და განცდა-განწყობილება კი ყურადღების მიღმა რჩება!

არადა, ფერწერულ ნამუშევარზე პირველ რიგში მთავარია მათზე გამოსახული ადამიან(ებ)ის იმწუთიერი სულიერი მდგომარეობის ჯერ დამაჯერებელი გადმოცემა, მერე კი მნახველის მიერ მხატვრის ჩანაფიქრის სწორედ ამოცნობა და მისი მართებული შეფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი ნახატის – შედევრულიც რომ იყოს! – ღირსება ნახევრდება ანდა სულაც იკარგება და ერთი არაფრით გამორჩეული, ორდინალური ნამუშევრის რანგში ქვეითდება.

ჩემი აზრით, ფიროსმანის ეს შედევრიც **«შეშის გამყიდველი ბიჭი»** დღესდღეობით ამ მდგომარეობაშია ჩავარდნილი.

ამ სურათს აი, როგორ ახასიათებს და აფასებს თვით **კირილე ზდანევიჩი**.

> «ფიროსმანაშვილის დიდი ოსტატობა, ფაქტურის გამოყენების იშვიათი უნარი განსაკუთრებით გამოირჩევა შესანიშნავ სურათში «შეშის გამყიდველი ბიჭი». მუშამბის შავ ფონზე დგას შეშით დატვირთული სახედარი, მის გვერდითაა ბიჭი. შეშა შესრულებულია ფუნჯის ერთმანეთთან დაკავშირებული მსუბუქი წასმით. მათი მონაცრისფრო-ყავისფერი ფერწერა ქმნის დაკლაკნილი, ნუჟრიანი, ბოლოჩამოჭრილი შეშის სრულ შთაბეჭდილებას. და ესეც სხვა ხერხითაა შესრულებული. სახედარი – ეს თითქმის ფერწაუსმელი მუშამბაა, მაგრამ იგრძნობა ცხოველის **დინგის** ხავერდოვნება (**დინგი** და ხავერდოვანი?! **დინგი** ღორს აქვს. ცხენზე, სახედარსა და მისთ. **ჩიჩვირი** ითქმის. ჯ.მ.) და ცოცხალი თვალების ბრწყინვა. ბიჭის ძველი ფარაჯა და ქალმები გვანიშნებს მის სიღარიბეს. საერთოდ, მისი ფიგურა შესანიშნავია გამოსახულების რეალურობით. შესრულების სიმსუბუქე და უშუალო ოსტატობა ამ სურათში უმაღლეს მწვერვალს აღწევს».

კ. ზდანევიჩი ცამდე მართალია და ფიროსმანის ოსტატობაზე მის მიერ აქ გამოთქმული შეფასების თითოეულ სიტყვას ოქროს წონა აქვს, მაგრამ ამ ნახატზე მხოლოდ ამგვარი შეფასებით შემოვიფარგლოთ, ეს ნიშნავს, რომ მასზე არსებითად არაფერი ან თითქმის არაფერი ვთქვათ!

ბიჭის ძველი ფარაჯა (რომელსაც მაინცდამაინც არაფერზე ეტყობა სიძველე!) და ქალამნები მის სიღარიბეს გვანიშნებსო, გვიხსნის ავტორი. ამას ყველა ისედაც ხედავს! ბიჭს ძველი კი არა, ვინმესგან ნაფეშქაშარი ანდა შემთხვევით სადმე ნაპოვნი სრულიად ახალთახალი ფარაჯა და

ახალამოსხმული თალათნური ქალამნებიც რომ ეცვას, ესეც ვერ უშველიდა, ვინაიდან თვით მისი ხელობა-საქმიანობა ამხელს – სახედრით კარდაკარ, ალალბედად შეშის ტარება და ათასი ჯურის მუშტართან ილაჯის გამწყვეტი ჩაყოლით ღიჯინი სიდუხჭირისაგან წელში გატეხილთა ხვედრია და ამგვარი ყაიდის ვაჭრობას სხვა ეგრე ადვილად არ გაეკარება.

ამავე ნახატს ორგან ე. კუზნეცოვიც ეხება გაკვრით, მაგრამ იმის მაგიერ რაიმე არსებითი გვითხრას, მისი ზოგადი თეორიული მსჯელობა მხოლოდ აბუნდოვნებს ნახატის დედაიდეას და მაყურებელს კვალს უბნევს. და საერთოდ, ამ მაღალპროფესიული დონის და თანაც ფიროსმანსა და მის შემოქმედებაზე მეტად გულთბილად დაწერილი გამოკვლევიდან მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ უაღრესად ერუდირებულ ავტორს ჭარბადაც კი აქვს მხატვრობის თეორიული ცოდნა და დიაპაზონი, მაგრამ, წელანდელი «მამალი და კრუხ-წიწილისა» არ იყოს, ცოტათი მოიკოჭლებს სოფლური ყოფა-ცხოვრებისა და უბრალო ხალხის, მეტადრე ქართული ხასიათის ემოციურ-ფსიქოლოგიური ნიუანსების წვდომა-ამოცნობაში.

ე. კუზნეცოვი ამ ნახატს აი, როგორ აფასებს 1984 წელს «Аврора»-ს მიერ გამოცემულ ფიროსმანის ალბომის 61-ე გვერდის მე-3 აბზაცში.

> «Портрет Александра Гаранова», «Актриса Маргарита», «Муша сосо», «Саркис, наливающий вино» и некоторые другие, естественно, рассматриваются как портреты. «Дворник», «Повар», «Мальчик – продавец дров» – **как бытовые типы**.»

რა გამოდის? თუ ავტორს დავყაბულდებით და შეშის გამყიდველ ამ ქართველ ყმაწვილს მხოლოდ ზოგად «**бытовой тип**»-ად მივიჩნევთ, აქ შევჩერდებით და მეტი არაფერი, მაშინ სულ განაცარმტვერდება გლეხი ყმაწვილკაცის პიროვნული ემოცია, ღირსება და განწყობილება, მისი ჭაბუკური ვნებები, რაც ასეთი სულის შემძვრელი მისნურობით გამოსახა დიდოსტატის ფუნჯმა.

აქ თითქოს თვით ე. კუზნეცოვსაც უგრძვნია თავისდაგვარი შეფასების სიმწირე-ზერელობა და ამიტომ 64-ე გვერდის მე-2 აბზაცში ხელახლა იწყებს მასზე მსჯელობას. მაგრამ ვერც ამხელად ხსნის სურათის შედევრულობის საიდუმლოს და როგორც თვითონ რუსები იტყვიან ხოლმე, Ходит вокруг да около (გარშემო, შორიახლო უვლის).

> «В ряде картин... психологическая отключенность (ფსიქოლოგიური გათიშულობა. ჯ.მ.) вступает в демонстративное противоречие с той возможной конкретной ситуацией, которую мы пытаемся уловит по скупым бытовым деталям: подросток ли это, продающий дрова («Мальчик – продавец дров»), или рыбак, стоящий в воде с добычей в руках («Рыбак в красной рубашке»), иливиноторговец, занятий своим делом («Саркис, наливаюшчий вино» как, впрочем, и любой из героев Пиросманашвили, – все они находятся в состоянии отрешенности от каких бы то было жизненных обстаятельств».

რა არის ეს? აქ ავტორი რას გვეუბნება ახალს და გასაგებს? არაფერს!

ჩემი აზრით, ამ ნახატის ამგვარი «შეფასება» სხვა არაფერია, თუ არა მკითხველ-მაყურებელის დამაბნეველი, მხატვრობის სამყაროსა და მის ნიუანსებში კარგად განდობილი ხელოვ-ნებათმცოდნის ჩვეულებრივი **ბუნდოვანი მაღალფარდოვნება,** რომელიც, თუ დაგჭირდა ან გაჭირდა, შეიძლება ნებისმიერი დიდი მხატვრის რომელიმე ნახატსაც მიუყენო, დამთვალიე-რებელი კი დაგვეთანხმოს ან არ დაგვეთანხმოს ანდა თავისი ინსტინქტური შიშის გამო ვერც გაბედოს გულში აღძრული პროტესტის გამოხატვა – მე ამ სფეროში არაფერი გამეგება, ალბათ,

მართლა ასეა და, საერთოდ, როგორც ხდება ხოლმე, ისიც ბრმად მიენდოს სახელგავარდნილი სპეციალისტის მზამზარეულ, მაგრამ მცდარ რეცეპტს.

ახლა ჩემებური ვერსიის ახსნას შევუდგები – ვინ იცის, იქნებ ამანაც მოიპოვოს მოქალაქეობრივი არსებობის უფლება. ხოლო თუ ჩემი ნაბჭობი მცდარი გამოდგება, მაშინ მხატვრებსა და ხელოვნებათმცოდნეებს არ გაუჭირდებათ მისი გაბათილება. ოღონდ ამჯერადაც საჭირო იქნება ამ ვერსიის მასაზრდოებელი პირველწყაროს დაწვრილებით გახსენება.

სოფელ მირზაანის ჩამოღმა, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩამოსათავართან, გორების თავისებურ ქვაბულში მდებარეობს სოფელი ქვემო მაჩხაანი. მისი მოტიტვლებულ-მოხრიოკებული შემოგარენისა და მაშინდელი ტრანსპორტის პირობებში ამ სოფელს ძველთაგანვე აწუხებდა შეშის საკითხი. რაკი ოზაანი ტყის პირასაა, თითო-ოროლა შაური რომ ეშოვათ, ათადან ბაბადან ჩვენებურებს ქვემო მაჩხაანში სახედრებით შეშა მიჰქონდათ ხოლმე გასაყიდად. ამ ორ სოფელს ერთმანეთისგან შვიდიოდე კილომეტრი შორავს.

ოზაანიდან ქვემო მაჩხაანში სახედრით შეშის წაღება რანაირ წვალებასა და მოსალოდნელ ფათერაკთან არის დაკავშირებული, ეს მხოლოდ მას შეუძლია წარმოიდგინოს, ვისაც იქ ერთხელ მაინც წაულია შეშა ან თუგინდ მარტო თვალი დაუკრავს ოზაანიდან გედიქის ხეობისკენ ციცაბოდ ჩაკლაკნილი ბაგიბოლოს ბილიკებისა და მირზაანის გორებზე გადამავალი უხეტმახეტი, გველივით დაკლაკნილი ყაფარი აღმართებისთვის. ამიტომ იქ შეშის წაღებას მხოლოდ ჯომარდი ჯეილები ბედავდნენ და ისიც თაბუნად, გზად თუ რამე ხიფათი შეემთხვეოდათ, ერთმანეთისთვის ეშველათ და პატარა ქარავანს არავინ გამოჰკლებოდა.

პელო დეიდას ბოდბისხევში გათხოვების შემდეგ მისი ერთოთახიანი სახლი ჩვენ შევიძინეთ და მივარდნილი სერიდან ახლა სოფლის შუაგულში გადავსახლდით. კარის მეზობლად გვყავდა ჩემზე ერთი წლით უფროსი **ელგუჯა მეხრიშვილი.** ბუნებრივია, უმალ მოხდებოდა ჩვენი დაახლოვება. რაკი ლაპარაკს მოჰყვა, ორიოდე სიტყვას ვიტყვი, ვინაიდან ის ამას იმსახურებს.

ელგუჯა ძმებიდან ყველაზე უმცროსი იყო. მამა ფრონტზე ჰყავდათ დაკარგული და ცხონებული ახრასია ძალო ოთხ-ოთხ ბიჭს სიდუხჭირით, მაგრამ მოწამებრივი მზრუნველობით ზრდიდა. ელგუჯამ იმ დროისთვის ნამდვილი გმირობა თუ სასწაული მოახდინა: ქრთამსა და პროტექციას აყვავების ხანა რომ ედგა და ყველას ეგონა, თავისით ვერავინ რას გახდებოდა, ეს ელგუჯა მესამე ძმის, შიოს ხელმძღვანელობით გულმოდგინედ ჩაუჯდა საგნებს, თბილისში ნასესხები გზის ფულით ჩავიდა, გამომცდელები განცვიფრებაში მოიყვანა და 1958 წელს თსუ მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა! დაუჯერებელი ძალ-ღონისა და სიგულადის პატრონი, ბუნებით ძალიან მშვიდი, კეთილი, მომთმენი და დამთმობი იყო. თუმცა მერე, სტუდ-ქალაქში მცხოვრებ ბევრ თავაწყვეტილ ჩხუბისთავსა და ბებუთის ტრიალის მოყვარულს ეგემა მისი ჭკუის მასწავლებელი მკვახე მუშტი...

ამ რამდენიმე წლის უკან პოეტმა და მთარგმნელმა, **ზეზვა მედულაშვილმა** და მე შემთხვევით ერთმანეთი რომ გავიცანით, ჩემი გვარის გაგონებისთანავე უეცრად გამოცოცხლდა და მაშინვე აღტაცებითა და სიყვარულით გამიბა ლაპარაკი ელგუჯას კეთილშობილებასა და უბრალოებაზე – სტუდქალაქში თურმე ერთად ეცხოვრათ და ემეგობრათ...

ჰოდა, ერთხელ, აგვისტოს დასაწყისში, ამ ელგუჯამ შემაგულიანა – მოდი, ქვემო მაჩხაანში ჩვენც წავიღოთ შეშა და იქნებ სახელმძღვანელო წიგნების ფული მაინც ვიშოვოთო. მეც უმალ ავუბი მხარი! მაშინ 12-13 წლისანი ვიქნებოდით. დედაჩემის სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც ჩემი გავიყვანე და საგულდაგულოდ შევუდექით სამზადისს.

მეორე დღეს დილაუთენია გავუდექით გზას და ჩვენი ტანჯვა-წვალებაც მაშინვე დაიწყო. ბაგიბოლოს თავდაღმართზე მძიმე საპალნემ სახედრებს აქეთ-იქით დაუწყო ქანაობა. ისინიც

წარამარა ბარგანაობდნენ, გვეურჩებოდნენ, გაქირს შვრებოდნენ. განსაკუთრებით ჩემი დიდი, შავი ფაშატი ოჩნობდა – შინ ორი კვირის ჯეირანივით ჩოჩორი დავატოვებინეთ და სულ უკან მიტრიალებას ლამობდა.

ოზაანის ციცაბო ბილიკები ელდით ჩავთავეთ – აკიდებული სახედრები არსად დაგვგორებოდა ან ქურხულიაანთ ხრამში არ ჩაგვჩეხოდა. ამიტომ მთელი დაღმართი შეშის კონას ვიყავით ჩაფრენილები – ქანაობა ოდნავ მაინც რომ შეგვენელებინა და უკვე გაქაფული პირუტყვებისთვის ცოტაოდენი შეღავათი მიგვეცა. ამ დროს ო, რა მწარე იყო ხოლმე დანალული სახედრის ქაჩაჩის მოულოდნელი დადგმა ფეხზე! თან თავში ათასნაირი ფიქრი მიელავდა: ვირი სადმე რომ ჩამჩეხოდა და დამტვრეულიყო, რაღა ეშველებოდა საწყალ ჩოჩორს?! ანდა, ვაითუ რამე ფათერაკის მიზეზით შუა გზიდან ისევ უკან მოტრიალება მოგვხდომოდა და მთელი უბნის სასაცილონი გავმხდარიყავით!.. ო, შეშის ფულით წიგნები რომ გვეყიდა, ეს ხომ მთელი კლასის სალაპარაკო გახდებოდა!..

რუებით დასერილი გედიქის ხეობა რომ გადავჭერით და ახლა მირზაანის გორებზე გადარტყმულ მიხვეულ-მოხვეულიან, ციცაბო აღმართს შევუყენეთ ეს რჯულზე დაყათრული სახედრები, უარეს დღეში ჩავცვივდით. ოზაანის თავდაღმართებზე კურტანსა და ტვირთს თუ საძუე აკავებდა, ახლა ოფლით გალუმპული თოქალთო და მობოშებული გარსაკრი ვეღარ იჭერდა კურტანს და თავის ტვირთიანად უკან-უკან მოცოცავდა. ამიტომ სანამ აგვივაკდებოდა, კონებს უკანიდან სულ ხელით ვაკავებდით. ისე დავიხვითქენით, ხალათები გასაწური დაგვიხდა!

აღმართი რომ აილია და სოფელს მივუახლოვდით, ცოტა შვებით ამოვისუნთქეთ, მაგრამ ახლა საშინელმა სირცხვილმა და გაუბედაობამ დამრია ხელი: ასე კარდაკარ როგორ უნდა გვევლო, რას იფიქრებდნენ ჩვენზე ანდა ვინც შეშას იყიდდა, შინ ჩემი კბილა გოგონა რომ ჰყოლოდათ, მათთვის ფული როგორ უნდა გამომერთმია!..

სოფელში რომ შევედით, «შეშა, შეშა!»-ს ძახილით ეზოებიდან დიდიან-პატარიანად გამოიშალნენ შარაგზაზე, გაგვაჩერებინეს სახედრები და უფროსებმა თავიანთებურად დაგვიწყეს.

– რა არი, პატარა ბიჭებო, ე, თითო-თითო იღლია რო აგიკიდებიათ?! ოზაანელებს შეშა დაგელიათ თუ წელმოწყვეტილი ვირები გყავთ, ჰა?!

– ეჰ, ხმელი ყოფილა!.. ნედლი რო იყოს, მე ავიღებდი! მაინც რას აფასებთ?

– რამდენიო?! ხუთმეტი მანეთიო?! ორ საპალნეში ხუთმეტს ვინ მოგცემთ, როცა საჟენი...

– ორივეში კი არა, ცალ-ცალკე! – მიაგება ელგუჯამ.

– ერთი ამათ უყურეთ!.. გაიარეთ, გაიარეთ!

ერთ-ერთ ბოგირიან ხირხალთან გოგო-ბიჭებით გარშემოხვეულმა ვიღაც ლაზღანდარა ყარაჩა ახმახმა შეგვაჩერა.

– ვის ატყუებთ თქვენ? – ტუჩების გრეხით დაგვიტატანა, – ჩაგიწყვიათ ჩხირები და შეშა გგონიათ!

მართლა აღარ იყო სამართალი – რცხილის დახეთქილ, ბარაქიან შეშაზე იძახოდა, ჩხირებიო. გოგო-ბიჭებმაც მაშინვე ირწმუნეს ჩვენი მატყუარობა და ნიშნისგებიანი სიცილ-ყიჟინი დაგვაყარეს. ერთმა შავთვალწარბა გოგონამ კი ისეთი შეცბუნებით შემომანათა თვალები, მიწა რომ გამხეთქოდა, ისე მერჩია.

უსიტყვოდ გავილალეთ ოფლისგან გაწუწული, მხვნეშავი სახედრები.

– ერთი ცოტა მეტია, მეორე – ნაკლები, მაგრამ არა უშავს რა, ორივეში რვა მანეთს მოგცემთ და ძმურად გაიყავით! – მოგვძახოდა ახმახი, – არ გეყურებათ, მოაბრუნეთ ვირები!.. დაიცა, საღამოზე უკან რო გამამიტარებთ, ექვსადაც შაიხვეწებით!..

ერთი ორღობის ყურში რიგიანი მუშტარი – ბოსტნიდან თოხითა და პამიდორით სავსე ვედროთი მომავალი სახემოტეხილი კაცი გამოგვიჩნდა. გაგვაჩერა და აკიდებულ ვირებს გარშემოუარა. რაკი ჯანჯღლობა არ დაუწყია, ჩანდა, კარგად იცოდა მაზანდა. თან, ეტყობა, იფიქრა, ემანდ არავინ შემემუშტროს და კარზე მოყენებული რცხილის ხმელი შეშა სხვამ არ გამომაცალოს ხელიდანო. მაშინვე ჩაგვაბრუნა ორღობეში, აჩქარებით გაგვიღო ფიცრის დაბალი ჭიშკარი და ეზოში შეგვიძღვა.

მხრებიდან თითქოს წისქვილის ქვები მომშორებოდეს – დასრულდა შეშის გზადაგზა ტარება და მავანთა დამამცირებელი ქილიკის ატანა! თუმც თავისებური უსიამოვნება მაინც არ ამცდა. სახლის პატრონი ფულს რომ მითვლიდა, ჩემმა მოუსვენრობაშეყრილმა სახედარმა ხელიდან თოკი გამგლიჯა, ღია ჭიშკარში გავარდა და ქვაღორღიან შარაგზაზე ოთხამოღებით დაეშვა!

თოკათრეული ვირი შინ რომ მივარდნილიყო, ჩვენ კიდევ ჯერ არა და არ ვჩანდით, უბანი ფორიაქს მოეცვა – იმათ თავს უეჭველად რაღაც ამბავია, თორემ აქამდე სად არიანო.

დაღლილ-დაქანცულებმა, როგორც იქნა, ჩვენც მივატანეთ შინამდე.

მაგიდაზე თავმომწონედ დადებულ შეშის ფულს დედაჩემმა ზედაც არ დახედა და მკაცრად განმიცხადა – რამდენიც მსურდა, ტყიდან იმდენი შეშა მეზიდნა, ქვემო მაჩხაანში კი ფეხს ვეღარ გავადგამდი! სიმართლე რომ გითხრათ, აღარც მე მქონდა ამის სურვილი. თვითონაც მივხვდი – კარდაკარ შეშის ტარება და ვაჭრობა არ იყო ჩემი საქმე. თუმც ეს ერთადერთი შემთხვევაც სამუდამოდ ჩამეჭდია გრძნობა-გონებაში და დიდი ხნის შემდეგ, როცა ფიროსმანის ამ ნახატს **«შეშის გამყიდველი ბიჭი»** შევხედე, მაშინვე საკუთარი თავი ამოვიცან.

ახლა უშუალოდ თვით ნახატს მივუბრუნდეთ. პირველ რიგში სახედრის დატვირთვის ფორმას შევეხები. ამგვარად აკიდებული შეშა ცხოვრებაში არსად შემხვედრია და პირველად ფიროსმანთან ვიხილე. ჩვენ, სოფლელები ერთ ზომაზე დაჭრილ საღუმელე შეშას სქელი წნელისგან საგანგებოდ გაკეთებულ კირკალში მჭიდროდ ვტენით ხოლმე. ამხანაგის დახმარებით ანდა საჭირო ზომაზე გამოჭრილი ორკაპა ამოსაყენებლის გამოყენებით ამ კონებს სახედარს ავკიდებთ და გადავაბამთ. მერე ამავე ზომაზე დაჭრილი შეშით ანუ **თავსაყარით** კონებს შორის დარჩენილ ცარიელ ადგილს თაღივით ამოვაშენებთ და პირუტყვის მუცელქვეშ ამოტარებული საიმედო თოკით მკვიდრად შევკრავთ, სიარულისას ეს თავსაყარი რომ არ ჩამოცვივდეს. ეს არის და ეს!

დაჭრილი შეშის აკიდების თითქმის იგივე ყაიდაა გამოსახული ვახტანგ ბერიძის წიგნში «ფიროსმანი» ჩართულ ფოტოსურათშიც «შეშის გამყიდველი», რომელიც ფიროსმანისავე ეპოქაში, XIX საუკუნის დასასრულსაა გადაღებული.

შეშის აკიდების ამგვარ ხერხსა და ფორმას შემდეგი უპირატესობა გააჩნია. ვთქვათ, სახედარმა წაიფორხილა და წაიქცა ან ვერ გაუძლო მომეტებულ სიმძიმეს, დაწვა და ტვირთი მოეხადა. მაგრად გატენილი შეშის კირკლები მაინც უვნებელი რჩება და მხოლოდ ერთი იღლია თავსაყარი იფანტება. ამიტომ ხელახლა აკიდება დიდ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული, მით უმეტეს თუ წინდახედულ პატრონს ის დამხმარე ორკაპა ამოსაყენებელიც თან აქვს წატანებული.

ახლა დააკვირდით ფიროსმანის ნახატზე აშენებულ, ორ-ორი ვერტიკალური ლარტყით გამაგრებულ შეშის კოშკურას, რომელიც წინა მხრიდან თვით შეშის გამყიდველზე უფრო მაღალია! აქ ჩემთვის ისიც კი გაუგებარია, როგორ და რა თანამიმდევრობით ხდება მისი ასე აღმართვა! ამგვარად შეშის აკოკოლავებას, ჩემი ვარაუდით, სულ მცირე, სამი კაცი მაინც მოუნდება! ღმერთმა ნუ ქნას და ქალაქში გამოსულ მეშეშეს ბედმა რომ უმუხთლოს და ასერიგად აწოწოლავებული შეშა მოუზვავდეს – მარტოკაცისთვის შეუძლებელი იქნება იმავ ყაიდაზე «აშენება!»

ერთი სიტყვით, მე პირადად არ ვიცი, სახედრისთვის ამდენი შეშის და თანაც ამგვარად აკიდება მართლა მაშინდელი სოფლის ან თბილისის სინამდვილე იყო თუ ეს მხოლოდ ნახატისთვის სასურველი ემოციური დატვირთვის მისაცემი მხატვრული ხერხია.

ახლა თვით ნახატის სახელწოდებას შევეხები. **დავით კაკაბაძე** თავის წიგნში **«ხელოვნება და სივრცე»** მართებულად შენიშნავს.

«სურათის სახელს აქვს თავისი ფასი. სურათის სახეში უნდა მოჩანდეს მთელი მისი შემადგენლობა, რადგან სურათის რკალი მისი სახელით იჭედება».

ცნობილია, რომ თავისი ზოგიერთი სურათისთვის თვითონ ფიროსმანს არ უწოდებია კონკრეტული სახელი და ამიტომ მათი დასახელებაც პირობითად მისაჩნევია. მართალია, ზოგიერთს წერილობითი სახელწოდება ამშვენებს, მაგრამ, როგორც ვიცით, სურათების უმეტესობა უფრო მოგვიანებით, ფიროსმანისგარდაცვალების შემდეგ მოინათლა – მხატვრისადმი მიძღვნილ სხვადასხვა ლიტერატურაში და თავისთავად ცხადია, სხვადასხვა ავტორის მიერ. როგორც **ვახტანგ ბერიძე** აღნიშნავს, «ზოგი ამათგანი კონკრეტულია, აღწერილობითი («ქალი ლუდის კათხით», «ქეიფი ვაზის თალარში»), ზოგი – განზოგადოებული («კახეთის ეპოსი», «სწავლული») სახელწოდებები, რომლებიც, ცხადია, თვით ფიროსმანის მოგონილი არ შეიძლება იყოს («მდიდარი კინტოს შვილი», «ორთაჭალის ტურფა» და სხვ.).

არ ვიცი, ამ ნახატის სახელწოდება **«შეშის გამყიდველი ბიჭი»** თვით ფიროსმანს ეკუთვნის თუ მოგვიანებით სხვის მიერ არის შერქმეული, მაგრამ იგი პირადად ჩემში უკმარისობის განცდას აღძრავს, ვინაიდან მეჩვენება, რომ სურათის უმთავრესი აზრი და იდეა არის არა მაინცდამაინც რისამე – ამ შემთხვევაში შეშის! – გაყიდვა ანდა ზოგადად თვით ეს შეშის გამყიდველი ბიჭი, არამედ კონკრეტული მომენტით აღძრული ამ ყმაწვილკაცის იმწუთიერი ვნებები!!! ამიტომ როგორც კი დავხედავ ხოლმე ამ ბიჭის სახეზე აღბეჭდილ განცდა-ემოციებს, მთლიანი ნახატიდან მაშინვე თავისით მოლივლივებს მისი ჩემეული სახელწოდებაც **«შეშის გამყიდველი ბიჭის ვნებები.»**

მხატვრობიდან რამდენიმე წუთით ლიტერატურაში გადავინაცვლოთ. აქ პირველ რიგში მახსენდება ვაჟა-ფშაველას მიერ 1886 წელს დაწერილი მოთხრობა **«პატარა მწყემსის ფიქრები».** კი მაგრამ, რაღა **ფიქრები** – მწერალმა სათაური რაღას «დაამძიმა» ამ «ზედმეტი» სიტყვით! მოთხრობისთვის პირდაპირ ეწოდებინა **«პატარა მწყემსი»** და მორჩა: მასში აღწერილი **ფიქრებიც** თავისთავად ამ პატარა მწყემსის არ იქნებოდა?! მაგრამ არა! აქ მწერალს საქმე აქვს არა ზოგადად ამ პატარა მწყემსთან, მის ბიოგრაფიულ მთლიან ცხოვრებასთან, არამედ რაღაც კონკრეტული საჭირბოროტო სატკივრით აღძრულ მის მძაფრ **ფიქრებთან**! მოთხრობამაც ამიტომ მიიღო ასეთი სათაური და სწორედ ეს: სათაურის ზედგამოჭრილობა და იქიდან გამომდინარე შინაარსის უზადო ურთიერთშეხამება განაპირობებს ამ პატარა ნაწარმოების შედევრულობას!

ზუსტად ანალოგიური ვითარებაა ეკატერინე გაბაშვილის (1851-1938) ფურცელნახევრიან მოთხრობაშიც **«მეურმის ფიქრები»** (1891წ.) და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ბარემ გავიხსენოთ გოეთეს მიერ 1774 წელს გამოქვეყნებული «**ახალგაზრდა ვერთერის ვნებები»,** რომელმაც იმდროინდელი დასავლეთ ევროპის საზოგადოება შეძრა და ლიტერატურაში მთელი ეპოქა შექმნა. აბა, ახლა წარმოვიდგინოთ, ამ ნაწარმოებს უბრალოდ **«ახალგაზრდა ვერთერი»** რომ რქმეოდა!

ისევ ჩვენს ნახატს მივუბრუნდეთ. ბევრი მაყურებელი და ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნეც შეცდომაში შეჰყავს სახედარზე გასაყიდად აკიდებულ შეშას და ფარაჯიანი ბიჭის ღარიბობას – თითქოს სურათზე ეს იყოს მთავარი! მაგრამ აქ უმთავრესია ყმაწვილკაცის სახეზე აღბეჭდილი ადამიანური განცდები და ვნებები, ხოლო გასაყიდად ჩამოტანილი შეშა, ძველი ფარაჯა, იაფური

ქალამნები და ამ ბიჭის სოციალური კუთვნილება მაყურებლისთვის საინტერესოა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს გვეხმარება სრულყოფილად გავერკვეთ ამ ჭაბუკის ბუნებრივ განცდებსა და ვნებებში, რასაც ე. კუზნეცოვი ზოგად, არასწორ და დამამცირებელ დიაგნოზს უსვამს **«психологическая отключённость» (ფსიქოლოგიური გათიშულობა).**

ფიროსმანს ეს ყმაწვილი შეშის გამყიდველად კი არა, შეიძლება, მაგალითად, დანა-მაკრატლების მლესავადაც წარმოედგინა. აგერ, უწვერული ახალბედა მლესავი ქალაქის რომელიღაც კუთხეში ფეხით სატრიალებელ თავის დაზგას უზის და იქვე კდემამოსილებით მდგარ ქალიშვილს მაკრატელს ულესავს ან მის გალესვასთან დაკავშირებით მათ შორის მორიგება მიმდინარეობს... ანდა ამ ყმაწვილს სულაც მოუკიდნია თავისი დაზგა და შეშის გამყიდველივით მუშტრის ასაჩენად ქუჩა-ქუჩა დადის. მწამს, ამგვარი ნახატიც შედევრული გამოუვიდოდა, თუკი, რა თქმა უნდა, არც აქ დაიკარგებოდა უმთავრესი – თავის საქმიანობა-საზრუნავთან და ლუკმაპურის შოვნასთან დაკავშირებული, ადამიანებთან ურთიერთობას ჯერ მიუჩვეველი მორცხვი ყმაწვილის იმწუთიერი განცდების ამოცნობა და მუშამბაზე გადატანა.

ეტყობა, ფიროსმანმა შეშის გამყიდველად უწვერული ყმაწვილი შემთხვევით არ შეარჩია. თუმცა, ცხადია, შეიძლება ხნიერი გლეხკაციც გამოესახა, მაგრამ მრავალჭირნახული, წვრილ-შვილი გლეხის სახეზე აღბეჭდილ განცდებს მაშინ სულ სხვანაირი შინაარსი და მნიშვნელობა ექნებოდა. ულმობელი ცხოვრების პირისპირ აღმოჩენილ ამ ხამი ყმაწვილის სახეზეპირველ-ყოფილი სიწრფელით მკრთოლავი განცდები კი სულ სხვანაირ, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე.

ჩვენ არ ვიცით და შეიძლება თვით ფიროსმანმაც არ იცოდა ან ამას არც აძლევდა რაიმე გადამწყვეტ მნიშვნელობას: ამ ყმაწვილს შეშა პირველად გამოუტანია გასაყიდად თუ ეს მისი მეორე-მესამე ჯერია და უკვე ნაწვნევი აქვს წუთისოფლის ტრიალი და აღებ-მიცემობის მგლური კანონები. აქ გადამწყვეტია არა ამის ცოდნა, არამედ ამ ყმაწვილის სახეზე აღბეჭდილი განცდები და მათი სწორი ამოკითხვა.

ზამთრის ყიამეთში ქალაქს შეშის ჩატანა, მისი კარდაკარ ტარება და პირიანი მუშტრის პოვნა ათასგვარ სიძნელეს, ხიფათსა და დამცირებასთან იყო დაკავშირებული. სამწუხაროდ, ფი-როსმანის ამ შეშის გამყიდველ ბიჭს ტრაგიკული წინამორბედი ჰყავს **ეკატერინე გაბაშვილის** მოთხრობის **«ღვინია გადაიჩეხა»** (1891) პერსონაჟის, ნინიკას სახით.

ვითარების სრული ნათელყოფისთვის ამ ნაწარმოებიდან მოზრდილ ადგილს მოვიყვან. ცხადია, ეს მოთხრობა ყველას ექნება წაკითხული და ემახსოვრება, მაგრამ მწამს, დაინტერე-სებული მკითხველი ხელახლა გადაავლებს თვალს.

> «ნინიკა სცდილობს შეშის მოედანზე გაჩერდეს, სადმე მიიკუჭოს. პოლიციელი უყვირის, ხელსა სწევს, ქვევით, წყლის პირისაკენ უთითებს.
>
> – შენი ჭირიმე, აქ სადმე გავჩერდები, იქ ვერ ჩავლენ ჩემი ხარები და თუ ჩავლენ, ველარ ამოიტანენ, დავარდნილები არიან, მთელი ზამთარი უღლიდგან არ გამოშვებულან, ნახევარზე მშივრები ჰყრიან, – საცოდავად შეღიჯინებდა ნინიკა პოლიციელს.
>
> – არ შეიძლება, წადი, თორემ კისერში წაგკრავ, წადი!
>
> – კაცო, ხომ გეუბნები, დავარდნილი ხარები მყავს-მეთქი. იმ ყინულზედ როგორ ჩაიტანენ, დაიმსხვრევიან და ჩემს ცოდვაში ჩასდგები!
>
> – წადი, წადი, წადი! – და პოლიციელმა, რომელსაც ნინიკასი ერთი სიტყვაც არ ესმოდა, დაუშინა ხმლის ყუა ხარებს.

მეტი გზა არ იყო, ნინიკა ჩაუძღვა ხარებს მთლად ყინულით გასიპულ დაღმართზე. თან საშინელი ბოღმა ახრჩობდა, იცოდა რომ ბინდამდის ვეღარ ეღირსებოდა შეშის გაყიდვას და სიბრაზით თითქმის ტიროდა.

– ოჰ, თქვენი რჯული, თქვენი! უღმერთოებო! ახალ-წელიწად ღამე ბოგანოსავით ქალაქის გოშში უნდა გავატარო, ცოლ-შვილი ჩემს გზის ცქერაში უნდა გამოღამდეს! რა დიდი ალაგი ჩემს ურემს მოუნდებოდა! ერთი-ორი შაური მქონოდა, ჩუმად ხელში ჩამედო, ამას ხომ არ მიზამდა. ამ ფიქრებში გართული ნინიკა გულისხმიერებით ვეღარ ადევნებდა თვალს თავის ხარებს; ერთს მათგანს ფეხი გახეთქილ ყინულში ჩაუვარდა, მეორე ფეხი წაუსხლტა და ორთავე წინა ფეხით გაილასტა. ვიწროდ აკოკოლავებული შეშა საჩქაროდ გადიხარა გვერდზე და მსუბუქი ურემიც თან გადაიტანა.

ერთ წამზე ურემს დუნდგო ხალხი დაედო და სეირს შეჰყურებდნენ. ნინიკა გაშრა, ენა ჩაუვარდა, მოძრაობა შეეკრა; ის გაშტერებული დასცქეროდა თავის ღვინიას საშინლად გაფართხულ ფეხებს და იმის ტანჯვით სავსე თვალებს. გადაბრუნებულმა ურემმა და მაყურებელმა ხალხმა გზა შეუკრეს სხვა მიმავალ ურმებს. «დესეტნიკები» გაცეცხლდნენ და ნინიკას დაეტაკნენ. «კაცო, კაცო! აიღე ურემი, გზა გაწმინდე, ვერა ჰხედავ, ურმები მოდიან».

ნინიკა უძრავად იდგა, ღვინიას თვალებში ჩასცქეროდა. საქონლის უსიტყვო, საზარელი ტანჯვა უსიტყვოდვე იბეჭდებოდა იმის პატიოსანს სახეზედ და კაცს გულს უკლავდა. ნინიკას გვერდზე პატარა მიხა საზარლად ქვითინებდა.

– კაცო! არ გემის, არ გესმის? – და მოთმინებიდან გამოსულმა პოლიციელმა წაუთაქა თავში, წაარტყა კისერში გაშტერებულ მეურმეს. ნინიკა გონს მოვიდა, ჩოხის კალთით მოიწმინდა მარცხენა თვალთაგან ჩამოგორებული მსხვილი ცრემლი და ღვინიას აპეურები შეაგლიჯა. ხარი უღონოდ გვერდზე გადავარდა და ორივე წინა ფეხები მჩვრებივით დაეკიდა.

– ბიჭო, შეშაში ორი აბაზი მოგცე?

– ორი აბაზი, შე ოხერო, ღმერთი არა გყავს, ბზე ხომ არ არის!

– ოთხი აბაზი მოგცე, ძმაო-ჯან, – ვითომ წაჩხუბებულმა, მაგრამ ნამდვილად კი პირშეკრულმა ჩარჩებმა დაუწყეს ნინიკას გაჭირვების დროს ვაჭრობა.

– ოთხი აბაზი?.. არა, შეშას არ ვყიდი, ისე მინდა გადავყარო, – ამოოხვრით სთქვა ნინიკამ და ურემს ცლა დაუწყო.

– მაშ რა გინდა, შე ცხონებულო! გინდა შენი ერთი მუჭა შეშა რვა მანეთად გაჰყიდო? – აჰა, მანეთი მოგცე! ახლა პოვოსკა უნდა ამას, რომ აქედან ბინამდის გადავიტანო და! შენი ფეხებდაგლეჯილი მოზვერი ურემში ხომ აღარ შეებმება! აჰა, ერთი მანეთი! აიღე-მეთქი, გეუბნები, ჭკუას ნუ ჰკარგავ.

– არა, გამიშვი, თუ ღმერთი გწამს! გეუბნები არ გავყიდი-მეთქი.

– სულელი! არა ვყიდიო! მაშ მწნილად გინდა ბებიაშენს ჩაუდო?

– მამეშვი-მეთქი, კაცო, რას ჩამაცივდი. ყელში სისხლი მომდის, აქ ცოდოს არას შემამთხვიო.

– ვა, ცოდოს რა, მამა გიცხონდა, რევოლვერი არ დამახალო! ასეთსა გდრუზავ მაგ გოგრაში, რომ თვალებიდგან სულ მაშხალები წამოყარო!

ნინიკამ ერთი კი გადახედა გალირფებულ ვაჭარს და ხმაგაკმენდილმა ურემს ცლა დაუწყო.

რიყის ერთ კუნჭულზედ ოდნავ მსუნთქავი ღვინია შესდო.

– კაცო, ყელი გამოსჭერ, მანამ ცოცხალია, უსულოდ რადა ჰკლავ? – ეუბნებოდნენ აქეთ-იქითგან ნინიკას, მაგრამ იმან ყურიც არავის ათხოვა.

ყელი გამოსჭრას ღვინიას და მერე ვინ? ნინიკამ? და განა ეს შესაძლოა? განა ღვინია ნინიკასთვის მარტო საქონელი იყო და სხვა არაფერი? არა, ღვინია იყო მისი იმედი იმისი მარჯვენა ხელი და განა მარჯვენას მოიჭრის ვინმე, თუნდ ის მარჯვენა სამუშაოდაც აღარ ვარგოდეს?»

ეკ. გაბაშვილის მოთხრობის ვრცელ ნაწყვეტში საერთო ვითარება ნათელზე ნათელია და ფიროსმანის ამ ნახატზე მთავარია არა ზოგადი შინაარსი – შეშით ვაჭრობა, ძველი ფარაჯა და ბიჭის სიღარიბე, არამედ მისი ასაკი და ამ ასაკისთვის დამახასიათებელი განცდები და ვნებები!

სწორედ ამ ასაკში იღვიძებს ყმაწვილკაცის თავმოყვარეობა, პიროვნული ღირსება, ინდივიდუალობა, ბუნდოვანი მამრული ვნებები, სიყვარულის წყურვილი. თავისებური განცდებითა და ვნებებით გაბრუებული ყმაწვილი ინსტინქტურად გრძნობს, რომ სადუნიაოდ პირველ რიგში გამოაქვს არა შეშა, არამედ თავისი ჭაბუკური ღირსება-სიწრფელე, მაგრამ არ იცის, ჭრელი ქალაქი მას რას დაუხვედრებს!

აქ სათვალავშია ჩასაგდები შემდეგი ნიშანდობლივი გარემოებაც. ყველამ იცის, შეშა ტყეში მზადდება. იშვიათი გამონაკლისის გარდა შეშას სოფლად არავინ ყიდულობდა და ეკ. გაბაშვილის ნინიკასი არ იყოს, სოფლიდან ქალაქად ჩაჰქონდათ გასაყიდად. გლეხკაცს შეშა შეიძლება წაეღო პირდაპირ ტყიდანვე ან თავისი ეზო-ყურედან.

ახლა დავხედოთ «ძუნწად» შესრულებულ ნახატს, რომელიც სულაც არ არის პორტრეტული ნამუშევარი. ფარაჯიანი ყმაწვილისა და შეშით დატვირთული სახედრის მეტი რა მოჩანს? ჭვარტლისფერი შავჭრელი გზა, პირდაპირ გზიდანვე დაწყებული მღვრიე შრატისფერი ჰორიზონტი და ამ ჰორიზონტზე «დაშენებული» ლურჯმუქისფრად ჩაქუფრული ცა. მეტი არაფერი!!!

არადა, ნახატის ამნაირი სახელწოდების შინაარსიდან გამომდინარე, ბანალური გაგებით მასზე თითქოს უნდა ჩანდეს აქ ჩამოთვლილი მოქმედების რომელიმე კონკრეტული ადგილი: ტყე, ტყის გზაზე მომავალი ეს ბიჭი და შეშააკიდებული მისი სახედარი ან თავისი ეზოდან დატვირთული პირუტყვით გამოსული, ქალაქისკენ გეზაღებული ყმაწვილი და გზის დამლოცველი ოჯახის წევრები, სოფელსა და ქალაქს შორის მოქცეული გზის რომელიმე მონაკვეთი, მოახლოებული ქალაქის ბუნდოვანი კონტურები, დასასრულ, ვაჭრობის საბოლოო ადგილი – თვით ქალაქი, თავისი განუმეორებელი იერსახით და იქნებ ამ ბიჭთან ღვთისნიერი მუშტრ(ებ)ისა თუ ცბიერსახიანი ჩარჩ(ებ)ის შევაჭრების პროცესი. მაგრამ ნახატზე მსგავსი არაფერი ჭაჭანებს – ფიროსმანს ყოვლად ჩვეულებრივი, ყოფითი საქმიანობა თვალმახარი, ყველასათვის ადვილად გასაგები რეალური გარემოდან თითქოს ირეალურ სამყაროში გადაუტანია, რათა იქ უფრო გამოკვეთილად ეჩვენებინა სპეტაკი სულისა და ზნეობის მქონე სოფლელი ყმაწვილის მსოფლშეგრძნება, მკაცრ სინამდვილესთან მისი პირისპირ შეხვედრის მოლოდინით აღძრული განცდები. ამიტომ აქ ჩემ მიერ ასეთი გულუხვობით ჩამოთვლილი რომელიმე გარემოს დამატება მაყურებელსმხოლოდ გულისყურს გაუფანტავდა, მხატვრის ჩანაფიქრსა და ნახატის იდეას უეჭველად გააბიწიერებდა და ჩვეულებრივ ჟანრულ პროზაიზმამდე დაიყვანდა. თუმცა, სამწუხაროდ, ე. კუზნეცოვის მიხედვით, ეს საოცრად ინდივიდუალური ნიშნების მატარებელი ყმაწვილი სხვა არაფერია თუ არა ზოგადი, ყბადაღებული «**бытовой тип**»-ი.

შევეცადოთ, ყმაწვილის ემოციები და ფიქრები ამოვიცნოთ. გამოჯეკილ მოვაჭრესავით აქეთ-იქით როდი აცეცებს თვალებს – საიდანმე მუშტარი ხელს ხომ არ მიქნევს და მიხმობსო! გამომეტყველებაზე ეტყობა, წამის წინ ყმაწვილურ განცდა-საფიქრალს ეყოლებოდა

შეპყრობილი: გავყიდი კი იმ ფასად, როგორც შინიდან დამაბარეს?! ანდა დროზე ამიჩნდება მუშ-ტარი?.. რომ ვერ გავყიდო და თავზე დამაღამდეს, რა ვუყო შეშას ან ჩემი სახედრით სად შევეფარო – გომურებში გასათევი შაურიც არ მიგდია ჯიბეში!.. ო, თავის მაზანდაზე რომ გამაყიდინა, რას მოვინაცვლებდით ხელს!... მაგრამ რომელიმე ბატონს მეუღლე და ჩემოდენა გოგონაც რომ ახლდეს, როგორ უნდა გავუბა ვაჭრობა?! არადა... თუმცა რიღას ბატონი იქნება, მაზანდაზე ნაკლები შემომაძლიოს!.. როგორც გამაფრთხილეს, ამ ჩარჩ-ვაჭრებსა და კინტოებს კი მაგრად უნდა დავუდგე, თორემ!.. ანდა, ღატაკ, დედაჩემის კბილა წვრილშვილ ქვრივს საფასურის ნახევარიც რომ არ ებადოს და საცოდავად დამეღრიჯოს, ამ ქვის ხეთქაში ობლებს ხომ ვერ გავუწირავ?!

და უცებ სწორედ ამ დროს...

ახლა კი დროა მომთმენ სახედარსაც მივხედოთ!

სახედარი ღმერთს ჯაფისთვის გაუჩენია და რაღანაირი ტვირთის ზიდვა-თრევა არ უხდება: საფქვავი, შეშა-ფიჩხი, მხედარი, ორთვალა, ჭირნახული, ქვა-ღორღი...

მაგრამ ამაზე უფრო გაუსაძლისი არა არის რა, ვიდრე უცხო გარემოში, მშიერ-მწყურვალმა, თანაც ზამთრობით მთელი დღე ამოდენა აკიდებული შეშა ალალბედზე ატარო ხვნეშა-ხვნეშით!

სახედარს ყველაფერზე ეტყობა, რომ თავისი პატრონივით ნორჩი და ახალგამოქნილია. ამას გვიდასტურებს ერთ-ერთი უტყუარი თვალსაჩინოებაც – კოპწია, ზრდადაუსრულებელი ქაჩაჩები ხნიერი სახედარივით ჯერ უშნოდ არ წაზრდია და გაუხეშებია!

ამ სიმძიმე ტვირთითა და ამნაირ პოზაში დახატული დაქანცული ვირი, როგორც სჩვევიათ, თავჩაქინდრული მიდის ხოლმე და გზას დაჰყურებს, ფეხი რომ არსად მოისხლიტოს. ამიტომ მისი თავიც, ბიჭის მსგავსად, პროფილით უნდა ყოფილიყო გამოსახული და მხოლოდ ცალი, უცხო სავალს ჩაჩერებული მარჯვენა, ქუთუთოდახრილი თვალი მოუჩანდეს. დიახ, მაგრამ დააკვირდით სახედრის ფეხების განლაგებას: წინა მარჯვენა და უკანა მარცხენა ისე ახლო-ახლოს დაუდგამს, ლამის ქაჩაჩი ქაჩაჩზე მოიხვედროს, ხოლო წინა მარცხენა ფეხი ისეთი არაბუნებრივ-არაპროპორციული სიირიბით წასვლია განზე, აშკარაზე აშკარაა: ღონეგამოლეულ, ხვნეშისაგან ნესტოებდაბერილ პირუტყვს მოჭარბებული საპალნე უკვე თავის ნებაზე აქანავებს და ნაბიჯებსაც აცაბაცად ადგმევინებს! ამიტომ, თითქოს შველა-შებრალებას ითხოვსო, ფიქრგართული პატრონისკენ თავი იმდენად შემოუბრუნებია, რამდენადაც ნიდაოსა და ყელ-კისერზე მობჯენილი შეშა ამის საშუალებას იძლევა!

ბარაქალა «Аврора»-ს მიერ გამოცემულ ფიროსმანის ალბომის შემდგენლებს, რომ ყურადღების გასამახვილებლად ამ ნახატის მთავარი დეტალის სახით **ბიჭის** კი არა, სწორედ **სახედრის** გადიდებული თავი გამოუტანიათ ამხელა მთლიან გვერდზე: დაღლილობისგან გაშტერებულ პირუტყვის ადამიანურ თვალებში როგორი გაუბედავ-მოკრძალებული მდურვა-ვედრება იკითხება ამ სიმძიმე ტვირთისა და ამდენი ბოლომოუღებელი ლახლახის გამო!

ფიროსმანს არც აქ უღალატა ფუნჯმა. სახედრის თვალებში ისეთი ადამიანური გრძნობა და განცდები ჩააქსოვა, რომ გული თავისთავად გიჩქროლდება. თავისი მაგიური გამომეტყველებით სახედარი **«ჟირაფს»** თუ არ აჭარბებს, აღარც ჩამოუვარდება.

> «თუ მართალია ვაინინგერი, – წერდა 1916 წელს ფიროსმანის ერთ-ერთი პირველი შემფასებელი ჰარი ჰოლანდი, – რომ ყოველი ცხოველი თავის თავში ატარებს სამყაროს რომელიმე მეტაფიზიკურ განსაზღვრებას, მაშინ ფიროსმანაშვილის «ჟირაფში» ასეთ განსაზღვრებას უეჭველად აღმოაჩენთ: ჟირაფის თვალები გადმოცემულია ისეთი მეტყველი ძალით, რომ გავიწყდებათ, ის მხოლოდ ცხოველია და თქვენ გიპყრობთ თითქმის მისტიკური შიში».

იმავე 1916 წელს მეორე ავტორი ა. პეტროვსკი აღნიშნავდა.

> «პირველად რომ დავინახე «ჟირაფი», ერთბაშად შემიპყრო უცნაურმა შეშფოთებამ, თუ გნებავთ – ძრწოლამაც... ეს რაღაც მაგიაა, ჯადოქრობაა...»

ახლა ისევ ბიჭს მივუტრიალდეთ. უფრო სწორედ, მის სახისმეტყველებას დავაკვირდეთ. თავისებურ ვნებიან ფიქრებში გაბმულ ყმაწვილკაცს თავისკენ თავშემობრუნებული პირუტ-ყვისთვის როგორც კი ჩაუხედავს თვალებში, აგერ, როგორი სახე გახდომია – თავისი სახედარი სიცოცხლეში თითქოს პირველად ახლა დაინახაო: უსაზღვრო გაკვირვებისაგან გაბანტული ტუჩები ბავშვურად გაპობია, წრფელი თვალ(ებ)ი ფართოდ გახელია!

და აი, აქ, ამ ნახატზე აღბეჭდილია მსოფლიო ფერწერის ერთ-ერთი გენიალური მომენტთაგანი: ერთმანეთს მიჩერებული განცვიფრებული ყმაწვილკაცისა და დაღლილობისგან გარინდებული სახედრის მუნჯური, მაგრამ ფიროსმანის ფუნჯით უმაღლეს ჰუმანიზმამდე აყვანილი ადამიანური დიალოგი!

აქ ჩემთვის არამარტო მიუღებელი, არამედ გაუგებარიც არის ის მოსაზრება, რასაც ხელოვნებათმცოდნე **ვახტანგ ბერიძე** თავისი წიგნის 90-ე გვერდზე გადაჭრით ამტკიცებს.

> «ფსიქოლოგიური და სოციალური დახასიათებისას ის (ფიროსმანი. ჯ. მ.) ადამიანის სულიერ მდგომარეობას გადმოგვცემს არა სახის მეტყველებით, არამედ მხოლოდ მოქმედებით და ანტურაჟით...»

არადა, ფიროსმანის უმეტესი ნახატები სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რაშიც არაერთხელ დავრწმუნდებით.

გარდა ამისა, ვ. ბერიძემ კარგად ვერ გაიგო რა ფიროსმანის ეს შედევრული ნახატი, მოულოდნელად მის «ნაკლს» გვისახელებს.

«ვერ არის ახსნილი მეშეშის სახის **«კონკრეტული განწყობილება»**.

გასაკვირია! და აქ ვერც იქნება ეს «**კონკრეტული განწყობილება»,** ვინაიდან ერთდროულად მასზე აგერ, რამდენი რამეა აღბეჭდილი!

პირველყოფილი განცვიფრება – რას წარმოიდგენდა, რომ ერთ ბედქვეშ მყოფი მეგობარი საერთოდ, ანდა ასე «მალე» თუ დაეღლებოდა! მოულოდნელად თვალახელილი მოზარდის სინდისის ქენჯნა – აქამდე როგორ ვერ შენიშნა სახედრის გასაჭირი ან რატომ აჰკიდეს ამოდენა ტვირთი ანდა ახლა ასე უცებ რა უსაშველოს, როგორ შეუმსუბუქოს?! ბავშვური შიში – სახედარი რომ დაუვარდეს და ეს აწოწოლავებული შეშა ჩამოეშალოს, რაღა უნდა ქნას, ვინ იქნება მისი მშველელი?! მორცხვი ვედრება – ღმერთმა რამე ხიფათი არ მოუვლინოს და დაცემული სახედარი კუდით საწევი არ გაუხდეს! და რაც მთავარია, მკრთალი იმედი და ჭაბუკური თავდაჯერება – ერთგული მეგობარი არ გაწირავს და ტვირთს მაინც უტარებს, საოცნებო ადგილამდე როგორმე მიატანინებს!!!

გონს მოსული, შეცბუნებულ-განცვიფრებული ბიჭი შეშას ისე ეხება, თითქოს ლამობდეს დაღლილ მეგობარს როგორმე ტვირთი შეუმსუბუქოსო. მაგრამ, ეტყობა, ვერც ღონივრად ჩასჭიდებია – ვაითუ საპალნეს ამით ბუნებრივი ქანაობის სითანაბრე დაერღვიოს, შეშა რომელიმე მხარეს გადაიხაროს და მოუზვავდეს!

ცხოვრების ნარეკლიან გზაზე ხამად გამოსული ყმაწვილი ხიფათიანი მომენტის უცებობას ახალფეხადგმული ბავშვისთვის დაუმსგავსებია, რომელსაც გამართული სიარული კი

უსწავლია, მაგრამ თავდაზღვევის მიზნით დედის კალთისთვის მაინც მსუბუქად წაუვლია ხელი – თითქოს იქიდან ძალასა და რწმენას ღებულობსო!

დასასრულ, გეჩვენება, რომ ერთიმეორეს გრძნობით მიჩერებულ, ერთი შეხედვით ერთსულ და ერთხორცად ქცეულ ამ ორ არსებას – ყმაწვილსა და სახედარს – თითქოს ქვეყანაზე ერთმანეთის მეტი სხვა აღარავინ ებადოთ და მარტოდმარტონი დარჩენილიყვნენ **«ამ უთავ-ბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში».** (ილია).

თავი მერვე

მიუხედავად იმისა, დროთა განმავლობაში თავისთავად ჩამომიყალიბდა მაცდურ-ილუზიური წარმოდგენა – ფიროსმანის შემოქმედება ჩემზე უკეთესად არავის ეცოდინება-მეთქი, მაინც სულგანაბული ვისმენდი და ვკითხულობდი ხოლმე ცნობილი ხელოვნებათმცოდნეების ლექცია-მოხსენებებსა თუ წიგნებს.

გასაკვირია, რატომღა? იმიტომ რომ ისინი უაღრესად ერუდირებული სპეციალისტები იყვნენ და თავიანთი სიცოცხლის მანძილზე საყვარელ სფეროში მოღვაწეობისას უზადოდ დახვეწოდათ ერთ-ერთი უმთავრესი ხერხი, ფანდი თუ ილეთი – ბრწყინვალედ იცოდნენ, მკითხველისა და ფართო აუდიტორიის წინაშე **როგორ** უნდა ელაპარაკათ ფიროსმანზე, საერთოდ, ნებისმიერ დიდ შემოქმედზე!!!

თუმცა, ამავე დროს, ამ ყაიდის სპეციალისტების ერთ საჩოთირო ნაკლსაც ვგრძნობდი. საამოდ მოსასმენ-წასაკითხი მათი პროფესიული მაღალფარდოვანი, ჟღერადი სამხატვრო ტერმინებით გაჯერებულ ახსნა-განმარტებებში, შეფასებებსა და უშურველ ხოტბა-ქებაში მოცემული დიდი მხატვარი მოულოდნელად სრულიად სხვა რომელიმე ქვეყნის, ეპოქის, სტილისა და მიმართულების ასეთივე დიდი მხატვრით რომ შეგეცვალა, ამით თითქოს არაფერი დაშავდებოდა – იგივე ზოგადი ტერმინოლოგია, ახსნა-განმარტება, შეფასება და ქება-დიდება ამ მეორე მხატვარზეც ზედგამოჭრილი მოგეჩვენებოდა! თანაც ისე, საქმე საქმეზე რომ მისულიყო, ვერც კი გამოედავებოდით! რიგითი მკითხველი და მსმენელი ხომ ბაიბურშიც არ იქნებოდა!

ჩემი დაკვირვებით, დიდი მხატვრების შემოქმედების შემფასებელი კაბინეტური ხელოვნებათმცოდნეების ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი ეს არის – აკლიათ ხოლმე ჯერ საერთოდ და მით უმეტეს, მხატვრის ეპოქისდროინდელი ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და მაშინდელი საზოგადოების განწყობილების შინაარსის ღრმა ცოდნა, ისტორიზმის გრძნობა და საკითხის უსარგებლო ასოციაციური გაზვიადება-გადაჭარბების გარეშე ფხიზელი კვლევა.

მართალია, უნივერსიტეტის პირველი კურსიდანვე ფიროსმანის ნახატების გაცნობისა და ხელოვნებათმცოდნეების მიერ მხატვარზე დაწერილი მონოგრაფიების კითხვისთანავე მიჩნ-დებოდა განსხვავებული შეხედულება-მოსაზრებები, მაგრამ აქამდე პრესის ფურცლებზე არასოდეს გამოვსულვარ. მით უმეტეს, სულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში მიხდებოდა მუშაობა და ეს არ გამიძნელდებოდა. თუმცა, რედაქციებშიც რომ არ მემუშავა, ერთი რიგითი ლიტერატორის კვალობაზე მაინც შევძლებდი სადმე დაბეჭდვას. მაგრამ ეს არ გამიკეთებია, ვინაიდან მაშინ ვერ ვგრძნობდი ამის აუცილებლობას, საჭიროებას ან დაუძლეველ მოთხოვნილებას. თუმცა ფიროსმანთან დაკავშირებით ერთხელ მაინც მომიხდა საჯარო გამოსვლა და ისიც...

***

ეს იყო გასულ საუკუნეში, 1998 წელს. მეუღლესთან ერთად ოზაანში ვატარებდით შვებულებას – სახლ-კარსა და კარ-მიდამოს ვაწესრიგებდით, დედ-მამის საფლავებს ვუვლიდით...

არც ახლა ეღალატათ ტრადიციისთვის – ოქტომბრის ბოლო შაბათს ფიროსმანობის დღესასწაული ყოფილიყო დანიშნული.

რამდენიმე მეზობელმა ავტომობილით წაყვანა შემოგვთავაზა, მაგრამ ხელიდან როგორ გავუშვებდი მირზაანის გორებზე ავლა-ჩავლას. მით უმეტეს, მეუღლეც ამის მსურველი იყო.

მირზაანის გორებს ფეხით რომ შევუდექით, ასეთი აზრი დამებადა: მეთხოვა და დღესასწაულის ორგანიზატორები თუ პატივს დამდებდნენ, სიტყვით გამოვსულიყავი.

არ დავმალავ ჩემს განზრახვას – ამგვარ ხალხმრავალ დღესასწაულზე ფიროსმანის შესახებ ბანალურ მსჯელობას ვერ დავიწყებდი, ხოლო მის შემოქმედებასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრებების გამომზეურების დრო და გარემოება იქ არ იქნებოდა. მე სხვა რამ მაწუხებდა – რაიონში უკიდურესად დაძაბული სოციალურ-ეკონომიკური და კრიმინალური ვითარება სუფევდა და გადავწყვიტე ხალხის ასეთი გრანდიოზული თავშეყრის ტრიბუნა ჩემი გულისტკივილის გადმოსაშლელად გამომეყენებინა.

ფიროსმანობის დღესასწაულს, ტრადიციულად, რაიონის კულტურის განყოფილების გამგე ხელმძღვანელობს ხოლმე. იმჟამად ეს პოსტი ნელი გობეჯიშვილს ეკავა. ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობდით: ის კომკავშირის რაიკომის მუშაკი რომ იყო, მე კი – საზოგადოება «ცოდნის» პასუხისმგებელი მდივანი, ჩვენი კაბინეტები პარტიის რაიკომის შენობის პირველი სართულის ერთ მოკლე დერეფანში მდებარეობდა. ჰოდა, ქალბატონ ნელის ჩემი სურვილი რომ გავანდე, უარი არ უთქვამს: მართალია, სიტყვით გამომსვლელთა სია უკვე შედგენილია, მაგრამ სადმე ჩაგამატებო. თან ესეც დაატანა: ძალიან დიდძალი სტუმარი გვყავს ჩამოსული, ზეიმი რომ დამთავრდება, იმ ფაციფუცში შეიძლება ვეღარ გნახოთ და აქედანვე იცოდეთ – ჩვეულებისამებრ, დიდი სუფრა გვექნება გაშლილი და უეჭველად დარჩითო.

მე ავუხსენი: ჩვენც თბილისიდან კი არა, ოზაანიდან ვიყავით ამოსულები და ისევ იქ უნდა დავბრუნებულიყავით. ამიტომ სერობაზე ჩვენი დასწრებაც არ იყო აუცილებელი. ნეტავი ამოდენა სტუმარს გასწვდეთ და პურუჭმელ-პატივუცემელი არავინ წაგივიდეთ-მეთქი.

დღესასწაულზე, ჩვეულებისამებრ, ახლაც ზღვა ხალხი მოსულიყო. სახლ-მუზეუმის შემოგარენი და ახლომახლო ორღობეები ძლივს იტევდა ავტობუსებსა და მსუბუქ ავტო-მობილებს. მეზობელი რაიონების გარდა, თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ბლომა ხალხი ჩამოსულიყო. ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს. სახლ-მუზეუმის სიახლოვეს ინგლისელი მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეების ორი-სამი ხალვათი კარავი მოჩანდა – ისინი თურმე მეორე კვირაა, რაც აქ ყოფილიყვნენ და გონს ვეღარ მოდიოდნენ ამგვარი ზღაპრული ხედების ცქერით...

ზეიმი დაიწყო. პრეზიდიუმში სხედან რაიონის ხელმძღვანელობა და მოწინავე მშრომელები, თბილისიდან ჩამოსული საპატიო სტუმრები, კახეთის სამხარეო გუბერნატორი გია არსენიშვილი...

სიტყვით გამომსვლელები ერთმანეთს ცვლიან. ყველა თავისებურად ლაპარაკობს ფიროსმანის პიროვნებასა და მის შემოქმედებაზე. ზეიმი თითქმის მიწურვაზე იყო, ქალბატონმა ნელიმ რომ გამომაცხადა: სიტყვა ეძლევა ჩვენი რაიონის მკვიდრს, მწერალ ამასა და ამასო.

მიკროფონთან რომ მივედი, ღია ცის ქვეშ თავმოყრილი, დაღლილი და აბუბუნებული იმხელა აუდიტორია უცნაურად გაინაბა – აბა, ერთი რას იტყვის «რაიონის მკვიდრი» და თან მწერალიო.

რეგლამენტში რომ ჩავტეულიყავი, მაშინვე ჩემი გულისტკივილის გაზიარებას შევუდექი.

– ქალბატონებო და ბატონებო, ისედაც კარგად ვიცოდით, ხოლო დღეს აქ სიტყვით გამომსვლელებმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ ფიროსმანის ბედი და მომავალი დიდი ხანია გარკვეულია – ის უკვდავების ბინადარია. ამიტომ გენიალურ მხატვარზე ბანალური ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ, მით უმეტეს, რომ მე სულ სხვა რამ მაღელვებს – ჩვენ თვითონ ვინა ვართ, რას წარმოვადგენთ და აქ რისთვის მოვედით!

მაშ, მოდი, ერთმანეთს უშიშრად ჩავხედოთ გულსა და თვალებში და გავერკვეთ: ჩვენ ყველანი მართლა ფიროსმანის შემოქმედებისა და იდეების გულწრფელმა თაყვანისცემამ მოგვიყვანა აქ თუ ისე, ფეხის ხმას აყოლილებმა სასხვათაშორისოდ გამოვისეირნეთ მირზაანში, რათა არ ჩამოვრჩეთ «მოდას», ერთმანეთს დავენახოთ, აქაურობა გაზეთის ნაგლეჯებითა და ნასუფრალით ავაჭრელოთ და შინ ვერ დავბრუნდეთ იმაზე ცოტათი მაინც უკეთესები, ვიდრე აქ მოსვლამდე ვიყავით!

რა არის ფიროსმანის შემოქმედების არსი და ანდერძი? უმაღლესი ჰუმანიზმი, სამართლიანობა, მიმტევებლობა, მოყვასის სიყვარული, კეთილშობილება... და თუ ჩვენ ყველანი მართლა ფიროსმანის იდეების თაყვანისმცემლები ვართ, მაშინ სრულიად გაუგებარია, რაიონში რატომ სუფევს ამგვარი სასტიკი და ბოლომოუღებელი ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა, ნიღბოსანთა მიხტომ-მოხტომა, ბაცაცობა, სუსტთა და ქვრივ-ობოლთა ჩაგვრა, საყოველთაო განუკითხაობა და დაუსჯელობა?! ნუთუ აქეთკენ მოგვიწოდებს და გვიბიძგებს კაცთმოყვარეობით განმსჭვალული ფიროსმანის შემოქმედება?!

ჩვენ ყველანი თუ მართლა ფიროსმანის შემოქმედების ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები ვართ და ფიროსმანით გულწრფელად ამაყობს ჩვენებურობა, მაშ, როგორღა ხდება, რომ კოლმეურნეობათა მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას ერთმანეთთან შეკრული ერთი მუჭა ადამიანები ისაკუთრებენ, ხოლო ამოდენა მშრომელი გლეხობა, ვინც კოლმეურნეობას შეაღალა მთელი სიცოცხლე და მათ მამა-პაპასაც თავის დროზე ახალდაარსებულ არტელში ძალდატანებით შეატანინეს თავ-თავიანთი ავლადიდება და აქვე ჩაყარეს ძვლები, კოლმეურნეობის საერთო ქონებიდან ნამცეციც არ ხვდებათ და ღვთის ანაბარად რჩებიან! ეს არისჩვენი ფიროსმანობა და მისი კაცთმოყვარული იდეებისადმი თაყვანისცემა?!

მაშ, გულზე ხელდადებით ვაღიაროთ – ყველა ჩვენთაგანს ჰქონდა კი ფიროსმანის დღესასწაულზე მოსასვლელი პირი?! რა გამოდის? ზოგიერთებს ამ წმინდა ადგილზე მობრძანება და ფიროსმანის ფარისევლური თაყვანისცემის საჯაროდ გამოხატვა საფარველად სჭირდებათ, რათა უფრო გაიადვილონ თავიანთი უკეთური ზრახვების სისრულეში მოყვანა! თორემ, აბა, სხვა რით უნდა აიხსნას, რომ ჩვენი მარჩენალი დედაშირაქის ყველაზე ნოყიერი სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვრები...

განაბულ აუდიტორიას მოულოდნელად უკმაყოფილების ისეთმა დრტვინვა-შრიალმა გადაუარა, უმალ ვიგუმანე – ჩემ ზურგს უკან რაღაც ხდებოდა.

უცებ ჩემ გვერდით სახლ-მუზეუმის დირექტორი ანზორ მაძღარაშვილი გაჩნდა და იმ ძველი, მეგობრული კილოთი ჩამჩურჩულა – შეამოკლოსო!

ყველაფერი ელვისებურად გავიაზრე – არ შეიძლებოდა ქალბატონ ნელის ჩემთვის სიტყვის მოცემა სანანურად გახდომოდა. ამიტომ სიტყვა შევამოკლე კი არა, იქვე მოვსხიპე.

– ...მაშ, კურთხეულ იყოს საქართველოს ეს მშვენიერი კუთხე, მირზაანი, რომელმაც თავისი წიაღიდან ფიროსმანი ამოაქანა!

კურთხეულ იყოს საქართველოს ის კუთხე-კუნჭულიც, რომელიც ორას-სამას-ოთხასი და მეტი წლის შემდეგ თავის წიაღში აი, ასევე მიიზიდავს გენიისა და ჰუმანიზმის თაყვანისმცემლებს!

დღეს არა კაცს არ ძალუძს საქართველოს ამ საოცნებო კუთხეების წინასწარ განჭვრეტა და, ცხადია, ჩვენ მაშინ ცოცხლები აღარ ვიქნებით, მაგრამ ეგ არაფერი – სამაგიეროდ საქართველო იცოცხლებს და იარსებებს!

ტრიბუნიდან რომ ჩამოვედი და ისევ ხალხს შევუერთდი, აფორიაქებული რამდენიმე კაცი მომადგა, განზე გამიყვანეს და მღელვარე საუბარი გამიბეს. ზოგიერთმა გამიხსენა კიდეც – 20-22 წლის უკან რაიგაზეთ «ახალი შირაქის» რედაქტორის მოადგილე რომ ვიყავი, თავდავიწყებამდე მიყვარდა მინდვრებსა და ფერმებში სიარული.

– სწორედ ჩვენი გასაჭირი თქვი, მაგრამ შენ კიდე ცოტა გცოდნია! – გულადუღებით შემომძახოდნენ და ერთმანეთის მიყოლებით მისახელებდნენ რესპუბლიკის მასშტაბის ფუნქციონერებსა და ცნობილ პიროვნებებს, რომელთაც დედოფლისწყაროს რაიონთან, შირაქთან, საერთოდ, მიწათმოქმედებასთან არასდროს არაფერი აკავშირებდათ, ახლა კი რაღაც მანქანებით ასობით ჰექტარი ყველაზე საუკეთესო მიწები ჩაეგდოთ ხელში.

– ჩვენ? ჩვენ კი თითო-ოროლა ჰექტარი მოგვიგდეს! თანაც ეგეთი ხირხატია, გუთნის სახნავ-საკვეთი იღუნება! იქ ნარისა და ეკალუკალის მეტი არაფერი გვარობს!.. მოკლედ, ხალხი ეგრეა გამწარებული, აპალთია ერთმანეთს ავტომატებით დავერიოთ!!..

– ვენახები?! – ბობოქრობდა გრემათვალებიანი კაცი, – რაც კაი ვენახები და სავენახე ნაკვეთები იყო, ისიც სულ იმათ დაინარჩუნეს... ჩვენ თითო იღლია მამაპაპური რქაც ვეღარსად აგვიჭრია, იმათ კი საფრანგეთიდან გამოწერილი ლერწი ჩამოსდით!.. ერთი გაჩვენა – თითო ცალი რქა სულ ცელოფანშია დაფასოებული! ჩვენ კი... ჩვენ რაღა წყალს მივეცეთ, რით ვიცხოვროთ – სად გადავსახლდეთ აქედან?! ჰა, თუგინდაც გადავსახლკარდებით სადმე, მაგრამ ვინ დაგვიდგება თავდებად, რო იქ უარეს დღეში არ ჩავცვივდებით, ჰა?

– შაჰ-აბასიო!... ფერეიდანიო! ჰმ, ფერეიდანზე უარესი დღე გველის თუ რამე არ...

– კაცი არა ხარ, ჩამოლალე მწერლები და გაგვირჩიეთ საკითხი, – შემომღაღადა მზისგან გაშავრკინებულმა, თვალებში სევდაჩაგუბებულმა მხარბეჭა კაცმა, – იქნებ გვეშველოს! არადა!..

გული მიკვდებოდა, მათ რომ ვუსმენდი. რაკი მწერალი მერქვა და სიტყვითაც გამოვედი, ეგონათ, მათ ჭირ-ვარამსაც ვუწამლებდი. არადა, მე რა შემეძლო, ვინ რასა მკითხავდა, როცა სამშობლოს უბედურება ჰქონდა თავს დატეხილი.

მოსაუბრეებს ეს ყველაფერი შეულამაზებლად ავუხსენი და პირუთვნელად ვურჩიე: ტყუილუბრალოდ სხვის იმედზე ნურასოდეს იქნებოდნენ, თავიანთი სამართალი ემოციების გარეშე, მხოლოდ კანონიერების ფარგლებში ეძებნათ და რაც მთავარია, ყველა ერთ პირზე მდგარიყო...

ჩემ შემდეგ ორიოდე გამომსვლელს კიდევ მისცეს სიტყვა და დღესასწაულის ოფიციალური ნაწილიც დამთავრდა. ეს ამოდენა ნამგზავრ-დაღლილი და ნამშევი ხალხი აიშალა, ერთმანეთში აირია, აბუბუნდა. სახლ-მუზეუმს და შემოგარენს გამოსასალ მებელი მზერა მოვავლე, ვინ იცის, კიდევ როდისღა მეღირსება მისი ნახვა-მეთქი და იქაურობას სასწრაფოდ გავეცალენით, რათა შემთხვევით ძველი ნაცნობ-თანამშრომლები არ გადამყროდნენ, თორემ ხათრისთვის სერობაზე დარჩენას ვერ ავიცდენდით. ცხადია, ამაში არაფერი იყო მიუღებელი, პირიქით, მაგრამ ბავშვობისდროინდელი განცდებისა და წეღან გლეხკაცობის გასაჭირის მოსმენის შემდეგ ჩემთვის ნამდვილი სატანჯველი იქნებოდა უზარმაზარი სუფრის მიუსაფრობა, ყაყანი, პათეტიკა... ოღონდ ერთ რამეზე მეთანაღრებოდა გული. დღესასწაულის დაწყების წინ იმ ზღვა ხალხში შემთხვევით შევეჩეხე მწერალ **ზაურ კალანდიას**, რომელსაც თან თავისი შვილებიც

ჩამოეყვანა. ისინიც იმავე საღამოს სხვებთან ერთად აპირებდნენ უკან გამგზავრებას. ჰოდა, ახლა სინდისი მქენჯნიდა, რომ არ მოვძებნე, რათა მათ გვერდით ვყოფილიყავი და კოლეგიური სითბო მეგრძნობინებინა. მაგრამ თავს ამითღა ვინუგეშებდი: ამგვარ ვითარებაში გამობრძმედილ დღესასწაულის ორგანიზატორ-მასპინძლებს არაფერი შეეშლებოდათ!..

სახლ-მუზეუმის კარ-მიდამოს რომ ჩავცდით და ალავერდის ეკლესიას დავუპირისპირდით, ოთხიოდე ყმაწვილს წამოვეწიეთ. ერთ-ერთი მათგანი ახალგაზრდა მწერალი, არბოშიკელი **ზაქრო სეხნიაშვილი** აღმოჩნდა. არც ისინი დარჩენილიყვნენ დიდ სუფრაზე – ნიკო ფიროსმანაშვილის შესანდობარს ჩვენ შინ, მამაპაპურ ქვევრ-მარანში ვიტყვითო.

ზაქრომ სიტყვა რაიონში მცხოვრებ შემოქმედთა შორის დაბადებულ იდეაზე ჩამომიგდო, რომელიც ლიტერატურული ალმანახის გამოცემას ეხებოდა...

მალე ჩვენი გზებიც გაიყარა: მათ არბოშიკისკენ გადამავალ ბილიკზე გადაუხვიეს, მე და ჩემი მეუღლე კი გედიქის ხეობისკენ ჩაქანებულ ქვაღორღიან ნაგზაურს დავადექით.

აქედან თითქმის ნახევარი ქიზიყი მოჩანდა. უცებ ისეთი გრძნობა დამეუფლა, მზად ვიყავი, მთელი სიცოცხლე ამ გორის კინკრიხოზე ვმდგარიყავი და ტკივილის მოგვრამდე მშობლიური გარემოს ცქერაში დამელია სული. პატარა ქვატინზე უსიტყვოდ ჩამოვჯექი. თავში ათასნაირი ფიქრი მიტრიალებდა. რაკი მეუღლემ იგრძნო, მარტო დარჩენა მსურდა, წინდახედულად წამოღებული კაპრონის პატარა პარკი ამოიღო – ასკილს მოვკრეფავო. ხელჩანთა გვერდით დამიდო და დამრეცი ფერდობის ჯაგმაგს შეერია.

ჰმ! თავის დროზე ნიკოს მამა, ასლანი გაჭირვებას მირზაანიდან ცოლშვილიანად შულავერში გაექცა, მაგრამ ვერც იქ იხეირა. ჯერ უფროსი ვაჟი გარდაეცვალა, მერე თვითონ, მეუღლეც ქმარ-შვილის კვალს გამოსდგომია და ობლები უარესად დასწიოკებიათ. უფროსი ქალიშვილი, მარიამი, თითქოს ვიღაც ქალაქელ მიწისმზომელს შეურთავს, მაგრამ ის საცოდავი მალე თბილისში ნაფეთქ შავ ჭირს მოუდვნია; მეორე ქალიშვილი, ნიკოზე უფროსი, ფეფე რის ვაინაჩრობით ისევ მშობლიურ მირზაანს დაბრუნებია, პირველი ქმრის სიკვდილის შემდეგ მეორედ გათხოვილა, ორივე ქმრისგან ათი შვილი ჰყოლია და მთელი ცხოვრება ტანჯვა-სიღატაკეში გაულევია... ნიკო კი თბილისს შეეკედლა, 45 წელი იქ ეწამა და ბოლოს მაინც შიმშილ-სიმარტოვეში ამოხდა სული!

ღმერთო, სულ ტანჯვა და გაჭირვება, სულ ტანჯვა და გაჭირვება – ნუთუ მართლა ეს არის საქართველოს ბედისწერა?! ახლა არის და ეს მოუშორებელი ტანჯვა-გაჭირვება თვით გენიოსის მშობლიურ მირზაანს, ქიზიყს, მთელ საქართველოს თავს სულთამხუთავივით წამოსდგომია და გასაქანს არსაით აძლევს!..

მთელი შვებულება სოფელ-სოფელ და ველ-მინდვრებში დავყიალობდი და საკუთარი თვალით ვიხილე შემაძრწუნებლად გაძარცულ-გაპარტახებული საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები, იავარქმნილი ელექტროქსელები, საძირკვლიანად დანგრეული კაპიტალური ფერმები, მავთულაშვებული და ბოძებდაგლეჯილი, შამბგადავლილი გააბეჩხრებული საკოლმეურნეო ზვრები, ლაჩრულ-შტერული უმოწყალობით გაჩეხილი ხეივნები და ქარსაფარი ზოლები, მინგრეულ-მონგრეული გზები და ხიდ-ბოგირები, სადღაც გამქრალი ტრაქტორ-კომბაინთა მოშიშვლებული სადგომები, მეჯართეებისგან პირწმინდად დავარცხნილი ბრიგადები და ველ-მინდვრები... გადამწვარი წარაფები... ბრაკონიერთა სათარეშოდ ქცეული სავარგულები... ბორდიურგამქრალი გზები და ტროტუარები... აღარავინ უყურებდა, რამეს რომ იტაცებდა – ეს სჭირდებოდა ანდა მომავალში მაინც დასჭირდებოდა თუ არა რამეში?! მთავარია, დამშლელი აღარავინ იყო! ამიტომ წლობით დაგროვილ, ახლა კი თავაწყვეტილ სიხარბესა და სიძულვილს სრული გასაქანი ეპოვა – რის წაღება და მოპარვაც შეიძლებოდა, ყველაფერი წაეღოთ და მოეპარათ!!!

ერთი სიტყვით, ცეცხლითა და მახვილით დაძალებული საბჭოთა წეს-წყობილება და წარმოების კოლექტიური ყაიდა უცებ დაშლილიყო და თვალსა და ხელს შუა გაცამტვე-რებულიყო!.. ათწლეულობით ნაგროვები სახალხო დოვლათი ფუნქციონერებს, ბობოლებს, მოხერხებულებსა და თავზე ხელაღებულებს მიეტაცებინათ, თითივით შიშველ-ტიტვლად დარჩენილ უბრალო მშრომელ ხალხს კი ყოველდღიურად თავი რის ვაი-ვაგლახით გაჰქონდა და არსებითად, უკვე შიმშილობდა!..

ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, განსაკუთრებით კი XX საუკუნეში უმოწყალოდ ნაგვემ-ნატანჯი საქართველო უფრო უარესი სოციალურ-პოლიტიკური ქარტეხილების ტალღებზე ნაფოტივით ქანაობდა და არავინ იცოდა, ეს როდემდე გასტანდა, რა სახით დამთავრდებოდა ანდა რას გვიქადდა კარს მომდგარი XXI საუკუნე!..

და ყოველივე ამის ფონზე რა საოცარ ასპექტში აღიქმებოდა მირზაანელი კაცის, ნიკო ფიროსმანაშვილის გენიალურობა და მისი მსოფლიო სახელგანთქმულობა, რომელიც რაღას არ გაფიქრებინებდა: სამომავლოდ რანაირი ბედ-იღბალი ექნებოდა მის შემოქმედებით მემკვიდრეობას – საშინელი სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმებისგან შეძრული და მოძალებული მასკულტურის ექსპანსიისაგან გასხვანაირებულ ჩვენს ახალთაობას მის შემოქმედებაში რა დააინტერესებდა, რას დაუწყებდნენ ძებნას და რას აღმოაჩენდნენ!..

რაღაცა ყელში ბურთივით გამეჩარა. აფორიაქებული ფიქრი ხან სად გადაიელვებდა, ხან – სად. მშობლიურმა მიდამომ ახლა ჩემიანები მომაგონა, ვისთანაც ერთად, ამ გზა-ბილიკებზე ოდესღაც, ვინ იცის, რამდენჯერ ამევლ-ჩამევლო!..

მორჩა, წარსულს ჩაჰბარებოდა ძველი დრო და ის ნათესაური სიამტკბილობაც. ძველებიდან აღარავინ მყავდა ცოცხალი – პაპა-ბებიები, დეიდები, მამიდები, ბიძები, დედ-მამა... მეჩვენებოდა, რომ მათ ქიზიყის სხვადასხვა სოფლის სასაფლაოზე კი არ ეპოვათ სამუდამო სამყოფელი, არამედ ფიროსმანის ალბომში გადასახლებულიყვნენ!

ახლაღა მეხილებოდა თვალი: ხასიათითა და ქართული ნირ-იერით ყველანი ისე საოცრად ჩამოჰგავდნენ ფიროსმანის პერსონაჟებს, რომ ვეღარ გავრკვეულიყავ – ისინი ფუნჯის ჯადოქარმა გადახატა თავის მუშამბაზე თუ ფიროსმანის სურათების დაშტერებული ყურებისგან დროთა ვითარებაში თავისთავად დამსგავსებოდნენ დიდოსტატის ქმნილებებს, თუმცა მათ მხატვრის ვინაობა ყურმოკვრით იცოდნენ, ხოლო მისი ალბომი თავის დღეში არც გადაეფურცლათ...

ჩაწურული მზე მიდამოს ალმაცერად აფენდა მომაკვდავ სხივებს. მშრალი, თბილი საღამო იდგა. ჩამდუმარებული გამოჩანდა გაუკაცრიელებული გედიქის ხეობა... ოზაანი, ცლუნკაანი, პრასიაანი... ტიბაანი... ხირსის სტეფანწმინდის ეკლესია... შემოდგომის ლაინისფერ ბინდბუნდში მოხაზული შორეული ხორნაბუჯის ციხესიმაგრის პირქუში კლდეკარი... ალაზნის ჩალურ-ჯებული ველი... კავკასიონის მთაგრეხილის ნაწყვეტი...

გლახგული უცებ მადლიერებით შემილბა, რადგან განგებამ ინება, მეც ამ კუთხის ერთ-ერთი პაწაწკინტელა, უმნიშვნელო ნაწილი ვყოფილიყავი...

ოღონდ დროებითი ნაწილი!..

ეს სიკვდილამდე კარგად უნდა მხსომებოდა!..

თავი მეცხრე

წლების მანძილზე ჩემში ფხიზლად მთვლემარე ამ წიგნის დაწერის იდეა დუღილის ტემპერატურამდე ორმა მიზეზმა მიიყვანა.

პირველი მათგანი ასეთია. ბოლო ხანებში ყველგან, განსაკუთრებით კი თბილისში გამოგნებელი სისწრაფით მრავლდება საზოგადოებრივი კვების წვრილ-მსხვილი ობიექტები. გაიხედავ და რომელიღაც უსახური, უსუფთაო სარდაფი, მობღუნძული სახლაკი, მოგუგუნე ავტოსტრადის პირას დასკუპული ლაჭყორი, ფიცრული კუპეების მწკრივი, ჩალური, ფანჩატური თუ ძელური ყინჩად იუწყება: «ციგუშას დუქანი», «მეგრული კერძები», «ხორიაშვილის სამიკიტნო», «ქიზიყური პურ-მარილი», «პავლეს სახინკლე», «ჯანოს ლუდხანა», «ზაირას საქაბაბე», «რაჭული სუფრა», «ყარამანას სამწვადე»... ბევრი მათგანის აბრაზე, ცხადია, რეკლამის მიზნით, საგულდაგულოდ მიულურსმავთ ქეიფის თემაზე შექმნილი ფიროსმანის რომელიმე ნახატი, უმეტესწილად კი **«სამი თავადის ქეიფი»** ანდა **«ქალი ლუდის კათხით»**.

ერთი შეხედვით საკითხი ეროვნული შეგნებით და ამდენად, პატრიოტულად არის გადაწყვეტილი. აგერ, მაგალითად, თბილისის რომელიმე კუთხეში ახალგახსნილ ზაირას საქაბაბესა თუ ყარამანას სამწვადეს კლიენტების მისაზიდად სარეკლამო აბრა სჭირდებოდა. ჰოდა, ფიროსმანის ამ ნახატზე უკეთესს სხვა რას შეარჩევდნენ?! შეხედეთ, ბატონო, აგერ, როგორ ქეიფობს სამი ულვაშოსანი ქართველი! მაშ, თქვენ რაღა ღმერთი გიწყრებათ – თქვენც მათებრ მოდით ქეიფის გუნებაზე, გვეწვიეთ და დახვედრა ჩვენზე იყოსო!!!

რამდენად სწორია ასეთი შეხედულება და საკითხის ამგვარად გადაწყვეტა?

თავი დავანებოთ იმ აღმაშფოთებელ სინამდვილეს, რომ ბევრი სარდაფ-საქეიფოსა და სამიკიტნო-სასადილოს აბრაზე უხელოვნოდ მიჯღანულ-მიმაგრებული ფიროსმანის ამა თუ იმ ნახატის ასლი ვიღაც უნიჭო ხელოსნის მდარე, კარიკატურულობამდე დაყვანილ ნახელავს წარმოადგენს. მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი. რომელიმე თვალგულმიუსვლელ დუქნუკას კი არა, დედაქალაქის ყველაზე ფეშენებელური რესტორნის აბრაზეც რომ იყოს მოთავსებული არამცთუ ასლი, არამედ თვით «სამი თავადის ქეიფის» **დედანი**, მაინც აბსურდულად აღიქმება.

ვგუმანობ, ბევრს გაუკვირდება: კი მაგრამ, რა განსხვავებაა – შემკვეთები ამ სურათებს ფიროსმანს განა აბრებისა და დუქან-სამიკიტნოების გასამშვენიერებლად არ ახატვინებდნენ?! ჰოდა, თუკი იმ დროს შეიძლებოდა, დღეს რაღა შავდება ამ ნახატების იმავე მიზნით გამოყენებითო?!

ეს გასაგებია, მაგრამ იმ დროში ფიროსმანის ნახატების მხოლოდ ამ მიზნით გამოყენება მაშინდელი საზოგადოების მისწრაფებებს, მოთხოვნილებებსა და გემოვნებას გამოხატავდა – ისინი ამ ნახატებში იმხანად ახალფეხადგმული პრიმიტიული რეკლამისა და რაგინდარა კლიენტების ქეიფის სახადელზე მოყვანა-გამხიარულების მცდელობის მეტს სხვა ვერანაირ ღირსებას ვერ ამჩნევდნენ!

ღმერთმა ნუ ქნას და ეს სულ ასე რომ გაგრძელებულიყო, მაშინ სავალალო რეალობის წინაშე აღმოვჩნდებოდით: ფიროსმანის ნახატები ვერასოდეს გასცდებოდა ამ გარემოს და მათი ხილვის ბედნიერება მხოლოდ დუქან-სამიკიტნოებისა და მსგავს გასამხიარულებელ დაწესებულებათა კლიენტების მეტს სხვას არავის ექნებოდა! მაგრამ მერე და მერე, როცა მხატვრის შემოქმედების ობიექტური შემეცნების შეუქცევადი პროცესი დაიწყო და თანდათან გამოგნებული სინამ-დვილე გაირკვა – სირაჯ-მიკიტნების შეკვეთით შესრულებულ, მავან ჭკუის კოლოფთა მტკიცებით კი ამ ვითომ უმნიშვნელო ნახატებში თურმე ქართველი ხალხის სულიერება და

ტკივილები, მისი ეროვნული განცდები და მხატვრობის ახალი, რეალისტური გზები ყოფილა ნაჩვენები, აი, სწორედ იქ და მაშინ დასრულდა მათი დუქან-აბრაბანაობაც, ვინაიდან მსოფლიოში სახელგანთქმულ ხელოვნების მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაიდეს ბინა, ავტორს კი გენიოსის სახელი მოუტანეს!

და ყოველივე ამის შემდეგ სრულ აბსურდულობად აღიქმება მსოფლიო ხელოვნების მწვერვალებიდან ნიკო ფიროსმანის ნახატების ისევ დუქან-სამიკიტნოთა აბრების დონეზე ჩამოქვეითება!!! ამიტომ ვისაც ფიროსმანის შემოქმედება სერიოზულად აინტერესებს, ის უნდა გაიცნოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული ალბომებით, მხატვრისადმი მიძღვნილი ლიტერატურითა თუ სამეცნიერო კონფერენცია-შეხვედრებზე და არა მავანთა უსუფთაო, მობღუნძული დუქნუკების დააფრაკებულ, კუსტარულ აბრებზე მიმაგრებული მდარე-მდარე ასლებით!

საკითხის მეტი ნათელყოფისთვის ერთი შეხედვით ამგვარ უცნაურ მაგალითა-პარალელს მოვიყვან. ვთქვათ და, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის გარეუბანში ააშენეს თანამედროვე ტექ-ნიკა-ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქარხანა. და აი, იქ მომუშავე ახალგაზრდა პოლონელების შრომითი ენთუზიაზმის აღსაფრთოვანებლად და ახალ-ახალი კადრების მისაზიდად ქარხნის ჭიშკრის ტრიუმფალურ თაღზე აბრის სახით საგულდაგულოდ მიამაგრეს რომელიმე პოლონელი ცნობილი ფერმწერის სახელგავარდნილი ნახატი ან თუგინდ კინოქრონიკებიდან ამოღებული და გადიდებული სურათი, რომელთა შინაარსი ასეთი იქნება: აუშვიცის[5] საკონცენტრაციო ბანაკის პოლონელ ტუსაღებს როგორ ამუშავებენ ფაშისტები!

ცხადია, ნებისმიერი განათლებული პიროვნებისთვის მსგავსი რამ წარმოუდგენელი იქნება! არადა, რატომ – ვითომ რა დაშავდებოდა ამით: ის ავადსახსენებელი საკონცენტრაციო ბანაკი ხომ პოლონეთის მიწა-წყალზე არსებობდა და ეს პირობითი ქარხანაც იქვე «ავაშენეთ», მოქმედი პირნი ერთგანაც პოლონელები არიან და მეორეგანაც, ორივეგან ერთსა და იმავე **ფაქტთან – შრომის პროცესთან** გვაქვს საქმე და განა შრომა როდესმე დასაძრახი ან დასამალი იყო ანდა არის?!

დიახ, მაგრამ აქ გადამწყვეტია არა თვით **ფაქტი,** არამედ ამ შრომის **მიზეზი** და **მოტივი**!!! თანამედროვე თავისუფალი პოლონელი ახალგაზრდა მუშის შემთხვევაში შრომა იქნება ნებაყოფლობითი, შემოქმედებითი კმაყოფილების, სიამაყის, აღმაფრენის, მატერიალური კეთილდღეობის წყარო! საკონცენტრაციო ბანაკში გამომწყვდეული პოლონელი პატიმრე-ბისთვის კი კატორღული შრომა იყო იძულებითი, უშთაგონებო, უპერსპექტივო, აუნაზღაურებელი, დამამცირებელი, სასოს წარმკვეთი, მათ გამოფიტვა-გაწყვეტაზე გათვლილი! ამიტომ იმ ტუსაღთა ჯოჯოხეთური შრომითი **პროცესი** არანაირ მაგალითად არ გამოდგება თანამედროვე პოლონეთის ნებისმიერი წარმოება-დაწესებულების მუშებისთვის!

ამგვარად, საკონცენტრაციო ბანაკების გაუსაძლისი ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნახატი თუ უნიკალური ფოტოსურათი შესაბამის მუზეუმში უნდა მოთავსდეს, როგორც იმ ტრაგიკული ეპოქის ამსახველი უტყუარი მხატვრული თვალსაჩინოება, რათა მომავალმა თაობებმა საკუთარი თვალით იხილონ, რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა იმ ბანაკებში. ხოლო თავისუფალი შრომის ხოტბის შესასხმელად და ახალგაზრდობაში ენთუზიაზმის გასაღვივებელ რეკლამად სხვა რამ თანამედროვე ხერხი და საშუალება გამოვიყენოთ.

ყოველი ეროვნების და, ცხადია, მათ შორის ქართველი მამაკაცის ბუნებაშიც ბუდობს ქეიფის მოთხოვნილება, სურვილი, ცდუნება, დემონი, ჟინი, ჭია თუ მგელი. ჰოდა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, როგორც კი გენიალური ფუნჯით ქეიფის თემაზე (აქ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებული სუფრა-სერობები არ მაქვს მხედველობაში!!!) შესრულებულ ფიროსმანის

---

[5] **აუშვიცი** (გერმ.) _ ოსვენციმი.

ნახატებს შევხედავთ ხოლმე, ჩვენი ბუნებრივი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, იმავე წამს ვიხიბლებით მათზე ასახული ქეიფის **ფაქტით** და სურვილიც იმავწამიერად გვიჩნდება: უჰ, ერთი ჩვენც ასე ძველქართულად გაგვაწევინა ქეიფი ანდა ამა თუ იმ ნახატის ასლი გადავაღებინოთ და ახალგახსნილი დუქნის, სამიკიტნოს ან რესტორნის აბრაზე მივიჭედოთ – უკეთესი რეკლამა და მიპატიჟება რაღა გინდათ! მაგრამ დამთვალიერებელთა უმრავლესობას არასოდეს მოსდის აზრად, გაერკვეს უმთავრესში: ბოლოს და ბოლოს, რა იყო ფიროსმანის პერსონაჟების გაუთავებელი ქეიფების **მიზეზი** და **მოტივი**?! და საერთოდ, რამდენად შეიძლება შეესაბამებოდეს ან უნდა შეესაბამებოდეს თუ არა ერთმანეთს ფიროსმანის ნახატთა პერსონაჟების ან თუგინდ თვით მხატვრის თანამედროვეების (თუმცა ეს ერთი და იგივეა!) და დღევანდელი ქართველების მიერ გაწეული ქეიფების **მიზეზები** და **მოტივები**?!

სანამ ფიროსმანის ნახატებზე ასახულ ქეიფების **ფაქტს** მშვიდად არ შევხედავთ და პირველ რიგში სიღრმისეულად არ გავარკვევთ ამ ქეიფების **მიზეზებსა** და **მოტივს,** მანამ სრულყოფილად ვერასოდეს შევიცნობთ გენიალური მხატვრის შემოქმედებას და მუდამ მისი ცალმხრივი, ვულგარული გაგებით აღძრული პროვინციული თავმოწონების ტყვეობაში დავრჩებით.

წიგნის შემდეგი თავებიც სწორედ ამის ნათელყოფის ცდასთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ მანამ მკითხველმა რომ არ მოიწყინოს, თან ცოტა წინასწარ შევამზადო კიდეც ფიროსმანის შემოქმედების შესახებ აქამდე არსებული საყოველთაოდ მიღებული გაგებისგან ცოტა განსხვავებული შეხედულების მოსასმენად, ერთი ასეთი მაგალითის განსჯას შევთავაზებ.

პერიფერიებზე ვერაფერს ვიტყვი, იქ რა ხდება, მაგრამ თბილისის რამდენი თანამედროვე ლუდხანა-სასოსისე-სახინკლე-საქაბაბის აბრა-ფასადზეა აღმართული ფიროსმანის ცნობილი ნახატის უზარმაზარი, საგზაო ბილბორდს[6] დამსგავსებული ასლი **«ქალი ლუდის კათხით».**

ახლა გადავშალოთ ფიროსმანის ნამუშევრების ყველაზე სრულყოფილი ალბომი და კარგად დავაკვირდეთ მანდილოსანი პერსონაჟების ჩაცმულობას. აქ ვინც უნდა შეგხვდეს, სულ ერთია: ეს იქნება თავსაფრიანი მწველავი, პურის მცხობლები, კრუხ-წიწილის მეთვალყურე, კალოზე ჯერის მიმტანი, ძიძა, უშვილო მილიონერი, მრავალშვილიანი ღატაკი, მეგარმონე, ქალი დაირით, ლეჩაქიანი ქალი, ტახტზე წამოწოლილი ქალი, ქალი ქოლგით და ყვავილებით, წყალზე მიმავალი, აივნებზე ჩამწკრივებულნი, ქორწილის მონაწილენი, რომელიმე სუფრის წევრები, ჭირნახულის დამბინავებლები თუ ბოლნისს სალოცავად გამგზავრებულნი, თითოეული მათგანი ისეთი ხაზგასმულობითაა ჩაცმულ-დახურული და საკინძეჩაღილული, რომ პირისახისა და ხელის მტევნების გარდა ერთი გოჯი ტიტველი ადგილი სხვაგან არსად მოუჩანთ.

მაშ, რა ისეთი აღდგომის წითელი კვერცხია ეს ლუდისკათხიანი, მკლავებტიტველა და გამომწვევად მკერდმოშიშვლებული ქალი, ათასი ოხერ-ტიალისგან ნასრეს-ნაჯიჯგნი ძუძუები ჭიპამდე რომ ჩამოდღლეზია?! თანაც ჯერ საერთოდ, და მით უმეტეს დღევანდელთან შედარებით იმ სინდის-ნამუსიან ეპოქაში რა მკრეხელობამდე მისული თავნებობაა – ლუდის საყლურწავად აი, ასე შილიფად გამოწყობილი, თანმხლები მამაკაცის გარეშე მარტოდმარტო წამომჯდარა რომელიღაც სამაცდურო ალაგას და მოთმინებით უცდის...

ვინ არის ეს ქალი ან ვისა და რას უცდის?

ამ უანაწერო ქალის ვინაობა და პროფესიის ამოცნობა არ არის ძნელი. ჩვენამდე გაცილებით ადრე ბევრმა ხელოვნებათმცოდნემ დასვა უტყუარი დიაგნოზი. ფიროსმანის მგრძნობიარე გულმა ზუსტად შენიშნა და შეულამაზებლად უკვდავყო სოციალური უკუღმართობის

---

[6] **ბილბორდი** (ინგ) _ დიდი სარეკლამო ფარი, აბრა.

მსხვერპლი, გაუბედურებული **მეძავი ქალი**, რომელსაც ყასიდად დაუჭერია ლუდით აქოჩრილი კათხა და ჩვეული მოთმინებით უცდის კლიენტი მამაკაცის გამოჩენას და შემოთავაზებას!!!

ახლა დავდოთ ქუდი და გავაჩინოთ სამართალი: რამდენად ეთიკურია გზიდან აცდენილი ჩვენი წინაპარი ქალის სულისა და ხსოვნის შეწუხება, მისი საძრახისი ყოფიერების ასე საქვეყნოდ გამოფენა და მით უმეტეს, რეკლამად გამოყენება?! კი მაგრამ, ფიროსმანის ამ შედევრულ ნახატში – იმ შავბნელი სოციალური ჯუნგლების ნამდვილ ბრალდებას რომ წარმოადგენს – რა არის საამაყო, სამაგალითო და მით უფრო, სარეკლამო: სოციალური ანარქია, რიგითი მოქალაქის ნივთიერი სიდუხჭირე, ილაჯგაწყვეტილი ქალის პირუტყვული მდგომარეობა, საკუთარი ხორცით ვაჭრობა თუ ლაგამწაყრილი უნამუსობა?! ანდა, საზოგადოებრივი კვების ამა თუ იმ ობიექტის მეპატრონის მხრიდან ამაზე უფრო მეტი შეურაცხმყოფელი რაღა უნდა იყოს თანამედროვე თავისი კლიენტისთვის და მეტადრე მანდილოსანი კლიენტისთვის – ამგვარი პერსონაჟისა და შინაარსის მქონე ნახატის ყბადაღებული რეკლამით შეიპატიჟონ სადმე ანდა, რაიმე გარემოების გამო იძულებული შეიქმნას მის ქვეშ მიუჯდეს მაგიდას და დანაყრდეს?!

ბოლოს და ბოლოს ნუთუ ვეღარ უნდა მივხვდეთ: ამგვარი შინაარსის ნახატების ადგილი შესაბამისი მუზეუმები და ალბომებია და არა კვების, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო თუ მსგავს დაწესებულებათა ფასადები?! მაგრამ ვინ არის გამკითხავი?! ფიროსმანის შემოქმედების ვულგარული გაგება მავანთა მეოხებით კვლავ თავისებურად მიიკაფავს გზას! ახალგახსნილი რომელიღაც სალუდის გაუნათლებელ მეპატრონეს ჭკუას აკარგვინებს ფიროსმანის მსოფლიო სახელი და გენიოსის ფუნჯით «ხოშიანად» ასახული ლუდის სმის **ფაქტი,** მაგრამ ზღაპრულ შემოსავალზე მეოცნებე ჩვენს ძმას აზრადაც არ მოსდის გაარკვიოს უმთავრესი: ამ ქალის ვინაობა და აქ ასახული ლუდის სმის **მიზეზი** და **მოტივი.** და ეს ყველაფერი რამდენად ანდა საერთოდ, შეესაბამება თუ არა იმ სადღეისო იდეალებსა და ცხოვრების შინაარსს, რამაც ჩვენი საზოგადოება სულიერად უნდა ასაზრდოოს.

თავი მეათე

მეორე მიზეზი, რამაც ამ წიგნის წერა დამაწყებინა, შემდეგნაირია. საქართველოში, ალბათ, არ მოიძებნება ისეთი ადამიანი, არ იცოდეს ფიროსმანის ტრაგიკული ბიოგრაფია და გაგონილი მაინც არ ჰქონდეს მისი მსოფლიო სახელგანთქმულობა. მაგრამ ძალიან ბევრს მხატვრის ამგვარი აღიარების მიზეზი და საფუძველი ასე წარმოუდგენია. თვითონ ნიკო ფიროსმანაშვილი ყოფილა თავგადადებული მოქეიფე, ამდენი ქეიფობით ბოლოს გალოთებულა კიდეც და ამასვე გადაჰყოლია. ჰოდა, როგორც მაგარი მოქეიფე, რაღა გასაკვირი უნდა იყოს, რომ თავის სურათებშიც სულ თანამეინახეებსა და ნაცნობ-მეგობრებს დახატავდა!!!

ამრიგად, მავანთა გულწრფელი, მაგრამ პროვინციულ-პრიმიტიული წარმოდგენით მხატვარი ფიროსმანი, როგორც შემოქმედი, სხვა არაფერია თუ არა ღრეობა-ქეიფების გენიალური აპოლოგეტი, ხოლო მისი მხატვრული მემკვიდრეობა თითოეული ქართველისთვის სახარებასავით საწამებელი და უსიკვდილოდ აღსასრულებელი ანდერძი: აი, შეხედეთ, თავის დროზე ჩვენ რა მაგარი მოქეიფეები ვიყავით და ვინძლო არც თქვენ შეირცხვინოთ პირი – ღირსეულად განაგრძეთ მამა-პაპათა სუფრული ტრადიციები და მთელი სიცოცხლე სულ ქეიფში გალიეთო!!! ამინ და კირიე-ელეისონ!

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ მისი თანამედროვეები – ესენი იქნებიან მხატვრები თუ სხვადასხვა ხელობა-საქმიანობის რიგითი მოქალაქეები – მოურიდებლად აღნიშნავენ ფიროსმანის ლოთობის ფაქტს და ამრიგად, მისი შედარებით ნაადრევი სიკვდილიც სწორედ ამ ლოთობას უკავშირდება.

ზოგადად ეს ასეც იყო, მაგრამ ლოთობაც არის და ლოთობაც. და თუ თავს უფლებას ვაძლევ მეც შევეხო ამ უკიდურესად ფაქიზ საკითხს, მხოლოდ და მხოლოდ ორი გარემოების გამო.

პირველი მათგანი ასეთია. შემოქმედებითი წყურვილით წატყუებულ, ცხოვრების უმეცარ ბევრ თანამედროვე მიამიტ ყმაწვილს მეტისმეტად რომანტიკულ ფერებში წარმოუდგება განზე გაგონილი ფიროსმანის გალოთება-ლოთობის «მიმზიდველი» ლეგენდა და თავისდა შეუმჩნევლად დაუძლეველი ცდუნების საბედისწერო მსხვერპლი ხდება: საკმარისია თვითონაც ხელოვნურად თავი გაილოთოს და მორჩა – სასმელით გამოთაყვანების პროცესში თუ თავის ქალას გამხეთქავ ნაბახუსევზე მოვლენილი მოწყალე მუზა დედაქალაქის რკინიგზის ვაგზლის ყბამოუღლელი დიქტორივით სულ მისხალ-მისხალ ჩაუკაკლავს მზამზარეულ რეცეპტებს და მასაც ხელიდან ვეღარ დაუსხლტება გენიოსი პოეტის, მხატვრის, პროზაიკოსის, მსახიობის, მუსიკოსის, მომღერლისა თუ მოქანდაკის დიდება და უკვდავება!!!

შედეგი? უბედური საქართველო თანდათან ივსება ფეხისხმასაყოლილი, გამოუბრუნებლად გალოთებულ-განარკომანებული ვაიშემოქმედი ახალგაზრდა-ძველგაზრდებით, გენიოსები კი ჯერჯერობით რაღაც არ ჩანან!

ლოთობის გზით შემოქმედებითი მწვერვალების დაპყრობაზე ოცნებით გადაღლილი ახალგაზრდების ყურადღებას ერთ უმნიშვნელო, თუმც თვალისამხელ ვითარებაზე შევაჩერებ: ღვინო-არაყი გენიოსობის უეჭველი რეცეპტი და საშუალება რომ იყოს, მაშინ ეს მაღაზია-მარკეტები და ბაზრები სასმელებით კი არ იქნებოდა გამოჭედილი, არამედ ერთი ბოთლი რომი, კონიაკი, ღვინო, სპირტი თუ არაყი ნატვრისთვალივით უშოვარი იქნებოდა!!!

რაკი გენიოსთა ლოთობაზე ჩამოგვივარდა ლაპარაკი, აქ თვალი უნდა გავუსწოროთ მკაცრ სინამდვილეს. როგორც უტყუარი მაგალითები გვიდასტურებს, სხვადასხვა მიზეზით ეს უსაზღვრო ნიჭიერება და გენია აქცევს ხოლმე ზოგიერთ მერყევ შემოქმედს ლოთად და არა პირიქით – თვითმიზნური ლოთობა გენიად. ასე რომ ყოფილიყო, დედამიწის ზურგზე რამდენი გაუბედურებული ლოთიც ბოგინებს, მაშინ იმდენივე რაოდენობის სხვადასხვა დარგისა და სფეროს გენიოსი გვეყოლებოდა: უკვდავებას მოწყურებულთა არმიები თავდაჯერებით შეუდგებოდნენ მეთოდურ თვითგალოთებას და გენიოსთა ინკუბატორულ ჩეკვასაც დასასრული აღარ ექნებოდა!!!

ბოლოს და ბოლოს ფიროსმანი იყო თუ არა ლოთი? დიახ, იყო, მაგრამ ამავე დროს არც იყო!

«ეს როგორ?»¬ – იკითხავს გაკვირვებული მკითხველი.

აქ გადამწყვეტი ის არის, ვინ როგორ შეხედავს ამ საკითხს და რას იგულისხმებენ სიტყვებში – **«გალოთება», «ლოთობა», «ლოთი»...**

ფიროსმანის მიერ ხშირ-ხშირად მიღებული სასმელების ის დოზა, რასაც ამას თვითმხილველები ასახელებენ, თავისთავად უკვე საკმარის საფუძველს იძლევა იმისთვის, რომ ამ ოდენობის ნებისმიერი მომხმარებელიც ლოთად იქნეს მიჩნეული. მაგრამ ამავე დროს დაუშვებელია საკითხისადმი ზერელე მიდგომა და ღატაკ-ტანჯული გენიოსი მხატვრის ვულგარული გატოლება კუჭით მოაზროვნე ჩვეულებრივ ლოთებთან, დღედაღამ ლუდ-არყის წუმპესა და ხინკლის ტლაპოში რომ იხოცავენ თავებს, მაგრამ მათ მუცლებში მაინც დალაბანდს უკრავენ და ლეკურს თამაშობენ!

მხატვრის თანამედროვეთა მოგონებებიდან მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბევრისგან განსხვავებით ფიროსმანისთვის სასმელი იყო არა შინაგანი, როგორც კვებითი პროდუქტის მსუნაგური მოთხოვნილება, **არამედ როგორც საძაგელი მედიკამენტური საშუალების იძულებითი გამოყენება**, რათა უკიდურესი შეჭირვების ჟამს დროებით მაინც გაჰქცეოდა ცხოვრების ჯოჯოხეთურ რეალობას ანდა სასმლის დახმარებით თავის სანუკვარ ერთადერთ თავშესაფარში

– მხატვრულ სამყაროში შესვლა გაეიოლებინა. თუმცა ვინ იცის, ეს იძულებითი დათრობაც იქნებ ილუზიურ შირმად წამოედგინა, რათა უმეცარ შემკვეთებს ხატვის პროცესისას ნახატში რაიმეს შეცვლა, გადაკეთება ან ჩამატება არ დაეძალებინათ!

მოგონებათა ზიგზაგებს შორის იგრძნობა, რომ გენიოსი მხატვარი ლოთი კი არა, პირველ რიგში გაუსაძლისი ჯოჯოხეთური პირობების მსხვერპლია და თუ უკიდურესი შეჭირვებისას იძულებული ხდებოდა სასმელისთვისაც მიემართა, ალბათ, მხოლოდ იმ იმედით, რომ «ეგება წაღმა ვიფიქრო, სოფლის უკუღმა ტრიალი!»-ო.

არადა, დღეს ზოგიერთი – შეუგნებლად თუ დემონური ბოროტმოხარულობით – როგორ უღმერთოდ სპეკულირებს ხოლმე ფიროსმანის ლოთობის ლეგენდით.

რამდენჯერ შევსწრებივარ მწუხარების მომგვრელ ასეთ სცენას. ვიღაც ოჯახის მაოხრებელი მუქთახორა, ცხრამუცელა ლოთი ჩარაგაწყვეტილ გულშემატკივრებს მკვახედ შეუტუქსავთ: ბოლოს და ბოლოს, მიხედე საქმესა და ცოლ-შვილს, რა არის ამდენი ბოლომოუღებელი ლოთობაო, გოგრათავა გვამს კი – ჭამა-ყლაპვის, ძილისა და საჭმლის მონელების მეტი სხვა რამ რომ არაფერი შეუძლია – გულმშვიდად წამოუყრანტალებია: მერე რა, აგერ, ფიროსმანიც ლოთი ყოფილაო!

აი ასე: ვინ მოსთვლის, რამდენ ხელთუყარ ლოთს გენიოსი ტანჯული ხელის ერთი მოსმით ჩამოუქვეითებია და თავიანთი საძრახისი მარაქის რიგით წევრად გაუხდია!

უფრო მეტიც. სიტყვა გენიოს ფიროსმანზე ჩამოვარდნილა, ხოლო გაბოროტებული ობივატელისა თუ ოდესღაც ხელმოცარული შემოქმედის უნიშანწყლო სიფათზე იქედნური ნიშნის მოგება ფოსფორულად გამკრთალა.

– აჰ, ის ხომ ლოთი იყო!

თანაც ხშირ-ხშირად ხმარებისგან ბებუთივით გაპრიალებულ ამ ფრაზას ისეთი გამოგნებელი ქაჯურად ნავარჯიშევი კატეგორიულ-ტენდენციური კილო-გამომეტყველებით წამოაფურთხებენ ხოლმე, თითქოს ფიროსმანის შემოქმედების შეფასების დაშვება და მით უმეტეს, მხატვრის გენიოსად აღიარების ერთ-ერთ უცილობელ კრიტერიუმს სწორედ მისი ცხოვრების უნაკლო ფხიზლობის უტყუარი პირობა უნდა წარმოადგენდეს! და რაკი ეს ასე არ არის და **«ის ხომ ლოთი იყო!»**, მაშ, რაღა აზრი ექნება ამაზე მსჯელობის გაგრძელებასო?!

ვულგარულ-ქუჩური გაგებით ფიროსმანი რომ არც ლოთი იყო და საერთოდ, არც სასმელის მსუნაგ-წუწკი ყოფილა და პირიქით, სმას თავსაც კი არიდებდა, ეს ნათლად ჩანს მალაკნების ქუჩაზე მდებარე სირაჯ მესხიშვილის ღვინის საწყობის ნახევარსარდაფში მხატვრის მიერ **ილია ზდანევიჩისთვის** შეჩივლებიდან.

«აქ არ შეიძლება კარგად მუშაობა, **ღვინოს მაძალებენ**».

ნათქვამია, ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო! მართლა აღარ არის სამართალი?! ლოთი კაცი ამას მოიჩივლებდა – ღვინოს მაძალებენო თუ პირიქით, გაღმა დაიწყებდა დავას, გამოღმა რაც შეიძლება მეტი და მეტი რომ მიეღო: ოჰ, სამიკიტნოს კედლებს მახატვინებენ, თორემ!.. ხან ისე გაივლის მთელი დღე, ერთ ჭიქას ყასიდადაც კი არვინ მოგაწვდისო!

არანაკლებ ნიშანდობლივია 1916 წელს ქართველ მხატვრებთან პირველი შეხვედრისას ნიკო ფიროსმანაშვილის მიერ ალალგულად წამოყენებული მოსაზრება: იცით, რა გვინდა, ძმებო, ქალაქის შუაგულში ავიშენოთ დიდი სახლი, ყველასთვის რომ ახლოს იყოს, იქ შევიკრიბებოდეთ ხოლმე, ვიყიდოთ დიდი სტოლი და სამოვარი, **ვსვათ ჩაი**, ბევრი ვსვათ და მხატვრობაზე ვილაპარაკოთო.

ფიროსმანი ბუნებით მართლა ლოთი და სასმელების მონა რომ ყოფილიყო, მაშ, წინ რაღა დაუდგებოდა, ამ პროექტისთვის სათავისო იდეა და შინაარსი მიეცა: ავიშენოთ ხის დიდი სახლი, ოღონდ ღრმა სარდაფით, ღვინო კარგად რომ ჩაგვიგრილოს! ჰოდა, შევიკრიბებოდეთ

ხოლმე ამ სახლში, ნება-ნება ვსვათ ეს დალოცვილი კახური და თან მხატვრობაზე ვიმასლაათოთო!

ამგვარ შემოთავაზებაში რა იქნებოდა გასაკვირი, დასაძრახი ანდა მიუღებელი: განა ბევრ სალონში, ხელოვანთა წრეში და შეკრებებზე, ლიტერატურულ კაფეებში თუ სხვადასხვა დონისა და ხასიათის პრეზენტაციებზეც ასე არ იქცევიან?! მაგრამ არა! დიდი შემოქმედი ასახელებს არა **ღვინო-არაყს**, არამედ სწორედ **ჩაის** – სიფხიზლისა და სიმხნევის სწორუპოვარ ელექსირს!!!

ფიროსმანი რომ არ ყოფილა სასმელებზე მონადირე ლოთი, ბუნებით მოქეიფე და შეძლებისდაგვარად თავსაც არიდებდა ხმაურიან კამპანიებს, ეს კარგად ჩანს მისი თანამედროვე, ქუდების სამკერვალო სახელოსნოს შეგირდის, **ვასო ჩაჩანიძის** მოგონებიდან.

> «სამიკიტნოში მთელი დღე ღრიანცელი იდგა. მთვრალ მოქეიფეთა ხმამაღალი ლაპარაკის, არღნის დაკვრისა და მთვრალების მიმღერებისგან ყურთასმენა იყო წაღებული. ასეთ პირობებში ხატვა საჭანჯველი იყო. ამიტომ ფიროსმანი დილის 6-7 საათზე მოდიოდა სამიკიტნოში და იწყებდა მუშაობას.»

არანაკლებ საგულისხმოა **კირილე ზდანევიჩის** შეფასება.

> «მიუხედავად იმისა, რომ ფიროსმანაშვილმა განიცადა... მატერიალური კეთილდღეობის დაკარგვა, იგი არ დაეშვა «ფსკერზე», არ გადაიქცა იმ ბედუკულმართ ადამიანად, რომელიც მხოლოდ ღვინოში ხედავს ხსნას».

ფიროსმანის თანამედროვე ქართველი ფერმწერის, **დავით გურამიშვილის** (1857-1926) დაკვირვება ასეთია.

> «ნიკო ბევრს მუშაობდა. არ უყვარდა დროის დაკარგვა უბრალო ხეტიალისთვის, ქეიფისა და გართობისათვის».

ახლა მედუქნე **ბეგო იაქაშვილს** დავუგდოთ ყური.

> «ხომ ჩვენთან იყო, მაგრამ განა ბოლომდის თავს გვიყადრებდა ყარაჩოხელებს? თავისი კაცობა არ დაუკარგავს».

საერთოდ, რომ ვუკვირდები, ფიროსმანის ე. წ. ლოთობის ფენომენიც ისეთივე უნიკალური მოვლენაა, როგორც თვით მისი მხატვრული შემოქმედება. ამიტომ ამ საგანს ფსიქოლოგების, სოციოლოგების, მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეების მიერ მეცნიერულ დონეზე შესწავლა და გაანალიზება სჭირდება, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს გენიოსი მხატვრის ლოთობის ვულგარულ ინტერპრეტაციას.

ამ მხრივ, ჩემი აზრით, ფასდაუდებელია სირაჯის, **სარგის სოზაშვილის** მონათხრობი. დაკვირვებით მოუსმინეთ.

> «თავმოყვარე ფიროსმანს გამკილავი მედუქნეები ირონიით «ბრაფს» ეძახოდნენ. სწყინდათ, რომ ღარიბი და მშიერი, სხვა ქუჩის მხატვრებივით ლუკმა პურისთვის ფეხქვეშ არ ეგებოდათ და მათ კაპრიზებზე არ იყო დამოკიდებული. პირიქით, ნიკალას ყოველთვის ამაყად ეჭირა თავი პირადი ღირსების შეგნებით... **მოჯდებოდა ჩვენი სარდაფის კუთხეში, მოითხოვდა არაყს, მწვანილს და დიდხანს ოჯდა ჩუმად.** ხშირად ყოფილა, დუქანში მყოფ მოქეიფეებს

შეუპატიჟიათ, სუფრის დალოცვა უთხოვიათ ჭიქის გაწოდებით. ნიკო ერთს კი ეტყოდა ზრდილობიანად უარს, მერე, თუ ჭირვეულად ჩააცივდებოდნენ, ძალიან ეწყინებოდა ხოლმე. ეს იცოდა ყველამ და მოკრძალებით ექცეოდნენ... **თხუთმეტი წლის განმავლობაში მე ნიკო არ მინახავს სხვასთან მჯდომარე და მოქეიფე... ცოტა პური, ცოტა სასმელი, ეს იყო მისი საზრდო».**

ბარაქალა! მავანთ თუ აღარ დაუშლიათ და სურთ, გენიალური მხატვარი პირველ რიგში მაინცდამაინც ლოთად მონათლონ, მაშინ მის თანამედროვეთა დაკვირვება-შეფასებებზე დაყრდნობით სიამაყით განვაცხადებ – ფიროსმანი თავის ლოთობაშიც ისეთივე გენიალური ყოფილა, როგორც თვით მხატვრობაში!!!

რაკი თავს ვერ გამოვიდებ ბევრის ცოდნით, ამიტომ აქ დახმარებისთვის მკითველებს მივმართავ. სასმელისადმი მეტ-ნაკლებად მიდრეკილი მსოფლიო სახელის მქონე შემოქმედთა შორის ნეტავი კიდევ თუ მოიძებნებოდა სხვა ვინმეც, რომელიც მშიერ-მწყურვალი ფიროსმანივით მთელი სიცოცხლე სულ მადის აღმძვრელი სურნელით აოხშივრებულ ღრეობა-ქეიფების შუაგულში ტრიალისთვის ყოფილიყო განწირული, მას კი ბახუსთან თავისი ზევსისებური უწყინარი მუსაიფი ანუ განუკითხავთა მიერ სახელდებული ლოთობა ამგვარი უხილავი რკინის ჩარჩოში ჰქონოდა დაურვებული და უცხოთათვის ამოუხსნელ, თვალაუწვდენელ ასკეტურ სიმაღლეზე ატყორცნილი?!

მოითხოვდა არაყს, მწვანილს და თავის კუთხეში დიდხანს იჯდა ჩუმადო. – გადმოგვცემს სირაჯი.

ჰმ! ჩვეულებრივი ლოთი ამდენს რას მოიცდიდა ანდა რისთვისღა უნდა მჯდარიყო ჩუმად?! არყის მოხელთება და გადახუხვაც ხომ ერთი იქნებოდა! მაშ, დუქნის მრუმე კუთხეში ეულად მიმჯდარი, თავის მხატვრულ სამყაროში ჩაძირული და თან ბახუსთან გაჭიანურებით მომუსაიფე მარტოსული გენიოსი მხატვარი ფეხისხმასაყოლილმა ობივატელებმა თუ დაუდგრომელმა მოშურნეებმა რა უფლებით უნდა გაიჩარონ პირში და ერთი მოსმით ჩვეულებრივ ტიკსუსუნე ლოთს გაუტოლონ?! ანდა ვინ იცის, დუქნის კუთხეში მიმჯდარი უსახლკარო და მარტოსული ფიროსმანისთვის იქნებ ის არაყიც მხოლოდ საბაბი იყო, იქ ჯდომის მიზეზი რომ ჰქონოდა, რათა თავი დაეცვა ქვის გამხეთქავი სიცივის, თავსხმისა თუ მთოშავი ქარისაგან?!

სირაჯის მონათხრობს თუ კარგად გავუსინჯავთ სარჩულ-საპირეს, ლოთობა კი არა, ჯვარცმული მხატვრის სულ სხვა, გამაოგნებელი თვისება გამომზეურდება.

სათქმელად იოლია, მოსასმენად კი საამო: მეზობელი სუფრიდან შემოთავაზებულ სასმელზე ფიროსმანი ყოველთვის ზრდილობიან უარს ამბობდა და საერთოდ, თხუთმეტი წლის მანძილზე ის სხვებთან ერთად მჯდომი და მოქეიფე არ მინახავსო!

მერედა, ითვალისწინებთ ქართულ, მით უმეტეს იმდროინდელ ჩასპანდურ-ყარაჩოხულ პირობებში მსგავსი «გრაფული» მიუკარებლობით გამოწვეულ შედეგს?! ასეთ დროს ქეიფის გაწბილებულმა, თანაც თავში ღვინოავარდნილმა მოსუფრალებმა როგორი გაწყრომა-გაღიზიანება იციან – მაგან ჩვენი შეპატიჟება არ მიიღო, არად ჩაგვაგდო, პურ-მარილს წიხლი გვიკრაო. ამიტომ მერე ამნაირ კაცს ადვილად იმეტებენ ხოლმე ჭკუის სასწავლებელი რაიმე ოინის შესამთხვევად და სულ მუდამ ეკლიანი თვალით უყურებენ!

ჰოდა, რამდენი სულიერი რესურსების ბუგვა მოჰყვებოდა ამგვარ ატმოსფეროში წლობით ცხოვრებას და მის უდრტვინველად გაძლებას!

ვითარების სრულყოფილად შესაგრძნობად თუგინდ ჩვენი პირადი შემთხვევები გავიხსენოთ. საკმარისია მოგვეჩვენოს, რომ ავთვალად მიჩნეულმა რომელიმე ნაცნობმა ისე არ

შემოგვხედა, როგორც ჩვენ გვსურდა, მერე მთელი დღეები დავთრეგარეული დავიარებით და თავს დანავსულ-დათარსულად ვთვლით – მავანმა ავი თვალი გამოგვაყოლაო!

ფიროსმანი? უფიქრდები და განცვიფრებისაგან ლამის გული გაგიჩერდეს! ამ კაფანდარა, ძაღლუმადური ცხოვრებისგან ლამის ზეზეურად ჩამომხმარ კაცს საიდან ჰქონდა ასეთი ზეკაცური გაძლება, ამტანობა, ჭირთათმენა, ყველაფერს მოწამებრივი დიდსულოვნება-უდრტვინველობით რომ უმკლავდებოდა: გამკილავ მედუქნეებს, სხვანაირი თვალით მაცქერალ მოქეიფეებს, უსახლკარობას, ულუკმაპურობას, თავისი პირადობის დამადასტურებელი საბუთის უქონლობით დაეჭვებულ პოლიციელებს, უმეცარ შემკვეთებს, სნეულებებს, სულიერ ობლობას, მომმეთ ღალატსა და გულქვაობას, ღვთისგან ბოძებულ უმაღლეს სასჯელს – გენიას, მოკვდავის განცდებს, სურვილებს, ვნებათაღელვას...

მხოლოდ ერთმა, ღმერთმა იცის, ეს მისი ნება იყო თუ უბრალოდ დამთხვევა. ის-ის იყო ეს წინა აბზაცი მრავალწერტილით დავამთავრე, მოულოდნელად მეუღლის დაქალის ნათესავი – სამოციოდე წლის დარბაისელი ქალბატონი რომ გვესტუმრა თავისი ბიოლოგი ქალიშვილის ასსამოცდათვრამეტგვერდიანი საკანდიდატო ნაშრომის ჩაწიკწიკებული ხელნაწერით: ძალიან გვეჩქარება და სანამ საბოლოო კომპიუტერულ სახეს მივცემდეთ, იქნებ «ლიტერატურულად» გადაგეხედათო.

ადამიანურად ავუხსენი, რომ ფიროსმანზე წიგნის წერით ისე ვიყავი გატაცებული, სხვა რამეზე ველარანაირად ვერ გადავერთვებოდი. ხოლო ძალდატანებაც რომ მეხმარა, არც ამას ექნებოდა აზრი, ვინაიდან ხელნაწერს რაიმე ნაკლი რომ ჰქონოდა, მაინც ვერ შევნიშნავდი.

სტუმარმა ნათქვამი დამიჯერა და ხენდროსფერ მკვრივყდიან მძიმე საქაღალდეს მაგიდის ლინგზე გადაუნაცვლა, რათა მეუღლის მიერ შემოტანილი ყავისა და ნამცხვრის თეფშებისთვის ადგილი გაეთავისუფლებინა. მერე კი – თავიდან ვერ მივხვდი, მართლა ხელოვნებისა და ფიროსმანის სიყვარულით თუ ვალმოსახდელად – ისევ მხატვარზე ჩამომიგდო სიტყვა.

დაკვირვებული მკითხველი მყისვე მიხვდება, რომ მეტისმეტად არეული მასლაათი გამოგვივიდოდა. მთელი საუბრის მანძილზე რისიც მეშინოდა, ბოლოს მაინც არ ამცდა. სტუმარმა იარა, იარა და, როგორც მე მომეჩვენა, თითქოს ფიროსმანს ადანაშაულებდა, მათი საკანდიდატო დისერტაციის წასაკითხად რომ არ მეცალა, მოულოდნელად თავშეკავებული გაგულისებით, მაგრამ ტუჩების გამომწვევი ბურცვით შემომეკითხა.

– თუკი მართლა მასეთი დიდი მხატვარი იყო, აბა, რიღასთვის ლოთობდა?!

სულ ჩავიფერფლე და ვერაფერი ვუპასუხე. მაგრამ ანაზდეულად გონება რაღაცნაირად გამინათდა და პასუხის მოლოდინით შემოჩერებული ეს კმაყოფილსახიანი ჩვეულებრივი ობივატელი ქალი ჩემს წარმოდგენაში უცებ დაემსგავსა ელექტროსადგურის გვერდით მცხოვრებ ოთხიოდე წლის გოგონას, რომელიც თავიანთი აივნიდან «განსაცვიფრებელ» სურათს ხედავს! მოლიან ეზოში გატანილ მაგიდას შემოხვეულ, საგანგებოდ სახელოებდაკაპიწებულ ახლობლებს მისი დაბადების დღის თადარიგი უჭირავთ: დედიკო ალუბალს ჩურჩავს, მამიდა ბრინჯს არკვევს, დეიდა კვერცხებს თქვეფს, ბებია ისპანახს რეცხავს, მამიკო სამწვადეს აბასტურმებს... მესერს გადაღმა, ელექტროსადგურის ტრანსფორმატორზე კიბით ასული რეზინის ხელთათმანებიანი მონტიორი კი საკომუტაციო აპარატს მისდგომია და ერთმანეთში გამავალ-გამომავალი მაღალი ძაბვის შიშველ გამტარებს გულისყურით უკირკიტებს! აივნის მოაჯირზე ნიკაპდაყრდნობილ, ელექტროსადგურისკენ თვალგაშტერებით მაცქერალ გოგონას კი უკვირს: მონტიორ ძიას ნეტავი რად უნდა ის უშნო, იდაყვებამდე წამოცმული რეზინის ხელთათმანები – უფრო უკეთესი არ იქნებოდა, ისიც სხვებივით შიშველი ხელებით საქმიანობდეს?! ჰმმმ!!!

ჰოდა, ამ ცოდვილსა და გაყრუმუნჯებულ დედამიწაზე თითქოსდა უცხო პლანეტიდან შემთხვევით მოხვედრილი, უნიკალური მხატვრული გენიითა და უფაქიზესი განსჯა-

გრძნობებით დასჯილი ნიკო ფიროსმანაშვილისთვის ბახუსთან ის ზევსისებური მუსაიფი ანუ როგორც მდაბიურად უწოდებენ ხოლმე, ლოთობა, იქნებ მაღალ ელექტროძაბვასთან მომუშავე მონტიორის რეზინის ხელთათმანების მაგივრობას უწევდა?!

ვინ იცის!..

***

ერთი სიტყვით, ფიროსმანი არც მოქეიფე იყო და მით უმეტეს, არც ღრეობა-ქეიფების აპოლოგეტ-პროპაგანდისტი მხატვარი.

«თუ არც ერთი იყო და არც მეორე, მაშ, რას მივაწეროთ ქეიფის თემებზე შექმნილი მისი ამდენი ნახატი?» – ბევრს დაებადება ბუნებრივი კითხვა.

ამაზე ამომწურავ პასუხს მხატვარი **დავით კაკაბაძე** იძლევა.

> «ფიროსმანის შემოქმედება ქართულ სინამდვილესთან არის დაკავშირებული. მისი მიზანი არასოდეს ყოფილა რომელიმე მხატვრული მეთოდის გადმოცემა, არამედ მხატვრულ ფორმებში იმ ცხოვრების ჩამოყალიბება, რომელსაც განიცდიდა».

დ. კაკაბაძის ეს ნათელზე ნათელი განმარტება ზოგიერთისთვის, ალბათ, მაინც ახალი გაუგებრობა-შეკითხვის საფუძვლად იქცევა – კარგი მაგრამ, მაშინდელი ქართული და კერძოდ, თბილისის სინამდვილის და ფიროსმანის მიერ დანახულ-განცდილი ცხოვრების უმთავრესი ნაწილი ნუთუ მართლა ღრეობა-ქეიფები იყოო?!

მსჯელობა კატათაგვობანაში რომ არ გადამივიდეს, აქ მეორე გენიოსს, **ფიროსმანის** (1862-1918) ტოლსა და თანამედროვეს, **ვაჟა-ფშაველას** (1861-1915) დავიხმარებ.

ჩინური გამოთქმაა: **ფუნჯი ცეკვავს, მელანი მღერისო**. მაშ, მოდი, ერთად გავერკვეთ, რისთვის ცეკვავს ფიროსმანის ფუნჯი და რაზე მღერის ვაჟა-ფშაველას მელანი.

გავიხსენოთ მწერლის მოთხრობის **«სათაგური»** ერთი ადგილი და ყურადღებით მოვისმინოთ ვაჟა-ფშაველას მელნისსიმღერა, თუკი ეს შემაძრწუნებელი ეროვნული უბედურება სიმღერად მოგვეჩვენება.

საშობაოდ თბილისიდან შინ, ფშავში დაბრუნებული ესტატე გაკვირვებით აი, რას შესჩივის თავის დედაკაცს, ეფემიას.

> – ოჰ, ღმერთმა მშვიდობა მისცეს ასეთ ლოთობას! კაცი დავბერდი და ჩემს სიცოცხლეში ამისთანას არას მოვსწრებივარ: მეტისმეტი ლოთობაა; უქმი და საქმე არ გააჩნიათ, სარდაფები მუდამ დღე სავსეა ხალხით; დიდი, პატარა, მდიდარი, ღარიბი, ყველა ლოთობს. კაცს ეგონება, თავებს იმარხავენ, ხვალ სიცოცხლეს აღარ მოელიანო.

აქ კლასიკოსის კალმის ერთი მოსმით გენიალურად არის დახატული დასაღუპავად გამეტებული და თავის მხრიდანაც ხელჩაქნეული, სასმელის ოკეანეში ჩასახრჩობად თავდაყირა გადაშვებული ერთი მუჭა ერის საბედისწერო სურათი. ამ ეროვნულ ტრაგედიაზე ვაჟა-ფშაველას თავის რომელიმე პუბლიცისტურ კორესპონდენციაში რომ გაება მსჯელობა, მაშინ, ალბათ, აღარ ექნებოდა ამგვარი ელდის მომგვრელი მხატვრულ-ემოციური ეფექტი. ალღოიანი, მაგრამ გაუნათლებელი, მიამიტი ფშაველი გლეხის თვალით დანახული სინამდვილე კი ჭირისუფალს ერთდროულად აფხიზლებს და აძრწუნებს. ოღონდ ეგაა, ჩვენი თვალხმიერი ესტატე აქ ჩერდება და აღარ ცდილობს, გაარკვიოს უმთავრესი – რა არის ამგვარი დამღუპველი, საყოველთაო ლოთობის ეპიდემიის გამომწვევი მიზეზი.

მიზეზი მეტად მარტივი იყო, რასაც მაშინ ბევრი ვერ ხვდებოდა (ზოგი დღესაც ვერ ხვდება!!!) და რუსხელმწიფის მიერ ბოძებულ ამქვეყნიურ სამოთხედაც კი ეჩვენებოდა. ეს იყო ქართველი ხალხის საყოველთაო გასაღატაკებლად და გასალოთებელ-გადასაგვარებლად მიზანმიმართული ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

1801 წელს მეფის რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებისას მანიფესტით გათვალისწინებული მუხლების უხეში დარღვევით, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების უკანონო გაუქმებით და ჩვენი ქვეყნის ფაქტობრივი ანექსიით აღშფოთებულ და შეურაცხყოფილ ქართველ ხალხს არასოდეს შეუწყვეტია ფიქრი და ბრძოლა კოლონიური უღლის გადასაგდებად (მთიელთა 1804 წლის აჯანყება, იმერეთის 1810 და 1819 წლების აჯანყებები, კახეთის 1812 წლის აჯანყება, ქართველ თავად-აზნაურთა 1832 წლის შეთქმულება, გურიის 1841 წლის აჯანყება, სამეგრელოს გლეხთა 1856-57 წლების აჯანყება, აფხაზეთის 1866 წლის აჯანყება, სვანეთის 1875-76 წლების აჯანყება, 1905 და 1917 წლების რევოლუციები...).

ქართველ ხალხს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე რომ აღარასოდეს ეფიქრა, თან დროებით «დასაქმებულიც» ჰყოლოდა, მის მოსადუნებლად, სულიერ-ფიზიკურად გადასა-გვარებლად და საკუთარი მიწა-წყლიდან გადასაშენებლად რუსმა კოლონიზატორებმა სხვადასხვა ნაცად საშუალებებთან ერთად ღრეობა-ქეიფებზეც შეაჩერეს ყურადღება.

სამწუხაროდ, ამ თავიანთი მზაკვრული დიდმპყრობელური ჩანაფიქრის სრულყოფილად განსახორციელებლად დემონურად გამოიყენეს მრავალსაუკუნოვანი სისხლისმღვრელი ომებით ილაჯგაწყვეტილი ერის სულიერი მდგომარეობა, ერთმორწმუნეობა, ქართველი კაცის რომანტიკული ბუნება, ვაზისა და ღვინის უძველესი კულტურა, მსოფლიოში თითით საჩვენებელი ქართული სტუმარმასპინძლობა და ტოლერანტობა, აქაური სერობის მადლი და ადათი, ქეიფთან დაკავშირებული ჩვენი საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო ამბიციები და ახალ-დაპყრობილი საქართველო თანდათან ერთ მთლიან გამოსათაყვანებელ საღრეობო ჩაკეტილ სამიკიტნოდ («ქვეყანა იქცა დუქნადა!» (ვაჟა) აქციეს!

სწორედ ამ დაწყევლილი ბანაკ-სამიკიტნოების უბედური ტყვეები არიან როგორც ვაჟა-ფშაველას «მომღერალი» მელნით «სათაგურში» ჩამოთვლილი, ისე ფიროსმანის «მოცეკვავე» ფუნჯით უკვდავყოფილი, სამკვდრო-სასიცოცხლო ქეიფს იძულებით თავმიცემული, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობადაკარგული და უფუნქციოდ დარჩენილი ქართველობა.

ჰოდა, რაკი ლუკმა პურის საშოვნელად უსახლკარო და ღატაკ გენიოსს სამიკიტნო-სირაჯხანების აბრა-კედლების მოსახატავად მუდმივად იქ უხდებოდა ტრიალი, რის გამოც იმჟამინდელ ქართულ, კერძოდ კი თბილისის ერთ-ერთ ყველაზე თვალში საცემ სინამდვილეს ანუ გაუთავებელ ღრეობა-ქეიფებს ხედავდა და ნება-უნებლიეთაც სულ ამ მოქეიფეებთან უხდებოდა ურთიერთობა, მაშინ, ბუნებრივია, აღარავის უნდა გაუკვირდეს ფიროსმანის უმეტესი სურათების **«მხატვრულ ფორმებშიიმ ცხოვრების ჩამოყალიბება, რომელსაც განიცდიდა»** (დ. კაკაბაძე). ხოლო თუ მაინცდამაინც გაკვირვებაზე მიგვივარდება საქმე, მაშინ სრულიად სხვა რამემ უნდა გაგვაკვირვოს. დუხჭირი ცხოვრების პირობების გამო სულ მოყაყანე-მოღრიანცელე მოქეიფეებით გამოჭედილ დუქან-ჯურღმულებში მოსაქმე ფიროსმანის გენია და ფანტაზია როდის და როგორღა იცლიდა განსხვავებული ცხოვრების, სფეროს, ჟანრისა და შინაარსის შედევრული სურათების მოსაფიქრებლად და დასახატად?!

***

როგორც ვაჟა-ფშაველას პერსონაჟის, თვალგამჭრიახი ესტატეს მიერ თბილისის საქეიფო ადგილებში დანახული **«დიდი, პატარა, მდიდარი, ღარიბი»**, ისე ფიროსმანის ბევრ ნახატშიც

ყველა ქეიფსაა მიცემული: თავადაზნაურობა, ბურჟუა, წვრილი მოხელეები, ხელოსნები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მუსიკოსები, კინტოები, მიკიტნები, ყარაჩოხელები, მუშები, ნოქრები, კახელები, მალაკნები, აზერბაიჯანელები, ქურთები, იმერლები... ერთი სიტყვით, ვახტანგ ბერიძის სევდიანი ირონიის მიხედვით **«ეს იმდროინდელი «სულიერი» ცხოვრების უმთავრესი ფორმა იყო»** და ისეთი დაჟინებით იძალებდნენ სასმელს, რომ ვაჟა-ფშაველას ესტატესი არ იყოს, თითქოს **«თავებს იმარხავენ, ხვალ სიცოცხლეს აღარ მოელიანო»**. მაგრამ სმაც არის და სმაც! ღვინის სარდაფის პატრონს, **სანდროს** 1913 წლის 8 იანვარს აი, რა უთქვამს **ილია ზდანევიჩისთვის** ფიროსმანის ერთ-ერთ ნახატზე, რომელიც მისთვის უნდა ეჩუქებინა.

– ყველაზე უკეთესი იქნება თქვენს გამოფენაზე. მასზე გამოსახულია ერთი თავადი, რომელსაც სადილზე სამი ვედრო ღვინის დალევა შეუძლია!

მარტო ამის წარმოდგენაზეც კი გონება მიბნელდება! ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ვედრო ძველებური საზომი ერთეულია და დაახლოებით 12,3 ლიტრს უდრის. სირაჯს ეს კარგად ეცოდინებოდა! მაშ, რამდენი იქნება სამი ვედრო? 37 ლიტრი! ამ ჭკუაზე შემშლელი მაგალითის სრულყოფილად წარმოსადგენად ბარემ ქართული ენციკ-ლოპედიის მე-6 ტომი 92-ე გვერდზე გადავშალოთ და ადამიანის კუჭის გაბარიტებიც გავიხსენოთ.

> «მოზრდილი ადამიანის კუჭის სიგრძეა 15-18 სმ., სიგანე 12-14 სმ., მისი კედლების სისქე – 3-4 მმ. ახალშობილის კუჭის ტევადობა 30 სმ³, მოზრდილისა 2,5-3 ლიტრს აღწევს».

აქ ამ თავადისადმი ერთდროულად წარმოშობილი გაკვირვების, აღშფოთების, ზიზღისა და სიბრალულის გვერდით სიამაყის განცდაც მეუფლება, ვინაიდან გულწრფელად მესახელება მისი ეს ზღაპრული შესაძლებლობა და ღრმად მწამს: ამ ხაპია თავადს ნაპოვნი რომ ჰქონოდა თავისი გონივრული საქმიანობა და მოწოდება, მაშინ გაუბედურებული სამშობლოს საკე-თილდღეოდაც ერთ ოჯრაზე **«3 ვედრო»** სასარგებლო საქმეს გააკეთებდა!!! მაგრამ რა ქნას? ღმერთს მისთვის საამისო გონი და მიხვედრა არ მიუცია, თან აღარც კოლონიზატორებისაგან დაგებული სამსუნაგო-სატყუარა-ხაფანგიღა ეთმობა და აჰა – ამქვეყნად თვითდამკვიდრებას თავისი ფაშვის ტევადობითა და გამძლეობით ცდილობს!

ეჰ, ვინ მოსთვლის, იმ ხანად დუქან-სამიკიტნოებში ამ თავადის მსგავსად რამდენი ქართველი ანიავებდა საკუთარ ქონებას და ამნაირი ცხოვრების ყაიდით ვინ როდის და რა პირობებში იდღემოკლევებდა სიცოცხლეს!

ათვალიერებთ ფიროსმანის ნახატებს და უმალ თვალში საცემი ხდება ზაფრის მომგვრელი სინამდვილე: ჯერ საერთოდ და მით უმეტეს მოქეიფე პერსონაჟებიდან არც ერთი მათგანის სახეზე წამლადაც კი არ შეინიშნება სიცილი, მხიარულება, ბედნიერება, აღმაფრენა – თუგინდ მკრთალი ღიმილის მინამსგავსი რამ! დასცქერი მათ სახეებს და გული გიკვდება – ისინი თითქოს სამხიარულოდ კი არ შეყრილან, არამედ დატანჯული ბურლაკებივით უმძიმეს ტვირთს მიათრევენ, მოუშორებელ რაღაც დამამცირებელ სახელმწიფო ბეგარას ისტუმრებენო.

ფიროსმანზე დაწერილი ვრცელი ნაშრომის რუსი ავტორი, **ერასტ კუზნეცოვი**, როგორც წონიანი ხელოვნებათმცოდნე, ამ სამწუხარო სინამდვილის ახსნას, ცხადია, ვერ წაუვიდოდა. ამიტომ იგი პირდაპირ ნემსის ყუნწში გაძრომას ლამობს და ამის მიზეზად რაღა არა აქვს დასახელებული: უბრალო ხალხის სიღარიბე, მათი სოციალური მოუწყობლობა და მძიმე შრომა, პატრიარქალური ტრადიციების რღვევა, სამრეწველო კაპიტა ლიზმის ჩასახვა-განვითარება და მისგან გამოწვეული მასების უმოწყალო ექსპლუატაცია, სოფლის დაცარიელება, ურბანიზაციის

გავლენა, რუსეთ-იაპონიის ომი, 1905 წლის რევოლუციის მარცხი, რეაქციის წლები, პირველი მსოფლიო ომის დაწყება და მისი მძიმე შედეგები...

ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ რუსის მეცნიერი ვერ გვისახელებს უმთავრეს ბოროტებას – **ქართველი ხალხის კოლონიურ ჩაგვრას!!!**

მაგრამ უსამართლონი ნუ ვიქნებით ფიროსმანზე სიყვარულით დაწერილი ნაშრომის ავტორისადმი, ვინაიდან მას მსგავსი რამ კიდევაც რომ ეთქვა, 1984 წელს, თანაც რევოლუციის აკვანში, ლენინგრადში სულერთია, ამას მაინც არავინ დაუბეჭდავდა ანდა ეს ალბომი იქნებ სულაც ამოეგდოთ საწარმოო გეგმიდან! თუმც ბატონ ერასტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 78-ე გვერდის პირველ აბზაცში სამაგიეროდ ერთ ისეთ ნართაულ, მაგრამ მრავლისმეტყველ ფრაზას ამბობს თუ აპარებს, რომ მიმხვედრი ყველაფერს მიუხვდება.

«Его пиршества торжественны, но не радостны».

აგაშენათ ღმერთმა! რუსის თვალგაწაფული ხელოვნებათმცოდნე ცამდე მართალია: ფიროსმანის მოქეიფეებს ხანგრძლივი კოლონიური ჩაგვრის პირობებშიც ისევ შერჩენიათ საუკუნეთა მანძილზე დახვეწილი და ინერციით ჯერ კიდევ მომდინარე ქეიფის სანიმუშო კულტურა, სუფრასთან ადათიანი ჯდომა-ქცევის შნო და ჯავარი, მომენტის ზეიმურობა (торжественность), მაგრამ ქართველი კაცისთვის თვით უზენაესისგან დანათლებული ერთ-ერთი ყველაზე ადამიანური განცდა – **ბედნიერება** (**радость**)? ო, **ბედნიერებაზე** კი უკაცრავად – ის ბარბაროსულმა კოლონიურმა ჩაგვრამ დაგვისამარა!

მოკლედ, ფიროსმანის მიერ ქეიფის თემებზე შექმნილი მთლიანი ნახატის ანდა მასზე გამოსახული ცალკეული მოქეიფე პერსონაჟის სულიერი მდგომარეობის თუ კონკრეტულ მომენტთან დაკავშირებული განწყობილების შესამეცნებლად სწორედ ამას უნდა მიექცეს გადამწყვეტი მნიშვნელობა და არა იმას, ნახატზე მოქეიფეები როგორ არიან განლაგებულნი – ფრონტალურად, პროფილით თუ ნალურად; მაგიდას სავსე ტიკჭორა სად უდგას: მარჯვნივ, მარცხნივ თუ შუაში; რომელ სუფრაზე დახატული ნატურმორტი უფრო მაძღარია და წინა პლანზე წარმოდგენილი, ხოლო რომელი უფრო შედარებით ღარიბი და უკანა პლანზე გადატანილი; ვის როგორი ხალათი აცვია – ვარდისფერი თუ ცისფერი და ა.შ.

თვალსაჩინოებისთვის გავაანალიზოთ მხატვრის ერთ-ერთი ნამუშევარი. ცდისპირად ვიღებ ფიროსმანის სახელგავარდნილ ნახატს «**სამი თავადის ქეიფი**». რატომ მაინცდამაინც ეს სურათი? იმიტომ რომ, დღევანდელ ქართულ სინამდვილეში მეტწილ საზოგადოებრივი კვების ობიექტებსა თუ კერძო ქვევრ-მარანში და საბანკეტო დარბაზების კედლებზე სწორედ ამ ნახატის ასლები და რეპროდუქციები უკიდიათ ხოლმე, როგორც ქეიფის რეკლამისთვის მავანთაგან ყველაზე ზედგამოჭრილ ნიმუშად მიჩნეული.

ცნობილმა ქართველმა ფერმწერმა და გრაფიკოსმა, **მოსე თოიძემ** (1871-1953) **«სამი თავადის ქეიფი»** თავდაპირველად 1916 წლის ზაფხულის ბოლოს, პოეტ **ილია ზდანევიჩის** მიერ თბილისში, თავისი მშობლების ბინაზე გამართულ ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების ერთდღიან გამოფენაზე ნახა და თავისი აღფრთოვანება ქართულ პრესაშიც გამოხატა. მოუსმინეთ.

> «სამი ქართველი ზის ბალახზე, მათ წინ გაშლილია სუფრა, რაზედაც კავკასიური ჩვეულებისამებრ ალაგია საჭმელი: მწვანილი, ყველი, ცივად მოხარშული ქათამი, ყანწები, ხელადა და სხვა, ყოველივე დიდი გემოვნებითაა გადმოცემული. ეს მხოლოდ ფიროსმანაშვილს შეუძლია განიცადოს ასე თავისებურად. ეს სურათი ამ გამოფენაზე საუკეთესოა და დიდებული: აქ ფიროსმანაშვილი არ არის მარტო ჟანრისტი, იგი ტალანტია, როგორც პეიზაჟისტი. ეს პირველი სურათია, სადაც ნაზი ფერების ასეთი მომხიბლავი მღერა მესმის:

> პირდაპირ შეფენილი მწვანე ქედი ზღაპრული ციხე-კოშკებით, წინ ღელე, სადაც თეთრი ცხენი მშვიდად ბალახს ძოვს... ოჰ, რა მყუდროებაა, რა დიდებული, გულის ამაჩუყებელი სინაზე-სიკეკლუცეა ამ პრიმიტიულ ნახატში».

ცნობილი მხატვრის ამგვარი პროფესიული აღტაცებისა და საყოველთაოდ განმტკიცებული აზრის მიუხედავად, მე ამ ნახატზე ქეიფის მშრალი **ფაქტის** გარდა ვერ ვხედავ ვერც ქეიფის **მოტივს** და მით უმეტეს, ვერც მის ბუნებრივ **პროცესს**.

ვგულისხობ, გაკვირვებული თუ აღშფოთებული ოპონენტების პირით როგორ ფიცხად ჩამოითვლება თათარიახნად გამართული ლაზათიანი ქართული ქეიფისთვის სრულიად საკმარისი წევრები, ჭამადი, გარემო: ფეხმორთხმული, ყანწაწეული სამი დარბაისელი ულვა-შოსანი... ხელადა... ნაკადული, «ცა მშვენიერი, ცა მშობლიური» (გრ. ორბელიანი), მოლი, სუფრა, სამარილეები, გაუტეხავი შოთები, წითლად მოგიზგიზე ქორფა ბოლოკის კონა, თევზი, ყველის ნაჭერი, ჯერ გაუხლეჩავი მრგვლად მოხარშული დედალი... შუშა კიტრი... მეტი რაღა გინდა, ადამიანო?!

მეტი არაფერი! რაც არის, ესეც საკმარისია და ყველაფერ ამას მეც ვხედავ, მაგრამ არ არის ყველაზე უმთავრესი: **სა-ქე-იფო გან-წყო-ბი-ლე-ბა!!!**

ცოტა ხნით გავცდეთ ნახატზე ასახულ **ქეიფის პროტოკოლურ ფაქტს**, თავი დავანებოთ ყანწებს, შოთებს, ბოლოკსა და კიტრებს და კარგად დავაკვირდეთ საკაეშნო საფიქრალით გარინდებული სამი ქართველის თვალებსა და გამომეტყველებას: ისინი გვერდიგვერდ კი სხედან, მაგრამ ერთმანეთთან არ არიან, ერთმანეთს ვერც გრძნობენ!

ეს არის ქეიფი, ასეთი უნდა იყოს სალხენ-საქეიფოდ შეყრილ ქართველთა განწყობილება და გამომეტყველება?!

მარჯვნივ ფეხმორთხმული, ხელადიანი თავადი დეტალის სახით ალბომის მთლიან გვერდზე ცალკე სრულად იმავე პოზით არის გატანილი. ამიტომ ყველაზე უნაკლოდ იკითხება მისი სულიერი მდგომარეობა და გუნება-განწყობილება. ჩემი აზრით, შეშის გამყიდველ გლეხის ყმაწვილზე **ერასტ კუზნეცოვის** მიერ უმართებულოდ ნახმარი წელანდელი **«психологическая отключенность»** (ფსიქოლოგიური გათიშულობა) სწორედ ამ დარდწაღებული თავადის ამჟამინდელ შინაგან განცდებს უფრო ესადაგება. მას გაუქარვებელი სანაღვლებელი ნაღვლავს და ამის მიზეზით გაყინული თვალები ელამივით ერთი წერტილისთვის ისე გაუშტერებია, რომ ზედ ეტყობა: აღარც კი ახსოვს, რა უჭირავს ან ერთ ან მეორე ხელში და საერთოდ, აქ ვისთან ერთად ან რისთვის მოსულაო!

შუალა, უფრო სახენათელ და მგრძნობიარე მოსუფრალს თავისი ორი თანამოძმისაგან განსხვავებით ოდნავ მორცხვად დახრია თავიც, ქუთუთოებიც, მზერაც! მას თითქოს სინდისის ქენჯნისგან პირის წყალი გაშრობია და ქვეყნის თვალში წბილობს კიდეც, რაკი თვითონვე უგრძვნია თავიანთი განზრახულობის უდროობა, შეუფერებლობა, უაზრობა, უსარგებლობა...

მესამე, მარცხნივ მჯდომ თავადს პირისახე საკაეშნო ღრუბლებით ჩასჩრდილვია და გარინდებულ მზერაზე ეტყობა, ხეირიანად ჯერ თვითონაც ვერ გარკვეულა თავის პირად სადარდებელსა თუ გაუბედურებული სამშობლოს ბედ-იღბალში... ამიტომ გეჩვენებათ, რომ ეს სამი პატიოსანი, მაგრამ «რჯულდაწყვეტილი» (ნიკო სამადაშვილი) ქართველი თავისი ფეხით მოსულა საფეხვნოზე და მოკრძალებით აწეული ყანწებით თითქოს პატიებას შესთხოვენ დამპყრობლების მძიმე უღელქვეშ მგმინავ ერს, ამ საყოველთაო ურვა-გოდების ჟამს რომ ვეღარ გაუძლეს ადამიანურ ცდუნებას და მამაპაპური ქეიფის გაწევა მოისურვეს!.. თუმცა რა ქეიფი, რის ქეიფი! აბა, კარგად დააკვირდით ნახატს.

სრულიად ხელუხლებელ, მადლმოფრქვეულ სუფრასა და დამონებულ სამშობლოზე გაუქარვებელი დარდ-ვარამით გათანგულ სამ თავადს შორის არავითარი კავშირ-ურთიერთობა არ მყარდება: არც ფიზიოლოგიურ-გასტრონომიული, არც ესთეტიკური – ჭმუნვილი თავადები თავ-თავიანთ დარდ-კაეშანში წასულან, ხელუხლებელი სუფრა კი თავისთვის ამაოდ იცდის, თითქოს რაღაც განსაზღვრულ ვადამდე ცოდვა-ბრალად ითვლებოდეს მისთვის ხელის ხლება! კი მაგრამ, რა შეიძლება ვიგულისხმოთ მსჯელობისას ბუნებრივად წამოტივტივებულ ამ ტერმინში **«განსაზღვრულ ვადამდე»** – საქართველოს გათავისუფლება რუსეთის კოლონიური უღლისაგან? ვინ იცის! გააჩნია, ფიროსმანის ამ ნახატს ვინ როგორ შეხედავს და რას წარმოიდგენს!

ზოგჯერ მეჩვენება, რომ ეს სამი თავადი ჩვეულებრივი კი არა, რუსული ჩაგვრის წინააღმდეგ ნაფეთქი რომელიღაც აჯანყების ან თუგინდ 1832 წლის თავად-აზნაურთა შეთქმულების მონაწილენი ყოფილან, მერე კი რუსეთის შორეულ ყინულოვან მხარეში ხანგრძლივი ვადის სასჯელის მოხდის შემდეგ ისევ საქართველოში დაუბრუნებიათ. ჰოდა, ახლა ეს თავადებიცა და მხატვარიც კოლონიზატორთა ხიშტებიან ბადრაგს თითქოს ნაძალადევად შეუყრიათ ერთად და ეს სურათი პროპაგანდისტული მიზნით ძალდატანებით დაუხატვინებიათ – რუსხელმწიფის მფარველობის ქვეშ ცხოვრება ძმვენიერია!!! მაგრამაი, უბედურება: გულჩათხრობილი სამი ქართველის მჭმუნვარე გამომეტყველებას მაინც ვერაფერი მოხერხებია! მაგრამ თავადებზეცა და მხატვარზეც კოლონიზატორებს თითქოს ხელი ჩაუქნევიათ – ეჰ, არ იქნა ამათი ბოლომდე მორჯულება და დამორჩილება!.. ჯანი გავარდეს, გაშლილი სუფრა, სამი მონადიმე ქართველი და ქეიფის სცენა ხომ მაინც გამოვიდა და ამჯერად ესეც გვეყოფაო! შეიძლება ამგვარი ფიქრის შედეგია, ხომ ეს ვითომდა მოქეიფე, მჭმუნვარე თავადები ჩემს წარმოდგენაში ზოგჯერ ემსგავსებიან არენაზე შეყრილ, ურჩად მღრინავ ვეფხვებს, გულქვა მწვრთნელს შაბერიერის ტკაცატკაცის ქვეშ იძულებულნი რომ არიან ბრბოსა და ხელისუფლების დასაკმაყოფილებლად რაღაც დაძალებული ილეთები შეასრულონ!

რაკი სერობის ჟანრზე ჩამოგვივარდა სიტყვა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ქეიფის თემებზე შექმნილი ფიროსმანის ნახატების ერთი განსაცვიფრებელი ნიშან-თვისება, რაც მკვეთრად გამოარჩევს და განასხვავებს ბევრი სხვა სახელოვანი ფერმწერის ნამუშევრებისგან.

ლხინის ამსახველ ფიროსმანის არც ერთ ნახატზე არ შეინიშნება თანამოსუფრალთა ქეიფის ცოცხალი **პროცესი**: საჭმლისა თუ რომელიმე კერძის აღება-გადაღება, პირისკენ წაღება, პირთან მიტანა, ჭამა, სმა, ღეჭვა, კბეჩა, ხვრეპა, ხვრა, ერთმანეთისთვის ჭამადის მითავაზება, გადაწოდებ-გადმოწოდება! მათთვის თითქოს მთავარია მადლიანი სერობის ბიბლიური რიტუალი და არა თვით სასმელ-საჭმელი, ჭამა-სმა! მის ვერც ერთ ნახატზე ასევე ვერ ვიპოვით როგორც, მაგალითად, მსგავს გარემოში სხვა ფერმწერთა ტილოებზე ჩვეულებრივი და დამაჯერებელი მოვლენაა ხოლმე: ვთქვათ, სერობის მაგიდის სიახლოვეს მიწყობილი თუ დაყრილი რაღაც ზედმეტი საგნები და ნივთები, ერთ-ერთი თავისუფალი ან თუგინდ დაკავებული სკამის საზურგეზე დაუდევრად გადაკიდებული თუ წამოსხმული ტანსაცმელი, მიყუდებული საკრავი ინსტრუმენტი, იარაღი ანდა ისეთი რამე, რომელსაც რიგიანი სერობის კულტურის მიხედვით საქეიფო სუფრასთან არაფერი აკავშირებდა და წესით ის ახლა აქ არ უნდა დებულიყო თუ გდე-ბულიყო!..

ეს რაც შეეხება ქეიფის **პროცესს**. ფიროსმანის ქეიფის ტრადიციულ, შაბლონურ **შედეგზე** ლაპარაკიც ხომ ზედმეტია! ახლა სად ჩამოვთვალო მსოფლიო სახელის მქონე რეალისტ ფერმწერთა მთელი პლეადა, რომელთა შედევრულ ნახატებზე ერთმანეთს ენაცვლება გადაქცეული ბოთლი ან ჭიქა, დაღვრილი სასმელი, გამოხრული ძვლები თუ თევზის ჩონჩხი, გაკბეჩილი ხილი, გატეხილი თეფში, გვერდულად მოცურებული სუფრა... მაგიდის ქვეშ

მიმოფანტული ცარიელ-ცარიელი ბოთლები და ნახრავნუხრავი... მაგიდასთან უგვანოდ მიმსხდარ-მომსხდარ, საკინძეჩახსნილ თუ სულაც ზედა ტანსაცმელგახდილ, შეზარხოშებულ მომლხენთა ყაყანი და ხარხარ-კისკისი, საერთო უწესივრობა, უგვანო არშიყი და ღლაბუცი, მათ სახეებზე აღბეჭდილი უზრდელი გამომეტყველება, ხბოს აღტაცება, უმიზნო თავდაჯე-რებულობა, წუთიერი აღტკინება, ქვენა გრძნობების დაუფარავი ზეიმი, რეგვნული თვითკმაყოფილება, ლოთიფოთური შემართება!..

ფიროსმანის რომელიმე მოქეიფეს შილიფად ეცვას ანდა მაგიდას ოდნავ მაინც უგვანოდ უჯდეს კი არა, საკინძეზე შემთხვევით შეხსნილ ერთ ღილსაც ვერავის უპოვით! ტრაპეზთან მუდამჟამს მორჭმით მსხდარ მონადიმეთა ნირშეუშლელი გამომეტყველების და ასევე მუდამ ხელუხლებელი ჭამადის მიხედვით ვერასოდეს ვიგებთ, ამა თუ იმ ნახატზე ქეიფის რომელი ეტაპია ასახული: დასაწყისი, შუა ლხინი, მიწურული თუ დასასრული!

თვითმყოფადი ეროვნული ფესვებიდან ამოზრდილ, თავისი იდეალებითა და ხილვებით გატაცებულ მხატვარს თითქოს აინტერესებს და ადარდებს არა რომელიმე შემთხვევასთან თუ მოვლენასთან დაკავშირებული კონკრეტული ქეიფისას გაჩაღებული ჭამა-სმის თავშესაწყენი **პროცესი** და მით უმეტეს, მისი პროზაული, არცთუ თვალგასახარი საბოლოო **შედეგი**, არამედ ქართული სერობის მადლი, ხიბლი, ლაზათი, ხასიათი, განუმეორებლობა, იგავური მიმზიდველობა და... მისი კოლონიური ძნელბედობის ჟამი და მომავალი! ამიტომ მხატვრის ბევრი საქეიფო სუფრა ჩამოჰგავს ულვაშოსანი ჩოხიანი კოსმონავტებით დაკომპლექტებულ, ქაოსებს მიღმა გასაფრენად გამზადებულ კოსმოსური ხომალდის კოპწია კაბინას, სადაც არავინ და არაფერია ზედმეტი, გამოუსადეგარი, შემთხვევითი... ხელნახლები, გასვრილი და შერყვნილი. ნახვით კი, აბა, სად ნახავდით, მაგრამ ვინმეს ფიროსმანის ნახატზე შეუძლია წარმოიდგინოს მაინც შუაზე გაწყვეტილი ან წვერწატეხილი შოთი, ბარკალმოგლეჯილი დედალი, ნახევრადშეჭმული კალმახი, გაღრღნილი კიტრი, დაშლილი ბოლოკის კონა, გამოხ-რული ძვალი, მაგიდაზე წაქცეული ბოთლი და დაღვრილი ღვინო?!

ო, ფიროსმანის სტილისთვის ეს ხომ კატასტროფა, ქართული სუფრის გაბიწიერება იქნებოდა! აქ ყველაფერი სერობის უმაღლეს კულტურას, ადათ-წესებსა და ტრადიციებს ემორჩილება! აკვირდებით ყოველივე ამას და თვალახელაც ბუნებრივად იბადება: ფიროსმანისთვის სუფრა, ქეიფი, ლხინი, თუგინდ ღრეობაც არასოდეს არ არის მიზანი და მით უფრო თვითმიზანი! იგი მხოლოდ ზღაპრული საშუალებაა, ღვთისგან ბოძებული წმინდა ადგილია, საცდელი ქვა და მხატვრული ფონია, სადაც ყველაზე უკეთ – მოცემულ ეპოქაში მაინც! – მჟღავნდება ჩვენი უნიკალური ყოფა, ქართველი კაცის ბუნება, ხასიათი, მისი სადარდებელი და განცდა-ტკივილები...

და რაც ყველაზე მთავარია, თვით გაუცინარი, უსიხარულო, ფიქრმიცემული მოსუფრალნი? დასცქერით მათ სახეებს და გეჩვენებათ, რომ აქ სალხენად კი არა, სატანჯველად შეყრილან! ისინი თითქოს ხალხის მიერ საგანგებოდ ამორჩეული ყველაზე საიმედო ქართველები იყვნენ, რომლებიც არ კი ქეიფობენ, არამედ ეროვნული თვითმყოფადობის გადასარჩენად წმინდა ზედაშეზე სადღეღამისო მორიგეობის მძიმე ჭაპანს ეწევიან, რათა ილაჯგამწყვეტი კოლონიური რეჟიმის პირობებში არ გადაგვარდეს ქართველთა ვინაობა, მათი ჯიში, თვისებები, სერობის ადათ-წესები...

არ ვიცი, ფიროსმანის ამ ნახატს ვინ და როდის შეარქვა **«სამი თავადის ქეიფი»**, მაგრამ თავპირ-ჩამობნელებულ თავადებს რომ დავცქერი, არა მგონია, ახლა მათ ქეიფობისთვის სცხელოდეთ. ამიტომ თან თავსაც ვინუგეშებ – შეუძლებელია ამ სამ თავადს შორის ერთ-ერთი მათგანი ის წეღანდელი «სამვედროიანი» ხაპია თავადიც ერიოს-მეთქი! თუმცა, სულო ცოდვილო, იქნება მე

ვცდები, სამივე მათგანი ერთ ქეიფზე სამ-სამი ვედრო ღვინის დამლევია და აქ მართლაც საქეიფოდ შეყრილან! მაგრამ მაშინ ამიხსენით, თქვენი ჭირიმეთ, რითი უნდა იქეიფონ? ფიროსმანის სხვა მსგავს ნახატებზე თუ ლაზათიანად გამოჩანს მარანი, საწნახელი, ქვევრები, დერგი, რუმბი, ტიკი, ხარადოქი, მედუქნე, სირაჯი, მწდე თუ გოზაურიანი სუფრის გამწესრიგებელი, აქ მხოლოდ ერთადერთი ხელადა იხილვება!

ჰოდა, ეს მომცრო ხელადა რას გასწვდებოდა მოქეიფე თავადებს – სამ ყანწს თითოჯერ ხეირიანად ვერც კი გაავსებდა! ამიტომ ღვინოს ალალად გაინაწილებდნენ და ხელადა ახლა თავადს, ალბათ, უკვე ცარიელი უჭირავს!

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მე ასე მეჩვენება: ეს არის არა **«სამი თავადის ქეიფი»,** არამედ **«სამი თავადის ვედრება»**. პროტოისტორიულ ეთნარქებს დამსგავსებულ, ლოცვა-მოწყურებულ ამ სამ თავადს აღარ მოსურვებია ყველაფრის მაოხრებელი კოლონიზატორების მიერ ფრესკებგადალესილ საყდარში შესვლა ანდა თვით ოკუპანტებს აღარ შეუშვიათ შიგნით. ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, საქეიფოდ კი არა, სადღაც მოფარებულში **საველრებლად** განცალკევებულანო. ეს პატარა, მადლიანი სუფრაც არა თავიანთთვის, არამედ უფლისთვის გაუშლიათ; ხოლო მოწამებრივი კდემამოსილებით აწეული ყანწების ნაცვლად თითქოს ანთებული კერეოლები ეჭიროთ და თავ-თავიანთ შესახვეწარს ულვაშებქვეშ სასოებით ივედრებოდნენ.

– ღმერთო, შენ გადმოხედე ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას!

– ღმერთო, შენ დაგვიხსენი ზნეობასუსტი მჩაგვრელების უღლისაგან!

– ღმერთო, შენ შეინახე ქართველის სახსენებელი და მიწა-წყალი!..

თავი მეთერთმეტე

როგორც წელანაც აღვნიშნე, ბევრი და მათ შორის ქეიფის თემებზე შექმნილი ზოგიერთი თავისი სურათისთვის ფიროსმანს კონკრეტული სახელი არ უწოდებია. ამიტომ მათი დასახელებაც პირობითად მისაჩნევია. არც ისღა წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ნახატების უმრავლესობა უფრო მოგვიანებით, ფიროსმანის გარდაცვალების შემდეგ მოინათლა.

სამწუხაროდ, ბევრ «ნათლიას», ფიროსმანის მოცემულ ნახატში ქეიფის შიშველი **ფაქტის** მეტ სხვას რომ ვერაფერს ამჩნევდა, გულუბრყვილოდ სწამდა: მას სახელწოდებაც სწორედ ისეთი უნდა მისცემოდა, რომ შიგ უეჭველად ყოფილიყო ეს მაცდურ-მაგიური სიტყვაც **«ქეიფი!»** (სხვათა შორის, **ქეიფ** არაბულია: ლხინი, დროს ტარება, ნადიმი ღვინის სმით, – ღრეობა).

საკითხისადმი ამგვარი სწორხაზოვანი მიდგომის წყალობით ფიროსმანის ნახატებში ასე გაჩნდა ერთფეროვან სახელწოდებათა გრძელი მწკრივი: **ქეიფი აქ! ქეიფი იქ!.. მავანთა ქეიფი!.. ქეიფი ამით!.. ქეიფი იმით!.. ქეიფი, ქეიფი, ქეიფი!..**

ამიტომ რაღა გასაკვირი უნდა იყოს, რომ ნახატზე ასახული ქეიფის თვალში საცემი **ფაქტითა** და ამგვარი **სათაურებით** მოხიბლულ, თავადაც ქეიფის გუნებაზე მოსულ ბევრ მაყურებელსაც ელეთმელეთი ემართება ხოლმე და უმალ მცდარი წარმოდგენაც ექმნება: ფიროსმანს ქეიფების მეტი არა აინტერესებდა რა და ეს მისი ნახატებიც სულ ქეიფისა და დროს ტარების ეშხიანი პროპაგანდაა! არადა, ამა თუ იმ სურათზე ასახული ქეიფის ზედაპირული **ფაქტის** მიღმა ისეთი მწვავე სოციალურ-ეროვნული თუ სულის შემძვრელი ადამინური ტკივილები იკითხება, რომ ეს ნახატები სულ სხვანაირ წაკითხვას და სახელწოდებებს იმსახურებენ.

საკითხისადმი სწორედ ამგვარი პრიმიტიული მიდგომის მიზეზია, რომ ფიროსმანის ბევრ ნახატზე განსაცვიფრებელი რეალობით ასახული მკაცრი სინამდვილე დღემდე ამოუცნობი რჩება და მავანთაგან **ქეიფის** თავშესაწყენი ახსნა-განმარტების იქით ბიჯიც აღარ იდგმება.

ავიღოთ თუნდაც, ჩემი აზრით, ფიროსმანის ერთ-ერთი ყველაზე გენიალური სურათი **«მალაკნების ქეიფი»**, რომლის ჭეშმარიტი აზრი ფართო საზოგადოებისთვის დღესაც უცნობია. თუმცა მათ რა უნდა მოვთხოვოთ, როცა ეს ნახატი მართებულად ვერ გაიგო ფიროსმანის ერთ-ერთმა პირველაღმომჩენმა, **კირილე ზდანევიჩმა** და თანამედროვეობის ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ, **ვახტანგ ბერიძემ.** უფრო მეტიც. მათ ეს ნახატი არამცთუ სათანადოდ ვერ შეიცნეს და შეაფასეს, არამედ მასზე ზერელე მსჯელობისას ნახმარი თითო-თითო სრულიად უადგილო სიტყვით უნებლიე შეურაცხყოფაც კი მიაყენეს როგორც უდანაშაულო მალაკნებს, ისე ნახატს და თავისთავად თვით მხატვარსაც.

რიგისამებრ ჯერ **კირილე ზდანევიჩს** მოვუსმინოთ.

> «შავ ვანოს» მოსწონდა შრომისმოყვარე მალაკნები. ამიტომ რამდენიმე სურათი შეუკვეთა ფიროსმანაშვილს... სწორედ ეს სურათები ნახა ლე-დანტიუმ «შავ ვანოს» სამიკიტნოში!
>
> ლე-დანტიუს მიერ აღმოჩენილი «მალაკნების სერია» მეტად საყურადღებო აღმოჩნდა. საუკეთესოა მათ შორის სურათი **«მალაკნების ქეიფი»**. მალაკნები თეთრ, ცისფერ და ვარდისფერ ხალათებში გამოწყობილნი დგანან და უსხედან მაგიდას... სექტანტები მღერიან არღნის თანხლებით. ყველას დაღებული აქვს პირი, ერთ-ერთი გაწოლილა მაგიდის წინ. მეარღნე კინტო აშკარა ირონიით უცქერის **თავგასულ** მალაკნებს. და ბოლოს უნდა აღვნიშნოთ **სავსებით წესიერი** ქეიფი სახელგანთქმულ მეარღნე «დათიკო ზემელთან» ერთად».

აქ პირველ რიგში იმედგაცრუებას იწვევს ნახატის ამგვარი პრიმიტიული ახსნა-განმარტება, მით უმეტეს მხატვრის მიერ: მალაკნები თეთრ, ცისფერ და ვარდისფერ ხალათებში გამოწყობილნი დგანან და მღერიანო... ყველას დაღებული აქვს პირიო.

გასაკვირია! რაკი მღერიან, თავისთავადაც ცხადია, პირი გახსნილი ექნებათ, თორემ პირმოკუმულებს როგორ უნდა ემღერათ?! ან ვის რა ფერის ხალათი აცვია, ამას მაყურებელი ისედაც ხედავს – რაღას იძლევა ამგვარი მშრალი გამეორება?!

თუკი ამგვარ ნატურალურ დახასიათებაზე მიდგება საქმე, მაშინ მე დავამატებ ერთ «მნიშვნელოვან» დეტალს, რომლის აღნიშვნა კ. ზდანევიჩს «გამორჩენია»: სხვადასხვა სუფრაზე ფიროსმანს თუ გრძელ-გრძელი შოთები უხატია, მოქეიფე მალაკნებთან ფურნეს მრგვალ პურს ვხედავთ! მერე?

ამგვარი მჭლე, პედანტური აღწერილობითი «ახსნა-განმარტება» უნებურად მაგონებს ბავშვობაში სოფლად ნანახ რუსულ და ომის დროს ნაალაფარ დასავლურ კინოფილმებს. რაკი ეს ფილმები ქართულად არ იყო დუბლირებული, შტერულად შევყურებდით პერსონაჟთა მოქმედებას და ჭკვაგარკვევით არ გვესმოდა, ერთმანეთს რას ეუბნებოდნენ და საერთოდ, ფილმში რა ხდებოდა! ხოლო ჩვენსავით ენის უცოდინარი კინომექანიკოსი, ჩვენგან განსხვავებით ფილმი უკვე მრავალჯერ რომ ჰქონდა ნანახი, სოფლელ მაყურებლებს რიხიანად «გვმოძღვრავდა».

– ეხლა ეგ ქალი მაგ კაცს სილას გააწნავს!.. ის ბიჭი აივნიდან გადმოხტება!.. ეხლა უყურეთ – მატარებელი აფეთქდება!.. ეგ ქალი მანქანით გაიქცევა, ესენი კი უკან დაედევნებიან!.. ეგ გოგო მაგ წერილს წაიკითხავს და ტირილს დაიწყებს!..

ყოველივე ამას ჩვენც ვხედავდით, მაგრამ კინომექანიკოსის ამგვარი «განმარტების» შემდეგაც არ გვესმოდა უმთავრესი: ქალი და კაცი რაზე კამათობდნენ ასეთი გაცხარებით და ქალმა

რისთვის გააწნა სილა!.. ავტომობილით სად და რისთვის გარბოდა ქალი და რატომ მისდევდნენ დანარჩენები!.. მხრებმოტიტვლებულმა ქალმა ვისგან მიიღო წერილი, შიგ რა ეწერა და რამ აატირა!..

კინომექანიკოსის ამგვარ «ახსნა-განმარტებას» სხვები თუ აღტაცებაში მოჰყავდა, მე მხოლოდ მთრგუნავდა და მამცირებდა, ვინაიდან შესაძლებლობა მესპობოდა საკუთარი აღღოიანობა შემემოწმებინა და უცხო ენა თუ არ მესმოდა, კინოენით მაინც მე ჩემით მივმხვდარიყავი, ესა თუ ის სცენა სანახაობრივად როგორ განვითარდებოდა და რამდენიმე წამის შემდეგ რით დამთავრ-დებოდა!

კ. ზდანევიჩი მოულოდნელად ასე «კითხულობს» ნახატს.

«მეარღნე კინტო აშკარად ირონიით უცქერის **თავგასულ** მალაკნებს».

ჯერ ერთი, მეარღნე კინტო **«აშკარად ირონიით»** კი არა, **შიშნარევი მსუბუქი გაკვირვებით** იცქირება. მეორეც, რაში გამოიხატება **კ. ზდანევიჩის** მიერ წელან დახასიათებული **«შრომისმოყვარე»** მალაკნების **«თავგასულობა?»** ისინი ხომ მხოლოდ ქეიფობენ და მღერიან, მეტი არაფერი! ხოლო ქეიფისა და სიმღერების ისეთ კლასიკურ ქვეყანაში კი, როგორიც საქართველოა, ნუთუ **სერობა** და **სიმღერა** როდისმე **თავგასულობად** ითვლებოდა?

მაგრამ არა უშავს რა – მალე დავინახავთ, რომ დაუმსახურებელი სიტყვა-შეფასება **«თავგასული»** როგორ ბუნებრივად შეიცვლება უფრო ღირსეული სიტყვით!!!

თავისი შეფასების ბოლოს **კ. ზდანევიჩი** თავდაჯერებით აცხადებს.

> «და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ **სავსებით წესიერი ქეიფი** სახელგანთქმულ მეარღნე «დათიკო ზემელთან» ერთად».

აქ ავტორის კილო და ქვეტექსტი კატეგორიულია: კ. ზდანევიჩს **«თავგასული»** მალაკნების ქეიფი **უწესოდ**, ხოლო «სახელგანთქმულ» დათიკო ზემელთან გადახდილი ქეიფი **«სრულიად წესიერად»** და სანიმუშოდ მიუჩნევია.

რა გაეწყობა – რაკი აღარ დაუშლია, ბოლოს სრულიად მიუდგომლად ამ **«სავსებით წესიერ»** ქეიფსაც შევეხები და დაე, მკითხველებმა თავად შეადარონ და განსაჯონ, რომელი – მალაკნების თუ დათიკო ზემელთან ქეიფი – უფრო ამაღელვებელი და გულმოსაჭიდია!

ახლა **ვახტანგ ბერიძის** ჯერი დგება.

> «ფიროსმანი იშვიათად აძლევს თავს უფლებას ერთგვარი «თავისუფალი გადახვევისას»: იხ. მაგალითად, «ბეგოს კამპანია», სადაც იერატიზმი ადგილს უთმობს ჟანრულობას, განსაკუთრებით კი – «**მალაკნების ქეიფი**», ერთგვარი **იუმორითაა** აღბეჭდილი: მოქეიფეები ხელებს იქნევენ, ხმამაღლა მღერიან, ერთი კი – მთავარი – იატაკზე **გდია**».

ვ. ბერიძის ამგვარი დახასიათება ჩემთვის მიუღებელი კი არა, პირველ რიგში სრულიად გაუგებარია. ჯერ ერთი, სად და რაში ჩანს ნახატის **იუმორისტული** ხასიათი? მეორეც, მოქეი-ფეები ხელებს კი არ იქნევენ, არამედ მთელი **კატეგორიულობით** აღუმართავთ! ანდა, რის მიხედვით ასკვნის, მალაკნები «ხმამაღლა მღერიან» თუ ხმადაბლა? დასასრულ, ცნობილი ხელოვნებათმცოდნე წინამორბედების გატკეპნილ გზას ალალბედად რომ არ გაჰყოლოდა და ნახატს უფრო შემოქმედებითად დაჰკვირვებოდა, მაშინ უნებლიე შეურაცხყოფას აღარ მიაყენებდა მოხუც მალაკანს და მასზე დაუფიქრებლად არ იტყოდა – **გდიაო!** იგი ფიროსმანმა კი არ **დააგდო**, არამედ შედევრული ნახატის შესაქმნელად კომპოზიციური აუცილებლობიდან გამომდინარე, შეგნებულად **წამოაწვინა მხარ-თეძოზე**! და თანაც როგორ ღირსეულად: მოხუც

მალაკანს მხრები და თავ-კისერი სწორედ, ბუნებრივად და ჭარმაგული თავდაჯერებით უჭირავს! ეგ კიდევ არაფერი! აბა, ამასაც კარგად დახედეთ: იატაკიდან ოდნავ აცილებულ მტკიცე მარჯვენაში ჭიქა და ჭიქაში მდგარი სასმელი სრულ ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია! ეს არის **გდება**?! ამგვარ პოზაში მყოფ კაცზე შეიძლება ითქვას, **გდიაო**?!

მაგრამ აქ ვ. ბერიძეს ვერ დავუკარგავ ერთ უდიდეს მიგნებას, თუმც შუა გზაზე მიტოვებულს და აუხსნელს – ამ მოხუც მალაკანს **«მთავარი»** რომ უწოდა!

დიახ, ამ ნახატზე სწორედ ეს მხარ-თეძოზე წამოწოლილი მალაკანია ყველაზე **მთავარი** და შევეცდები ავხსნა, რაში გამოიხატება მისი ეს **მთავრობა**!

ჩემი აზრით, **«მალაკნების ქეიფი»** არამცთუ ფიროსმანის შემოქმედებაში, არამედ მსოფლიოს ყველა დროის ფერმწერთა მიერ ქეიფის თემაზე თუ ქეიფის თემის საფარველით დიდოსტატურად მინიშნებულ დრამატულ-ტრაგიკული შინაარსის ნახატთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გენიალურია, რომელზეც ასახულ სიკვდილივით უსაშველო ადამიანურ უბედურებას დაკვირვებული მაყურებელი ლამის დეპრესიამდე მიჰყავს.

წინდაწინვე ვგრძნობ, ბევრს გაუკვირდება, ზოგს კი გაეცინება კიდეც – რას გვიქებ ასე ძალიან, როცა ქეიფის თემაზე ფიროსმანს სხვა, უფრო უკეთესი ნახატები აქვსო!

ცხადია, სიმართლე ამგვარი შეხედულებისა და გემოვნების მქონე ოპონენტების მხარეზე გადავა თუ საკითხს მხოლოდ ქეიფის კუთხითა და ეშხით მივუდგებით. თუმცა თავიდან, ალბათ, ჩვეულებრივ ან თუგინდ უფერულად დაწყებული მალაკნების ეს ქეიფიც ისევე უკვალოდ ჩაივლიდა, როგორც საუკუნეთა მანძილზე თბილისის საქეიფო ადგილებში გადახდილ მილიონობით მსგავს ქეიფ-ღრეობებს ჩაუვლია და მომავალშიც ასევე უკვალოდ ჩაივლის დროთა უდრტვინველ მდინარებაში! მაგრამ... მაგრამ უზეშთაესის ნებით ჩაფიქ-რებულმა დამთხვევამ – მალაკნებზე სასმელის ჯადოსნური ზემოქმედების გამოხატულების და თვალმახვილი ფიროსმანის გენიის ურთიერთგადაკვეთამ მალაკნების ეს ერთი ჩვეულებრივი ქეიფი ყველაზე კულმინაციურ წერტილში გააქვავა და სამუდამოდ უკვდავყო!

როგორ, რანაირად?

როგორც ნებისმიერი ქეიფ-ლხინისას ხდება ხოლმე, სასმელმა მალაკნებსაც შეურხია სულის უფაქიზესი სიმები და აჰა, ტრაგიკულ-დრამატულმა ვითარებამაც არ დააგვიანა: ყველაფერი თვალსა და ხელს შუა გადასხვაფერდა და ეშმაკის ბორბალივით დაბზრიალდა! და სწორედ აქ იელვებს უმაღლეს მწვერვალზე ატყორცნილი ფიროსმანის გენიალური კომპოზიციური აზროვნება და გამაოგნებელი სახვითი ენა, რის წყალობითაც ნახატზე დრამატული სამკუთხედი იკვეთება, რომელსაც სწორად ამოკითხვის მეტი აღარაფერი უნდა!

სამკუთხედის პირველი კუთხე: სუფრასთან მყოფი მალაკნების მთელი კატეგორიულობით აწეულმა მკლავებმა თავიდან, ალბათ, უფერულად დაწყებული ეს ჩვეულებრივი პურის ჭამა უცებ მწვავე პოლიტიკურ მიტინგს დაამსგავსა!

სამკუთხედის მეორე კუთხე: რაკი ახალგაზრდების პათოსი მოხუცი მალაკნისთვის უიმედო თუ ტკივილის ამშლელი აღმოჩნდა, მან გაცლა არჩია. **ამიტომ მას მაგიდიდან თავის ჭიქანად მაგიდის ქვეშ გადაუნაცვლებია და იქ ჩაფლულა საკუთარ მტანჯველ ფიქრ-განცდებში!**

სამკუთხედის მესამე კუთხე: მეარღნე კინტო შიშნარევი გაკვირვებით შესცქერის **გაბედულ** მალაკ... თუმც მაპატიეთ! მოდი, ჯერჯერობით ისევ **კ. ზდანევიჩის** წეღანდელი ტერმინი ვიხმაროთ, სანამ ყველაფერს ნათელი არ მოჰფენია! დიახ, მეარღნე კინტო კი შიშნარევი გაკვირვებით შესცქერის **თავგასულ** მალაკნებს – ამდენს როგორ ბედავენო!!!

ბოლოს და ბოლოს, რა ხდება ფიროსმანის ამ ნახატზე?

აქ პატარა წიაღსვლაა საჭირო.

ნებისმიერ ნახატს სრულყოფილად ვერასოდეს შევიცნობთ თუ არ გვეცოდინება მასზე ასახული კონკრეტული მოვლენის ეპოქა და პერსონაჟ(ებ)ის ვინაობა.

მაგალითისთვის ავიღოთ ესპანელი ფერმწერის, გრაფიკოსისა და გრავიორის, **ფრანსისკო გოიას** (1746-1828) მიერ დაახლოებით 1814 წელს შექმნილი ცნობილი ტილო **«აჯანყებულთა დახვრეტა 1808 წლის 3 მაისის ღამით»**.

ამ თვალშემზარავი ნახატის პირველმნახველი როგორი განათლებული, კეთილშობილი და გულმოწყალეც უნდა იყოს, თუგინდ ისეთი უფაქიზესი ადამიანური განცდით გამოირჩეოდეს, რომ დასახვრეტთა ცქერისას გულიც კი შეუღონდეს, მის მიერ ნახატის შეცნობა მაინც ვერ ჩაითვლება სრულყოფილად, თუ ისედაც ცხადი **ფაქტის** გარდა, ესეც არ ეცოდინება: ოკუპან-ტთაგან დასახვრეტად კედელთან მიყენებულნი არიან თავიანთი მიწა-წყლის დასაცავად თავგადადებული მამაცი ესპანელები, დამსჯელები კი ესპანეთში შეჭრილი საფრანგეთის იმპერატორის, ნაპოლეონ პირველის (1769-1821) საოკუპაციო არმიის ჯალათები!!!

ისევ «მალაკნების ქეიფს» დავუბრუნდეთ. ცხადია, ვერც ჩვენ და ვერც ვერავინ ვერასოდეს ვერ გაიგებს ფიროსმანის ნახატზე გამოსახული ამ მალაკნების სიმღერის, კამათისა თუ მონოლო-გების ზუსტ ტექსტებს, მაგრამ სავარაუდო შინაარსის ამოცნობაში კი დახმარებას გაგვიწევს მალაკნების **ისტორია** და ფიროსმანის **მხატვრული ენა**.

ვინ იყვნენ მალაკნები? ეს იყო ერთ-ერთი ქრისტიანული სექტა რუსეთში, «დუხობორების» ნაირსახეობა, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა ტამბოვის გუბერნიაში და მერე ქვეყნის სხვა რაიონებშიც გავრცელდა. მაშინ ვიღა იყვნენ «დუხობორები» («სულისთვის მებრძოლნი»)? უკიდურესად პროტესტანტული სექტა, რომელიც შეიქმნა ვორონეჟის, ტამბოვის, ეკატერინოსლავის გუბერნიებში.

ეს წესიერი, პატიოსანი და შრომისმოყვარე ხალხი თავიანთი განსხვავებული რწმენისთვის ხელისუფლების მიერ მუდამ სასტიკად იდევნებოდა. 1804 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა (1777-1825) მათ მელიტოპოლის (უკრაინა, ზაპოროჟიეს ოლქი) მაზრაში დასახლების უფლება მისცა, ხოლო იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა (1796-1855) 1841 წელს ისინი ამიერკავკასიაში გადაასახლა. უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილ მალაკნებსა და დუხობორებს ესეც არ აკმარეს: იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ (1868-1918) მათი ნაწილი 1898-1900 წლების მიჯნაზე შორეულ კანადაში (!!!) გადაასახლა, სადაც დღემდე არსებობს მათი თემები.

ერთი სიტყვით, მშობლიური მიწა-წყლიდან თავისივე ხელისუფლების მიერ ასე მხეცურად აწიოკებულ და დედამიწის ზურგზე ფეტვივით მიმობნეულ დუხობორებისა და მალაკნების თავზე ერთი წისქვილის ქვაღა არ დატრიალებულა, თორემ ცარიზმმა სხვა ყველანაირი ტანჯვა-განსაცდელი აგემა! ამის მიუხედავად, ათასი თოკიდან გამომძვრალ, გაუტეხელ მალაკნებსა და დუხობორებს არასოდეს დაუკარგავთ თავიანთი რწმენა, ადამიანური ღირსება და ვინაობა, ტკბილი ოცნება და იმედი თავიანთ პირვანდელ მიწა-წყალზე დაბრუნებისა და შელახული უფლებების აღდგენისა, იმპერიის სხვა ქვეშევრდომებთან კანონიერი გატოლება-გათანაბრებისა!

ჰოდა, ფიროსმანის ამ ნახატზე გამოსახული, სასმლისგან გრძნობამორეული და ამავე დროს გულმოცემული ახალგაზრდა მალაკნების სიმღერისა თუ მონოლოგების თემა და შინაარსი რა იქნებოდა ან უფრო სწორედ, რა უნდა ყოფილიყო? ცხადია, თავიანთ უნახავ მშობლიურ მიწაზე დაბრუნების ჟინი, ოცნება და პრეტენზია, ჩაგვრა-უუფლებობაზე დრტვინვა-ჩივილი, ხელისუფლების უსამართლობისა და სისასტიკის **გაბედული** სახელდება!

მოურიდებელი კატეგორიულობით აღმართული მალაკანთა მკლავების შინაარსი საპროტესტო დემონსტრანტთა პოლიტიკურ პლაკატებივით ადვილად იკითხება: გვეყო ამდენი დევნა-შევიწროება და მოთმინება!.. ჩვენც ღვთის შვილები ვართ!.. ძირს უსამართლო

ხელისუფლება!.. გაუმარჯოს ძმობასა და თავისუფლებას!.. დაიცა, სულ ასე არ იქნება – **გაზაფხული ჩვენს ქუჩაზეც დადგება!**

ახალგაზრდა მალაკნების სწორედ ამგვარ საჯარო **გაბედულებას** – კ. ზდანევიჩს **თავგასულობა** რომ **ჰგონებია**! – გამოუწვევია მეარღნე კინტოს შიშნარევი მსუბუქი **გაკვირვება** (კ. ზდანევიჩს **ირონიად** რომ მოსჩვენებია!): **«თავგასულ»** მალაკნებს ეს რომ **შეუტყონ**, პოლიციელებისგან ხალხის შესაძრწუნებლად გავრცელებული მაშინდელი მოარული მსუსხავი მუქარის მიხედვით **«სახალინი უკან დარჩებათ!»**

ფიროსმანის მახვილ მზერას და ჯადოსნურ ფუნჯს გასაოცარი სიზუსტით დაუჭერია «დაღლარა, თახსირი» (ი. გრიშაშვილი) კინტოს ცულლუტური ბუნება და ვითარების შინაარსი. გამოცვეთილ კინტოს **ფხიტად** კი უგრძვნია **გაბედული** მალაკნების მიერ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ასე საჯაროდ გამოთქმული რაღაც აუგის მოსალოდნელი საშიშროება, მაგრამ ამას მხოლოდ მსუბუქი ერთგვარი ნეიტრალური თავმოკატუნებით გამოხატავს! რატომ ნეიტრალური თავმოკატუნებით? მიზეზი ადვილად ასახსნელია: საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მალაკანთა ამგვარი ბუნტარული ყბედობის მოსმენისთვის პასუხს ვერ მოსთხოვენ, ვინაიდან «პალიტიკისა» არაფერი გაეგება, ხოლო მისი ხელობა-საქმიანობა კი უბრალო და ნებადართულია – მოქეიფეთა «გასამხიარულებლად» თავისი ათასგან ნათრევი, მოშლილ-მოფუნკული არღანი გულშესაწუხებლად აჭყვიტინოს, შაბაში აიღოს და ახლა სხვა სუფრაზე გადაინაცვლოს, ამ ახირებულ მალაკნებს კი ჯანდაბას იქითაც გზა ჰქონიათ!

მაყურებელი მყისვე იხიბლება სუფრასთან მყოფ მალაკანთა ფიგურების ზეამტაცი სიმხნევითა და მათი გადამდები ოპტიმისტური განწყობილებით. ამიტომ, ცხადია, ყველასთვის – მალაკნებისთვისაც, ნახატის ავტორისთვისაც და დამთვალიერებლებისთვისაც! – ასწილ ემჯობინებოდა, მთლიანი სურათის აზრი, შინაარსი და პათოსიც ამგვარივე ოპტიმისტურ ნოტაზე დამთავრებულიყო! მაგრამ ყველას სამწუხაროდ და სავალალოდ, ჯერ არ შევხებივართ მაგიდის წინ მხარ-თეძოზე წამოწოლილ **მთავარ** მალაკანს.

დაკარგულ სამშობლოსა და თავისუფლებაზე მწველი ოცნებით გატაცებულ ახალგაზრდა მალაკნებს პირდაპირ სახეზე აწერიათ: მათ აღარც კი ახსოვთ წეღან მაგიდიდან თავის ჭიქიანად მაგიდის ქვეშ გადანაცვლებული მოხუცი მალაკანი! ან იქნებ ჰგონიათ, რომ მათი აღარაფერი ესმის და, ალბათ, ყვინთი მოსდის ანდა შეიძლება მიკრუნჩხულს მიეთვლიმა კიდეც! მოუთოკავ ემოციებსა და ოცნებებს აყოლილი ახალგაზრდა მალაკნები ვერ გრძნობენ, რომ მაგიდის ძირას გადაღრჯუებული ბებერი კი არ წევს, არამედ საშინელ ბომბზე უფრო დამანგრეველი სიმართლე დევს!

მხარ-თეძოზე მიწოლილ ჭიქიან მოხუც მალაკანს ძილმორევისგან არც თავი ექინდრება და მით უმეტეს, არც მილულულა – წინამძღოლი ბებერი მგელივით ფხიზლობს და უმცროს თანამოძმეებთან იქიდან განაგრძობს კონტაქტ-კამათს!

«კი მაგრამ, როგორ?» – ამას მხოლოდ გულუბრყვილოღა იკითხავს! როგორ და **სახ-ის-მეტ-ყვე-ლე-ბით!!!**

ახლა კარგად დააკვირდით და შეადარეთ: მოსუფრალი მალაკნების ოპტიმისტური გამომეტ-ყველების სრულიად საწინააღმდეგოს წარმოადგენს მოხუცი მალაკნის გაიდიოტებულ სახეზე აღბეჭდილი უსამანო პათოლოგიური ნაღველი, უიმედობა და სულჩაკლულობა, რომელიც შეიძლება დაახლოებით ასე ითარგმნოს: **ეეეჰ, თქვენ ჯერ სისხლი გიდუღთ და თავს იტყუებთ!.. მე კი მაგნაირი ზღაპრების მოსმენამ მომახუცა!.. ცხოვრების შულო ამოვახვიე, ეგე, ცალი ფეხი უკვე საფლავში მიდგა, მაგრამ მშობლიურ მიწა-წყალსა და ცას მაინც ვერ ველირსე... ყველაფერი ფუჭი გამოდგა – ჩვენთვის არც გათენებულა და არც გათენდება!!!**

ვინც რუსული დიდმპყრობელურ-შოვინისტური ფორმაციის ბუნებასა და ისტორიას კარგად იცნობს, ის ფიროსმანის ამ ნახატის ხილვისთანავე ითრგუნება, ვინაიდან ცხოვრების დარჯაკში გამოტარებული მოხუცი მალაკნის ტრაგიკულ-პათოლოგიური გამომეტყველებით გაცხადებული სიმართლე საზარელი, მაგრამ სრული ჭეშმარიტებაა: მეფის რუსეთს მხატვრულ-ემოციური ეფექტისთვის როდი უწოდებდნენ **«ხალხთა საპყრობილეს»**, სადაც უმოწყალოდ იჩაგრებოდნენ როგორც დაპყრობილი ეროვნული უმცირესობები, ისე თვით «დიდი რუსი ხალხის» წარმომადგენლებიც, თუკი მათი მრწამსი და ჰუმანური იდეები წინ ეღობებოდა დიდმპყრობელური პოლიტიკისა და იდეოლოგიის გატარებას.

დამთვალიერებელი როგორც კი ჩასწვდება ნახატის აზრს, მაშინვე ახალგაზრდა მალაკნებისადმი მტკივნეული თანაგრძნობა-სიბრალურით იმსჭვალება, ვინაიდან სასმლით გამოწვეული მათი ოპტიმიზმი თურმე უსაფუძვლო ყოფილა და ვერც ამათ ასცდებათ მაგიდის წინ დაუძლურებული ბებერი მგელივით გაწოლილი თანამოძმის ბედუკულმართობა. ადამიანს ბალანს უშლის თვით მხარ-თეძოზე გაშოტილი მოხუცი მალაკნის სახეზე აღბეჭდილი აზრდაკარგული სევდა-კაეშანი, რომელიც პირდაპირ ბგერებში გადადის და დასნეულებული, თანაც ამოუსვლელ ხრამში ჩაჩეხილი ბებერი მგლის დანჯღრეულ ყმუილადღა აღიქმება...

ეს გენიალური ნახატი თავისთავად აღძრავს ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას. ცნობილია, რომ მალაკნების სურათების სერია ფიროსმანს მედუქნე «შავ ვანოს» შეკვეთით შეუსრულებია. ჰოდა, საინტერესოა, მხატვარმა ეს სურათი როგორც შინაარსობრივად, ისე კომპოზიციურად მალაკნების მიერ სხვადასხვა დროს გაწეულ ქეიფებზე ზოგადი დაკვირვების ანდა ამა თუ იმ ქეიფიდან აღებული ცალკეული დეტალების საფუძველზე ააგო, თუ ერთი რომელიმე კონკრეტული ქეიფი პირდაპირ უცვლელად «გადახატა?» თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, ბარაქალა მხატვრის ჯადუსნურ მზერას, რომ ყველასთვის თვალში მოსახვედრი ზედაპირული მხარეების გამეორება-გადამღერებით კი არ შემოიფარგლა, არამედ ქეიფის პროზაული **ფაქტის** მიღმაც შენიშნა და უკვდავყო მშობლიური მიწა-წყლიდან დევნილ მალაკანთა საერთო უბედურება და მათი სულიერი ტკივილები.

ჩემი აზრით, ფიროსმანის ეს ნახატი თავისი მამხილებელი პათოსით **ნიკოლოზ გოგოლის «მკვდარ სულებს»** ეხმაურება და ენათესავება. როგორც გოგოლმა ამ ნაწარმოებით ამხილა ბატონყმურ-ჩინოვნიკური რუსეთის სიდამპლე, თავისი ფუნჯით ფიროსმანმაც ასევე ნათელყო: დიდმპყრობელური სენით დაავადებულ რუსულ იმპერიაშიც ვერავინ ვერ იქნებოდა ბედნიერი და თავისუფალი – ვერც ჩაგრული, ვერც მჩაგვრელი!

მავანთა მიერ ფიროსმანის ნახატისთვის შერქმეული სახელწოდება «მალაკნების ქეიფი» პირადად ჩემთვის უკვე გაცვეთილ რუბრიკასავით ჟღერს. ამიტომ რამდენჯერაც დავხედავ, მომეჩვენება ხოლმე, რომ ამ ნახატს უნდა ერქვას, მაგალითად, «ბედი უბედურთა», «ოცნება უნახავ სამშობლოზე», «შორეული მიწა-წყლის ძახილი», «დევნილთა მოუშორებელი საფიქრალი», «უნახავი სამშობლოს ზმანება», «აუხდენელი ოცნება», «ოტებელთა სატანჯველი», «ქარწაღებულნი», «სამშობლოდაკარგულები», «აუხდენელი ოცნების ტყვეები», «დევნილნი და დამცირებულნი», «სამშობლოს წამოლანდება», «ვედრება», მოურჩენელი იარა», «სისხლის ყივილი», «რუსული ტრამალების ძახილი», «რწმენისთვის წამებულნი» და სხვ.

***

წეღანდელი დაპირებისამებრ, **კ. ზდანევიჩის** შეფასების მიხედვით, მალაკნების ვითომდა **უწესო ქეიფიდან** ახლა სახელგანთქმულ მეარღნე დათიკო ზემელთან მიმდინარე **«სავსებით წესიერ ქეიფზე»** გადავინაცვლებ და იმასაც შევეხები.

ზოგადი გაგებით და მიდგომით გარეგნულად ეს მართლაც და **«სავსებით წესიერი ქეიფი»** უსაშველოდ მთრგუნავს, ვინაიდან ერთნაირი ფორმის ქუდებსა და ტანსაცმელში გამოწყობილი, ერთნაირად დამყოლი და მორჩილი გამომეტყველების მქონე თანამეინახენი ჩამოჰგვანან მეფისნაცვლის კაბინეტიდან ახალგამოსულ ნასიამოვნებ მოქალაქეთა კერძო დელეგაციას, დიდი ხნის ნაოცნებარი ღერბიანი ბეჭედდაკრული საბუთ-ხელშეკრულება რომ ჩაუგდიათ ხელში! ამათ მეფისნაცვლისთვის გულმხურვალედ განუცხადებიათ თავიანთი სიხარული და კმაყოფილება რუსხელმწიფის მიერ მოტანილი საამური ყოფა-ცხოვრებისთვის! ამიტომ მზად არიან მთელი სიცოცხლე მეფისა და ადგილობრივი ხელისუფლების სადღეგრძელოების ცლაში გალიონ! თავის მხრივ მეფისნაცვალსაც ნება დაურთავს: თუკი ასეა, შეუძლიათ იქეიფონ, რამდენიც სურთ – ამათი უბატონოდ ხმის გამცემი არავინ იქნება!

ჰოდა, ამ «ბედნიერი» დღისა და საბუთის შოვნის აღსანიშნავად გახარებულ მარაქას პირდაპირ დუქნისთვის მიუშურებია და აგერ, **«სავსებით წესიერი ქეიფი»** გაუჩაღებიათ!

აკვირდებით თვითკმაყოფილ მოქეიფეთა ობივატელურ, მხოლოდ საკუთარ სიამოვნებასა და «ტკბილი» პურის ჭამაზე მოფიქრალ ჭკუამოკლე ტიპებს და სევდა თრობასავით გერევათ: მათთვის უცხო იქნება ეროვნული თვითგამორკვევა, კოლონიური უღლის გადაგდება, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა!.. არა, რას ლაპარაკობთ – ისინი ამგვარი «სისულელეებისთვის» ბორკილს არ დაიდებენ და თავს საციმბიროდ არ გაიმეტებენ! ეს არეკილების, შეხმუხებისა და თოკიდან აწყვეტილი ღმერთგამწყრალების საქმეა!!! რა სჯობია ყოველდღე ნამჭვარტლარ სამიკიტნოში ქეიფ-ჭუკჭუკს, არღნის ყურშეჩვეულ ჭყვიტინსა და მწვადით ტუჩ-ულვაშის გაქონვას! ოჯექი და იქეიფე! მე შენ გეტყვი, ძველებურად ოსმალო დაგეცემა თავზე, ლეკი თუ სპარსი!.. ჰმ, ის დრო წარსულს ჩაბარდა!.. აი, რა საამური ცხოვრება მოგვიტანა რუსხელმწიფემ!.. ამ სწავლამიღებულ ახალუხლებს კი ეს ვერ გაუგიათ – რა უნდა ელაპარაკოთ?!. მაშ, დღეგრძელი იყოს ჩვენი მფარველი და მარჩენალი!

ამ ნახატის ცქერა გონებას მიფხიზლებს და სინამდვილე ნაღველს უფრო მიმძაფრებს. დუქან-სამიკიტნოების ამ მუდმივ, უნაღვლელა ბინადრებს არასოდეს მოჰკლებიათ ორთოდოქსი მიმდევრები _ რა ცარიზმის დროს და რა ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში. მით უმეტეს დღეს, როცა ე.წ. დამოუკიდებლობითა და თავისუფლებით ისედაც შემთვრალი, დემოკრატიობანათი გაცუღლუტებული მასის უდიდესი ნაწილი _ ანუ თუ ვაჟა-ფშაველას ესტატეს ჩამონათვალს «დიდი, პატარა, მდიდარი, ღარიბი», ამოდენა ქალებსა და ტუჩებზე ჯერ დედის რძეშეუმშრალ გოგუცანებსაც დავამატებთ _ ცხოვრების ერთადერთ აზრს ბოლომოუღებელ, პირდაპირ სამკვდრო-სასიცოცხლო ღრეობა-ქეიფებშიღა ეძებს!

ეკონომიკურ გაჩანაგებას, გონებრივად გადაგვარებას, ოჯახის დანგრეულ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატსა და განადგურებულ საკუთარ ჯანმრთელობასაც რომ თავი დავანებოთ, თქვენ მარტო შეფარვით ერთი ამას მაინც გადახედეთ _ ამდენმა უზომ-უწესო და უმსგავსმა ჭამა-ყლაპვამ და ღრეობებმა გარეგნულად რას დაამსგავსა ჩვენი გენოფონდი _ საქართველოს საკაცეთი!!!

ქუჩაში, სხვადასხვა ღონისძიებაზე, სტუმრად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ჭირსა თუ ლხინში სხვის მაგიერ თქვენ იწვით სირცხვილით და აღარ იცით, როგორ მოიქცეთ, სად წაიღოთ ეს დასათხრელი თვალები!..

აბა, მეტი რაღა გითხრათ, რით გაგახაროთ?!.

თავი მეთორმეტე

განცვიფრებაში მოვყავარ ცნობილი მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეების მიერ ფიროსმანის ამა თუ იმ ნახატის სრულიად ზერელე-პრიმიტიულ, ლამის პედანტურ-ფინა-გენტური მშრალი აღწერილობის მეთოდს; სანახევრო, თანაც არაარსებით დახასიათებას და პროფესიულ (რაც, სამწუხაროდ, თავისთავად არაპროფესიონალიზმში გადადის!) ახსნა-განმარ-ტებას.

ამგვარი სევდიანი ხვედრი ვერ აირიდა ერთ-ერთმა ნახატმაც, მხატვრის გარდაცვალების შემდეგ ფრაცუნა «ნათლიების» წყალობით სამი სხვადასხვა სახელით რომ დამკვიდრდა ფიროსმანის ალბომებსა და მისდამი მიძღვნილ ლიტერატურაში: **«ბეგოს კამპანია»**, **«ოჯახური პიკნიკი»**, **«ოჯახური არიფანა»**.

ამ ნახატისთვის ამგვარი სახელწოდებების ჰაიჰარად მიკერება სულწასული «ნათლიების» დაბალი მხატვრული გემოვნებით, ურთიერთდასწრების წყურვილითა და ენის უცოდინარობითაა გამოწვეული.

რას ნიშნავს ინგლისური სიტყვა **პიკნიკი (პიკჰიე)**? _ ქალაქგარეთ ჯგუფური გასეირნება (ჩვეულებრივ მსუბუქი საჭმელ-სასმელით).

ახლა კარგად დავხედოთ ფიროსმანის ამ ნახატს! ვინ დაგვყაბულდება, რომ ამას შეიძლება ქალაქგარეთ მოწყობილი გასეირნება ანუ **პიკნიკი** დაერქვას? უფრო სწორედ, ვის შეუძლია წარმოიდგინოს, ქალაქგარეთ ერთი ხანმოკლე და მსუბუქი გასეირნებისთვის ამოდენა ქვევრების, საჭმელ-სასმლის, მაგიდა-სკამების, სავსე ტიკის და ჯამ-ჭურჭლის წაღება მოუვიდოდათ აზრად ანდა მსგავსი სისულელე კიდეც რომ აჰკვიატებოდათ, ამის აკიდება-ტარებას შეძლებდნენ?!

პიკნიკის დროს ხომ მჩატე ხელბარგითა და მსუბუქი სანოვაგით მიდიან ხოლმე, ნახატზე კი!.. ეეჰ!

ფიროსმანის ამ სურათზე შიგ თბილისში, შესაძლოა იმ დროისთვის სახელგავარდნილ რომელიმე დუქან-ბაღში ანდა რაკი იმ კამპანიაში თვით ცნობილი მედუქნე ბეგო იაქიევი თავკაცობს, იქნებ სწორედ მისი დუქნის წინ და მისივე ხარჯით გადახდილი ჩვეულებრივი **ქეიფის** ასახვაა და არა ქალაქგარეთ მისი დუქნის წინ და მისივე ხარჯით გადახდილი ჩვეულებრივი **ქეიფის** ასახვაა და არა ქალაქგარეთ გამართული **პიკნიკი**, როგორც ეს ამ სურათის რომელიღაც დაუფიქრებელ «ნათლიას» ჰგონებია.

ახლა გავაშუქოთ მეორე სახელი **«ოჯახური არიფანა»**. ნახატისთვის ამგვარი სახელწოდების შეუსაბამობა მხოლოდ მას შემდეგ გახდება ნათელი, როცა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებს გადავფურცლავთ და გავერკვევით, რას ნიშნავს სიტყვა **«არიფანა»** და მასთან დაკავშირებული მეორე სიტყვა **«ფსონი»**.

არიფანა – ფსონით პურის ჭამა; ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი.

ფსონი – ამხანაგების ნადიმი თავ-თავისი ხარჯით.

ფსონით ნადიმი, ქეიფი, პურის ჭამა (სადილი, ვახშამი) – ამფსონთა მიერ თანაბრად გაღებული ხარჯით ნადიმი, ქეიფი, პურის ჭამა (სადილი, ვახშამი), – ამფსონების ნადიმი.

ამგვარი განმარტების შემდეგ რანაირად შეიძლება ფიროსმანის ამ ნახატზე ასახულ ქეიფს **«ოჯახური არიფანა»** ეწოდოს – ოჯახის წევრები ერთმანეთში ხომ არ შეაგროვებდნენ ფულს?!

არიფანა მხოლოდ ამხანაგებში, ტოლ-სწორებში, სამეგობროსა და ამქარში მოდის და არა ოჯახურ წრეში! ხოლო თუ ესენი ერთი ოჯახის წევრები არ არიან – და მე მგონია, რომ არ არიან! – მაშინ აქ სიტყვა **«არიფანა»** პირდაპირ ეროვნული ღირსების შეურაცხყოფად აღიქმება! რატომ?

როგორ თუ რატომ?! თქვენ დაიჯერებთ, რომ ჯერ საერთოდ და მით უმეტეს იმ ყარაჩოხულ-დარდიმანდულ ეპოქაში ეს სამი გალაღებული ქართველი მამაკაცი ამ ორ მანდილოსანს საფულედან რაღაც კაპიკებს ამოაღებ... თუმც მაპატიეთ: საფულედან ფულს კი არა, ჯიბიდან საფულეს ამოაღებინებდნენ ჩარჩული ჯუჯღუნით – აბა, როგორ, თქვენც დანახარჯის წილში უნდა შემოხვიდეთო! თუმც ამას დაიჯერებს მხოლოდ ის, ვინც ამის დაჯერებას მოისურვებს! მე კი არა მგონია ასე ყოფილიყო და ამ მამაკაცებს ფული მანდილოსნებისთვისაც დაედებინებინათ.

რაც შეეხება მესამე სახელწოდებას, **«ბეგოს კამპანია»**, იგი მხოლოდ ქეიფის **ფაქტის** ტრაფარეტულ ახსნას და სადღაც მიმდინარე ამ ქეიფის ორგანიზებაში დანარჩენებთან შედარებით მედუქნე ბეგოს დიდვინმეობის ხაზგასმას ემსახურება.

ერთი სიტყვით, ამ სამი სახელწოდებიდან ჩემზე არც ერთ მათგანს იოტისოდენა ზემოქმედებაც კი არასოდეს მოუხდენია და ვერც მოახდენდა, ვინაიდან სულ პირველად ნახატს რომ შევხედე და დავაკვირდი, სულის სიღრმემდე შემძრა მასზე ასახულმა ტრაგედიამ და ერთ-ერთი პერსონაჟის სახესაც იმავწამიერად მეტეორის ნატეხივით მოსწყდა ჩემთვის გასაგები და სამუდამოდ დასამახსოვრებელი სახელწოდება – **«როდემდე?!»**

ამგვარმა განცდამ და რწმენამ ავრორასეულ ჩემს ალბომში ფანქრით ფაქიზად გადამახაზვინა სტამბური წარწერა **«127 Семейнный пикник (кат.179)»** და გვერდზე მიმაწერინა **«როდემდე?!»**

«რა როდემდე?» – იკითხავს მკითხველი.

სანამ ამის ახსნას შევუდგებოდე, ჯერ **კ. ზდანევიჩს** დავუგდოთ ყური.

> «შინაურ არიფანას» (106 X 226 სმ.) მუქ-ლურჯ ცის ფონზე ქართული წარწერაა: «გაუმარჯოს ბეგოს კამპანიას. ღმერთმა ყველა ადღეგრძელოს». სრულიად ორიგინალური ფერადობის სურათია, საერთო ტონალობა ყავისფერ-მოწითალო, ჩამქრალი ყვითელი ფერით, ჩრდილი მოშავოა. ფიგურები მომცრო: ბეგო იაქიევის (ცენტრშია), ორი ქალისა, კაცისა, რომელსაც თევზი უჭირავს და ჩოხა-ყაბალახიანი კაცისა. მარცხნივ მოსამსახურეა, რომელსაც ღვინით სავსე ხელადა აქვს ხელში (ჯობდა **«ხელადა უჭირავს». ჯ.მ.**). სურათის მარჯვენა და მარცხენა მხარეზეა მარანი, შამფურზე აგებული მწვადი, საზამთრო, ნესვი, მიწაზე ტიკჭორა, მაგიდაზე აწყვია საჭმელებით სავსე თეფშები. ბეგოს «კამპანია» ორი ხის ძირშია განლაგებული».

მე თვითონვე მერიდება ამის ხელახლა გამეორება, მაგრამ **კ. ზდანევიჩი** არჩევანს აღარ მიტოვებს! ისევ ის ჩემი ბავშვობისდროინდელი კინომექანიკოსისებური «ახსნა-განმარტება»: ეხლა ეგ ქალი მაგ კაცს სილას გააწნავს!.. ის ბიჭი აივნიდან გადახტება და ა.შ!..

ნახატზე არსებითს რას გვეუბნება ზდანევიჩისეული ამგვარი მშრალი «ინვენტარიზაცია?» აქ ავტორი ლამის ძილისმომგვრელად თუ ძილმოსაგვრელად მოგვითხრობს ისეთ რამეებზე, რაც ისედაც ნათელია და ყველა თვითონაც ხედავს: ნახატის ფერმშენებლობა, ვინ ვის გვერდით ზის, ვის რა უჭირავს, სად, როგორ, და რაზე აწყვია «საჭმელ-სასმელი», კიდევ რა მოჩანს, ხოლო უმთავრესი – პერსონაჟთა ვნებები და მათი ურთიერთობა კი ყურადღების მიღმა რჩება! ჯანი გავარდეს, ავტორს მკითხველი ამგვარ უინტერესო, ტრაფარეტულ აღწერასაც მოუთმენდა, ამას მერე მაინც რომ მოსდევდეს პერსონაჟთა ურთიერთობა-განწყობილების ახსნის თუგინდ წარუმატებელი ცდა, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება – კ. ზდანევიჩი ამით იფარგლება და აქვე ამთავრებს თავის სათქმელს, რის გამოც ნაიმედევი მკითხველი პირში ჩალაგამოვლებული რჩება!

ამ ნახატს **ვ. ბერიძეც** მეტისმეტად ზერელედ ეკიდება. მოუსმინეთ.

> «ფიროსმანი იშვიათად აძლევდა თავს უფლებას ერთგვარი «თავისუფალი გადახვევის»: იხ. მაგალითად, «ბეგოს კამპანია», სადაც იერატიზმი ადგილს უთმობს ჟანრულობას».

ეს არის და ეს! ადამიანური და სოციალური ტრაგიზმით დანაღმული ეს ნახატი, ვ. ბერიძის აზრით, თურმე სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა რაღაც გამონაკლისი ჟანრული **«თავისუფალი გადახვევა».**

ფიროსმანის ამ სურათს სხვებიც შეხებიან და ყველა ერთხმად შენიშნავს – მოქეიფე მამაკაცების თვალშისაცემად დაპატარავებულ კარიკატურულ ფიგურებში აშკარად იგრძნობა დიდი მხატვრის უბოროტო ირონია, გროტესკი, ერთგვარი იუმორიო.

ამას მეც ვატყობ და ყველასთან ყაბულსა ვარ, მაგრამ მე სხვა რამ მაგდებს საგონებელში. მკვლევარები დაჯადოიანქარიანებულებივით რატომ ქვავდებიან შუა გზაზე და წინ ბიჯიც ველარ წაუდგამთ? ნუთუ ვერავინ ამჩნევს სურათზე ორ, ერთმანეთზე უარეს პიროვნულ და სოციალურ ტრაგედიას, მაყურებელს გულს სისხლით რომ უვსებს?!

ფიროსმანის ამ ნახატს, **«ბეგოს კამპანია»** მე ასე ვგებულობ.

დავიწყოთ სუსტი სქესის წარმომადგენლებიდან. მარჯვნივ მჯდომი ქალბატონის გამომეტყველება მშვიდია, გულგრილი, თავისდაგვარად კმაყოფილიც, რაკი შინ მარტოკა მოწყენით ჯდომას მამაკაცების კამპანიაში მაინც მოხვედრილა.

«მალაკნების ქეიფის» განხილვისას **ვ. ბერიძემ** ბრწყინვალე ტერმინით დაგვაჯილდოვა, მოქეიფეთა მაგიდის წინ მხარ-თეძოზე წამოწოლილ მოხუც მალაკანს სრულიად სამართლიანად **«მთავარი»** რომ უწოდა.

ნახატზე **«ბეგოს კამპანია»** გამოსახულ ექვს პერსონაჟს შორის რომელია **მთავარი**? ჩემი აზრით, აქ **მთავარი** არის ჩვენგან სუფრის მარცხნივ მჯდარი, მწუხარებით შემძიმებული ქალბატონი, რომელთანაც შედარებით დანარჩენების – განსაკუთრებით მოქეიფე მამაკაცების – ქცევა-გამომეტყველება იმდენად ცანცარულია, არც კი ეღირებოდა მათზე მსჯელობა, თუ არა სურათის მიმოხილვასთან დაკავშირებული აუცილებლობა.

კარგად დააკვირდით ჭმუნვილ ქალბატონს! იგი ამ ნახატს ფიროსმანის ნახატებს შორის პირველ ადგილზე აყენებს შემდეგი თვალსაზრისით: «ბეგოს კამპანიიდან» ეს ქალბატონი რომ ამოვიღოთ და ცალკე გამოვიტანოთ, თავისი მხატვრულ-ფსიქოლოგიური დასრულებულობით და სახეზე აღბეჭდილი მჭევრმეტყველური მწუხარებით იმდენად ქალურ-ინდივიდუალური და ამავე დროს ადვილად გასაგები, ზოგადკაცობრიულია, რომ მსოფლიოს სახელგანთქმულ ფერმწერთა მიერ შექმნილ ტრაგიკულ ქალთა შედევრული პორტრეტების გალერეაში თავისუფ-ლად დაიკავებდა ღირსეულ ადგილს!

ამ ქალბატონის ჭმუნვა-მწუხარება იმდენად უსაზღვრო, გულწრფელი, მჭევრმეტყველური და შიშის მომგვრელია, რომ იგი ნორვეგიელი ფერმწერისა და გრაფიკოსის, **ედვარდ მუნკის** (1863-1944) მიერ 1893 წელს შესრულებულ, გამძაფრებული დრამატიზმით აღსავსე ნახატს **«ყვირილი»** ენათესავება და თავისი ზემოქმედებით ჯობნის კიდეც, რამეთუ შესაძლებლობის ზღვრამდე ყბადაღებულ სახესთან ხელისგულებმიტანილი **ე. მუნკის** პერსონაჟი მართლა ყვირის, ხოლო ტკივილიანი განცდისაგან ბაგეგამრუდებული ფიროსმანის ქალის სახეზე კი თვით უსამანო მწუხარება «ყვირის», რაც ასე შემაძრწუნებლად მოქმედებს დაკვირვებული მაყურებლის გონებასა და გრძნობებზე.

გვინდა არ გვინდა, აქ თავისთავად იბადება ბუნებრივი კითხვა: კი მაგრამ, ამ ქალბატონს, რომელიც ფიროსმანის პერსონაჟთა მთელ გალერეაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული გამომეტყველების მქონეა, რატო აქამდე არავის მიუქცევია ყურადღება?

ჩემი აზრით, მიზეზი მარტივი, მაგრამ სამწუხაროა: ჩვენ ჩაციკლულ-დაპროგრამებულები ვართ ფიროსმანის შემოქმედების პატრიოტულ-პათეტიკური, ყველასთვის ადვილად გასაგები და მისაღები ცალმხრივი პროპაგანდა-ინტერპრეტაციით – ფიროსმანის ნახატებში

გენიალურადაა ასახული ქართული მიწის ხვავი და ბარაქა!.. რთველი, ქვევრ-მარანი, საწნახელი!.. ნატურმორტი!.. ტიკ-რუმბები, სუფრა, ქართული ლხინის მადლი და ლაზათი!..

ჰოდა, რაღა გასაკვირი უნდა იყოს, რომ ფიროსმანის ნახატების თვალიერებისას არამცთუ რიგით, ხშირად ბევრ სპეციალისტსაც გონების თვალს უბრმავებს ნერწყვისმომგვრელი ქეიფის **ფაქტი**, რის გამოც უმთავრესი – **პერსონაჟთა ადამიანური ვნებები, განცდები და ტკივილები ყურადღების მიღმა გვრჩება**.

მაშ, ამჯერად მაინც გულგრილად შევხედოთ ამ ნახატზე გამოსახულ ქვევრებს, ქვევრებზე აყუდებულ, ღუდღუდა ნაკვერჩხლებზე ასაშიშინებლად გამზადებულ სავსე შამფურებს, მიმზიდველ ტიკს, ყანწებს, მოქეიფეთა გადამდებ განწყობილებას და ისევ ფიროსმანის ამ ორ პერსონაჟ ქალბატონს მივაპყროთ მთელი ყურადღება.

ჩვენი განსასჯელი ნახატის **მთავარი** პერსონაჟი ქალბატონი თავის პირდაპირ მჯდომი მეორე ქალბატონის სრულ ანტიპოდს წარმოადგენს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ რამდენ რამეზე მიგვანიშნებს მარჯვენა ქალბატონის ერთობ ღიმილის მომგვრელი, თუმც იმ დროისთვის, ალბათ, მოდური ქუდი! თმის ვარცხნილობისა და შეკრულობის ყაიდა კი სულ სხვანაირი ღირსება-სიდარბაისლით მოსავს სახემწუხარე ქალბატონს. ეტყობა, მათ მხოლოდ ერთი რამ აერთიანებს და ამსგავსებს ერთმანეთს – ორთავენი მოწმეებივით პასიურად უსხედან ლხინის სუფრას, ჭამა-სმაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ და სმით გატაცებულ კაცებს ისე ეპყრობიან, როგორც ბაგა-ბაღის მომთმენი აღმზრდელები აცელქებულ აღსაზრდელებს!

გაიხსენეთ და შეადარეთ: ფიროსმანმა თავის სხვა ნახატში მკლავებტიტველა, გამომწვევად გულმკერდმოშიშვლებულ ორთაჭალის დუქანხანის[7] მსუბუქი ყოფაქცევის ლამაზმანს თუ ლუდის ქაფით თავდახუჭუჭებული ვეებერთელა კათხა დააჭერინა, აქ, სამხიარულო სუფრაზე საჭიროდ არ ჩათვალა ამ პირაკრულ ქალბატონებს ხელში თუ არ დააჭერინებდა, მათ წინ ყასიდად მაინც დაედგა თავისივე ერთ-ერთ აბრაზე ასერიგად რეკლამირებული ზელტერის ტკბილი ლიმონათით სავსე მომცრო ჭიქები. ეს საგულისხმო დეტალია: ამ ქალბატონებს – განსაკუთრებით კი სახემწუხარეს! – ლუდისა და ზელტერ-მელტერისთვის არა სცხელათ!

მოდურქუდიანი, კარგა ხნის წინ ფარხმალდაყრილი ქალბატონის განწყობილება ადვილად მისახვედრია: იგი ბედშეგუებული მანდილოსან-დიასახლისის გულგრილ-მომთმენი გამომეტყველებით უცქერის ერთ-ერთი მორიგი ქეიფის ეშხით აცეტებული კაცების უკვე ჩვეულებადქცეულ უაზრო ბრუჟვას!

მთავარი მანდილოსნის გამომეტყველება?

ო, დასახასიათებლადაც კი საწამებელია! დეტალის სახით ეს ქალბატონი ალბომის მთელ გვერდზე ცალკეა გამოტანილი. ერთი დააკვირდით თან რანაირ «ხაფანგშია» გამომწყვდეული: ზედ მომდგარი ქვევრის მუცელი ზუსტად მისი სკამის ზურგშეზნექილობას ეფარდება და «უკან დასახევს უკეტავს». მარჯვნივ, ქალის ფეხების სიახლოვეს ქვევრზე აყუდებული, სამწვადეაბნეული ბარაქიანი შამფური ამკრძალავ შლაგბაუმს დამსგავსებია, ხოლო იქვე ბოსტნეულ-სანოვაგით სავსე ვეებერთელა სინი და ნაჭერამოჭრილი საზამთრო ისე აწყვია, რომ დასჭირდეს, უხამსი გადალაჯების გარეშე ვერც გაივლის. სასმელ-საჭმელებით სავსე, მიწამდე წალურჯო სუფრადაშვებული დიდი, მძიმე მაგიდა სახემწუხარე ქალბატონს ზედ გულმკერდზე საბედისწერო აისბერგივით მიბჯენია და აგერ, სანახევროდ თითქოს ჩაუძირავს კიდეც! მარცხენა მხარის «გასაქცევს» ქეიფით შეხურებული თანამეინახე მამაკაცის პათეტიკურად ყანწაწეული მარჯვენა ულობავს! რა ქნას, როგორ დააღწიოს თავი ამ უაზრობას, საით გაიქცეს? სასწაულიც რომ

---

[7] **დუქანხანა** _ ძვ. დუქანთან არსებული სასტუმრო, ღამის გასათევი (მგზავრთა თუ გამვლელთათვის).

მოხდეს და ფრთები გამოესხას, მაინც ვერ მოახერხებს აფრენას: თავზემოთ დამოკლეს მახვილივით უკიდია დუქნის მსახურის გაწვდილი მარჯვენა და სავსე ხელადა!

ერთი სიტყვით, ხსნა და საშველი არ არის – მთელი სიცოცხლე სულ ამგვარ გარემოში გამომწყვდეულმა უნდა გალიოს და ღვინისაგან ენააჭიკჭიკებული კაცების უაზრო ნადიმ-ზეიმებს უცქიროს! შედეგი? ახლა მთელი ყურადღება ამ ქალბატონის პირისახეზე გადაიტანეთ.

უსაშველო ტანჯვა-განცდისგან პირი გონჯურად შემრუდებია. გაურჩებული მარცხენა წარბი მტკივნეულად აჰგრეხია ზევით, ხოლო მარჯვენა პირიქით – დამბლიანივით ჩამოვარდნია. მძიმე ნაღველით ჩანისლული თვალები ბეცური სასოწარკვეთით გაუშტერებია ერთი წერტილისთვის. მოკლედ, პირისახეზე ისეთი სულის შემხუთავი სატანჯველი ახატია, თითქოს ელექტროსკამზე დაუსვამთ და ღილაკზე თითის დაჭერასღა ელისო!

რა ხდება, რას დაუზაფრავს ეს ჩვენი **მთავარი** პერსონაჟი მანდილოსანი?

იქნებ შვილი, ქმარი ან სხვა რომელიმე ჯიგარი ჰყავს ახალგარდაცვლილი?! აჰ, მსგავს შემთხვევაში ეს დარბაისელი ქალბატონი ასე სახალხოდ ლხინის სუფრას არ მიუსკუპდებოდა!

მაშ, რა ამწუხარ-ამჭმუნვარებს ამ ქალს? რა და ეს მიხვედრილი იმ ეპოქის ქართვლის დედა აშკარად გრძნობს კოლონიური ჩაგვრის ერთ-ერთი საშინელი მანკიერების გამოვლინებას: საქმეგამოლეული ქართველი კაცებისთვის გადაგვარების მომტანი ღრეობა-ლოთობა უკვე ყოველდღიურ, მავნე ჩვევად არის გადაქცეული!!!

ჰოდა, აი, ახლაც გულდაძმარებული შესცქერის ყანწების ტრიალს და თავისი საფიქრალ-სატანჯველი სახეზე მტკივნეულად აღბეჭდვია – **როდემდე**?!

ჩემი აზრით, აი, ეს არის, ეს უნდა იყოს ამ ქალბატონის გულმოკლულობისა და პიროვნული უბედურების მიზეზი.

ნახატზე მხრჩოლავი მეორე უბედურება პირველ, ამ ქალბატონის უბედურებაზე უფრო საშინელი და საბედისწეროა. დააკვირდით, რა ხდება სუფრაზე: მსწრაფლწარმავალი აღტაცებით აცეტებულ მოქეიფე მამაკაცებზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს თანამოძმე ქალბატონის სევდა-მწუხარება – მათთვის უმთავრესია ზეაწეული ყანწები, თევზი, ქვევრებზე აყუდებული სავსე შამფურები, თავიანთ გვერდით მჯდომი ერთ-ერთი მანდილოსნის უგუნებობა თუ უგუნებობის მიზეზი კი არც აინტერესებთ! ანდა შეიძლება იცოდნენ კიდეც, მაგრამ ჩირადაც არ უღირთ – აგერ, გაწუწული ხელადა ლამის თავზე გადააბარონ!!!

რას იზამ, ამგვარი დიფერენციაცია და ურთიერთგულგრილობა კოლონიურ რეჟიმს უკვე ნორმად უქცევია. ეს კი სრული ეროვნული ტრაგედიაა! ადრე, დამოუკიდებელი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სამშობლოს გადარჩენის ერთ-ერთი უპირველესი პირობა ქართველი კაცისა და ქართველი დედაკაცის ურთიერთგაგება, ურთიერთსიყვარული, ურთიერთმოქმედება და ურთიერთმოსაქმეობა იყო. მაგრამ როცა დაიკარგა საქართველოს დამოუკიდებლობა და აქედან გამომდინარე, ქართველი კაცისა და ქართველი დედაკაცის შეთან-ხმებული ურთიერთმოქმედების აუცილებლობაც, სასტიკმა კოლონიურმა სინამდვილემ მათ შორის ადვილად გათხარა ღრმა უფსკრული!

ფუნქციადაკარგულ ქალაქელ ქართველ კაცს დუქან-დუქან უნდა ევლო და როგორც ეს ჩვენმა ესტატემაც შენიშნა, ღვინოში ჩაეხრჩო თავი, მეუღლეს კი «კერაზე»¬ ეტრიალა! მაგრამ საქეიფოდ წასული კაცები თუ რაღაც მიზეზით თან ქალებსაც იახლებდნენ, მაშინ, აი, «ბეგოს კამპანიაში» ასახული სცენის მსგავსი რამ გათამაშდებოდა: შუბლშეხურებულ კაცებს ყანწები უნდა ეტრიალებინათ, მათი ქცვით დამწუხრებული ქალები კი უსიტყვოდ მსხდარიყვნენ და ამ არაფრის მომტანი ღრეობის დასასრულისთვის მოთმინებით ელოდათ!

ამგვარი სატკივარი კოლონიური წესწყობილების «ნობათია». ასე დაგვიმკვიდრა ცარიზმმა და ასე გადმოგვყვა ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის დროსაც. სამწუხაროდ, ასე გრძელდება

დღესაც: ქართველ კაცსა და ქართველ ქალს ერთმანეთისა აღარ ესმით! დააკვირდით თუგინდ თბილისის კვარტლებსა და უბნებს. საქმეში ჩამხრჩვალმა, სართულზე გადმოკიდებულმა ჩვენმა ქალმა კივილ-ძახილითა და ხვეწნა-მუდარით თავიც რომ მოიკლას, ეზოს რომელიღაც კუთხე-კუნჭულში თათარიახნად გაშლილ სუფრასთან მოკალათებული მისი ქმარი ყურსაც არ იბერტყს – ლუდ-არყის ყლურწვა თავმოუბმელ ოჯახსა და გაუბედურებულ სამშობლოს ურჩევია!

ჩემი ამგვარი მსჯელობით დაინტერესებულმა ანდა შესაძლოა, სულაც გაღიზიანებულმა რომელიმე მკითხველმა იქნებ მკვახედ მომახალოს: შენებურად რომ გაგიბამს, დარწმუნებული ხარ, მაგ ნახატში ფიროსმანსაც სწორედ ეგ აზრი ექნებოდა გატარებულიო?!

ჩემი პასუხი მოკლე და პირდაპირი იქნება: არ ვიცი და ეგ დიდად არც მაღელვებს!

ფიროსმანი ამ სურათის შემოქმედებითი ბატონ-პატრონი იმ საათებში იყო, როცა მას გაიაზრებდა და ქმნიდა! ახლა კი, როცა მის ამ ნახატს ვათვალიერებ და ჩემებურად შევიმეცნებ, ამ შემეცნების პროცესისა და შედეგის ბატონ-პატრონი – მინდა არ მინდა! – მე, ერთი რიგითი დამთვალიერებელი გამოვდივარ! ამიტომ ჩემი განათლების, ჭკუა-გონების, ინტელექტის, სულიერი მოთხოვნილების, ესთეტიკური გემოვნების წყალობით და რაც მთავარია, რასაც დღევანდელი გადასახედიდან ამ ნახატზე ამოვიკითხავ, ჩემთვის სწორედ ის იქნება მისი მთავარი აზრი, შინაარსი, ქვეტექსტი! მაგრამ თუკი რომელიმე ავტორისგან ამ ნახატის განსხვავებულ და მით უმეტეს, უფრო დამაჯერებელ ინტერპრეტაციას მოვისმენ, მაშინ ჩემი გონება და მხატვრული გემოვნება თავისთავად გადასინჯავს ადრეულ დასკვნა-შეხედულებებს და ამ სურათზეც უფრო ობიექტური წარმოდგენა შემექმნება. მანამდე კი...

ეს ასეა და ამას ვერავინ შეცვლის: გააჩნია თითოეული ინდივიდი ამა თუ იმ ნახატს როგორი თვალით უყურებს, მერე იქიდან რას იღებს ანდა ღებულობს თუ არა რამეს.

ამ სურათის ასიათასობით დამთვალიერებელთაგან შეიძლება ერთმაც კი არ მიაქციოს ყურადღება მარჯვნივ მჯდომი ქალბატონის ერთობ უცნაურ ქუდს, რომელიც იქნებ რომელიმე მოდელიორისთვის შთაგონების წყაროდ იქცეს და მისი გავლენით ქალთა ისეთი თავსაბურავი შექმნას, რევოლუციური გადატრიალება მოახდინოს თანამედროვე მოდის სამყაროში.

ანდა, აგერ, თითქოსდა საგანგებოდ ზეაწეულმა მუცლიანი ხელადის მოყვანილობამ ამ ნახატს შემთხვევით მიშტერებულ ვიღაც გაუნათლებელ, მაგრამ თავის საქმიანობაში ხელგაწაფულ მეჭურჭლეს სულ ახლებური, ეროვნული შინაარსის საოცრად მოსახერხებელი და მშვენიერი სურის შექმნის იდეა ჩაუთესლოს! ნუღარ მკითხავთ კაი «ჰურისმჭამელ», მხოლოდ კუჭით მოაზროვნე ჯანღონიან ჯეილს! «ბეგოს კამპანიაზე» როგორც კი შეხედავს აქეთ-იქით ქვევრებზე აყუდებულ სავსე შამფურებს, ხელადას, ყანწებს და ლურჯ სუფრას, მორჩა – მისთვის აქ დამთავრდება ეს ნახატიც, რომელმაც ქეიფის სახადელზე მოსულ ამ ჯეილს შეიძლება მაშინვე «ფიროსმანისებური» ჰურ-მარილის თავმობმა შთააგონოს! მე შენ გეტყვი, მობილური ტელეფონისა და საყოველთაო უსაქმურ-უზრუნველობის ხანაში გაძნელდება თუ რა ამის განხორციელება?! აწრიპინდება მობილური ტელეფონი, დაითქმება შესახვედრი ადგილი და მერე რომელიმე საქეიფო კუპესა თუ სარდაფში ღვინით შუბლშეხურებული ამ ნაუცბათევი ლხინის უსტაბაში მირზაანელი გენიოსის ქებით ენას გაითხელებს: ტყუილია, ფიროსმანისთანა მხატვარი არცდაბადებულა და აღარც დაიბადებაო! ვერც გაამტყუნებ, ვინაიდან მისმა ნახატმა აგერ, ცამოწმენდილზე მადლიანი ქეიფის გამართვა შთააგონა და ახლა უმაღლეს, სრულიად ბუნებრივ სიამოვნებას განაცდევინებს!

იქნებ რამეში წაგვადგეს ერთი ასეთი პატარა წიაღსვლაც. მეშვიდე კლასში დავდიოდი, როცა საიდანღაც ამოჭრილი **ფრანსისკო გოიას «შიშველი მახა»** სრულიად შემთხვევით თანაკლასელ რამდენიმე გოგონასთან თანდასწრებით დავინახე. ერთდროულმა სირცხვილმა და შინაგანმა

აღშფოთებამ თავბრუ დამხვია – როგორ შეიძლებოდა მსგავსი რამის ასე დახატვა! თანაც განმაცვიფრა სურათის სახელწოდებაში «აღმოჩენილმა» მხატვრის შეურაცხმყოფელმა «უნიჭობამ»: შტერი ხომ არ ვგონივარ – მეცა ვხედავ, რომ არაფერი აცვია და **შიშველია**, მაშ, რაღა საჭიროა ჩიჩინი?!. ნუთუ უფრო უკეთესი სხვა რამ სახელი ვერაფერი გამოუგონა-მეთქი?!

ჰოდა, ნუთუ ვინმეს ჰგონია ანდა უნდა ეგონოს, რომ **გოიას** (თუ ნებისმიერი მხატვრის ნახატს!) **«შიშველ მახას»** ერთნაირი გაგებით შეხედავს მოსწავლე, ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგი, ავხორცი, სასულიერო პირი, რეჟისორი, ფოტოხელოვანი, პატიმარი, მოქანდაკე, ესთეტი, შორეული ცურვის მეზღვაური, მონაზონი, მხატვარი, შინაბერა, საროსკიპოს მეპატრონე, მწერალი, მანიაკი, პოეტი... ანდა ყველა მათგანი ამ ნახატის შეხედვისთანავე პირველ რიგში ამის პასუხს მოითხოვს: **გოიამ** ეს ასე რისთვის დახატა და ამით რისი თქმა სურდაო?

ასე რომ იყოს, მაშინ როგორც, მაგალითად, ტელევიზორს, ელექტროხერხს, მიქსერს, ქიმიურ საღებავს, წებოს, მედიკამენტებს და ყველა მსგავს სამრეწველო ნაწარმს, ისე თითოეულ ფერწერულ ტილოსაც უეჭველად უნდა ხლებოდა მხატვრის მიერ საგანგებოდ შედგენილი და შესაბამისი სამსახურის მიერ ნოტარიულად დამოწმებული ინსტრუქცია: მხატვარმა მოცემული ნახატი როდის, როგორ, რისთვის და ვისთვის შექმნა!.. დამთვალიერებელმა მასზე რა უნდა დაინახოს და რა – არა!..

ერთი შეხედვით მსგავსი ინსტრუქცია შეიძლება არც ყოფილიყო ურიგო, რადგან ფერწერულ შედევრებთან დაკავშირებულ ტრადიციულ თავსატეხს სამუდამოდ მაინც აგვაშორებდა თავიდან, მაგრამ მაშინ მხატვრობას თავისი იდუმალება და ხიბლი დაეკარგებოდა, საზოგადოების გონებასა და ესთეტიზმის ჩამოყალიბებას – ტრადიციული საზრდო. ასე რომ, სახვითი ხელოვნების ნებისმიერი და მათ შორის ფერწერის სფერო, არ საჭიროებს ამგვარ დამამცირებელ ინსტრუქციებს, ვინაიდან რამედ ღირებული ნამუშევრის შინაარსი და მხატვრული თხრობა, პერსონაჟთა წარდგენა და მათი ფიზიკურ-ფსიქოლოგიური დახასიათება, ფერთა სისტემა, დრამატიზმი და ქვეტექსტი **ამოცნობადს** ხდის როგორც მხატვრის სტიქიურ თუ შეგნებულ ჩანაფიქრს, ისე თვით ნახატის აზრსა და მნიშვნელობას.

მკითხველმა წეღან დაინახა, ფიროსმანის ნახატზე **«ბეგოს კამპანია»** ჩემ მიერ მთავარ პერსონაჟად მიჩნეული ქალბატონის მწუხარების მიზეზი როგორ ავხსენი. შემთხვევებისა და შესაძლებლობის ფარგლებში წლების მანძილზე საგანგებოდ ვაკვირდებოდი: დამთვალიერებლები ამ დამწუხრებულ ქალბატონს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, ხოლო მასზე საგანგებოდაც რომ გამემახვილებინა მათი ყურადღება, იბნეოდნენ და უცებ ვერ მისახელებდნენ მისი სევდა-მწუხარების რაიმე სავარაუდო ვერსიას.

წიგნზე მუშაობის დაწყებისას რაკი უკვე წინასწარ ვიცოდი, ფიროსმანის ამ სურათთან დაკავშირებულ მსჯელობას ვერ ავცდებოდი, როცა სტუმრებს ველოდებოდით, საგანგებოდ **«ბეგოს კამპანიაზე»** გადაშლილ ალბომს მაგიდაზე ხაფანგივით ვათავსებდი, რათა ნაცნობ-ნათესავები «შემთხვევით» საუბარში ჩამება და ამ ქალბატონის დამწუხრების მათი სავარაუდო მიზეზები მომესმინა.

აი, ზოგიერთი მათგანის პასუხი.

– მწუხარე რა... მწუხარე კი არ არის, თითონ ეგეთი ბაიყუში ჩანს!

– ვიშ, ქა, მომიკვდეს თავი, შესიებულ ლოყასა და მოგრეხილ ტუჩებზე არ ეტყობა, კბილის ტკივილი კლავს, მაგრამ კაცების ხათრით იხტიბარს მაინც არ იტეხს!

– ო, დიდი კრიჟანგი ჩანს!.. ეგე, აქედანვე გულს იღონებს – ვინ იცის, მედუქნე რამოდენა ფულს დაგვადებინებსო!

– გულშეწუხებული იქნება, მაშ, რა იქნება – გაჯეჯილებული კაცები ადგომას არც აპირებენ, ამას კიდე, ჩემი არ იყოს, ვინ იცის, შინ რამოდენა სარეცხი ელოდება!

– რა ვიცი, რამ დაამწუხრა!.. რაღა მაგ სახემოღმეჭილზე მეკითხები, ბარემ ეგე, აბნეულ მწვადებსა და ხელადაზე შემეკითხო?! ჰა-ჰა-ჰა!..

– რა ადარდიანებს?!. დაიცა, ერთი კარგა დავხედო! ჰმ! ეტყობა, აქ მყოფი მაგისი ქმარი აგერ, ამ მეორე, მშვენიერ ქალს ჰყვარობს!.. ვერ ატყობ, როგორი თვალით უყურებს მეტოქეს?!

– როგორ თუ რამ დაამწუხრა!.. აგერ, იმ ქალისთვის ქმარს როგორი ძვირფასი ქუდი უყიდნია!.. კაცები? შლიაპა, ბუხრის ქუდი, ყაბალახი... ეს უბედური კი თავშიშველაა!

ეს და სხვა პასუხებიც სრულიად დამაჯერებლად ჟღერს, ვინაიდან ისინი წმინდა წყლის ცხოვრებისეულია და ამდენად, ბუნებრივი. მაგრამ თან მეჩვენება, რომ ყველა მათგანი მხოლოდ პირადული და ყოფითი თვალსაზრისიდან გამომდინარეობს და არა ეპოქალური მკაცრი სინამდვილიდან! თუმცა ვინ იცის, ფიროსმანი სასწაულებრივად რომ გაცოცხლებულიყო და თავის ამ ნახატზე ეს ჩემეული მსჯელობა მოესმინა, შეიძლება სახტად დარჩენილიყო – მე მსგავსი რამეები აზრადაც არა მქონიაო!

ცხადია, «გაცოცხლებულ» ფიროსმანს კამათს ვერ შევკადრებდი, მაგრამ როგორ მოვიქცე, თუკი დღევანდელი თვალსაწიერიდან მისი ეს ნახატი მე სწორედ ასე წარმომიდგება?! ანდა, როგორ დავადგინოთ, ფიროსმანის თუ ნებისმიერი დიდოსტატის რომელიმე ნახატზე ვის მიერ გამოთქმული შეფასება უფრო სანდო, სინამდვილეს მიახლოებული, მცდარი, ზერელე, დამახინჯებული, დრომოჭმული, ცალმხრივი, გაზვიადებული, ბუნდოვანი, დაშტამპული თუ საქრესტომათიოა?!

თუმცა, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამის უშეცდომოდ დადგენის შეუძლებლობა განაპირობებს გენიოსთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობას და უკვდავებას!

შეიძლება ამგვარი შედარება მთლად მისადაგებული ვერ იყოს ანდა ერთობ უცნაურადაც ჟღერდეს, მაგრამ მაინც მოვიყვან, რადგან არ მინდა ხელოვნურად შევაგუბო მსჯელობის ბუნებრივი მდინარება.

პატიოსან, მაგრამ გაუნათლებელ გლეხს, რომელმაც სახლის საძირკვლის გათხრისას ნაპოვნი ოქროს ანტიკური მონეტები უკლებლივ მიუტანა სახელმწიფო მუზეუმის დახელოვნებულ ნუმიზმატს, ერთობ უხერხული იქნება, მადლობის მაგიერ ან მადლობასთან ერთად ამ გლეხს თან პასუხიც მოსთხოვონ – შეგნებული აქვს თუ არა, მან რა ფასდაუდებელი განძი იპოვა და მოიტანა?!

თუ ღმერთი გწამთ, ამ პატიოსან გლეხკაცს ამგვარი კითხვებით ნუღარ გააწამებთ და იმაზეც მადლობელს იყავით, ეს ოქროს მონეტები რომ არსად შეკუჭა და ანგელოზისებრი სიალალით მოგიტანათ! ამიტომ ამ გლეხს თუ არ დაასაჩუქრებთ, მადლობა მაინც მოახსენეთ და გაუშვით, ოქროს მონეტების შესწავლას კი თქვენ თვითონ შეუდექით!

საფრთხილოა ამის თქმა, მაგრამ მაინც დასაშვებად მეჩვენება ამგვარი ვარაუდი. ანდა ფერწერის ისტორიასა და პრაქტიკაში შეიძლება ეს ბუნებრივ მოვლენადაც ითვლება, მე კი ველოსიპედის გამოგონებასავით გამომდის. ასეთ შემთხვევაში წინდაწინვე ბოდიშს მოვუხდი როგორც მხატვრებსა და ხელოვნებათმცოდნეებს, ისე მკითხველებს.

ჰოდა, იმას ვამბობდი: სახელგანთქმული რომელიმე ფერმწერის მიერ თავის მხატვრულ სამყაროში ოქროს მონეტასავით «ნაპოვნი» რომელიმე ნახატის მთავარი აზრი, ეპოქალური სულისკვეთება და ქვეტექსტი (აღარაფერს ვამბობ მის სამომავლო მნიშვნელობაზე!) შეიძლება ზოგჯერ თვითონ ავტორსაც არ ჰქონდეს გაცნობიერებული და მით უმეტეს, ნავარაუდევი!

აკადემიური მხატვრების ყოველმხრივი განსწავლულობით, მათი ზედმეტი ჩუქურთმა-დეტალ-აქსესუარებით დახუნძლული ნახატებით, ათასგვარი იზმებით, სახვითი ხელოვნების სტილთა სწრაფი ცვალებადობით სულშეხუთულ, შემოქმედებითი ძიებით თავბრუდახვეულ

პაბლო პიკასოს (1881-1973) XX საუკუნის დასაწყისში კოლეგებისთვის ქადაგივით შეუღაღადებია მრავლისმეტყველი ფრაზა, რომელსაც თურმე უკვდავება ეწერა.

– **მიჩვენეთ მხატვარი, რომელმაც არაფერი არ იცის!**

ამგვარი მხატვრის გენიალური ნიმუში და მაგალითი **ნიკო ფიროსმანაშვილია**, რომელმაც პიკასოსეული ოცნება-მინიშნებით მართლაც **«არაფერი არ იცის!»**: სკოლაში არავის მიუყვანია, არანაირ სამხატვრო სასწავლებელში არასოდეს უვლია, მხატვრობაზე ლექციები წამლადაც არ მოუსმენია, რომელიმე საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებელში კლასიკური ან ზოგადი კი არა, უმნიშვნელო, თუგინდ წყვეტილი განათლებაც კი არ მიუღია!

ფიროსმანის ამგვარი «გამორჩეულობა» დაე, ნუ წაიტყუებს შემოქმედებით წყურვილნაგრძნობ ნორჩებს და მსოფლიო სახელმოხვეჭილობის ერთ-ერთ ან სულაც ერთადერთ აუცილებელ პირობად ამგვარ **უცოდინარობას** ნუ მიიჩნევენ, რაც უეჭველად გულგრილად ანდა აგდებითაც კი განაწყობთ საფუძვლიანი სწავლა-განათლებისადმი. არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფიროსმანის შემთხვევაში ღმერთის ნება-სურვილით დაშვებულ იშვიათ გამონაკლისთან გვაქვს საქმე, როცა კლასიკურისა და აკადემიური ცოდნა-განათლების უქონლობას ღვთაებრივი თვალგამჭრიახობა და უნიკალური მხატვრული აზროვნების განუმეორებელი უნარი ანაზღაურებს.

ფიროსმანის მთელი შემოქმედება ამის დასტური და შედეგია.

მაგალითისთვის ავიღოთ თუგინდ იგივე **«მალაკნების ქეიფი»**, რომელზეც ისეთი სულის შემძვრელი ჩლუნგი, მაგრამ მტანჯველი ტრაგიზმითაა ასახული ამ დევნილთა ტკივილები და განცდები, უნახავ შორეულ სამშობლოზე ოცნებით აღძრული იმედი და უიმედობა, თითქოს ფიროსმანს სულ მეცნიერულად ჰქონოდა შესწავლილი ამ ბედუკუღმართი ხალხის ყოფითი და სექტანტური ისტორიის წვრილმანები, მშობლიური მიწა-წყლიდან მათი აყრისა და დედამიწის სხვადასხვა კუთხეში გადასახლების მიზეზები, დრო, პროცესი, ტრაგიკული შედეგები, უიმედო, განუჭვრეტელი მომავალი.

მაშ, რა აპირობებს ნახატის ამგვარ შედევრულობას?

მალაკნებს არასოდეს დავიწყებიათ თავიანთი ვინაობა და ისტორია, მათ ყოველდღიურობაში მუდამ იგრძნობოდა ტრაგიკული ბედისა და ყოფის ნიშნები. ფიროსმანის გამჭრიახმა თვალმა კი ეს ზუსტად შენიშნა, ხოლო ჯადოსნურმა ფუნჯმა უნაკლოდ ასახა მუშამბაზე.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ფესვგადგმული ზერელე და აქედან, მცდარ წარმოდგენას – ნიკო ფიროსმანაშვილი თითქოს ღრეობა-ქეიფების თავგადაკლული აპოლოგეტ-პროპაგანდისტია, უმოწყალოდ აბათილებს ქეიფის თემებზე შექმნილი თვით მხატვრისავე სურათები, ოღონდ საჭიროა წინასწარ აღებული აზრის გარეშე მიდგომა და მათი სწორედ წაკითხვა.

ავიღოთ იგივე **«ბეგოს კამპანია»**. კარგად დააკვირდით მარცხნივ მჯდარ ქალბატონს: როგორც ზღვის ფსკერზე ჩაშვებული უმძიმესი ღუზა ქარიანში გემს ერთ ადგილას აჩერებს და არ აძლევს დრეიფის საშუალებას, ისე მის სახეზე აღბეჭდილი, უხილავ ღუზას დამსგავსებული მჭევრმეტყველური ნაღველ-მწუხარება ფასს უკარგავს მომხიარულებული კაცების იაფფასიან ატაცებას, სუფრას თითქოს ერთ ადგილზე ბორკავს და არ აძლევს ტრადიციული «დრეიფის» უფლებას!

ერთი სიტყვით, ცხადზე უცხადესია: თავიდან სამხიარულოდ ჩაფიქრებული ქეიფი ამ ქალის გამომეტყველებით აშკარად იშხამება და თავისთავად იგულისხმება – აქ გათენებამდეც რომ ისხდნენ, ეს ქალბატონი მაინც სულ ასე ისევდიანებს!!!

ახლა გონებაფხიზლად განვსაჯოთ: ფიროსმანის მიზანი მხიარული ქეიფების ასახვა-პროპაგანდა რომ ყოფილიყო და სხვა არაფერი, მაშინ ამ დამწუხრებული ქალის ამგვარი

წარმოდგენა-დახასიათებით სუფრის დანარჩენ წევრებს რაზე წაუხდენდა სამხიარულო გუნება-განწყობილებას ან თვითონ რაზე ჩაიმწარებდა ანდა ჩვენ რატომ ჩაგვამწარებდა სასურველი მხატვრული შედეგით მიღწეულ სიამოვნებას?! ასეთ შემთხვევაში ამ ქალის სახეზე ფიროსმანისებური გენიალობით ძუნწად მისმულ-მოსმული განსხვავებული ორიოდე მეტყველი შტრიხი და ისე თქვენ მოგეცათ შველა, როგორც ამ ქალის სახეზე გამომეტყველება, სუფრაზე კი საერთო განწყობილება ელვისებურად უკეთესობისკენ შეიცვლებოდა! მაშინ გულშეწუხებული გამომეტყველების მქონე მანდილოსნის მაგიერ სუფრას უჯდებოდა მხიარული, პირმოცინარი, სიცოცხლით, ცხოვრებით, თანამეინახეებით, ქეიფის პროცესითა და ზეიმური მომენტით კმაყოფილი ტიპობრივი მეშჩანი ქალი!

მაშ, ფიროსმანმა რატომ ამგვარი გზა და ვარიანტი არ აირჩია?

მიზეზი მარტივია: ის თავის გენიალური მხატვრული ინსტინქტით პირველხარისხოვან რეალისტ შემოქმედად გვევლინება! ამიტომ მას აინტერესებს არა თავშესაწყენი, ერთმანეთს დამსგავსებული ჭამა-სმისა და გაჭიანურებული ღრეობა-ქეიფების **რიცხვი** და **პროცესი**, არამედ მათში მონაწილე **ადამიანთა განცდები და სულიერი ტკივილები**. ხოლო ლხინისა და ქეიფის თემას ეხება იმდენად, რამდენადაც ეს იმდროინდელი საქართველოს და განსაკუთრებით კი თბილისის ყველაზე თვალში საცემი სინამდვილე იყო. თან თვითონ ბედგამრუდებულ მხატვარსაც სულ ამ წრეში უხდებოდა ტრიალი და ყველაზე მკაფიოდ სწორედ აქ ვლინდებოდა ქართველი კაცის ეროვნული თვისებები და განცდები, ბუნება და ხასიათი.

«ბეგოს კამპანია» გამონაკლისი როდია. ავიღოთ სხვა ნახატი, მაგალითად, **«ქალაქელთა ქეიფი ტყეში»**.

ამ სურათზე სამი ქართველის ქეიფის მხოლოდ **ფაქტია** ასახული, საქეიფო გუნება-განწყობილება კი სულ არ იგრძნობა. მხატვარს გენიალურად დაუჭერია იმდროინდელი საზოგადოების ფსიქოლოგიური კლიმატი: ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს სამი თავი-სუფალი მოქალაქე კი არ ქეიფობდეს, არამედ პატიმრები რაღაც სასჯელის ზომას იხდიდნენ, ხოლო მარცხენა, ფეხზე მდგარი, ცხვირჩამოშვებული შლაპიანი მოსუფრალი საკუთარი აღაპის მონაწილეს დამსგავსებია!

კი მაგრამ, ეს დალოცვილები რატომ არიან ასეთი თავპირჩამობნელებულები? პასუხს ისტორია გაგვცემს: კოლონიური ჩაგვრის პირობებში ამ უბედურებს არაფერი აქვთ საბედნიერო და სასიხარულო! მაშინ რაღა აქეიფებთ? აბა, სხვა რა გააკეთონ – ღვინის ბოთლებით გადატვირთული ეს სუფრაც თავგასაბრუებლად და დამამცირებელი მდგომარეობის დროებით დასავიწყებლად სჭირდებათ!

დასცქერით დაღვრემილ მოქეიფეთა გაბეცებულ სახეებს და გრძნობთ: ეს არის არა თავიანთი პატარა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ადამიანების მიერ სასარგებლო სამუშაო დღის შემდეგ გამართული სიხარულის მომნიჭებელი, საღი აზრის გაცვლა-გამოცვლისა და სახვალიოდ ენერგიის აღმდგენი ხანმოკლე, ზომიერი სერობა, არამედ **კოლონიური იძულება**, უხილავი ძალდატანება: დაპყრობილი ხალხის გულსა და გონებაში მთავრობის საწინააღმდეგო რამე საშიშმა აზრმა რომ არ გაილავლავოს, ამიტომ სულ ტვინგამაბრუებელ სმასა და ლოთობას უნდა იყვნენ მიცემულნი!

მარცხენა, ჭიქააწეული მონადიმის ტანჯვიანი გამომეტყველება აფიშასავით შორიდანვე იკითხება: ღმერთი, რჯული, არ არის ახლა სმის გუნებაზე, მაგრამ რა ქნას, რა წყალს მიეცეს, სხვა რა გააკეთოს ან ამ პატიოსან კაცებს როგორ გაუტეხოს ხათრი?! ამიტომ სურს თუ არა, ძალდატანებით მაინც უნდა ჩაისხას! ხოლო დაძალებულმა სასმელმა შეიძლება აწყინოს და ცოტა ხნის მერე, მაპატიეთ და, აგერ, ბუჩქებთან არწყიოს კიდეც! მაგრამ რას იზამ – ასზე მეტი წლის განმავლობაში ასე ჩამოყალიბდა და გაფოლადდა კოლონიური ჩაგვრის ერთ-ერთი

ყველაზე საზიზღარი ფორმა – უაზრო და სავალდებულო, ერის გამომათაყვანებელ-გადასაგვარებელი ყოველდღიური სმა, რომელსაც ველარსაც წაუხვალ! ამიტომ ქედმოდრეკილმა უნდა ზიდო ამგვარი კოლონიური «ბეგარა», სანამ რაიმე საშველი არ გამოჩნდება!

აქ მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოებაც: ამა თუ იმ სუფრაზე დამწუხრებულ-დაღვრემილი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა ფიროსმანისთვის თვითმიზანი როდია. უფრო სწორედ კი თავისი ნანდაური პერსონაჟები თვითონ ცხოვრებას შემოჰყავსსუფრასა თუ ნებისმიერ სცენაზე, ფიროსმანი კი თავისი ჯადოსნური ფუნჯით მათ უკვდავყოფას ახდენს!

ამის საილუსტრაციოდ კიდევ ერთხელ მივუტრიალდეთ მეარღნე დათიკო ზემელის მონაწილეობით მიმდინარე **«სავსებით წესიერ ქეიფს»** (კ. ზდანევიჩი).

ერთი მარაქის ერთნაირად ჩაცმულ არიფთა თითქმის ერთნაირი გამომეტყველება-განწყობილება აშკარად გვამცნობს, რომ მათ არაფერი აწუხებთ: არც ჯანმრთელობის მხრივ, არც ოჯახურად, არც მორალურ-ზნეობრივად და სამოთხის გვრიტებივით გამწკრივებულან «ტკბილი პურის საჭმელად»! გამომეტყველებაზე ეტყობათ, ყველაფერი მოსწონთ: მეფის ხელისუფლებაც, მოჩვენებითი მშვიდობიანობაც, ახლებური ცხოვრებაც!.. ეს დუქანი, მეარღნე თავისი ჭყვიტინა არღნით, იატაკამდე დაშვებული სუფრა, სავსე ტიკი და მისთანანი ხომ მოსწონთ და მოსწონთ – უამისოდ ყოფა-ცხოვრება ვერც წარმოუდგენიათ! კი მაგრამ, სამშობლო კოლონიური უღლის ქვეშ რომ გმინავს?.. მთელი საქართველო და მისი ეკლესია-მონასტრები უღვთოდ რომ იძარცვება და თახსირდება?.. მშობლიური ენა რომ იკრძალება?.. მეფის ურჩები ციმბირში რომ ლპებიან?.. ტალიკ-ტალიკი ქართველი ვაჟკაცები უანგარიშოდ რომ იჟუჟებიან იმპერიული ამბიციებით გაჩაღებულ რუსეთ-ირანის, რუსეთ-თურქეთის, რუსეთ-იაპონიის ომებში?

ამ მოქეიფეთა დამყოლ-მორჩილი გამომეტყველების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათი სავარაუდო პასუხები შეიძლება დაახლოებით ასეთი ყოფილიყო: ეჰ, ეს ყველაფერი არ არი საფარსაგო საქმე, მაგრამ რას ვიზამთ?! თუ რუსხელმწიფის მფარველობა და მშვიდობიანობა გვინდა, რაღაც მსხვერპლი ჩვენც უნდა გავიღოთ. აბა, როგორ?!. ბუნტოვშჩიკებს კიდევ გაგვი-ციმბირებენ, აბა, ორთაჭალაში საქეიფოდ ხომ არ მოლალავენ! როგორ, მაგ ვირისთავებს მაგდენი აღარ ესმით, რომ რუსხელმწიფეს ეგენი ძვრასაც ვერ უზამენ?!. ჰო, ეგეც მართალია, ქართველი ჯეილობა რუსის ომებში რომ იხოცება, მაგრამ ჩვენ აქ რისთვისა ვსხედვართ – იგრე როგორ წავხდებით, ქუდმოხდითა და შოთზე ღვინის დაწვეთწვეთებით მუდამ არ შევსვათ ხოლმე მათი შესანდობარი!..

ფიროსმანის ნახატების დაკვირვების პროცესში დამოუკიდებლად აღმოჩენის სიხარულს მეცხრე ცაზე აჰყავხარ. ცხოვრებისეული სინამდვილის მხატვრული ასახვისას მას ნაპოვნი აქვს **ოქროს შუალედი!** ამიტომ მხატვარს ბუნებრივად შესისხლხორცებია შემოქმედთათვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჭეშმარიტება, რომელიც ბევრისთვის მიუწვდომელია, ხოლო ბევრი ამ საიდუმლოებას მისწვდომია კიდეც, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის ზეწოლისა და თავისივე პიროვნული ცდუნებისთვის მაინც ვერ გაუძვლია და ყველაფერი წაუხდენია: უსინდისობაა ცხოვრებისეული სინამდვილის გავარდისფერება, მაგრამ ამავე დროს შემოქმედებითი ცოდვის ჩადენაა მისი ხელოვნური გამუქებაც!

ფიროსმანი კი პირველყოფილური შეუმცდარი ინსტინქტითა და უნიკალური მხატვრული ალღოიანობით გრძნობს – ცხოვრებისეული მკაცრი სინამდვილე თავისთავადაც მუქია და მხატვრის მიერ მისი ზედმეტად გამუქება მხოლოდ უკუშედეგს მოიტანს!

სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ ფიროსმანის ყალმით ასახული მხატვრული სინამდვილე და პერსონაჟთა სულიერი სამყარო ასეთი ცხოვრებისეული და

ამდენად ბუნებრივი, ყველა ეროვნების წარმომადგენლისთვის ადვილად გასაგები, ახლობელი და ადამიანურია.

***

ფიროსმანის ნახატი **«ვირის ხიდი»** ღრეობის აპოლოგიას ასახავს – ქეიფობენ ღია ცისქვეშ, ტალავერში, ტივზე, ნავებში, მოლზე, მაგიდებთან... ყველგან, ყველგან! მოკლედ, ესტატეს თქმისა არ იყოს, **«ყველა ლოთობს. კაცს ეგონება, თავებს იხოცავენ, ხვალ სიცოცხლეს აღარ მოელიანო».**

ეს ნახატი ნება-უნებლიეთ იმდროინდელი მსოფლიო მოვლენების ჭრილში წარმომიდგება და გულს მიკლავს სასტიკი სინამდვილე. XIX საუკუნის მიწურული და XX საუკუნის დასაწყისი მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში არნახული აღმოჩენებითა და მიღწევებით აღინიშნა; თითოეული – დიდი თუ პატარა – ერი არცთუ უშედეგოდ ცდილობდა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში თავისი წვლილის შეტანას და თვითდამკვიდრებას; ბევრ დამონებულ ქვეყანაში აგიზგიზდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კოცონი; ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საშუალო და უმაღლესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო სასწავლებლების დაარსება; დედამიწის ყველა კუთხე-კუნჭულში თვალში საცემი გახდა სწავლა-განათლებისადმი დაუოკებელი სწრაფვა!.. ბარბაროსული კოლონიური სისტემით ცივილიზებულ სამყაროსა და თავისი ბუნებრივი ზრდა-განვითარების პროცესს მოწყვეტილი, გადასაგვარებლად განწირული საქართველო და მისი დედაქალაქი?

ილია ჭავჭავაძის დამკარგავი და კინტო-ყარაჩოხელების «ფილოსოფიის» ამარად დარჩენილი თბილისი კი ორთაჭალის დუქან-ბაღებსა და სამიკიტნოებში გამოუფხიზლებელ ქეიფს იყო მიცემული!

ქეიფის თემებზე შექმნილი ფიროსმანის ნახატების პირველი დათვალიერება მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს: წესისა და რიგის მიხედვით ეს გამარჯვებულები და წარმატებულნი ქეიფობენ ხოლმე, დაპყრობილ-დაჩაგრულ ხალხს კი რა აქეიფებდა?! გვქონდა კი საქეიფო წუთისოფელი?! თვალახელა თანდათან მოდის! იმდროინდელი საქართველო ამდენს თავისი ნება-სურვილით კი არ ქეიფობდა, არამედ იძულებული იყო ექეიფა! დაპყრობილი პატარა ქვეყნის გადაგვარების მიზნით ყოველდღიური, პიროვნების დამაჩლუნგებელ-გამომათაყვანებელი ქეიფი კოლონიური ბეგარის, ფიზიკური დასჯისა და ზნეობრივი ჩაგვრის რანგში იყო აყვანილი.

ფიროსმანის «ქეიფების» სამყაროს უფრო კარგად ითავისებ და ახლა ახალი აღმოჩენა გნუსხავს. ქეიფების ერთფეროვანი **ფაქტების** მიღმა მშვენივრად იკითხება პატარა, ძალდატანებული ერისა და კოლონიური პითონის ხანგრძლივი, უთანასწორო ბიბლიურ ბრძოლას დამსგავსებული სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი, სადაც განსაცვიფრებელი რამ ხდება – ორივე მხარეს ერთმანეთთან საბრძოლველად ერთი და იგივე «იარაღი» – **ღვინო** მოუმარჯვებია!!!

კოლონიზატორთა ვარაუდით, სპირტიანი სასმელი, ამ შემთხვევაში ღვინო, ნაცადი საწამლავია, რომელიც ერს საფუძვლიანად გამოათაყვანებს, თავისსავე წიაღში ჩაისრუტავს და ჩაახრჩობს!

უღელდადგმული, ჩარაგაწყვეტილი ერისთვის კი **ღვინო** გაძლებისა და თავგადარჩენის უებარი ნექტარი, მალამო, საიდუმლო და საიმედო მეგობარია, რომელსაც არაერთხელ უშველია საუკუნეთა ძნელბედობის მანძილზე!

სუფრასთან მტკიცედ მსხდომ ფიროსმანის შეუკრთომელ მოქეიფე პერსონაჟებს პირდაპირ შუბლზე აწერიათ – ხანმოკლე და ადვილი არ იქნება მჩაგვრელთაგან თავს მოხვეული ეს «ომი».

ვინმეს რომ არ ეგონოს, სინამდვილის გამუქება მსურდეს, ამიტომ მე დავდუმდები და სიტყვას თქვენთვის უკვე კარგად ნაცნობს, თვით რუსისავე ხელოვნებათმცოდნეს, **ერასტ კუზნეცოვს** გადავცემ.

მაშ, მოუსმინეთ და გაიაზრეთ, რა ჯოჯოხეთი გამოგვატარეს და რას გადავურჩით!

> «ფიროსმანის «ქეიფებს» არა აქვთ არც დასაწყისი და არც დასასრული – ისინი მარადიულნი არიან; მისი გმირები **ითიშებიან დროის რეალური მსვლელობიდან – ისინი კი არ ცხოვრობენ, კი არ მოქმედებენ, არამედ არსებობენ, უსასრულონი და უცვლელნი... «ეპოსში» გარეგნული დინამიკა ნეიტრალიზებულია მთელის უძრავი უსასრულობით. რაც ხდება – უკვე იყო და არაერთხელ, უსასრულოდ მეორდება. ეს მოჩვენებითი მოძრაობაა, წრიული მოძრაობა».**

რაკი საკამათოს აღარავისთვის წარმოადგენს, რომ სპირტიანი სასმელებიც ნარკოტიკთა რიცხვს განეკუთვნება, მაშინ პირდაპირ უნდა ითქვას: კოლონიზატორთა მიერ ქართველი ხალხისადმი შეგნებულად განხორციელებული ექსპანსიის თითქმის ორასწლოვან პერიოდში ძალდატანებულმა ჩვენმა ხალხმა, როგორც იქნა, გაუძლო ამ ტვინგამომალაყებელ **«წრიულ მოძრაობას»** და ომიდან გამარჯვებული გამოვიდა – ჯერ ცარიზმი მოიშორა თავიდან, ბოლოს – ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმი. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ნახევარია: ჯერ კიდევ მოსაცილებელი გვაქვს ჩვენი ეროვნული ბუნება-ხასიათისა და მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი კულტურისთვის სრულიად უცხო და შეუთავსებელი, დამპყრობელთაგან ნება-უნებლიეთ გადმოღებული ქეიფისა და ჭამა-სმის სვვითურ-მონღოლური ჩვევები და ელემენტები.

თავი მეცამეტე

მთელი სიცოცხლის განმავლობაში არც ერთი მხატვრის ნახატსა და კოლაჟს, მოქანდაკის ქანდაკებას, ფოტოხელოვანის სურათს ან პლაკატს თუ საშინელებათა ფილმს ჩემზე არ მოუხდენია ისეთი შემაძრწუნებელი და დამთრგუნველი შთაბეჭდილება, როგორც ფიროსმანის ნახატი **«ფაეტონი და ღამის ქეიფი»** («Фаетон и ночный кутеж») ახდენს. ეს საშინელი განცდა იმდენად აუტანელი და შიშის მომგვრელია, როცა მხატვრის სამყარო მომენატრება, ალბომს გადმოვიღებ და შლას დავუწყებ, ამ ნახატს გამოვტოვებ ხოლმე.

აქ ჩემზე ყველაფერი სულის შემხუთველად მოქმედებს: მხატვრის კომპოზიციური აზროვნებაც, ღამეც, ნახატის ფერმშენებლობაც, პერსონაჟებიც, უბედური დუქანიც, მუსიკალური ინსტრუმენტებიც... მოკლედ, ყველაფერი! ამიტომ მეჩვენება, რომ ამ საზარელ ბნელეთში ეს დუქანი კი არა, მთელი საქართველოა ჩაძირული, საიდანაც ველარასოდეს ამოყურყუმელავდება!

ვინმეს გინახავთ ამგვარი ღამე – გინდ ბუნებაში და გინდ სხვა რომელიმე ნახატსა თუ ფოტოეტიუდზე? თუმცა, ვიდრე მასზე მსჯელობას შევუდგებოდე, ჯერ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან გავიგოთ იდიომების ანუ ე. წ. რომბული გამონათქვამების – **ღამე ჩამოწვება** დაღამდება, **ღამე ჩამოწვა** დაღამდა. – მნიშვნელობა.

საერთოდ, როგორც ბუნებაში ხდება, ეს ჩვენც კარგად ვიცით და აგერ, ლექსიკონის იდიომური განმარტებებითაც დავრწმუნდით, მზის ჩასვლის შემდეგ ღამე თანდათან **ზევიდან** ჩამოწვება ხოლმე.

ფიროსმანის ამ ნახატზე კი პირუკუ ხდება: უკანა პლანზე, მაღლა რაღაც ნათელი ნაკადული და კიდიდან კიდემდე ხალვათად გადაჭიმული, მტრედისფრად მინამკრთალი ცა მოჩანს, ხოლო

ცხვრის საშინელ ინფექციურ სენს, მკრეჭავ მუნს დამსგავსებული შავპრიალა ღამე კი ქვესკნელიდან, თითქოს თვით ზღუდემონგრეულ ჯოჯოხეთს გახსნოდეს გზა, ვულკანის ლავასავით მოტბორავს და ირგვლივ თანდათან ყველაფერს განურჩევლად ნთქავს: ფაეტონ-მეფაეტონეს, ცხენებს, სივრცეს, ადამიანებს, მიდამოს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, საცოდავ დუქანს, თვით ნახატსაც და... მის უდანაშაულო მაყურებელსაც!

ჩემთვის ამოუცნობი წყაროდან მომდინარე შუქის ტრაგიკული ეფექტის გადმოცემისას უმაღლეს წერტილსაც კი სცილდება ფიროსმანის ფუნჯის დემონურობა! ცხენების ფეხებზე ვიწრო ზოლ-ზოლად, ხოლო მათი აკაზმულობის გულავშარების აბზინდებსა და ფაეტონის თვლებზე კი ნალურად ანასხლეტი წაყვითლო სუსტი შუქი ისეთი ავბედითი წინათგრძნობით მოქმედებს, თითქოს აპოკალიფსური მიწისძვრის პირველი შექანებისთანავე გაჩენილი ვიწრო-ვიწრო ნაპრალებიდან ამოპარული მძაფრსუნიანი ფოსფორული ცეცხლის მკრთალი ენები – ჯერ ცხენების ფეხებსა და თვლების ხმელ ფერსოებს რომ წაჰკიდებია! – სადაცაა გრიგალისებურ ხანძრად გადაიქცევა და ქვეყნიერებას თვალსა და ხელს შუა დაანაცრებსო!

ჩემს გონებასა და გრძნობებზე ამ ჯოჯოხეთური ღამის მტანჯველური ზეწოლა ისეთი მსახვრელია, რომ თანაგრძნობის ნაცვლად არაკეთილგანწყობა მიჩნდება ნახატის უმეტესი პერსონაჟებისადმი. რატომ?

ფაეტონის კოფოზე საიმედოდ მომჯდარი ერთი ჩვეულებრივი თბილისელი მეფაეტონე, ღრმაბუდიანი თვალები ისე რომ ჩასჩრდილვია, თითქოს შავსათვალიანი სუკის აგენტიაო, რუსხელმწიფის სამსახურში ნებაყოფლობით ჩამდგარი, კოლონიური ჯოჯოხეთის დაუღალავი მოციქული მგონია: ყოველღამ დაუძინებლივ დარახრახებს ჩაბნელებული თბილისის ოღრო-ჩოღრო ქუჩებში, სადაც კი გონებაფხიზელ, გაუბედურებულ სამშობლოს მომავალზე ფიქრმიცემულ ქართველს მოიხელთებს, ჯალათურად სტაცებს ხელს, ჩააგდებს ამ თავის ფაეტონში და დუქნისკენ წაარახრახებს დასათრობად, რათა გამჭრიახ გონებაში საქართველოს საკეთილდღეოდ რამე საღმა აზრმა არ გაუელვოს!

ჰოდა, ეგერ, ეტყობა, რომელიმე ან რამდენიმე მსხვერპლი უკვე მოუყვანია ჯოჯოხეთში! კი მაგრამ, პირდაპირ ზედ სუფრასთან მიყენებული ფაეტონით რაღას იცდის – რატო ახალი მსხვერპლის საძებნელად არ მიიჩქარის?! ჰმ! უქმად ხომ არ არახრახებს ამ თავის ფაეტონს – იგი ამავე დროს მტკვრისპირელი **ქარონის**[8] მოვალეობასაც ითავსებს: ამდენი ჭამა-სმისა და ღრეობისაგან (გაიხსენეთ სამვედროიანი თავადი!) თუ რომელიმე მოქეიფეს დუქანში დაერეკა ზარი (რაც, ალბათ, არაერთხელ მომხდარა!), მაშინ ეს ჯაბახანა ფაეტონი ახლა ორთაჭალურ ბალდახინად გადაიქცევა და მიცვალებული თავისი სახლისა თუ სულეთის კარამდეც მანვე უნდა მიაცილოს!

გაოგნებული დასცქერი წკვარამ ღამეში ძლივს მოჩინარი ცხენებშებმული ფაეტონის დამტვრეულ კონტურებს და ცრემლი გაწვება: ნეტავი ეს სწორედ ის ფაეტონი ხომ არ არის, რომლითაც რამდენიმე წლის შემდეგ ცალფეხა მეჯღანე ილია მაისურაძის მიერ ბნელი სარდაფიდან ამოყვანილი მომაკვდავი ფიროსმანი ილია მგალობლიშვილმა რომ წაიყვანა რომელიღაც საავადმყოფოში (თუმცა რა სხვაობაა, ზუსტად ეს ფაეტონი იქნებოდა თუ სხვა ამის მსგავსი)?!

---

[8] **ქარონი** _ ბერძნული მითების მიხედვით ქარონი ცხოვრობდა მიწისქვეშეთში და მდინარე სტიქსეზე გადაჰყავდა მიცვალებულთა სულები. ლეგენდების თანახმად, ქარონს სულები ჰადესის კარამდე მიჰყავს და იქ ართმევს გასამრჯელოს მეგზურობისა და მომსახურებისთვის. (ამის გამო ძველად საბერძნეთში მიცვალებულებს პირში მონეტებს უდებდნენ.).

დუქნიდან «ბრძოლის ველისკენ» თვალდაჭერილი მედუქნე? ო, ეს ხომ გამოცხადებული **ჰადესია**.[9] ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თქვენ მარტო იდაყვამდე დაკაპიწებულ მის მარჯვენას დააკვირდით, მბრძანებლური თავდაჯერებით რომ დაუბჯენია დახლისთვის: როგორი უდრეკი და ფხიზელი გონების მამულიშვილიც უნდა მომგვაროთ, მე ეგრე უგონოდ გამოვბრუჟავ და გამოვალენჩებ, მთავრობისთვის მთლად უხიფათოს გავხდიო!

ქეიფ-ღრეობა რიჟრაჟამდე რომ გაგრძელდეს, გონგადასულ მოქეიფეებს ჯიბეები ამოაბერტყინონ და დუქანმა თავისი ჩვეული სარფა მიიღოს, აგერ, მედუქნე ბიჭს მათ საკმაყოფილოდ თეთრი სინით ნარკოტიკის დოზასავით მოაქვს რაღაც მორიგი თავი საჭმელი!

ერთფეროვანი, თანაც ყოველდღიური ქეიფ-ღრეობებით გადაღლილი და განწირული, გულგრილსახიანი მოსუფრალებისადმი განცდა მიორტოტდება, რადგან **ერასტ კუზნეცოვის** შეუმცდარი დიაგნოზის მიხედვით, ისინი **«ითიშებიან დროის რეალური მსვლელობიდან – ისინი კი არ ცხოვრობენ, კი არ მოქმედებენ, არამედ არსებობენ».**

აბა, ამნაირ ხალხს კი რა უნდა მოსთხოვო ანდა რომელ ენაზე ელაპარაკო?! ამის მიუხედავად, ამ **«გათიშულებისადმი»** პირველში მაინც მოუთოკავი აღშფოთება მეუფლება: რატომ ვერაფერს უპირისპირებენ კოლონიური პოლიტიკის ამ დამღუპველ სენს – რა სარგებლობა მოაქვს, რას ემსახურება ეს ყოველდღიური ღრეობები და სასმელში თავის ჩახრჩობა?! ნუთუ ვერ მიმხვდარან ამგვარი ყოფის უაზრობასა და დამღუპველობას?! ნუთუ ასეთი უდარდელი ხელჩაქნევით უნდა დათმონ თავ-თავიანთი სიცოცხლე და ასპარეზი?! ო, ღმერთო!.. მათდამი აღშფოთებას ერთი ასეთი დეტალიც მიმძაფრებს. თქვე დალოცვილებო, რაკი აღარ დაგიშლიათ და ამ უკუნეთში ქეიფი გადაგიწყვეტიათ, ერთი ობოლი კვარი მაინც მოატანინეთ სუფრაზე: ან ერთმანეთი დაინახოთ ან საჭმელ-სასმელი გაარჩიოთ – ღმერთმა გაშოროთ და ბოსტნეულს შემთხვევით შეჭყლეტილი შხამიანი მორიელი ხომ არავის უნდა შეგიყვეთ და!.. მაგრამ, ეტყობა, ასწლოვან კოლონიურ ჩაგვრას თავისი ნაყოფი გამოუღია: აღარ იგრძნობა შუქისადმი ადამიანური მოთხოვნილება – რაც სჭირდებათ, იმის გაკეთებას ვარაუდით, სიბნელეშიც ახერხებენ!.. მაგრამ მათდამი ამავე დროს თან სიბრალულიც მიჩნდება, რადგან, მათი ჭკუით, ეს ყველაფერი რაკი უკვე საყოველთაო რეალობაა, მაშასადამე, ბუნებრივიც არის, მისაღებიც და კარგიც!

გაშეშებული მემუსიკენი – ფირისმანის ნახატების ეს საყვარელი, ნირშეუცვლელი და უღალატო სფინქსები?! აკვირდები მათ მიზანმიმართულ მზერა-გამომეტყველებას და ვეღარ გარკვეულხარ: ისინი მართლა ამ «გათიშულებისთვის» უკრავენ თუ საგულდაგულოდ მომარჯვებულ ინსტრუმენტებს საქართველოს ბედშავობაზე ავალალებენ?!

ჩემს ალბომში ამ ნახატის სახელწოდებაც ოდესღაც ხმელი ფანქრით მკრთალად გადავხაზე და ჩემეული სახელი მივუწერე – «**კოლონიური ღამე**».

რატომ მაინცდამაინც კოლონიური? ამგვარი სათაური თვით ნახატის შინაარსმა, იქიდან წარმოქმნილმა განწყობილებამ, ისტორიულმა სინამდვილემ და ჩემ მიერ დანახულმა ქვეტექსტმა მიკარნახა – სურათზე ასახულია არა ჩვეულებრივი ღამე, არამედ ნამდვილი **კოლონიური ღამებნელობა**! რა მტკივნეულ მწუხარება-თანაგრძნობას აღძრავს მოქეიფეთა ძალმიხდილობა და გათიშული, უაზრობამდე მისული მათი გულგრილი გამომეტყველება! ისინი ეგზეკუციის დროს ეგნატე ნინოშვილისეული ყაზახებისგან სუფრასთან იძულებით მირეკილ მძევლებს უფრო ჩამოჰგვანან, ვიდრე სალხინოდ თავიანთი ნებით თავშეყრილ ქართველებს, რომლებიც არ კი მხიარულობენ, არამედ კოლონიური რეჟიმით დაწესებულ სავალდებულო ღამეულ სასჯელს იხდიან: ასე უნდა ისხდნენ და სვან მანამდე, სანამ ილაჯი შეჰყვებათ, მერე კი, არაქათი რომ გამოეცლებათ, ერთმანეთის მიყოლებით სუფრასთან უსულოდ

---

[9] **ჰადესი** _ ბერძნული მითოლოგიის მიხედვით მიწისქვეშა სამყაროსა და მიცვალებულთა სულების მბრძანებელი.

დაეცემიან, აგერ, სიბნელეში იქვე მომლოდინე მეფაეტონე კი ჩვეულებისამებრ, ყველას რიგრიგობით წაარახრახებს უახლოესი სასაფლაოსკენ!..

ეჰ, ვინ მოსთვლის, რამდენი ასპარეზგადაღობილი და ძალდატანებული ქართველის ნიჭი და გაქანება უქმად ჩამკვდარა ფიროსმანის ყალმით ასახულ დუქნებში!

ფიროსმანის ეს ნახატი ამაზრზენამდე რეალისტურია. კოლონიური უღლის ქვეშ მოტანებულ ქვეშევრდომთ არ უნდა ჰქონოდათ მოსვენება და გონებაფხიზლად საკუთარ თავთან მარტო დარჩენის საშუალება: ვაითუ აკრძალულ ლიტერატურას დასწაფებოდნენ, თვითგამორკვევა და გამოყოფა მოჰფიქრებოდათ, ცარიზმის საწინააღმდეგო მოძრაობის წევრები ან მომხრეები გამხდარიყვნენ, გადასახადების შემცირება მოეთხოვათ, სალდათობაზე უარი ეთქვათ, უნივერსიტეტის დაარსება მოსურვებოდათ... ჰოდა, მსგავსი «სისულელეები» რომ არ მოსვლოდათ აზრად, ეს კერპი და თავისუფლებისმოყვარე ხალხი მთელი დღე წაკისრული უნდა გემუშავებინათ, ღამღამობით კი ტვინგამაბრუებელ ლოთობას ყოფილიყვნენ მიცემულნი და სულ პოლიციელებისა და პოლიციასთან შეკრული მედუქნე-მეფაეტონეთა თვალქვეშ გყოლოდა!.. თორემ ამათ თუ თავი მოიქექეს, ვინ იცის, მერე რას მოითხოვენ და როგორ მოიქცევიან!.. სანანურად გაგვიხდება ამათთვის სწავლა-განათლების მიცემა!.. სამუცლაო და სალოთაო სარდაფ-ჯურღმულები უნდა გახდეს ქართველების სკოლაც, მუზეუმიც, უნივერსიტეტიც!..

ფიროსმანის ამ ნახატის ცქერა რამდენადაც სასოწარკვეთილებით მავსებს, იმდენად განსჯისთვისაც განმაწყობს და ნება-უნებლიეთ დღევანდელობასთან პარალელს მავლებინებს. ფეხის ხმის ამყოლთა მოდური ბაძვით თანამედროვე თბილისი ლამის წაილეკოს ნესტიანი, ჰაერდახშული, რეალურ გარემოსთან მოწყვეტილი, ვიწრო, ჭერკედლებჩამოცვარული, სიგარეტის ბოლით გაჭვარტლული და მქისე სუნით აყროლებული მიწიქვეშა ციდასარკმლებიან სარდაფებში გამართული დუქან-სალოთაო ჯურღმულებით, იქ ჩასულ ადამიანს უმალ მელანქოლიურ გუნებაზე რომ აყენებს, პიროვნულ მოვალეობებსა და დღიურ საქმიანობას უმტკივნეულოდ ავიწყებს და მთელი დღით მხოლოდ სასმელის საყლურწავად განაწყობს! მსგავს ჯურღმულებში გამეფებულ გულშესაწუხებელ ატმოსფეროს რომ უცქერი, იდეაც თავისთავად იბადება, თუმც ფანტასტიკურ-უტოპიური, რომელსაც თბილისის პირობებში აღსრულება არასოდეს ეწერება და მხოლოდ მკითხველის სევდიან ანდა დამცინავ ღიმილს გამოიწვევს.

როგორც 1916 წლის 24 მაისს მხატვართა საზოგადოების სხდომაზე ნიკო ფიროსმანაშვილს უთქვამს მხატვრებისთვის: აი, რა გვჭირდება, ძმებო, შუა ქალაქში ავიშენოთ დიდი სახლი, ყველას რომ შეეძლოს მოსვლა, ვიყიდოთ დიდი სტოლი, სამოვარი, იქ შევიკრიბოთ ხოლმე, ვსვათ ბევრი ჩაი და ვისაუბროთ მხატვრობაზეო, ისე დღესაც რაღაც მსგავსი ღონისძიების გატარება იქნებოდა სასურველი. სულ უნდა გაუქმო ეს მიწისქვეშა დახუთული დუქან-ჯურღმულები, ხოლო მათ სანაცვლოდ ააშენო მიწისზედა, ნათელი, ფართო, სუფთა, მაღალჭერიანი, დიდსარკმლებიანი და მუდამ ჰაერგაწმენდილი საზოგადოებრივი კვების თანამედროვე ობიექტები, რომლის კლიენტები უეჭველად უახლესი დანადგარ-აპარატურით აღჭურვილ კაბინეტთა ექიმ-დიეტოლოგების დახმარებით შეუკვეთდნენ თავიანთთვის სასიამოვნო-სასარგებლო კერძებს და მით უმეტეს, სასმელს!!! თანაც უმსგავსი ღრეობისადმი მიდრეკილი ადამიანები დუქან-რესტორნის მოუშორებელ ვირთაგვებად რომ არ ქცეულიყვნენ, დროც ცივილიზებულ ფარგლებში ყოფილიყო რეგლამენტირებული: რაზეა ლაპარაკი, ბატონებო?!.. რაც შეუკვეთეთ, მიირთვით, ისიამოვნეთ, იცეკვ-იმღერეთ, ერთმანეთს აზრი გაუზიარეთ, სახვალიო თუ სამომავლო გეგმები დააწყეთ, მაგრამ... მაგრამ ხომ არ შეიძლება ადამიანი დილიდან გათენებამდე რესტორანში ლენჩივით იჯდეს?! აგერ, ახლა სხვა კლიენტები

გვყავს მისაღები!.. ბოლოს და ბოლოს ქეიფს გარდა მოქალაქეობრივი მოვალეობებიც არსებობს ოჯახის, ცოლ-შვილის, სამსახურის, საზოგადოების, გაუბედურებული სამშობლოს წინაშე!..

გეცინებათ, არა?! სასაცილო რამ გამომდის და, ცხადია, გაგეცინებათ! მაგრამ აქ უყურეთ ცხოვრებისეულ მწკლარტე ირონიას. დღეს ნებისმიერ მაღაზიაში უმნიშვნელო რაღაც წვრილმანის საყიდლადაც რომ შეხვიდეთ, სავსე ვიტრინაზე დახრასაც ვერ მოასწრებთ, ზრდილობიანი გამყიდველი გოგონა უმალ თქვენ გვერდით აჩნდება.

– რა გნებავთ, ქალბატონო (ბატონო...)?... შერჩევაში ხომ არ დაგეხმაროთ?

ხედავთ, რა დონემდე აგვსლია მომსახურების კულტურა, ადამიანებზე ზრუნვა! მაგრამ საქეიფო ადგილები? იქ, სადაც ერთი ჭიქა არაყი მავნისთვის შეიძლება სასიკვდილოც კი გამოდგეს ანდა კაცი ისე შეშალოს, ვინმე რევოლვერით დააცხრილინოს, არავის ანაღვლებს, საქეიფოდ გულდაგულ მოსულ კამპანიის თითოეულ წევრს რა დღეში აქვს არტერიული წნევა, გული, ფსიქიკური მდგომარეობა, საერთოდ, შინაგანი ორგანოები. ესა თუ ის სასმელ-საჭმელი არგებს თუ აზნევს?! რას ლაპარაკობთ, რა წინდახედულობა და რის დიეტოლოგ-მიეტოლოგი: მოგვიტანეთ არაყი, ლუდი, კონიაკი, ვისკი, რომი!.. მწვავე, მჟავე, ცხარე!.. მერე კი იწყება და... თუმც თქვენ ჩემზე უკეთ გეცოდინებათ, რაც იწყება, როგორც გრძელდება, როდის და ხშირად რითაც მთავრდება ხოლმე! ეეეჰ!..

თვალის ერთი გადავლებითაც შეინიშნება საქართველოს და მეტადრე თბილისის დღევანდელ საქეიფო-საღრეობო ადგილებში გამეფებული რეალობა როგორი ღაღადით ითხოვს თანამედროვე დიდოსტატის ყალამს...

ისევ ფიროსმანის ნამუშევარს მოვუბრუნდეთ.

შიშის მომგვრელ ბნელეთში ჩაძირული ნახატი, მთელი საქართველოს თუ იმდროინდელი თბილისის მინიატურულ მაკეტს რომ დამსგავსებია, თითქოს ქარაგმულად გვეუბნება: ეს ყველა-ფერი ძალიან ძველისძველი, დრომოჭმული, თავშესაწყენი და უაზროა, რის გამოც დღითი დღე აუტანელი ხდება! მეტი აღარ შეიძლება ამგვარ სიბნელეში ყოფნა – რაღაც უნდა შეიცვალოს!

მაგრამ რა უნდა შეიცვალოს?.. ან ვინ შეცვლის, როდის, როგორ, რანაირად?

ჰმ! ეს მოქეიფეები იმხანად, აბა, რას წარმოიდგენდნენ, დღევანდელი გადასახედიდან კი მათდამი გული მტკივნეული თანაგრძნობა-სიბრალულით გევსება, ვინაიდან ლურჯ სუფრასთან გამწკრივებული თანამეინახენი – ეს **«უსასრულონი და უცვ ლელნი»**, **«მარა-დიულები»** და **«გათიშულები»**, **«დროის რეალური მსვლელობიდან»** ამოცვენილები, აზრზე არ არიან, საშინელი ისტორიული კატაკლიზმი თავზემოთ დამოკლეს მახვილივით რომ უკიდიათ, ხოლო გაწყალებული ბეწვი უკვე გაწყვეტაზეა...

თავი მეთოთხმეტე

განჯის მხარეში საქონლის სატვირთო მატარებლის კონდუქტორად მუშაობისას ჯანმრთელობაშერყეულ ნიკო ფიროსმანაშვილს 1894 წლის გაზაფხულზე რკინიგზისთვის სამუდამოდ დაუნებებია თავი და ახლა ვაჭრობაში უცდია ბედი – სამსახურში საბოლოო ანგარიშსწორებისას აღებული სათავნო ფულით ვერის თავდაღმართზე (ამჟამინდელი მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა – ყოფილი ელბაქიძის დაღმართი) სარძევე დუქანი გაუხსნია.

მხატვრის ბიოგრაფიული მონაცემების ერთ-ერთი პირველი შემკრებ-მკვლევარის, პოეტ **გიორგი ლეონიძის** (1900-1966) სიტყვებით რომ ვთქვათ, ფიროსმანის პირველი **«სავაჭრო კომ-პანიონი»** დიმიტრი ალუღიშვილი ყოფილა.

1930 წელს ამ დიმიტრის გ. ლეონიძისთვის ჩაუწერინებია.

«ნიკალაი ქალაქში გავიცანი პირველად, თუმცა ქიზიყიდან მეზობლები ვართ».

ძნელია ამ ფრაზიდან დაზუსტდეს, რა უნდა იგულისხმებოდეს ქიზიყის არეალად: ზოგადად ქიზიყი, სოფელ მირზაანთან ახლოს მდებარე რომელიმე სხვა სოფელი თუ მხოლოდ მირზაანი, საიდანაც თვით ნიკო ფიროსმანაშვილი იყო და ადვილი შესაძლებელია, დიმიტრი ალუღიშვილიც სწორედ იქიდანვე ყოფილიყო, ვინაიდან როგორც უწინ, ისე დღესაც იქ საკმაოდ ბინადრობენ ამ გვარის წარმომადგენლები.

დ. ალუღიშვილის მონათხრობის მიხედვით, ნიკო ფიროსმანაშვილი ოჯახში მეტად მიღებული ჰყოლიათ. რად ღირს თუგინდ მარტო ეს ორი ფაქტი: ფიროსმანი დიმიტრის უმცროსი ქალიშვილის, მარუსას ნათლია ყოფილა, ხოლო დიმიტრის ცოლისდის, ნინოსი – მეჯვარე. სამწუხაროდ, ორივე მათგანს ნაადრევად მოშლია წუთისოფელი: ნინო შვიდი თვის ჯვარდაწერილი გარდაცვლილა, მალე სამი წლის მარუსაც დეიდის კვალს გამოსდგომია. ამ უბედურებას ფიროსმანი თურმე უკიდურესად განიცდიდა – ეს რა ბედნავსი ხელისა ვყოფილვარო!

1930 წლის 28 მარტს გ. ლეონიძის მიერ ჩაწერილ დ. ალუღიშვილის მონათხრობში, ჩემი აზრით, განსხვავებულ და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთი ადგილი, რომელსაც თუ განსჯა-ვარაუდის ქურაში გამოვატარებთ და გამოვწკეპავთ, იქნებ პაწია გასაღების როლი მაინც ეთამაშა დიდი მხატვრის შემოქმედებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი საიდუმლოს ამოხსნაში თუ ვერა, მასთან მიახლოებაში მაინც.

სანამ ამ პატარა ციტატას მოვიყვანდე, ჯერ მკითხველებს ავუხსნი: მასში სამგან ნახმარი მრავალწერტილი მე არ მეკუთვნის – ის ან ალუღიშვილისეულია ანდა ლეონიძისეული. მაშ, ასე!

> «ერთხელ მეც დამხატა. თურმე უჩუმრად გადამიღო ვაჭრობის დროს. დიდხანს ვინახავდი სახლში ამ სურთს. რაღაც საზარელი შესახედავი ვიყავი, შავფერი... ბავშვებს ეშინოდათ... დავწვით...»

ქართული სინამდვილისთვის ეს თავისთავად უნიკალური ცნობა შეიძლებოდა მსოფლიო მასშტაბის უკვდავ ფრაზად ქცეულიყო და მრავალი ქვეყნის სამხატვრო სასწავლებელთა ქრესტომათიულ სახელმძღვანელოებსა და ალბომებში საპატიო ადგილი დაემკვიდრებინა, ორ პირობას რომ აკმაყოფილებდეს: თვითონ დიმიტრი ალუღიშვილს არ დაეწვა და შთამო-მავლობისთვის დაუზიანებლად შემოენახა ის **«რაღაც საზარელი შესახედავი»** პორტრეტი, ხოლო თავის მხრივ გიორგი ლეონიძეს დ. ალუღიშვილის ფოტოგრაფიული სურათისთვის ეზრუნა! მაშინ თვალსაჩინო იქნებოდა შემოქმედსა და ობივატელს შორის მიმდინარე მარადიული ურთიერთბრალდების ერთ-ერთი კლასიკური შემთხვევის უტყუარი საბუთები: სინამდვილეში როგორი ფიზიონომიის იყო თვით დიმიტრი ალუღიშვილი და იგი ფიროსმანმა რანაირად აამეტყველა თავისი მხატვრულ-ფსიქოლოგიური ენით, ხოლო რამდენად საფუძვლიანად შეიძლებოდა მიჩნეულიყო **«რაღაც საზარელი»** პორტრეტით დამფრთხალი ყოფილი რკინიგზელის, ახალგამომცხვარი წვრილი მოვაჭრისა და მომავალი გენიოსი მხატვრის პირველი «სავაჭრო კომპანიონის» ძრწოლა და პრეტენზიები.

სამწუხაროდ, როგორც მოგონებებიდან ვგებულობთ, დიმიტრის ბავშვების შემშინებელი ის **«რაღაც საზარელი შესახედავი»** თავისი პორტრეტი ცეცხლისთვის მიუცია, ხოლო რაოდენ დასანანი და გასაკვირიც უნდა იყოს, თვით გიორგი ლეონიძესაც კი, ფიროსმანის ბიოგრაფიის ბევრი მკვლევარის მსგავსად, ვერ მოფიქრებია, დიდ მხატვართან დაახლოებული ერთ-ერთი

ყველაზე საინტერესო პიროვნებისა და მთელი მისი ოჯახის ფოტოსურათების მოპოვება და შთამომავლობისთვის შემონახვა.

დ. ალუღიშვილის იმ სვეგამწყრალი პორტრეტის მაგალითი დასანანია, მაგრამ არა გასაკვირი, ვინაიდან მსგავსი შემთხვევები ფერწერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არც პირველია და, ცხადია, არც უკანასკნელი იქნება. აი, თუგინდ ერთი მიმსგავსებული მაგალითი.

1889 წელს ბრეტანში (ნახევარკუნძული ჩრ. დასავლეთ საფრანგეთში, ქვეყნის ოცდაორიდან ერთ-ერთი დიდი ოლქი) დაბრუნებულმა ფერმწერმა **პოლ გოგენმა** (1848-1903) სოფელ პონტ-ავენში დახატა თავისი ევროპული პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტილო – ბრეტანულ სამოსში გამოწყობილი აქაური ახალგაზრდა ქალის, მარი-ანჟელიკ სატრის პორტრეტი **«მშვენიერი ანჟელა»**.

დიდი ფრანგი მხატვრის გარდაცვალებიდან 17 წლის შემდეგ, 1920 წელს ქალბატონმა ანჟელამ აღიარა: როცა გოგენმა დასრულებული ტილო უჩვენა, მისი პირველი რეაქცია იყო – **«რა საშინელებაა!»**

ეს ბრეტანელი ახალგაზრდა ქალი რაკი თავის ნატურალისტურ პორტრეტს ელოდა, ცხადია, ვერც ჩასწვდებოდა ხელოვნების შედევრულ ქმნილებას, თუმცა ეს გამორჩეული პორტრეტი გოგენის სამი უკანასკნელი წლის ფერწერული ევოლუციის წარმატებული შედეგი იყო. ამიტომ ვისაც მხატვრობის ინჩიბინჩი ესმის, ის უმალ მიხვდება, რომ გოგენი მოდელის სახის ფოტო-გრაფიულ გადმოღებას კი არ ეცდებოდა, არამედ მისი მიზანი სიმბოლისტურ-ფსიქოლოგიური ტილოს შექმნა იქნებოდა.

პ. გოგენთან დაკავშირებულ ამ შემთხვევაზე მსჯელობა მეტად მიმზიდველი და თავგასართობია, ვინაიდან პარიზში, ორსეს მუზეუმშია დაცული როგორც დიდი მხატვრის ფერწერული ტილო **«მშვენიერი ანჟელა»**, ისე მისი მოდელის, ქ-ნ ანჟელა სატრის ფოტოსურათიც! მაგრამ როგორ მოვიქცეთ ფიროსმანის უიღბლო ნახატის შემთხვევაში?

დიმიტრი ალუღიშვილის ის პორტრეტი, მისივე შეფასებით, ქ-ნ ანჟელა სატრისა არ იყოს, როგორი **«რაღაც საზარელიც»** უნდა ყოფილიყო, თავისთავად ცხადია, მაინც უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა, ვინაიდან ფიროსმანის ხელიდან ყოფილა გამოსული. მაგრამ ეს ზოგადად! ხოლო თუ მტანჯველი ცნობისმოყვარეობის მომგვრელი ამ შემთხვევისთვის კონკრეტული სახის წარმოდგენის მიცემას მოვისურვებთ, მაშინ ობობას ქსელით ჰაერში უმწეოდ მოფართხალეებს დავემსგავსებით, ვინაიდან სრულებით შეუძლებელია დაახლოებით მაინც ვივარაუდოთ, როგორი იქნებოდა დ. ალუღიშვილის ის პორტრეტი: მართლა **«რაღაც საზარელი შესახედავი»**, თავის კომპანიონთან შეხუმრებული დებიუტანტი მხატვრის დაუდევარი, თავგა-სართობი თუ წრეგადასული კარიკატურული ხუმრობა, სარკასტული ან უბოროტო მეგობრული შარჟი, გენიოსი პრიმიტივისტის მიერ მხატვრობაში საკუთარი შესაძლებლობების პირველი მოსინჯვის გაბედული, გაუბედავი, ალალბედური, წარმატებული თუ წარუმატებელი ცდა?!. ვინ იცის, იქნებ დ. ალუღიშვილი ცამდე ალალია, ის **«რაღაც საზარელი»** პორტრეტი მისი გარეგნობისა და ხასიათისთვის მართლაც სულ მთლად შეუფერებელი და ამდენად, მოსასპობი იყო?! ანდა პირიქით, ამ უკანასკნელს, როგორც გაუნათლებელსა და მით უმეტეს, სახვითი ხელოვნებიდან შორს მდგომს, ალბათ, ფერწერაც სინამდვილის ფოტოგრაფიულ ასახვად წარმოედგინა და ფიროსმანის იმ ნახატისგანაც სწორედ ამასვე მოითხოვდა! ხოლო მხატვრის ვულკანისებურმა გენიამ თავისი პირველი ამოფრქვევა-გამოსხივებისთანავე «სავაჭრო კომპანიონის» იქნებისეთი შედევრულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი შექმნა, როგორც, მაგალითად, 1890 წელს პარიზის მახლობლად, სოფელ ოვერ-სიერ-უაზში დასახლებულმა ჰოლანდიელმა ფერმწერმა და გრაფიკოსმა, **ვინსენტ ვან გოგმა** (1853-1890) თავისი მკურნალი

ფსიქიატრის, «**ექიმ პოლ გაშეს პორტრეტი**», რომელიც საუკუნის შემდეგ, 1990 წელს აუქციონზე 82 მილიონ ამერიკულ დოლარად გაიყიდა!!!

ღმერთთან სწორი სჯობს: ფიროსმანის იმ, დიდი ხნის წინ უკვე განადგურებული პორტრეტის ავკარგიანობაზე მეტად მე სულ სხვა რამის ინტერესი მტანჯავს – დ. ალუღიშვილმა ის თავისი **«რაღაც საზარელი»** პორტრეტი ფიროსმანის გარდაცვალების შემდეგ დაწვა თუ მის სიცოცხლეშივე და, რაც მთავარია, ეს თვით ფიროსმანსაც აცოდინეს თუ არა?! და თუ გაიგო, ამან მასზე რანაირი ზეგავლენა მოახდინა: თანამოსაქმის შეხედულება-საქციელმა უფრო გაუკაჟა პროფესიული თავდაჯერება თუ პირიქით – როგორც მომავალ მხატვარს და **მეტადრე კი როგორც პორტრეტისტს**, თავზარი დასცა და თვითრწმენა შეურყია?!

რისთვის დამჭირდა ამ ბოლო თავის ამხელა და ამგვარი შესავალი?

აი, რისთვის. მკვლევარების ფრთხილი ვარაუდი – ფიროსმანის ნახატებზე «დედა-შვილი», «მამა-შვილი» და «ბიჭი საგზლით» გამოსახული პატარა ბიჭუნები შეიძლება მხატვრის ავტოპორტრეტები იყოსო! – უცილობელ ჭეშმარიტებადაც რომ მიგვეჩნია, მაინც პირდაპირ უნდა ითქვას: ბუნებაში არ არსებობს ზრდასრული ფიროსმანის, როგორც მხატვრის, ნამდვილი ავტოპორტრეტი. არადა, გასაკვირია, თვითნაბადმა გენიალურმა მხატვარმა როგორ გაუძლო შემოქმედთა ამ ერთ-ერთ ყველაზე დაუძლეველ ცდუნებას?! მით უმეტეს, რომ ავტოპორტრეტის შექმნა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს (ფიდიასი) და წარმატებით გრძელდებოდა შუა საუკუნეებშიც (მაზაჩო, ბოტიჩელი, გირლანდაიო, დიურერი, ტიციანი, ვერონეზე, ელ გრეკო, მამუკა თავაქალაშვილი, რუბენსი, ველასკესი, რემბრანდტი, ფაბრიციუსი, ვან დეიკი, პუსენი და მრავალი სხვ.). აღარაფერს ვამბობ უშუალოდ ფიროსმანის წინამორბედ და მის თანამედროვე უცხოელ თუ ქართველ მხატვრებზე.

ავტოპორტრეტის შექმნის მაცდურ იდუმალებაზე, დაუძლეველ მიმზიდველობასა და ამოუწურავ შესაძლებლობებზე ღაღადებს თუგინდ ეს ერთი შეხედვით მშრალი, თუმც გასაკვირი სტატისტიკა: ფიროსმანის თანამედროვე ჰოლანდიელ ფერმწერს, ვან გოგს თავისი **ორმოცდაშვიდი (!)** ავტოპორტრეტი ჰქონია დახატული! ფიროსმანს კი ერთი ობოლი ავტოპორტრეტიც არ დაუტოვებია.

რატომ?

ამაზე რაიმე ნათელი, ჩამოყალიბებული ახსნა-განმარტება არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში მე პირადად ჯერ არსად შემხვედრია.

რაკი ბედისწერამ ლიტერატურას დამაკავშირა, სხვადასხვა ეპოქის რომელიმე სახელოვან შემოქმედზე უბრალო ადამიანებს, ვინ იცის, რამდენჯერ მოუმართავთ ჩემთვის ჯიქური კითხვებით: **რატომ** მოღვაწეობდა მეფის კარზე?.. **რატომ** წავიდა ან არ წავიდა ემიგრაციაში?.. **რატომ** დათანხმდა დუელზე?.. **რატომ** თქვა უარი ჰერცოგის მიწვევაზე?.. **რატომ** არ გაეყარა ასეთ ცოლს?.. **რატომ** გაიქცა თეატრიდან?.. **რატომ** არ გადავიდა სხვა ოპერაში?.. **რატომ** არ შეირთო ის მდიდარი ქალი?.. **რატომ** მიატოვა არქიეპისკოპოსის კაპელა?.. **რატომ** სხვა ჟურნალში არ დაიწყო თანამშრომლობა?.. **რატომ** ჩადგა პაპის სამსახურში?.. ძმას **რატომ** დაანება მთელი ქონება და არ იჩივლა?.. მეგობარს **რატომ** აპატია ღალატი და ამგვარი უთვალავი – **რატომ**?!

არ დავმალავ, ასე როყიოდ დასმული კითხვები მთრგუნავს ხოლმე, ვინაიდან მწველი ინტერესით აღგზნებული ადამიანები გამოდიან არა შემოქმედის საქმიანობის სასიცოცხლო ინტერესებიდან და მისი სულიერი სიფაქიზის ნიუანსებიდან, არამედ სწორხაზოვანი, პროვინციული ტლანქი პატივმოყვარეობის ეგოისტური დაკმაყოფილების ჯიუტი პოზიციიდან!!!

ხშირად მათ თავისით არ ესმით, ხოლო გინდ აუხსნათ, ბევრს ვერც მაშინ გაუგია, რომ რომელიმე სახელმოხვეჭილი შემოქმედი პირად ცხოვრებასა თუ სამოღვაწეო ასპარეზზე რაიმე

ნაბიჯის გადადგმა-გადაუდგმელობით თავის კეთილდღეობას, სიამოვნებას და პიროვნულ ამბიციებს ხშირად მხოლოდ იმისთვის იყენებს უარეს, ხან კი დამამცირებელ მდგომარეობაში, რომ სამაგიეროდ უფრო უკეთესი პირობები შეექმნას თავისი ცხოვრების ერთადერთ მიზანსა და მოწოდებას – ღვთისგან ბოძებული ნიჭის ბუნებრივ გაფურჩქვნა-განვითარებას!

დაინტერესებულთა წრეში ხშირად მოუმართავთ ამგვარივე მიამიტურ-გულუბრყვილო კითხვით.

– რატო ფიროსმანმაც არ დახატა ავტოპორტრეტი?

ამ საიდუმლოთი გატაცებულ მხატვრის თაყვანისმცემლებს მე ასე შევუტრიალებ კითხვას.

– კი მაგრამ, რისთვის უნდა დაეხატა? ძაღლუმადური ცხოვრებით ისედაც გატანჯულ მხატვარს საყოველთაო კილვა-დაცინვისა და უბედურების მეტს რას მოუტანდა თავისი ავტოპორტრეტი?

მკითხველს არ ეგონოს, ეს ჩემი ნათქვამი უცილობელ ჭეშმარიტებად მიმაჩნდეს. იგი მხოლოდ ვარაუდია, რომელთანაც ლოგიკურ მსჯელობას მივყავართ.

საერთოდ, როგორია ხოლმე მეტ-ნაკლებად განათლებულ, ცივილიზებულ საზოგადოებაში მცხოვრები მხატვრის მიერ შესრულებული ავტოპორტრეტის ბედი? მას რომელიმე სამხატვრო დაწესებულება, მეცენატი ან ფერწერისა თუ უშუალოდ ამ მხატვრის თაყვანისმცემელ-კოლექციონერი ყიდულობს. ზოგჯერ თვითონ მხატვარი თავის ავტოპორტრეტს უანგაროდ ჩუქნის ხოლმე რომელიმე საგამოფენო გალერეა-მუზეუმს ანდა ისეთ პიროვნებას, ვინც ამის ღირსად მიაჩნია. არადა, ეს ავტოპორტრეტი მხატვრის ბინაში ან მოწესრიგებული სახელმწიფოს რომელიმე საიმედო საცავში ხან ათწლეულობით უვნებლად ინახება და თავის დროს უცდის.

უსახლკარო, ულუკმაპურო, ეული ქუჩის მხატვრის, ფიროსმანისა და იმდროინდელი საქართველოს პირობებში?

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ დ. კაკაბაძის მიერ დახატული სავალალო სურათი.

> «ჩვენში არ იყო განვითარებული საკუთარი საზოგადოებრივი ცხოვრება და არც შესაფერისი კულტურული შეგნება არსებობდა... დღევანდელ ჩვენს მხატვრობაშიც არავითარი მხატვრული აზრი არ არსებობს, არც მხატვრული ცხოვრების ორგანიზაციული წესი. არც ქართულ საზოგადოებაში არსებობს მხატვრული შეგნება და ინტერესი».

ფიროსმანს დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, ამგვარ პირობებში რა აზრი ექნებოდა ავტოპორტრეტის შექმნას? რომელიმე დაწესებულებისთვის ეჩუქებინა? ჰმ! მაშინ ვის რად უნდოდა ვიღაც «მალარის» ავტოპორტრეტი ანდა სად უნდა მიეტანა, როცა მხოლოდ ფიროსმანის გარდაცვალების შემდეგ დაარსდა საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეა, საქართველოს სამხატვრო აკადემია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს მხატვართა კავშირი, საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა მსგავსი დაწესებულებები.

შეენახა? კი მაგრამ, სად, როგორ, ვისთან? უარარაო ფიროსმანმა ხომ 45 წელი (!!!) იცხოვრა თბილისში, მაგრამ ისე გამოესალმა წუთისოფელს, თავისი საკუთარი, ნაბდისოდენა კუთხე-კუნჭულიც არ ღირსებია? ის უჭერო, უოჯახო, ბინამოუკიდებელი, ჭარგაწყვეტილი ბოგანო ქუჩის მხატვარი იყო, სირაჯ-მიკიტნები ლუკმაპურის ფასად თავ-თავიანთ შეკვეთებს სამადლოდ რომ ასრულებინებდნენ! ფიროსმანს თავისუფლად შეეძლო, თხოვდნენ და ავალდებულებდნენ კიდეც დაეხატა «ძლიერნი ამა ქვეყნისანი»: მაგალითად, ბეგო იაქიევი, სირაჯი სარქისა, სადილობაზე სამი ვედრო ღვინის დამლევი თავადი, ილია ზდანევიჩი, მეარღნე დათიკო ზემელი, გულბაათ ჭავჭავაძე... თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, გიორგი საკაძე, ერეკლე

მეორე, შამილი, თავადი ბარიატინსკი, ვიღაც შეთე, რკინიგზელი მიშა მეტეხელი, ალექსანდრე გარანოვი, აქტრისა მარგარიტა, კალანდაძეები, გვიმრაძეები, ილია კუპრიანაშვილი, ივანე კეკვაძე, ვასო გეგეჭკორი, ხრაპოვიცკი, იოსებ კეკვაძე, სონა გურაშვილი და სხვანი და სხვანი, მაგრამ საკუთარი ავტოპორტრეტი, მხატვარ ნიკო ფიროსმანაშვილის ავტოპორტრეტი?! ეს ხომ მეტისმეტი იქნებოდა!.. ამას ვინ გაუგებდა ანდა რომელი მიკიტანი იყიდდა, ვის რაში უნდა გამოეყენებინა მისი ავტოპორტრეტი, როცა თვითონ ცოცხალი «მალარი» ნიკალა სულ თვალწინ ჰყავდათ!!! გაგონილა მეტი სასაცილოობა?! თუმცა არა, არა, არა – რომელიმე მიკიტანს რაღაც შაურის საფასურად შეიძლება შეეძინა კიდეც და თავის დუქანში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას ჩამოეკიდა, მაგრამ გააჩნია, რა მიზნითა და მოსაზრებით!

სირაჯ სარგის სოზაშვილის გადმოცემით, თავმოყვარე ფიროსმანს გამკილავი მედუქნეები დაცინვით «გრაფს» ეძახდნენო. თურმე სწყინდათ, ღარიბი და მშიერი სხვა ქუჩის მხატვრებივით ლუკმაპურისთვის ფეხქვეშ რომ არავის ეგებოდა და თავი ღირსებით ეჭირაო.

ხედავთ?! კი მაგრამ, ფიროსმანის ამგვარ ბუნებრივ საქციელში რა არის გასაკვირი, გასაკილავი ან დასაცინი?! მაგრამ რას იზამ, ასეთია ბრბოს ბუნება და ფსიქიკა – სხვას ვერ პატიობენ იმ პაწია ღირსებასაც კი, რაც თვითონ არ აბადიათ!

ჰოდა, როგორ ფიქრობთ, ფიროსმანის ავტოპორტრეტს გაუშვებდნენ გაუმასხარავებელს?!

ახლა ერთი ესეც ვიკითხოთ: რისთვის ხატავენ ხოლმე, ზოგადად რა მოთხოვნილებებს უნდა პასუხობდეს ავტოპორტრეტი?

ჩვეულებისამებრ, სარკის მეშვეობით ავტოპორტრეტის შესრულებისას ფერმწერი თავისი მხატვრული შესაძლებლობისა და ფანტაზიის ფარგლებში ცდილობს სრულყოფილად გადმოსცეს საკუთარი პიროვნების, შემოქმედებითი პრინციპების, მსოფლმხედველობისა და თანმდევი განცდა-ვნებების დახასიათება.

დღეს ვის შეუძლია განჭვრიტოს, როგორი შეიძლება ყოფილიყო ცასა და ქვეყნის შუა არაფრის მქონე, უსავანო ფიროსმანის უნიკალური გენიითა და ქიზიყური პირდაპირობით შექმნილ ავტოპორტრეტში გახსნილი მისი მორალური სახე, განცდები და ვნებები? ან ვინ დაიჯერებს, იმ სირაჯ-მიკიტნებსა და მათ ერთფეროვან კლიენტურას დიმიტრი ალუღიშვილზე მეტი მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება ექნებოდა, ხოლო გენიოსი მხატვრის **წინდაუხედაობით** მათ ხელში ჩავარდნილი ავტოპორტრეტი დ. ალუღიშვილის პორტრეტზე გაცილებით **«რაღაც საზარელი შესახედავი»** ანდა უფრო უარესი და თავმოსაჭრელი – **დასაცინ-სახარხარო, თითით საჩვენებელი და სამუდამოდ ყბადასაღები არ მოეჩვენებოდათ?!**

მერედა, ამას როგორ დაუშვებდა გულქვა, უმეცარი საზოგადოებისგან ჯერ ისედაც ათასგვარ სატანჯველს წვნეული ჯვარცმული ფიროსმანი? მხატვარი, სიცოცხლე ჩაშხამებული რომ ჰქონდა შემოქმედებით პროცესში უვიც შემკვეთ-მაყურებელთა ხეპრული ჩარევისგან და როცა ამის საჭიროება წამოიჭრებოდა, ი. ზდანევიჩს დაურიდებლად შესჩიოდა ხოლმე თავისი გარემოცვის მხატვრული გემოვნების აღმაშფოთებელ უქონლობაზე!!!

ამგვარი მსჯელობა ვინმეს უსაფუძვლო ან გაზვიადებული ნუ მოეჩვენება.

ფიროსმანი, როგორც თვითნაბადი პრიმიტივისტი დიდი მხატვარი, 1912 წლის ზაფხულს, პეტერბურგიდან თბილისში, თავიანთ მშობლებთან ჩამოსულმა ძმებმა – კირილე და ილია ზდანევიჩებმა და მათ მიერ ჩამოყვანილმა სტუმარმა, მხატვარმა მიხეილ ლე-დანტიუმ აღმოაჩინეს. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ მომდევნო, 1913 წელს მოსკოვში გამართულ მხატვართა გამოფენაზე ნიკო ფიროსმანაშვილის 4 ნამუშევარიც მოხვდა.

იმ წლებში თბილისის ქართულ და რუსულენოვან პრესაში თვითნაბად მხატვარზე მეტად თბილ-თბილი სტატიები გამოქვეყნდა.

1916 წელს საზღვარგარეთიდან თბილისში დაბრუნებულმა ფერმწერმა **დიმიტრი შევარდნაძემ** (1885-1937) ქართველ მხატვართა საზოგადოება დაარსა, რომელმაც იმავე წლის 15 მაისს გამართულ კრებაზე დაადგინა ფიროსმანაშვილის ნახატების მოძიება-შეკრება და ბოგანო მხატვრის პოვნა და პატრონობა. 24 მაისს ამავე საზოგადოების კრებაზე მიწვეულ ფიროსმანს მომმე მხატვრები გულთბილად დახვედრიან. რამდენიმე მათგანს სახელდახელოდ მისი პორტრეტიც ჩაუხატავს.

დასასრულ, განთქმულ ფოტოგრაფ ედუარდ კლარის ატელიეში წაუყვანიათ და სამახსოვრო ფოტოსურათი გადაუღებინებიათ.

ამ შეხვედრაზე მხატვართა საზოგადოების მიერ დახმარების მიზნით ბოძებული ერთი თუმნით ფიროსმანს ფუნჯ-საღებავები შეუძენია და მათთვის დიდი ზომის (99 X 169 სმ.) სურათი **«უწინდელი საქართველოს ქორწილი»** დაუხატავს. ამას სასწაულის მსგავსი რამ მოჰყოლია: ნახატის რეპროდუქცია და მხატვრის ფოტოსურათი საამაყო წარწერით **«სახალხო მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი»** გაზეთ **«სახალხო ფურცლის»** დამატებაში გამოუქვეყნებიათ!

ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი – გატყდა ყინული!.. ობლის კვერიც გამოცხვა!.. სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა!.. სამართალმაც დაიწყო პურის ჭამა!.. იქნებ მზეგადახრილმა საწყალმა ნიკალამაც დააღწიოს თავი ბნელი, უსულგულო საზოგადოების ყრუმუნჯობას, ულუკმაპურობას, უსახლკარობას!..

იმედის ნაჩინჩხალი დაჩაგრული ფიროსმანის გულშიც გაკრთა, მაგრამ...

მაგრამ აქედან ერთ თვესაც არ გაევლო, რომ ცამოწმენდილზე, იმავე გაზეთმა 1916 წლის 10 ივლისის ნომერში ვერაგული, შორს გამიზნული ფიროსმანის კარიკატურა გამოაქვეყნა.

თან კარიკატურაც არის და კარიკატურაც!!!

ვეებერთელაპალიტრიანი, ფეხშიშველი და წეროსწვივება, ჩაფართხუნებული, წვერცამეტა, შეშლილივით თავაღებული უქუდო მოხუცი მხატვარი ცალფეხა მოლბერტთან უხერხოდ, სრულიად არაპროფესიულად ჰყუდია და ის-ის არის უკვე ამთავრებს თავისი ბეხრეკი **«ჟირაფის»** ხატვას.

მხატვარ-საფრთხობელას უკან მდგარი შავბაბთიანი ინტელიგენტ-პეიტარი ჭკუის კოლოფი კი ჯერ ამოუცნობ გენიოსს ცინიკური ქირქილით მოძღვრავს: უნდა ისწავლო, ძმობილო!.. შენს ასაკში მყოფს კიდევ ბევრის შექმნა შეუძლია... ორფიულის...[10] ერთი ოციოდე წლის შემდეგ შენგან კარგი მხატვარი დადგება... აი, მაშინ კი გაგაგზავნით ახალგაზრდების გამოფენაზეო.

ეს უკვე ზურგში მახვილის ჩაცემას და ფიროსმანის ადრე და მალე დასამარების მხეცური წყურვილის საქვეყნოდ მოურიდებელ გამჟღავნებას ნიშნავდა! თავის მხატვრულ სამყაროსა და მოუშორებელ სიდუხჭირეში ჩაძირული უეშმაკო, ალალბედა მირზაანელი კი ხეირიანად იმასაც ვერ ხვდებოდა, ასე რატომ მოექცნენ?! ოღონდ ხიდჩატეხილობა კი იმავწამიერად იგუმანა და თავის სიცოცხლეში მხატვართა საზოგადოებას სათოფეზეც აღარ წაჰკარებია!..

ახლა განვსაჯოთ: ამნაირ სისხლმოწყურებულ მოშუღრებს ხელთ ფიროსმანის ავტოპორტრეტი რომ ჰქონოდათ, ვინ იცის, როგორ გაამასხარავებდნენ და რანაირ დამამცირებელ ტექსტს შეუთითხნიდნენ?!.. ჰოდა, ფიროსმანს ძალიანაც რომ სდომებოდა ავტოპორტრეტის შექმნა, ჯერ საერთოდ, იმ ბნელ საზოგადოებაში და, მით უმეტეს, ამგვარი უადამიანო კარიკატურის შემდეგ რა გულითა და რის იმედით უნდა შესდგომოდა მის ხატვას?!

არადა, თავისებური ბედ-იღბლის მხატვრისთვის, ალბათ, რა მტანჯველი იქნებოდა ავტოპორტრეტის შექმნის ბუნებრივი ცდუნება და ამის მოუკლავი წყურვილი! მით უმეტეს,

---

[10] **ორფიზმი** (ფრანგ.) _ მიმდინარეობა ფრანგულ ფერწერაში 1910-იან წლებში. ორფიზმი მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია კუბიზმთან, აგრეთვე ახლოსაა ფუტურიზმთან და ექსპრესიონიზმთან.

უამრავი ნაცნობი ჰყავდა დახატული და როგორ შეიძლებოდა თავისთავად არ გასჩენოდა გულის ამაჩქროლებელი პროფესიულ-ადამიანური სურვილი – თავისი პორტრეტიც შეექმნა, მუშამბაზე ერთი როგორი გამოუვიდოდა საკუთარი სახე და განცდები! თუმცა რას ვერჩი – კაცია და გუნება: თავისი ყოველდღიური საფიქრალ-საზრუნავით გარინდებულს, შეიძლება სულაც არასოდეს უგრძვნია ავტოპორტრეტის შექმნის შემოქმედებითი მოთხოვნილება, მისწრაფება, აუცილებლობა, გამართლება, მისი სამომავლო მნიშვნელობა... ჰოდა, მორჩა და გათავდა! მსოფლიო ფერწერის ისტორიამ რამდენი სახელგანთქმული მხატვარი იცის, ვისაც თავისი ავტო-პორტრეტი არ დაუტოვებია – ბოლოს და ბოლოს, ეს ბიუროკრატიული ვალდებულება ხომ არ არის?!.. თუმც ახლა როგორღა დავადგენთ, სერიოზულად თუ თავგასართობად შეიძლება ფიროსმანმა დახატა კიდეც, მაგრამ მერე ისევ თვითონვე გაანადგურა ამ ორიდან ერთ-ერთის ანდა ორივე მიზეზის გამო: ამგვარი გულახდილი ავტოპორტრეტით უმეცარ მოძმეთა სამუდამო თავსაცილი არ მოემკო ანდა მისი უნიკალური ფანტაზია და პროფესიული მოთხოვნილება ვერ დააკმაყოფილა მუშამბაზე ასახულმა თვითგამოხატვის დონემ!

«ნუთუ რაიმე მხატვრული ხერხი და საშუალება მართლა ვერ გამონახა, თავისი პირდაპირი ვნებები და განცდები მოურიდებლად რომ გადმოეფრქვია?!» – ეს წლების მანძილზე მაწვალებდა, მაგრამ რაკი ვერანაირ ახსნასა და პასუხს ვერ ვპოულობდი, კითხვაც თავისთავად ღიად რჩებოდა...

2003 წლის 4 ოქტომბრიდან ჩვენს სანათესაოში ჯაჭვური რეაქციისებური სიკვდილიანობა დაიწყო. ჩემი მეუღლის უმცროს დას, მანანას, 23 წლის ვაჟიშვილი, ოთარი სარკომათი გარ-დაეცვალა. მამამ, 52 წლის აკაკი ქილიფთარმა ეს ვერ გადაიტანა და ორიოდე წელიწადში ახლა ის გამოგვეცალა ხელიდან. ამას ვეღარც 89 წლის თიანეთელმა პაპამ, «ბერმუხად» წოდებულმა რევაზმა გაუძლო და რამდენიმე თვეში წუთისოფელს უდრტვინველად გამოეთხოვა. უსაშველო დარდ-ნაღველმა 2007 წელს მანანაც მოიდნო – ისიც ოზურგეთის რაიონის სოფელ ცხემლისხიდში, თავისი ქმარ-შვილის გვერდით დავკრძალეთ...

ოჯახში ხანგრძლივი, მდუმარე გლოვა-მწუხარება ჩაგვისახლდა. მეტისმეტად მძიმე დღეები მედგა. დარდის გასამკლავებლად მოთხოვნილებად მექცა «Аврора»-ს მიერ გამოცემული ფიროსმანის ტანმძიმე ალბომის ხშირ-ხშირი თვალიერება. იმხანად ალბომს კარადაში აღარც კი ვაბრუნებდი ხოლმე – ხან პირდაპირ მაგიდაზე გულაღმა გადაშლილს ვტოვებდი.

განსაკუთრებით მამშვიდებდა თვით ფიროსმანის დიდი ფოტოსურათი. სევდა-კაეშნის მოწოლისას მას აღვიქვამდი არა როგორც გენიოს მხატვრად, არამედ როგორც გედიქის ხევგაღმა მცხოვრებ ქიზიყელ უფროს გლეხკაცად, რომლის საოცრად თბილი, ჭკვიანი თვალები და მზერა მანუგეშებდა, ამაოებათა ამაოების საიდუმლოს მიხსნიდა, მოთმინებას მასწავლიდა...

2008 წლის აპრილის ერთ საღამო ხანს, სამზარეულოში, თავის ამოჩემებულ კუთხეში დანთებულ სანთლებთან უხმოდ მოქვითინე მეუღლის დანახვით სევდაშემოყრილი, ისევ ოთახში შევბრუნდი, მაგიდას ჩემთვის მივუჯექი, ალბომი გადავფურცლე და ფიროსმანის ფოტოსურათს ჩავაჩერდი. მაგრამ ამჯერად ვერ ვეღირსე იმ ძველებურ, ჩვეულ სიმშვიდეს – დამძიმებულმა გულმა ურჩად გამწია გარეთ. ფიროსმანის ფოტოსურათზე გადაშლილი ალბომი მაგიდაზე ასევე დავტოვე, მეუღლეს შევეძრახე და გზის გადაღმა, დიღმის მასივის ტყე-პარკს მივაშურე, მაგრამ ამაოდ – ყოველი კუთხე-კუნჭულიდან ნაზამთრევი, ბუნებაში თათარიახნად ქეიფს დანატრებულთა თავდაუჭერელი ტიტყინი და ხათხათ-ყავყავი მოისმოდა! აღარ ვიცოდი, რა მექნა და სად გადავკარგულიყავი! მუხნარში ცოტა ხანს კი ვიჩერჩეტე, მაგრამ ისევ ფიროსმანის მშვიდი, აზრჩატანებული თვალების ცქერა მომეწყურა! მაშინვე შინ დავბრუნდი. შუქანთებულ, საკმლისსუნიან სამზარეულოში მეუღლე თავისთვის რაღაცას საქმიანობდა. მე ბინდდაკრულ

ოთახში შევედი, მაგრამ შუქი არც ამინთია: ისევ გადაშლილ ალბომს დავაცქერდი და მოუ-ლოდნელობისგან შევცბი – ფიროსმანის ყოველთვის მშვიდი, ჭკვიანი თვალები ახლა რისხვით შემომცქეროდნენ!!!

შიშისაგან მუხლი მომეჭრა – მოჩვენებები ხომ არ დამეწყო, როდის იყო, ფიროსმანი თვალებს ასეთი რისხვით მაკვესებდა-მეთქი?!

ათიოდე წამით დავთრებარეული ვიდექი. მერე შუქი ავინთე, ალბომს კარგად დავაცქერდი და მალე ყველაფერი ჟრუანტლისმომგვრელად გაირკვა.

ჩემი ტყე-პარკში წასვლის შემდეგ ალბომი მარტო დარჩენილ მეუღლესაც გადაეფურცლ-გადმოეფურცლა და სრულებით შემთხვევით ფიროსმანის «მეეზოვეზე» გადაშლილი დარჩენოდა! ჰოდა, როგორც მე მოველოდი და მეგონა, ოთახის ბინდბუნდში ფიროსმანის კი არა, თურმე დეტალის სახით მთლიან გვერდზე გამოტანილ ფიროსმანის ფოტოსურათისოდენა «მეეზოვის» სახეზე მკვესავ თვალებს დავცქეროდი!

ელვისებური თვალახელის, თავისებური აღმოჩენისა და ვარაუდის კასკადმა კანკალი მომკიდა: ვინ მეეზოვე, რომელი მეეზოვე – მეეზოვის ნომრიან ქუდსა და ძველმანებს მისნურად შერწყმულ-შეფარებული დიდი მხატვრის ავტოპორტრეტი დავლანდე!!!

ქუდების სამკერვალო სახელოსნოს ნორჩი შეგირდის, ვასო ჩაჩანიძის გადმოცემით, ფიროსმანს «მეეზოვე» 1914 წლის ზაფხულში დაუხატავს.

> «აი, ყველასათვის ცნობილი წვერებაბურძგნული, თეფშის ტოლა მედალჩამოკიდებული «დვორნიკი». ეს ხომ მირზოევის ქარვასლის მეეზოვე, იეზიდი რაშიდ ალმოევია!»

აქ პატარა წინააღმდეგობა-გაუგებრობას ვაწყდებით. ვ. ჩაჩანიძის ნაამბობში ფიროსმანის მიერ დახატულ სხვა რომელიმე **«მედალჩამოკიდებულ»** მეეზოვეზეა ლაპარაკი თუ აქ დასა-ხელებული «დვორნიკი» და ფიროსმანის ალბომებში შეტანილი ცნობილი ნახატი **«მეეზოვე»** ერთი და იგივეა, ხოლო მთხრობელს სახელწოდებები აერია ერთმანეთში და მეეზოვის ქუდზე მიმაგრებული თუნუქის ნომრიანი ჟეტონი **«თეფშის ტოლა»** ჩამოკიდებულ მედლად მოეჩვენა?!

არ არის გამორიცხული, როგორც ვ. ჩაჩანიძე ირწმუნება, ფიროსმანს თავისი **«მეეზოვის»** პროტოტიპად მართლაც ქარვასლის მეეზოვე ჰყავდეს გამოყვანილი. არც ის არის გასაკვირი, მხატვრის თანამედროვეებს «მეეზოვის» სახეში სულ სხვადასხვა რეალური პიროვნებებიც ამოეცნოთ. მაგრამ ერთი კარგად დააკვირდით 1916 წელს ფოტოგრაფ ე. კლართან გადაღებულ ფიროსმანის ფოტოსურათს და მერე შეუდარეთ მხატვრის მიერ ორი წლით ადრე, 1914 წელს შექმნილ «მეეზოვეს»: ამ «მეეზოვის» თვალები და წვერ-ულვაში ხომ მხატვრულად განცდილი და სტილიზებული ნიკო ფიროსმანაშვილის თვალები და წვერ-ულვაშია! ოღონდ თითქოს იმ ზომამდე, ეს ადვილად საცნაური არ ყოფილიყო, მაგრამ არც ისეთი განსხვავებით, რომ ამას ვერავინ ვერასოდეს ვერ მიმხვდარიყო.

ასეთ შემთხვევაში თავისთავად იბადება ერთსა და იმავე დროს ბუნებრივიცა და თან გულუბრყვილო კითხვაც: კი მაგრამ, თუკი ავტოპორტრეტის შექმნა სურდა, ამდგარიყო და ზუსტად საკუთარი თავი გადაეხატა – რისთვის უნდა ამოფარებოდა ვიღაცას და მით უმეტეს, ქუჩის მენაგვეს?

პასუხი, ალბათ, მხატვრის ხასიათ-შეხედულებაში, საერთოდ, ავტოპორტრეტის შექმნის თავისებურებასა და იმდროინდელი საზოგადოების მხატვრულ გემოვნებაში უნდა ვეძებოთ.

ჩემი ვარაუდით, ფიროსმანს ასე ზევსისებურად რისხვამორეული ავტოპორტრეტი რომ გამოემზეურებინა, ეს იმჟამინდელი საზოგადოებისთვის არამცთუ სასაცილო და საქილიკო,

არამედ სრულიად გაუგებარი და მიუღებელიც იქნებოდა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ფიროსმანს სჭირდებოდა ისეთი ხელობის კაცი, საიმედო «ორეული», ვისაც ამ თავის მოურიდებელ განცდებს, საზოგადოებისადმი მიმართულ უკომპრომისო პროტესტს მის პიროვნებასა და პროფესიას – ვიმეორებ, მის **პიროვნებასა** და **პროფესიას**! – ბუნებრივად შეახამებდა და როგორც შემოქმედს, ერთგვარ სულიერ სიმშვიდეს აღირსებდა.

ამბობენ, «მონა ლიზა» **ლეონარდო და ვინჩის** (1452-1519) თავისებური ავტოპორტრეტიაო. რაკი ამას ხელოვნებათმცოდნეები ამტკიცებენ, ალბათ, მართალია, ოღონდ გასაკვირია: მამაკაცმა მხატვარმა რაღა მანდილოსნის პორტრეტს შეაფარა თავი, ნუთუ უფრო «ვაჟკაცური» გზა და საშუალება ვერ გამოძებნა? მაგრამ ჩვენ ვინ გვეკითხება?! ვის შეუძლია ჩასწვდეს ხუთი საუკუნის წინ მცხოვრები გენიოსის შემოქმედებით თუ ადამიანურ წარმოდგენებსა და მოსაზრებებს? ანდა მხატვრის ამნაირ გადაწყვეტილებას რანაირი კონკრეტული შემთხვევები და მოვლენები დაედო საფუძვლად?!

იქნებ მხატვრულ ლიტერატურაშიც გადაგვეხედა?!

ოთარაანთ ქვრივი – ეს თვითონ **ილია ჭავჭავაძეაო**! ხოლო **გუსტავ ფლობერს** (1821-1880) ძალიან ჰყვარებია ამაყი განაცხადი **«მადამ ბოვარი – ეს თვითონ მე ვარ!»**

ვინ იცის, იქნებ ფიროსმანიც გულში ამბობდა, ვინმეს ჩამოუარაკა კიდეც ანდა რომ დასცლოდა და საამისო დრო მომწიფებულიყო, შეიძლება მასაც ამაყად განეცხადებინა **«მეეზოვე» – ეს თვითონ მე ვარ!»**

ამგვარი ვარაუდი ჩემდა უნებურად თანდათან რწმენად მექცა და აქ ფიროსმანს მართლაც მხოლოდ მეეზოვის დახატვა რომ ჰქონოდა უზურში და მეტი არაფერი, მე მაინც ასე მწამს: ხატვისას ფიროსმანის ფუნჯიან ხელზე შეუმჩნევლად ღმერთსაც ევლო ხელი და მეეზოვის საფარველქვეშ თავის უკვდავ ავტოპორტრეტს ისე ახატვინებდა, რომ შთაგონებით შთანთქმული შემოქმედი თვითონ აზრზეც არ იქნებოდა!

ვგუმანობ, მოსალოდნელი ოპონენტები წელანდელ კითხვას გამიხელახლებენ.

– კი მაგრამ, ეს გენიოსი შემოქმედი რაღა მაინცდამაინც ქუჩის მენაგვის ხატს შეეკედლა?

ჯერ ერთი, ჩვენ არ ვიცით, ფიროსმანი გრძნობდა თუ არა თავის გენიალურობას. მაგრამ მოვეშვათ ამაზე მსჯელობას, ვინაიდან ამ შემთხვევაში აქ ეს არ არის მთავარი. კეთილი და პატიოსანი! ნებისმიერ ოპონენტს ანდა რიგით მკითხველს ვთხოვ გაისიგრძეგანოს ფიროსმანის ბიოგრაფია, ბუნება, გენია, ბედ-იღბალი, ხასიათი, საქმიანობა, ხვედრი და დამისახელონ – მეეზოვეზე უფრო ბუნებრივად რომელი ხელობა-საქმიანობის კაცს შეიძლებოდა შერწყმოდა და შეზრდოდა ტანჯული მხატვრის ავტოპორტრეტი?!

ვინმეს შეუძლია წარმოიდგინოს, მაგალითად, ფიროსმანი – მიკიტანი, ფიროსმანი – სირაჯი, ფიროსმანი – ყარაჩოხელი, ფიროსმანი – პოლიციელი, ფიროსმანი – მეარღნე, ფიროსმანი – კინტო, ფიროსმანი – მედუდუკე, ფიროსმანი – მეფაეტონე, ფიროსმანი – მებორნე, ფიროსმანი – შველ-ირმებზე მონადირე, მაპატიეთ და, ფიროსმანი – ყაჩაღი ან ცხენის ქურდი, ფიროსმანი – მაყარი, ფიროსმანი – ქორწილში მოცეკვავე, ფიროსმანი – რუსეთ-იაპონიის ომის მეზღვაური, ფიროსმანი – რქებდაგრეხილი მოჭიდავე ყოჩის პატრონი, ფიროსმანი – სახედრით მიმავალი მკურნალი, შარვლის ტოტებაკარწახებული ფიროსმანი – საწნახელში ყურძნის მწურავი, ფიროსმანი – უშვილო მილიონერი, ფიროსმანი – ბანკირი, ფიროსმანი – ზარაფი, ფიროსმანი – ქალაქისთავი, ფიროსმანი – ყასაბი, ფიროსმანი – ტივზე მოქეიფე... არა და არა!

ჩემი აზრით, დიდი მხატვრის ყალმით შექმნილ უამრავ პერსონაჟთაგან ფიროსმანის ბედ-იღბლისთანა შემოქმედის ავტოპორტრეტის ერთადერთი ყველაზე ზედგამოჭრილი და საიმედო თავშესაფარი შეიძლება გამხდარიყო (ნებსით თუ უნებლიეთ აკი გახდა კიდეც!) მხოლოდ და მხოლოდ მეეზოვე!!!

რატომ მაინცდამაინც მეეზოვე?

იმიტომ რომ, ამქვეყნად – მით უმეტეს საქართველოს პირობებში! – ალბათ, არ მოიძებნება მეორე სხვა რომელიმე საქმიანობის კაცი, უსულგულო საზოგადოების მხრიდან ასეთ აშკარად გამოხატულ და თანაც დაუსჯელ მასშტაბურ უმადურობას რომ იმკიდეს! ახლა გინდ ფიროსმანის ეპოქა წარმოიდგინეთ, გინდ დღევანდელობას დააკვირდით – მაინც ერთმანეთის მსგავსი სურათი წარმოგვიდგება: ყოველ რიჟრაჟზე წამომდგარი, ძილგამკრთალი მეეზოვე წელში წყდება და ნაგვითმოფენილ გარემო-სამყოფელს პატიოსნად გვისუფთავებს, შეუგრძნობელ საზოგადოებას კი ჩალადაც არ უღირს პიროფლიანი, წელში წაკაკული მეეზოვის ჯაფა და ათასგვარ ნაგავს მალულად თუ ცხადად ყოველდღიურად მაინც იქა ყრიან, სადაც მისი დაყრა არ შეიძლება! ხშირად კი სხვადასხვა სართულის სარკმელ-აივნებიდან ქურდულად გადმოტყორცნილ ნაგავსა თუ ნაგვის პარკებს საწყალ მეეზოვეს პირდაპირ ზედ აყრიან!

ყოველდღე აი, ასე ერთი და იგივე მეორდება და ჯვარცმული მეეზოვის დაუფასებელი წვალება სიზიფის შრომად არის გადაქცეული!

და, აჰა: ნახატიდან საზოგადოების უსაქციელობა-უმადურობით ილაჯგაწყვეტილი, მოთმინების ფიალაავსებული და გარინდებულ-განრისხებული მეეზოვე ნიკო ფიროსმანაშვილი მოგვშტერებია!

დიახ, ფიროსმანიც ნამდვილი მეეზოვე იყო, ოღონდ არა თბილისის მოედნებისა და ქუჩა-ჩიხების, არამედ ჩვენი ზნეობისა და სინდის-ნამუსის ლაბირინთების მეეზოვე, რომელსაც უმადურად ექცეოდნენ როგორც სიცოცხლეში, ისე დღესაც.

ნურავის ნურც გააკვირვებს, ნურც განარისხებს ჩემი ამგვარი მსჯელობა.

ვიცი, მეც მესმის, ფიროსმანი რომ ცამდე ავწიეთ და გენიოსად გამოვაცხადეთ, მაგრამ რაც უფრო მთავარია, ტანჯულ ერისკაცს ანდერძს არ ვუსრულებთ!

რა არის ფიროსმანის შემოქმედებითი მემკვიდრეობის კრედო, ანდერძი და იდეალები?

უმაღლესი ჰუმანიზმი, სამშობლოსადმი თავდადება, ურთიერთსიყვარული და მიმტევებლობა, პიროვნული სიწმინდე და პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, სიკეთისადმი ერთგულება, სამართლიანობა, ერთსულოვნება, უმწეოთა და ქვრივ-ობოლთა მფარველობა, შურგა-უკარებლობა, მცირედით დაკმაყოფილება...

ჩვენ? ჩვენ კი სადამდე მივიყვანეთ სამშობლო ან რა დღეშია საზოგადოებრივი და პიროვნული ურთიერთობები?!.. ეს არის ფიროსმანის შემოქმედების თაყვანისცემა და მისი იდეალებისადმი ერთგულება?!

სამწუხაროდ, ფიროსმანის მსოფლიო სახელგანთქმულობა ბევრისთვის შინ და გარეთ პროვინციული ტრაბახისა და უცხოეთში ხშირ-ხშირად გასეირნება-მოგზაურობის საშუალებაა, ხოლო მისი შედევრული ნახატების დიდი ნაწილი – ქეიფ-ღრეობების უებარი სტიმულატორი...

მიუხედავად იმისა, კატალოგებიდან კარგად ვიცი, 1914 წელს შექმნილი «მეეზოვის» შემდეგ ფიროსმანს კიდევ სხვა სურათებიც აქვს დახატული, «მეეზოვე» ანუ ჩემი ვარაუდით, მხატვრის ავტოპორტრეტი მაინც ისე მნუსხავს, რომ იგი ფიროსმანის გედის სიმღერად წარმომიდგება!

გენიოს შემოქმედს თითქოს ამ თავისი «ბოლო» ნახატის დამთავრებისთანავე დალევია საღებავები... გასთავებია მუშამბა... გასცვეთია ფუნჯი... ჩაბჟუტვია სიცოცხლეც! სასიკვდილო აგონიაში მყოფი ბნელი სარდაფ-ჯურღმულიდან ტანჯვა-წვალებით მაინც გამოფორთხებულა და შთამომავლობისთვის ეს ნახატ-გამოცანაც დაუზიანებლად გამოუტანია, მერე თვითონ კი თვალსა და ხელს შუა სამყაროს იქით, ავად მტოკავ ქაოსებს მიღმა გაუჩინარებულა!

დახედეთ ნახატს: მარადისობის გზაზე შემდგარი ფიროსმანი-მეეზოვე მაინც ვერ შელევია გაცვეთილი ფუნჯის ტიტველა ტარს და ეგერ, როგორც ზღვის ღმერთს, პოსეიდონს თავისი განუყრელი სამკბილა, მხატვარსაც ისეთივე თავმოწონებით მოუმარჯვებია!

საყვარელი ფუნჯი, ცრემლის მომგვრელი ჯადოსნური ფუნჯი, რომლის მსგავსი, ალბათ, არ იცის ფერწერის ისტორიამ!

«ფუნჯიო?! ეგ რანაირი ფუნჯია, – გაუკვირდებათ, – ეს ხომ მენაგვის რაღაც კეტი თუ ცოცხის ტარია?!»

ჰმ! ფიროსმანის მოულელელ მარჯვენასა და ჩანაფიქრს რას გაუძლებდა ხარისხოვან ევროპულ ტილოზე ფაქიზად მოსრიალ-მონარნარე ნაზი ფუნჯები – ის ხომ ხშირად თავისივე ფეხით ერთმანეთში შესრესილი კირითა და ჭვარტლით ხატავდა უხეშ თუნუქზე, ხეშეშ მუშამბაზე, დაშაშრულ მუყაოზე, ფოლადივით მოწკრიალე ქართული აგურით ნაშენებ თბილისის დუქან-სარდაფთა ოღროჩოღრო კედლებზე! ამიტომ გეჩვენებათ, რომ ტრადიციული სათუთი ფუნჯის ნაცვლად ფიროსმანსაც შოროქნის ვეებერთელა გამძლე ცოცხი ეჭირა და სწორედ იმით ქმნიდა თავის განუმეორებელ მხატვრულ სამყაროს!

«მეეზოვე» ფიროსმანის შემოქმედების ერთ-ერთი უპირველესი მწვერვალთაგანია. ამ სურათს რომ დავცქერი, ზოგჯერ მეჩვენება: თავის დიდოსტატობაში დარწმუნებული ხელოვანი ამ შედევრს თითქოს თვალხუჭელა ხატავდა!

ფერების რაოდენობა აშკარად მინიმალურია, მაგრამ სამაგიეროდ მეტყველი, მაძღარი, მკვრივი, გულახდილი, ერთმანეთთან ძარღვიანად შეკავშირებული, დამაჯერებელი. მთლიანი სურათი, განსაკუთრებით კი ემოციურ-ტრაგიკული სახე და წვერ-ულვაში თითქოს მაცდური აზრისკენაც კი გვიბიძგებს: აქ მთავარ როლს ფუნჯი ასრულებს და არა მხატვრის ტალანტი, თუმცა ეს ერთი და იგივეა! მართლაც, ფიროსმანის სხვა სურათებისგან განსხვავებით ამ ნახატზე ფუნჯის მონასმი უფრო დინამიკურ-დრამატულია, მკვეთრი, გამომწვევი – ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ფერმწერს ფუნჯის მაგიერ ხელგაწაფული მლესავის წვერმახვილი ლაპლაპა ქაფჩა ეჭიროს და ელვისებური მისმა-მოსმით სასურველ მოყვანილობასა და მიმართულებას აძლევდეს პერსონაჟის წვერ-ულვაშს! ამას კი მთლიანი ნახატი ქანდაკისებურ მონუმენტურობაში გადაჰყავს და ადვილად ემსგავსება **ოგიუსტ როდენის** (1840-1917) მიერ 1893-97 წლებში შექმნილ **ონორე დე ბალზაკის** (1799-1850) ძეგლს, რომლის ღირსებას მაშინვე ვერ ჩასწვდნენ და მხოლოდ 1939 წელს დაიდგა პარიზში! თუმცა «მეეზოვის» გაქვავებულ ფიგურას განსაცვიფრებელ დინამიკურობას ანიჭებს დრამატიზმით დამუხტული სახისმეტყველება.

ჰიპნოზურად მოჩერებული თვალები და გაბურძგნული წვერ-ულვაში პერსონაჟის მარადიულ საწუხარზე მეტყველებს, ხოლო ყურებთან გამოჩრილი და ავბედითად გაწეწილი თმის ნაშალი – მის გონებაში ქარიშხლისებურად მობობოქრე ვნებათაღელვაზე. ამიტომ მუზარადს დამსგავსებული ეს მკვიდრი, მკვესავ თვალებამდე ჩამოფხატული ფორმის ქუდი ზღვრამდე გახურებული მარტენის ღუმელზე შემოკრულ ფოლადის სალტეს ემსგავსება.

და რაც ყველაზე მთავარი, გასაკვირი და შესასწავლია, არა მარტო ამ ნახატში, არამედ საერთოდ, ფიროსმანის მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან პერსონაჟთა შორის აქ მხატვრული განცდა და ემოცია რაღაც შექსპირულად ზღვარდაუდებელი, გულახდილი, გამომწვევი, თუ გნებავთ... თუ გენებავთ კი არა, ასეა – აგრესიული და დამთავრებულ-დაზუსტებულია!!!

დასცქერი ნახატს და ველარ გარკვეულხარ: ეს მართლა ვიღაც ბეჩავი მეეზოვეა, ზევსი, სამკბილამომარჯვებულ პოსეიდონს მიმსგავსებული ხმელეთის მბრძანებელი თუ... თვითონ ფიროსმანი?!

ნახატზე მართლა ერთი ჩვეულებრივი თბილისელი მეეზოვეა გამოსახული?! კეთილი, მეც ვირწმუნებ მის მეეზოვეობას, მაგრამ ერთი ამიხსენით: ვინ ბრძანდება ვიღაც უბრალო მეეზოვე, რა აღდგომის წითელი კვერცხია ქუჩის ბეჩავი მენაგვე, ასეთი მბრძანებლური პოზით რომ წამოგვდგომია თავზე და რისხვამორეული ზევსის ცეცხლის ჩამომკვესებელი თვალებით გვიცქერის და გვახევებს?!

რა მოუბარებია ჩვენთვის, რას გვედავება?.. ან რა დავაშავეთ და რას ითხოვს ჩვენგან?

მხატვრის თანამედროვეები ერთ რამეში ხაზგასმულად ერთსულოვნები არიან: საწყალი ნიკალა ძალიან კეთილი, წესიერი, პატიოსანი, მორცხვი, მორიდებული, დამთმობი, უწყინარი და უბოროტო იყო, მისგან რაიმე წყენა და ვნება არ გვახსოვსო.

ეს მეც მჯერა და ამას სადისკუსიოდ არა ვხდი, მაგრამ ბუნებით მართლა ასეთიც რომ არ ყოფილიყო, აბა, მეტი რა ჩარა ექნებოდა, სხვანაირად როგორ მოიქცეოდა უსახლკარო, ულუკმაპურო, ღატაკ-ეული, როცა ამ თავისი გარემოცვის იქით სხვა გზა არ ჰქონდა?!

აქ ერთ რამეში უნდა გავერკვეთ: თანამედროვეთა მიერ «საწყალი ნიკალას» ის ერთსულოვნად ერთნაირი, სწორი და ეჭვშეუტანელი დახასიათება ამ უკანასკნელის **მხოლოდ პიროვნული, რიგით ადამიანებთან ყოველდღიურად საურთიერთო ყოფითი დახასიათებაა**, მაგრამ მაშინ ვინ მოვიდოდა აზრზე ან ეს ვის რაში სჭირდებოდა ანდა ვინ შეძლებდა განეჭვრიტა, რას ითმენდა და რანაირი განცდა-ვნებები თუხთუხებდა ნიკო ფიროსმანაშვილის, როგორც **დიდი შემოქმედის** გულსა და გონებაში, რომელიც ვულკანისებურ ამოხეთქვა-გადმოღვრას ითხოვდა!!!

ეს ვულკანისებური ამოფრქვევა მომხდარა კიდეც **«მეეზოვეში»** შემთხვევით თუ განგების ნებით გაცხადებული ფიროსმანის ავტოპორტრეტის სახით!

ეს ნახატი მუდამ მსოფლიო ხალხთა სხვადასხვა ზღაპარს მახსენებს. ცოდვით სავსე თავის საუფლოში, დედამიწაზე სიმართლის გასაგებად ღმერთი ზოგჯერ მათხოვრის ძველმანებს რომ გადაიცვამს ხოლმე კარდაკარ სასიარულოდ, საქართველოს ძნელბედობის ამბით აფორიაქებული ფიროსმანიც თითქოს მეეზოვესავით გამოწყობილა და შორეული ქაოსებიდან ისევ მოგვსვლია თვალდასაკრავად. მაგრამ ეს მხოლოდ ზერელე წარმოდგენაა! ის არასოდეს არსად არ წასულა – **«მარად და ყველგან»** ჩვენ გვერდით იყო და იქნება! ოღონდ ეგაა, ვის როდის ეხილება გონების თვალი და ამას ვინ როგორ იგრძნობს!

და, აჰა: საქართველოს უბედურებითა და ჩვენი საყოველთაო უსაქციელობით გაოგნებული მეეზოვე-ფიროსმანი ღმერთივით შემოგვყურებს და მის თვალებში ჩაგუბებული რისხვა-ვედრება ქუხილიან ჩურჩულივით აღიქმება.

– სამშობლოს ასე რატომ ექცევით?!

შინაარსი

თავი პირველი;

თავი მეორე;

თავი მესამე;

თავი მეოთხე;

თავი მეხუთე;

თავი მეექვსე;

თავი მეშვიდე;

თავი მერვე;

თავი მეცხრე;

თავი მეათე;

თავი მეთერთმეტე;

თავი მეთორმეტე;

თავი მეცამეტე;

თავი მეთოთხმეტე;

რედაქტორი

ციური რიგიშვილი

ტექნიკური მდივანი

იამზე ბასილაია

კორექტორები

ია მეტრეველი
ლედი მიქელაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ნინო ღვინერია
სოფო ქილიფთარი